

# შპს „ჯეო ენტერპრაიზ“

ქ.რუსთავი, მშვიდობის ქ. N12

მეტალურგიული საწარმოს

გარემოზე ზემოქმედების  
შეფასების ანგარიში

შპს „ჯეო ენტერპრაიზ“  
დირექტორი ზ. მაღრაძე  
ტელ. 577 55 88 44

შემსრულებელი: შპს „სამნი“  
დირექტორი თ.კეპულაძე  
ტელ. 591 15 72 72

# სარჩევი

1.	შესავალი.....	6
2.	გამოყენებულ ტერმინთა განმარტებები.....	9
3.	საკანონმდებლო ასპექტები .....	12
3.1.	საერთაშორისო კონვენციები გარემოს დაცვის სფეროში .....	13
3.2.	გარემოსდაცვითი კანონები .....	14
3.3.	გარემოსდაცვითი ქვენორმატიული აქტები .....	14
3.4.	გარემოს დაცვის სტანდარტები და ნორმატიული აქტები.....	16
4.	პროექტის საჭიროების დასაბუთება.....	17
5.	დაგეგმილი საქმიანობის აღწერა .....	18
5.1.	საწარმოს მუშაობის რეჟიმი და ადამიანური რესურსები.....	18
5.2.	გამოყენებული ნედლეული და მასალები.....	18
5.3.	ტექნოლოგიური ინფრასტრუქტურის ელემენტები .....	19
5.4.	ტექნოლოგიური პროცესის აღწერა.....	23
5.5.	მირითადი ტექნოლოგიური უბნები.....	26
5.6.	მირითადი ტექნოლოგიური მოწყობილობების დახასიათება.....	30
5.6.1.	ღუმელი .....	30
5.6.2.	ტრანსფორმატორი.....	32
5.6.3.	ტექნიკური წყლის გამწმენდი სისტემა .....	35
5.6.4.	ჰაერის გამწმენდი ნაგებობები .....	37
5.7.	წარმოებული პროდუქცია .....	39
5.8.	ნარჩენები.....	40
5.8.1.	ნარჩენების მართვა .....	48
5.8.1.1.	ნარჩენების პრევენციის ღონისძიებები.....	49
5.8.1.2.	ნარჩენების სეპარირება.....	49
5.8.1.3.	ნარჩენების დროებითი შენახვის პირობები .....	50
6.	წყალსარგებლობა .....	50
6.1.	წყალაღება და წყლის გამოყენება .....	50
6.2.	საწარმოს ჩამდინარე წყლები და წყალარინება. ....	53
7.	საწარმოს განთავსება .....	56

8.	საწარმოს განთავსების ადგილის გარემოს არსებული მდგომარეობისანალიზი	70
8.1.	ზოგადი ნაწილი	70
8.1.1.	ეკონომიკა	72
8.1.2.	კულტურა	72
8.2.	ბუნებრივი ფონური მონაცემები:	72
8.2.1.	კლიმატი	72
8.2.2.	ტემპერატურული რეჟიმი	73
8.2.3.	ატმოსფერული ჰარისხი	75
8.3.	გეოლოგიური აგებულება	77
8.3.1.	ტექტონიკა და სეისმური პირობები	80
8.3.2.	რელიეფი	80
8.4.	ჰიდროგეოლოგიური პირობები	83
8.5.	ნიადაგები	83
8.6.	ჰიდროლოგია	84
8.7.	ძირითადი ლანდშაფტები	85
8.8.	ბიომრავალფეროვნება	86
8.9.	ისტორიულ-კულტურული მნიშვნელობის ძეგლები	89
8.10.	დაცული ტერიტორიები	91
9.	საქმიანობისა და მისი განხორციელების ადგილის აღტერნატივებისანალიზი	92
9.1.	ნულოვანი, ანუ არქედების აღტერნატივა	94
9.2.	საწარმოს განთავსების აღტერნატივა	95
9.3.	ტექნოლოგიური აღტერნატივები	99
9.4.	მწარმოებლურობის შემცირება-გაზრდის აღტერნატივა	100
10.	გარემოზე ზემოქმედების შეფასება	101
10.1.	ზემოქმედების შეფასების მეთოდოლოგია და კრიტერიუმები	101
10.2.	გარემოზე ზემოქმედება საწარმოს მოწყობის პროცესში	103
10.2.1.	ზემოქმედება ატმოსფერული ჰარისხის ხარისხზე	103
10.2.1.1.	ემისიები სამშენებლო ობიექტების მუშაობისას	104
10.2.2.	ემისიები საშემდუღებლო სამუშაოების დროს	105
10.2.3.	ხმაურის ზემოქმედება მშენებლობის პროცესში	106
10.2.4.	ნიადაგზე და გრუნტის ხარისხზე ზემოქმედება	106
10.2.5.	ნარჩენების წარმოქმნა მშენებლობის ეტაპზე	106

10.2.6.	ზემოქმედება ბიოლოგიურ გარემოზე.....	108
10.2.7.	ზემოქმედება წყლის რესურსებზე.....	108
10.2.8.	სატრანსპორტო ნაკადებზე ზემოქმედება.....	108
10.2.9.	ადამიანების ჯანმრთელობა და უსაფრთხოება .....	108
10.3.	გარემოზე ზემოქმედება საწარმოს ექსპლუატაციის ეტაპზე .....	109
10.3.1.	ზემოქმედება ატმოსფერულ ჰაერის ხარისხზე.....	109
10.3.1.1.	ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა სახეობები და მათი მახასიათებელი სიდიდეები	109
10.3.1.2.	ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებების გაფრქვევების რაოდენობის ანგარიში .....	112
10.3.1.3.	ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გაბნევის ანგარიში.....	12
10.3.2.	ხმაურის ზემოქმედება.....	13
10.3.3.	წყლის რესურსებზე ზემოქმედება.....	135
10.3.4.	ნარჩენების წარმოქმნა-გავრცელებაზე ზემოქმედება.....	136
10.3.5.	ზემოქმედება ბუნებრივ ლანდშაფტსა და ბიოლოგიურ გარემოზე.....	137
10.3.6.	ზემოქმედება დაცულ ტერიტორიებზე.....	138
10.3.7.	ზემოქმედება ისტორიულ-კულტურულ და არქეოლოგიურ ძეგლებზე.....	139
10.3.8.	ზემოქმედება სოციალურ-ეკონომიკურ გარემოზე .....	139
10.3.9.	ზემოქმედება ნიადაგის ნაყოფიერ ფენაზე .....	139
10.3.10.	ზემოქმედება სატრანსპორტო ნაკადებზე.....	140
10.3.10.1.	მოქმედი რეგულაციები ტვირთების გადაზიდვების მიმართ .....	140
10.3.10.2.	სატრანსპორტო ნაკადების ანალიზი და ზემოქმედების შეფასება .....	141
10.3.11.	ზემოქმედება გეოლოგიურ გარემოზე .....	142
10.3.12.	კუმულაციური ზემოქმედება.....	142
10.3.13.	ადამიანების ჯანმრთელობა და უსაფრთხოება .....	143
10.3.14.	სოციალურ-ეკონომიკური სარგებლისა და გარემოზე ზემოქმედების შედარებითი ანალიზი .....	144
11.	საქმიანობის გარემოსდაცვითი მონიტორინგი.....	145
11.1.	ატმოსფერული ჰაერის მონიტორინგი.....	146
11.2.	ხმაურის მონიტორინგი .....	151
11.3.	წყლის მონიტორინგი .....	151
11.4.	ნარჩენების მონიტორინგი.....	151
11.5.	ადამიანის ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების მონიტორინგი.....	152

11.5.1.	ტექნოლოგიური დანადგარების გამართულობის მონიტორინგი	152
11.6.	მონიტრინგის გეგმა	154
12.	ადამიანების ჯანმრთელობისა და უსაფრთხოებისუზრუნველყოფა	157
12.1.	მუშა-მოსამსახურეთა კვალიფიკაცია და ვალდებულებები	158
12.2.	უსაფრთხოების მოთხოვნები ტექნოლოგიური უბნების მიმართ	158
13.	საგანგებო სიტუაციების მართვა ექსპულუატაციის ეტაპზე	160
13.1.	საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა	161
13.2.	საგანგებო (ავარიული) სიტუაციების რისკები და მათი მართვა	161
13.3.	რისკების ანალიზი (შესაძლო მიზეზები)	162
13.4.	რისკების შემცირება	162
13.5.	ავარიების სცენარები	163
13.6.	შეტყობინების სისტემა	164
13.7.	ავარიული სიტუაციის დოკუმენტირება:	165
14.	შემარბილებელი ღონისძიებები	165
14.1.	ატმოსფერული ჰაერი	166
14.2.	ნარჩენების წარმოქმნა-გავრცელება	167
14.3.	წყლის რესურსები	167
14.4.	ადამიანის ჯანმრთელობა და უსაფრთხოება	168
15.	საზოგადოების მონაწილეობა	169
16.	გზშ-ს ფარგლებში შემუშავებული ძირითადი დასკვნები, რეკომენდაციები და საქმიანობის განხორციელების პროცესში განსახორციელებელი ძირითადი ღონისძიებები	178
	გამოყენებული ლიტერატურა	180
	და ანართები	182
დანართი 1.	საჯარო რეესტრის ამონაწერი	183
დანართი 2.	სკოპინგის დასკვნა	184
დანართი 3.	მავნე ნივთიერებათა განპნევის მანქანური გაანგარიშება	194
დანართი 4.	საინჟინრო გეოლოგიური დასკვნა	250
დანართი 5.	კვამლგამწოვის პასპორტი	269

## 1. შესავალი

შპს „ჯეო ენტერპრაიზი“ ქ.რუსთავში, მშვიდობის ქ. N12-ში, საკუთარ არასასოფლო სამეურნეო მიწის ნაკვეთზე (საკ.კოდი 02.07.01.299) გეგმავს მეტალურგიული საწარმოს მოწყობა-ექსპლუატაციას. დაგეგმილია რკინის ჯართის გამოსადნობი ღუმელების დამონტაჟება და სხვადასხვა სხმულების დამზადება.

რადგან მეტალურგიული წარმოება წარმოადგენს საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“-ს I-დანართის მე-5 პუნქტით გათვალისწინებულ საქმიანობას და ექვემდებარება გარემოზე ზემოქმედების შეფასებას, საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“-ს მე-8 მუხლის შესაბამისად, შემუშავებული იქნა სკოპინგის ანგარიში, რომელიც 2020 წლის 16 დეკემბერს წარდგენილი იქნა სამინისტროში.

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2021 წლის 25 თებერვლის 2-238 ბრძანებით ქ.რუსთავში, შპს „ჯეოენტერპრაიზის“ მეტალურგიული საწარმოს მოწყობისა და ექსპლუატაციის პროექტზე გაცემული იქნა 22.02.2021წ. N11 სკოპინგის დასკვნა.

გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-10 მუხლისა და ზემოაღნიშნული სკოპინგის დასკვნის ძირითად ნაწილის მე-4; მე-5 და მე-6 პუნქტების შესაბამისად, საკონსულტაციო კომპანია „სამნის“-ს მიერ მომზადდა გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში.

ზოგადი ცნობები საწარმოს შესახებ მოცემულია ცხრილში 1.1., გზშ-ს ანგარიშის მომზადებაში მონაწილე ექსპერტთა და კონსულტანტთა სია ცხრილში 1.2.


### ცხრილი 1.1.

საწარმოს ოპერატორი კომპანია	შპს «ჯეო ენტერპრაიზი»
კომპანიის იურიდიული მისამართი	ქ. თბილისი, მარიჯანის ქ., N4, ბინა №2
საიდენტიფიკაციო კოდი	404901077
საქმიანობის განხორციელების მისამართი	რუსთავი, მშვიდობის ქ.N12
საქმიანობის სახე	მეტალურგიული წარმოება
დირექტორი	ზურაბ მალრაძე
საკონტაქტო ტელეფონი	5 77 74 54 44
გარემოს დაცვის საკითხებზე პასუხიმგებელი პირი	ზურაბ გონგაძე
ტელეფონი	5 77 74 54 44
ელფოსტა	geoenterprise@gmail.com
საკონსულტაციო ფირმა	შპს „სამნი“
დირექტორი	თეიმურაზ კეპულაძე
საკონტაქტო ტელეფონი	91 15 72 72

## ცხრილი 1.2.

შპს „ჯეო ენტერპრაიზ“-ის გზშ-ის ანგარიშის მომზადებაში მონაწილე უქადაგითა და კონსულტანტთა სია

N	სახელი გვარი	სამუშაო ადგილი	საკონსულტაციო-საქადაგო სფერო	გზშ-ის ანგარიშის მონაწილეობა	ხელისმოწერა
1	თეიმურაზ კეჭულაძე	შპს „სამნი“ დირექტორი	გარემოსდაცვითი უქადაგითა, ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი, ასოცირებული პროფესორი	პროექტის ხელმძღვანელი, ზოგადი და ტექნოლოგიური ნაწილი, არსებული გარემოს ანალიზი, საწარმოს განთავსება, გრაფიკული ნაწილი, გარემოზე ზემოქმედების შეფასება, ატმოსფერულ ჰაერზე ზემოქმედების, ხმაურის, კუმულაციური ზემოქმედების საკითხები. საგანგებო და ავარიული სიტუაციები და მართვა, შემარტილებელი ღონისძიებები.	
2	ირინე ლომინძე	შპს „სამნი“ უქადაგი- კონსულტანტი	გარემოსდაცვითი უქადაგი საინჟინრო, წყლის დაცვისა და ბიომრავალფეროვნების საკითხებში	პროექტის აღწერა, საჭიროების დასაბუთება, დაგეგმილი საქმიანობის აღწერა, ალტერნატივების ანალიზი, გარემოზე ზემოქმედების შეფასება, გარემოსდაცვითი მონიტორინგი, ნარჩენების მართვის საკითხები, სოციალურ- კუონომიკური სარგებლისა და გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედების შედარებითი ანალიზი, საზოგადოების მონაწილეობა, მირითადი დასკვნები.	ი. ღ. 

3	გუგა ჭოხონელიძე	მოწვეული სპეციალისტი	სამთო და საინჟინრო- გეოლოგიური სფეროს ექსპერტი	გარემოს არსებული მდგომარეობის შეფასება, გარემოზე ზემოქმედების შეფასება.	
4	მაია აბუთიძე	შპს „სამნი“	გარემოს დაცვისა და საინჟინრო კონსულტან ტი გარემოსდაცვითი კანონმდებლობის, საზოგად ოების მონაწილეობისა და ნარჩენების მართვის საკითხებში	ზოგადი ნაწილი, საკანონმდებლო ასპექტები, ნარჩენების მართვის საკითხები, გარემოზე ზემოქმედების შეფასება, გრაფიკული ნაწილი, საქმიანობის პროცესში განსახორციელებელი ღონისძიებები.	
5	ზურა მაღრაძე	შპს „ჯეო ენტერპრაიზ“	კონომიკისა და სამართლის სპეციალისტი	დაგემილი საქმიანობის აღწერა, საქმიანობის სიციალურ - კომომიკური დასაბუთება	
6	ზურა გონგაძე	შპს „ჯეო ენტერპრაიზ“	სპეციალისტი კონომიკურ და ტექნოლოგიურ საკითხებში	ტექნოლოგიური ნაწილი, ტექნოლოგიური პროცესებისა და ტექნოლოგიური დანადგარების აღწერა. ელექტრო და გაზმომარაგების საკითხები, წყალმომარაგება- წყალარინების საკითხები.	
7	გიული დარციმელია	მოწვეული სპეციალისტი	გარემოსდაცვითი კონსულტანტი	მავნე ნივთიერებათა გაფრქვევის მოდელირება	

## **2. გამოყენებულ ტერმინთა განმარტებები**

1. „გარემო“ – ბუნებრივი გარემოსა და ადამიანის მიერ სახეცვლილი (კულტურული) გარემოს ერთობლიობა, რომელიც მოიცავს ურთიერთდამოკიდებულებაში მყოფ ცოცხალ და არაცოცხალ, შენარჩუნებულ და ადამიანის მიერ სახეცვლილ ბუნებრივ ელემენტებს, ბუნებრივ და ანთროპოგენულ ლანდშაფტებს;
2. „ბუნებრივი გარემო“ გარემოს შემადგენელი ნაწილი, რომელიც მოიცავს ურთიერთდამოკიდებულებაში მყოფ ბუნებრივ ელემენტებს და მათ მიერ ჩამოყალიბებულ ბუნებრივ ლანდშაფტებს;
3. „გარემოს დაცვა“ ადმინისტრაციულ, სამეურნეო, ტექნოლოგიურ, პოლიტიკურ-სამართლებრივ და საზოგადოებრივ ღონისძიებათა ერთობლიობა, რომელიც უზრუნველყოფს გარემოში არსებული ბუნებრივი წონასწორობის შენარჩუნებას და აღდგენას, რეგულირება, აღრიცხვა, ლიცენზირება, ზედამხედველობა და კონტროლი;
4. არატექნიკური რეზიუმე – გარემოზე ზემოქმედების შეფასებისანგარიშის/სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების ანგარიშის მოკლე აღწერა, რომელიც მოიცავს ინფორმაციას დამგეგმავი ორგანოს/საქმიანობის განმახორციელებლის, სტრატეგიული დოკუმენტის/საქმიანობის განხორციელების ადგილის, გარემოზე/ადამიანის ჯანმრთელობაზე შესაძლო ზემოქმედების და ანგარიშით გათვალისწინებული სხვა საკითხების თაობაზე, შესრულებულია არატექნიკურ ენაზე და თან ერთვის გრაფიკული და საილუსტრაციო მასალები;
5. გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება – გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-13 მუხლის გათვალისწინებით გამოცემული აქტი, რომელიც გარემოზე ზემოქმედების შეფასებისადმი დაქვემდებარებული საქმიანობის განხორციელების სავალდებულო წინაპირობაა.
6. გარემოზე ზემოქმედება – სტრატეგიული დოკუმენტის ან საქმიანობის განხორციელებით გამოწვეული გარემოზე წებისმიერი ზემოქმედება, რომელიც შესაძლოა მოიცავდეს შემდეგ ფაქტორებზე ზემოქმედებას: ადამიანის ჯანმრთელობა და უსაფრთხოება, ბიომრავალფეროვნება და მისი კომპონენტები, წყალი, ჰაერი, ნიადაგი, მიწა, კლიმატი, ლანდშაფტი და დაცული ტერიტორიები. გარემოზე ზემოქმედება მოიცავს აგრეთვე კულტურულ მემკვიდრეობაზე ან სოციალურ-ეკონომიკურ ფაქტორებზე ზემოქმედებას, რომელიც გამოწვეულია მათი ცვლილებით;
7. გარემოზე ზემოქმედების შეფასება (შემდგომ – გზშ) – შესაბამის კვლევებზე დაყრდნობით, გარემოზე შესაძლო ზემოქმედების გამოვლენისა და შესწავლის პროცედურა იმ დაგეგმილი საქმიანობისთვის, რომელმაც შესაძლოა მნიშვნელოვანი ზემოქმედება მოახდინოს გარემოზე და რომელიც მიეკუთვნება გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის I დანართით გათვალისწინებულ საქმიანობას და, სკრინინგის გადაწყვეტილების შესაბამისად, ამავე კოდექსის II დანართით გათვალისწინებულ საქმიანობას. გზშ მოიცავს სკოპინგს, გზშ-ის ანგარიშის მომზადებას, საზოგადოების მონაწილეობას, უფლებამოსილ ადმინისტრაციულ

ორგანოებთან კონსულტაციების გამართვას, მიღებული შედეგების შეფასების საფუძველზე ექსპერტიზის დასკვნის მომზადებას და მის მხედველობაში მიღებას ამ კოდექსით გათვალისწინებული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემისას ან/და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული შესაბამისი აღმჭურველი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისას;

8. გზშ-ის ანგარიში – საქმიანობის განმახორციელებლის ან/და საქმიანობის განმახორციელებლისთვის კონსულტანტის მიერ გზშ-ის პროცესში მომზადებული დოკუმენტი, რომელიც მოიცავს ამ კოდექსით გათვალისწინებულ ინფორმაციას;

9. დაინტერესებული საზოგადოება – საზოგადოება, რომელსაც შესაძლოა აინტერესებდეს სტრატეგიული დოკუმენტის ან საქმიანობის განხორციელებასთან დაკავშირებული გადაწყვეტილება ან რომელზედაც ზემოქმედებას მოახდენს ან შესაძლოა ზემოქმედება მოახდინოს ამ გადაწყვეტილებამ. დაინტერესებულ საზოგადოებას მიეკუთვნება აგრეთვე საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით რეგისტრირებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი, რომლის საქმიანობის მიზნებიც დაკავშირებულია ქვეყანაში გარემოს დაცვის ხელშეწყობასთან;

10. ექსპერტიზა – ექსპერტიზის დასკვნის მომზადების მიზნით, დადგენილი წესით შექმნილი საექსპერტო კომისიის მიერ განხორციელებულ სამეცნიერო-კვლევით ღონისძიებათა ერთობლიობა;

11. კონსულტანტი – პირი, რომელსაც აქვს გზშ-ის ანგარიშის/სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების ანგარიშის მომზადებისთვის საჭირო კვალიფიკაცია, სამეცნიერო, ტექნიკური და მეთოდური შესაძლებლობები;

12. მინისტრი – საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი;

13. სამინისტრო – საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო;

14. საქმიანობა – სამშენებლო, საწარმოო და სამონტაჟო სამუშაოები, ან სხვა საქმიანობა, მათ შორის, მინერალური რესურსების მოპოვება/გადამუშავება, რომელიც გარკვეულ ზემოქმედებას ახდენს გარემოზე;

15. საქმიანობის განმახორციელებელი – პირი, ადმინისტრაციული ორგანო, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა ორგანიზაციული წარმონაქმნი, რომელიც არ არის იურიდიული პირი, რომელსაც სურს გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის I დანართით ან/და II დანართით გათვალისწინებული საქმიანობის განხორციელება ან მიმდინარე საქმიანობის გაგრძელება;

16. სკოპინგი – პროცედურა, რომელიც განსაზღვრავს გზშ-ისთვის/სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასებისთვის მოსაპოვებელი და შესასწავლი ინფორმაციის ჩამონათვალს და ამ ინფორმაციის გზშ-ის ანგარიშში/სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების ანგარიშში ასახვის საშუალებებს;

17. სკოპინგის ანგარიში – წინასწარი დოკუმენტი, რომელიც საქმიანობის განმახორციელებელმა ან/და კონსულტანტმა მოამზადა და რომლის საფუძველზედაც სამინისტრო გასცემს სკოპინგის დასკვნას;
18. სკოპინგის განცხადება – წინასწარი დოკუმენტი, რომელიც დამგევმავმა ორგანომ ან/და კონსულტანტმა მოამზადა და რომლის საფუძველზედაც სამინისტრო და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალურიდაცვის სამინისტრო გასცემენ სკოპინგის დასკვნებს;
19. რეგულირების ობიექტი – ფიზიკური პირი, იურიდიული პირი ან სხვა ორგანიზაციული წარმონაქმნი, გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის სფეროში ღიცენზის/ნებართვის მფლობელი (მათ შორის, საქმიანობის სუბიექტი), სახელმწიფო ხელისუფლების ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო, რომელზედაც ვრცელდება გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის სფეროში საქართველოს კანონმდებლობითა და საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებით გათვალისწინებული გარემოსდაცვითი მოთხოვნები;
20. ბიომრავალფეროვნება – გარეული ცხოველებისა და ველური მცენარეების მრავალსახეობა, ხმელეთის, ზღვის და წყლის ეკოსისტემები და ეკოლოგიური კომპლექსები, რომლებიც მოიცავენ მრავალფეროვნებას სახეობის ფარგლებში, სახეობათა შორის და ეკოსისტემებში.
21. წყალსარგებლობა – წყლის რესურსების გამოყენება სასმელი, საყოფაცხოვრებო-კომუნალური, სამრეწველო, ენერგეტიკული, სასოფლო-სამეურნეო, სატრანსპორტო, სამეცნიერო, კულტურული, რეკრეაციული, ბალნეოლოგიური, სპორტის, ტურიზმის და სხვა მიზნებისთვის ტექნიკური საშუალებებით ან უამისოდ;
22. წყალმოსარგებლე – ფიზიკური ან იურიდიული პირი (საკუთრების და ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის განურჩევლად), მათ შორის უცხო ქვეყნის მოქალაქე, რომელიც ახორციელებს წყალსარგებლობას საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;
23. ატმოსფერული ჰაერი – ატმოსფერული გარსის ჰაერი, შენობანაგებობებში არსებული ჰაერის გარდა;
24. მავნე ნივთიერება – ადამიანის საქმიანობის შედეგად ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეული ნებისმიერი ნივთიერება, რომელიც ახდენს ან რომელმაც შეიძლება მოახდინოს უარყოფითი ზეგავლენა ადამიანის ჯანმრთელობასა და ბუნებრივ გარემოზე;
25. ნარჩენი - ნებისმიერი ნივთიერება ან ნივთი, რომელსაც მფლობელი იშორებს, განზრახული აქვს მოიშოროს ან ვალდებულია მოიშოროს;
26. სახიფათო ნარჩენები - ნარჩენები, რომლებსაც აქვს ნარჩენების მართვის კოდექსის მე-3 დანართით გათვალისწინებული ერთი ან მეტი მახასიათებელი;
27. საყოფაცხოვრებო ნარჩენები - საოჯახო მეურნეობის მიერ წარმოქმნილი ნარჩენები;

28. თხევადი ნარჩენები - თხევად მდგომარეობაში არსებული ნარჩენები;
29. ევროკავშირის კანონმდებლობა – ევროპის ეკონომიკური გაერთიანების საბჭოს, ევროგაერთიანების საბჭოს, ევროკავშირის საბჭოსა და ევროპარლამენტის მიერ მიღებული დებულებები, გადაწყვეტილებები და დირექტივები;
30. საქართველოს „წითელი ნუსხა“ – საქართველოს ტერიტორიაზე გავრცელებულ, გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფ გარეულ ცხოველთა და ველურ მცენარეთა სახეობების ჩამონათვალი;
31. საქართველოს „წითელი წიგნი“ – დოკუმენტი, რომელიც შეიცავს მონაცემებს საქართველოს „წითელნუსხაში“ შეტანილი სახეობების სტატუსის, გავრცელების არეალის, ადგილსამყოფლის, რაოდენობის, გამრავლების ადგილებისა და პირობების, მათ დასაცავად მიღებული ზომებისა და დაცვისათვის აუცილებელიღონისმიერების, აგრეთვე მათთან დაკავშირებული რისკფაქტორებისშესახებ;
32. გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი სახეობები – გარეულ ცხოველთა და ველურ მცენარეთაბიოლოგიური სახეობები ან/და მათი სხვა ტაქსონომიური ერთეულები, რომელთა რაოდენობისა დაგავრცელების არეალის შემცირება, საარსებო პირობების გაუარესება ან სხვა გარემოებები მიუთითებს მათი დაცვისა და კვლავწარმოებისათვის სასწრაფო ზომების მიღების აუცილებლობაზე;
33. მეტალურგია - (ბერძ. metallurgo - მოვიპოვებ მადანს, ვამუშავებ ლითონებს) — მეცნიერების, ტექნიკისა და მრეწველობის დარგი, რომელიც მოიცავს მაღნისაგან ან სხვა მასალისაგან ლითონისა და მისგან ნამზადების მიღების პროცესს;
34. ჯართი — რკინის ან ფოლადის, აგრეთვე ფერადი ლითონების გამოუსადეგარინარჩენები, რომელიც მიდის გადადნობაზე;
35. „არახელსაყრელი მეტეოროლოგიური პირობები“ (ამპ) - არის მეტეოროლოგიური პირობები (ნისლი, უქარო ამინდი ან ქარის მცირე სიჩქარე, ტემპერატურული ინვერსია და ა.შ.), რომლებიც ზღუდავენ ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გავრცელებას და, ამდენად, ხელს უწყობენ მავნე ნივთიერებათა დაგროვებას და შესაბამისად დაბინძურების გაზრდას მოცემულ ტერიტორიაზე;

### **3. საკანონმდებლო ასპექტები**

ადამიანთა ჯანსაღ გარემოში ცხოვრების გარანტიას იძლევა საქართველოს კონსტიტუცია (მუხლი 37). ამ უფლებათა დაცვა გათვალისწინებულია საქართველოს კანონმდებლობით. გარემოს დაცვის სფეროში მოქმედი კანონები ასახავენ სახელმწიფოს პოზიციას, ითვალისწინებენ რიგი საერთაშორისო კონვენციების მოთხოვნებს და მოიცავენ გარემოს დაცვის ონისმიებათა მთელ კომპლექსს.

საქართველოს ეკონომიკური პოტენციალის ამღლება არ უნდა განხორციელდეს გარემოზე უარყოფითი და შეუქცევადი ზემოქმედების ხარჯზე. სასიცოცხლო მნიშვნელობის ობიექტების აგების დროსაც კი აუცილებელია გარემოს დაცვის, გარემოსდაცვითი ღონისძიებების გათვალისწინება და ეკოლოგიური წონასწორობის შენარჩუნება.

ქვემოთ ჩამოთვლილია საქართველოს კანონები და საერთაშორისო კონვენციები, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებულია გარემოზე ზემოქმედების წინასწარი შეფასების ამოცანასთან.

### **3.1. საერთაშორისო კონვენციები გარემოს დაცვის სფეროში**

1. კონვენცია „გარემოსდცვით საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, გადაწყვეტილების პროცესში საზოგადოების მონაწილეობისა და ამ სფეროში მართლმსაჯულების საკითხებზე ხელმისაწვდომობის შესახებ“ ორჰუსი, დანია, 23-25 ივნისი 1998წ;
2. სახიფათო ნარჩენების ტრანსსასაზღვრო გადაზიდვასა და მათ განთავსებაზე კონტროლის შესახებ, ბაზელი, 1989 წ.
3. კონვენცია ბიოლოგიური მრავალფეროვნების შესახებ ;
4. კონვენცია ცხოველთა მიგრირებადი სახეობების დაცვაზე
5. კონვენცია გადაშენების პირას მყოფი ველური ფაუნისა და ფლორის სახეობათა საერთაშორისო ვაჭრობის თაობაზე;
6. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კლიმატის ცვლილების ჩარჩო კონვენცია;
7. გაეროს კონვენცია გაუდაბნოებასთან ბრძოლის შესახებ იმ ქვეყანაში, რომლებიც განიცდიან სერიოზულ გვალვას და/ან გაუდაბნოებას, განსაკუთრებით აფრიკაში;
8. კონვენცია შორ მანძილზე ჰაერის ტრანსსასაზღვრო დაბინძურების შესახებ;
9. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კლიმატის ცვლილების ჩარჩო კონვენციის კიოტო ოქმი;
10. 1987 წლის მონრეალის ოქმი ოზონის შრის დამშლელი ნივთიერებების შესახებ:
11. კონვენცია „საერთაშორისო მნიშვნელობის ჭარბტენიანი, განსაკუთრებით წყლის ფრინველთა საბინადროდ ვარგისი, ტერიტორიების შესახებ“ რამსარი, 02.02.1971წ
12. შავი ღვის დაცვის კონვენცია;
13. 1985 წლის ვენის კონვენცია ოზონის შრის დაცვის შესახებ.

### 3.2.გარემოსდაცვითი კანონები

საქართველოში მოქმედი გარემოსდაცვითი კანონმდებლობა განსაზღვრავს იმ პირობებს რომელთაც უნდა პასუხობდნენ დაპროექტებული საწარმოები და ტექნოლოგიური პროცესები. შპს ჯეო მეტალი“-ს ფეროშენადნობთა სწარმოს გარემოზე ზემოქმედების ანგარიშის მომზადების პროცესში გათვალისწინებული კანონების ჩამონათვალი მოცემულია ცხრილში 3.1.

#### ცხრილი 3.1

მიღების წელი	კანონის დასახელება	სარეგისტრაციო კოდი	საბოლოო ვარიანტი
1996	საქართველოს კანონი გარემოს დაცვის შესახებ	360.000.000.05.001.000.184	06/09/2013
1997	საქართველოს კანონი წყლის შესახებ	400.000.000.05.001.000.253	06/09/2013
1999	საქართველოს კანონი ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ	420.000.000.05.001.000.595	05/02/2014
2003	საქართველოს კანონი ნიადაგების კონსერვაციისა და ნაყოფიერების აღდგენა-გაუმჯობესების შესახებ	370.010.000.05.001.001.274	19/04/2013
2005	საქართველოს კანონი ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ	300.310.000.05.001.001.914	20/02/2014
2003	საქართველოს კანონი „ცხოველთა სამყაროს შესახებ“	410.000.000.05.001.000.186	06/09/2013
2015	ნარჩენების მართვის კოდექსი	360.160.000.05.001.017.608	21/12/2016
2017	გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი.	360160000.05.001.018492	01.01. 2018

### 3.3.გარემოსდაცვითი ქვენორმატიული აქტები

საქართველოში მოქმედებს გარემოს დაცვის სფეროში სტანდარტების კომპლექსი. გარემოს მდგომარეობის ხარისხობრივი ნორმები ადგენენ მოთხოვნებს გარემოს ხარისხობრივი მდგომარეობისადმი და განსაზღვრავენ ადამიანის ჯანმრთელობისა და გარემოსათვის მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვებ კონცენტრაციებს წყალში, ჰაერსა და ნიადაგში.

საქართველოს მთავრობის დადგენილებებით მიღებული იქნა გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებული ტექნიკური რეგლამენტები, რომლებიც მოცემულია 3.2 ცხრილში.

#### ცხრილი 3.2

ტექნიკური რეგლამენტების რეგისტრში რეგისტრაციის თარიღი და ნომერი	საქართველოს მთავრობის დადგენილების სათაური, რომლითაც დამტკიცდა ტექნიკური რეგლამენტი	საქართველოს მთავრობის დადგენილების მიღების თარიღი და სარეგისტრაციო ნომერი
10.01.2014 №17	ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების გაანგარიშების ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე	31.12.2013 №408
10.01.2014	დაბინძურების სტაციონარული წყაროებიდან მავნე	31.12.2013

Nº22	ნივთიერებათა გაფრქვევების თვითმონიტორინგის და ანგარიშების წარმოების ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე	Nº413
10.01.2014 Nº23	ზედაპირული წყლის ობიექტებში ჩამდინარე წყლებთან ერთად ჩაშვებულ დამაბინძურებელ ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები ჩაშვების (ზღჩ) ნორმების გაანგარიშების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე	31.12.2013 Nº414
10.01.2014 Nº43	დაბინძურების სტაციონარული წყაროებიდან ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვევების ფაქტობრივი რაოდენობის განსაზღვრის ინსტრუმენტული მეთოდის, დაბინძურების სტაციონარული წყაროებიდან ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვევების ფაქტობრივი რაოდენობის დამდგენი სპეციალური გამზომ- საკონტროლო აპარატურის სტანდარტული ჩამონათვალისა და დაბინძურების სტაციონარული წყაროებიდან ტექნიკური პროცესების მიხედვით ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვევების ფაქტობრივი რაოდენობის საანგარიშო მეთოდიკის შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე	31.12.2013 Nº435
10.01.2014 Nº76	გარემოსდაცვითი ტექნიკური რეგლამენტების დამტკიცების თაობაზე	03.01.2014 Nº17
10.01.2014 Nº80	აირმტვერდამჭერი მოწყობილობის ექსპლუატაციის ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე	03.01.2014 Nº21
10.01.2014 Nº97	ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების სტაციონარული წყაროების ინვენტარიზაციის ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე	06.01.2014 Nº42
31/12/2013	ტექნიკური რეგლამენტი - „ნიადაგის ნაყოფიერების დონის განსაზღვრის“ და „ნიადაგის კონსერვაციისა და ნაყოფიერების მონიტორინგის“ დებულებები, დამტკიცებულია საქართველოს მთავრობის დადგენილებით	06.01.2014 N415
31/12/2013	ტექნიკური რეგლამენტი - „წყალდაცვითი ზოლის შესახებ“, დამტკიცებულია საქართველოს მთავრობის №440 დადგენილებით	06.01.2014 N440
31/12/2013	ტექნიკური რეგლამენტი - „საქართველოს მცირე მდინარეების წყალდაცვითი ზოლების (ზონების) შესახებ“,	06.01.2014 N445
04.08.2015	კომპანიის ნარჩენების მართვის გეგმის განხილვისა და შეთანხმების წესი	მინისტრის ბრძანება N211
11.08.2015	ნარჩენების აღრიცხვის წარმოების, ანგარიშების განხორციელების ფორმა და შინაარსი	11.08.2015 N422
17.08.2015	სახეობებისა და მახასიათებლების მიხედვით ნარჩენების ნუსხა და კლასიფიკაცია	17.08.2015 N426
27.04.2021	„დაბინძურების სტაციონარული წყაროებიდან მავნე ნივთიერებათაგაფრქვევების თვითმონიტორინგის და ანგარიშების წარმოების ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის N413 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.	27.04.2021 192

### **3.4.გარემოს დაცვის სტანდარტები და ნორმატიული აქტები**

საქართველოში გამოიყენება გარემოს დაცვის სფეროში, სტანდარტების კომპლექსი. გარემოს მდგომარეობის ხარისხობრივი ნორმები ადგენენ მოთხოვნებს გარემოს ხარისხობრივი მდგომარეობისადმი და განსაზღვრავენ ადამიანის ჯანმრთელობისა და გარემოსათვის მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვებ კონცენტრაციებს წყალში, ჰაერსა და ნიადაგში.

წყალსატევში მავნე ნივთიერებების ზღვრულად დასაშვები კონცენტრაციების (ზდვ) სიდიდეები რეგლამენტირებულია. მათ საფუძველზე შესაძლებელია მავნე ნივთიერებების წყალში ჩაშვების (ემისიის) ზღვრულად დასაშვები ნორმების დადგენა.

«საქართველოს ზედაპირული წყლების დაბინძურებისაგან დაცვის წესები» დამტკიცებულია გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის მიერ 17.09.96წ. №130 ბრძანებით. ჩაშვება დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ ჩასაშვები წყალი არ გამოიწვევს წყალსატევში დამაბინძურებელი ნივთიერებების შემცველობის გაზრდას დადგენილი ნორმების ზევით და წყლის მომხმარებელი უზრუნველყოფს ჩამდინარე წყლების გაწმენდას გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს მიერ დადგენილ დონემდე. წყლის ხარისხზე საქართველოში შემუშავებული სტანდარტები მთლიანობაში შეესაბამება სტანდარტიზაციის საერთაშორისო ორგანიზაციის (ISO) რეკომენდაციებს.

ჰაერის ხარისხის სტანდარტები დაფუძნებულია საქართველოს კანონზე «ატმოსფერული ჰაერის შესახებ. აქროლადი ნივთიერებების ზდვ ჰაერში დადგენილია 0,5 და 24 საათის საშუალო სიდიდეების მიხედვით და ეფუძნება ქიმიური ნივთიერებების იმ კონცენტრაციას, რომელიც არ ახდენს ზეგავლენას ადამიანის რეფლექტორულ სუნთქვით აქტივობაზე.

გარემოსდაცვითი სტანდარტები ადგენენ გარემოს ხარისხობრივი მდგომარეობის მოთხოვნებს და განსაზღვრავენ წყალში, ჰაერსა და ნიადაგში ადამიანის ჯანმრთელობისთვის და გარემოსთვის სახიფათო ნივთიერებების მაქსიმალურ დასაშვებ კონცენტრაციებს (გარემოს ხარისხობრივი მდგომარეობის შესახებ შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის №297/ნ ბრძანება).

სახიფათო ნივთიერებების ემისიის/ჩაშვების (წყალში, ჰაერში, ნიადაგის გარემოში) კვოტები განსაზღვრავს დაბინძურების ყველა წყაროსთვის ემისიის/ჩაშვების მაქსიმალურ დასაშვებ სიდიდეებს. ნივთიერებების ჩამონათვალი მოცემულია გარემოს დაცვის და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მიერ დამტკიცებული (№139, 25.11.1997) სტაციონარული დაბინძურების წყაროებიდან გაფრქვეული სახიფათო ნივთიერებების საშიშროების კოეფიციენტის დამტკიცების შესახებ დებულების შესაბამისად.

წყლის ობიექტებში სახიფათო ნივთიერებების მაქსიმალური დასაშვები კონცენტრაციების კვოტები (MPC) განისაზღვრება საქართველოს კანონით წყლის შესახებ. მაქსიმალური დასაშვები კონცენტრაციები განისაზღვრება კონკრეტული ობიექტისთვის ინდივიდუალურად. საქართველოში მოქმედი წყლის ხარისხის სტანდარტები შეესაბამება ISO რეკომენდაციებს.

## 4. პროექტის საჭიროების დასაბუთება

მრეწველობა ყოველი ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისა და ცხოვრების დონის მნიშვნელოვანი ღერძი და ხერხემალია. არცერთ ქვეყანას, როგორი მდიდარიც არ უნდა იყოს ბუნებრივი რესურსებით, არ შეუძლია ეკონომიკური და პოლიტიკური მდგრადობის მიღწევა და შენარჩუნება, მატერიალური სიმდიდრის დაგროვება, სტაბილური დასაქმების უზრუნველყოფა მრეწველობის განვითარების გარეშე.

საქართველო ცდილობს ჩადგეს ინდუსტრიულად განვითარებული ქვეყნების რიგში, სწორედ ამიტომ აუცილებელია განვითარების ინდუსტრიული ფაზის გავლა, რადგან მის გარეშე ეკონომიკური და სოციალური განვითარება თეორიულადაც შეუძლებელია.

დღეის მდგომარეობით, საქართველოს უარყოფითი სავაჭრო ბალანსი აქვს, ანუ იმპორტი აღემატება ექსპორტს. წლების განმავლობაში საქართველოდან მეზობედ ქვეყნებში ექსპორტზე გადის ლითონის ჯართი, ან ლითონის ნახევარფაბრიკატები, ხოლო იმპორტით შემოდის სხვადასხვა ნაკეთობები.

შპს „ჯეოენტერპრაიზს“ დაგეგმილი აქცის სხვადასხვა მოთხოვნადი ლითონის ნაკეთობების დამზადება, რისთვისაც ნედლეულად გამოიყენებს რკინის ჯართს და რკინის ნახევარფაბრიკატს. ინვესტორის მიერ განხორციელდა ადგილობრივი ბაზრის წინასწარიკვლევა, რის საფუძველზეც მოხდა საქმიანობის დაგეგმვა. წარმოების შედეგად მოხდება ბაზარზე არსებული მოთხოვნის ნაწილის დაკმაყოფილება ადგილობრივი წარმოების პროდუქტით, რაც თავისთავად გამოიწვევს იმპორტის შემცირებას და ბაზრის დასტაბილურებას.

ამასთან, საწარმოში შესაძლებელი იქნება ცალკეული დეტალის დამზადება კლიენტის მოთხოვნის შესაბამისად, რაც ხელს შეუწყობს არსებული წარმოებების გამართულ მუშაობას, სხვადასხვა ინფრასტრუქტურული პროექტების შეუფერხებელ განხორციელებას.

გარდა ზემოაღნიშნულისა, დღევანდელი სწორხაზობრივი ეკონომიკის პირობებში, როცა რესურსის 95 % იკარგება, სასიცოცხლო მნიშვნელობა აქცის ცირკულარული ეკონომიკის განვითარებას, რომლის ერთეურთი მნიშვნელოვანი კომპონენტია ნარჩენების აღდგენა, მეორადი გამოყენება. დაგეგმილი საქმიაობა წარმოადგენს ნარჩენების აღდგენას, რაც მნიშვნელოვანია ქვეყნის ცირკულარული ეკონომიკის განვითარების თვალსაზრისით, რომლის დანერგვის აუცილებლობა დღითი დღე სულ უფრო აქტუალური ხდება მთელ მსოფლიოში.

ზემოაღნიშნულის, დამატებითი სამუშაო ადგილების შექმნისა და ინვესტორის ინტერესების გათვალისწიებით პროექტის განხორციელება დადებითად აისახება არსებულ სოციალურ, ეკონომიკურ მდგომარეობაზე.

## **5. დაგეგმილი საქმიანობის აღწერა**

შპს „ჯეოენტერპრაიზ“-ს დაგეგმილი აქვს რკინის ჯართის გამოსადნობი ღუმელების დამონტაჟება და სხვადასხვა სხმულების დამზადება.

მეტალურგიულ სამქროში გათვალისწინებულია ორო იდენტური ინდუქციური ღუმელის დამონტაჟება. ღუმელები იმუშავებენ მონაცვლეობით. სხმულების ყალიბების დამზადების მიზნით, სამქროში მოწყობა საყალიბების უბანი.

საპროექტო საწარმოს ტექნიკური პირობები შემდეგია:

დაკავებული მიწის ფართობი - 5052 მ<sup>2</sup>

საპროექტო წარმადობა: 2000 ტ. თუჯისა და ფოლადის ნაკეთობა.

### **5.1. საწარმოს მუშაობის რეჟიმი და ადამიანური რესურსები**

საწარმოს მუშაობის რეჟიმი იქნება 250 დღე წელიწადში, 5 დღიანი სამუშაო კვირით და 8 საათიანი სამუშაო დღით, წელიწადში 2000 სთ.

საპროექტო წარმადობა შეადგენს 2000 ტ თუჯის/ფოლადის ნაკეთობის დამზადება, საათური წარმადობა შეადგენს 1ტ/სთ.

ადამიანური რესურსების გამოყენება საჭიროა როგორც მოწყობის, ასევე ექსპლუატაციის ეტაპზე. საწარმოს ექსპლუატაციის ეტაპზე, სულ დასაქმებული იქნება 25 კაცი. მათგან 4 ადმინისტრაციული და ინჟინერ-ტექნიკური პერსონალი. 21 სხვადასხვა კვალიფიკაციის მუშები. საწარმოს მოწყობისა და ექსპლუატაციის ეტაპზე უპირატესობა მიენიჭება ადგილობრივკადრებს.

### **5.2. გამოყენებული ნედლეული და მასალები**

საწარმოს ძირითად ნედლეულს წარმოადგენს რკინის ჯართი, რომელიც მიიღება ჯართის შემგროვებელი პუნქტებიდან, წინასწარ გადარჩეული და დახარისხებული სახით. ჯართის შემოტანა მოხდება სათანადო მომწოდებლებისაგან, ხელშეკრულების საფუძველზე. შესაძლებელია საწარმოში ნედლეულად, ჯართათან ერთად, გამოყენებული იქნას რკინის ნახევარფაბრიკატი (სხმული, ნამზადი), რომელიც შესყიდული იქნება ბაზარზე მწარმოებლებისაგან ან/და იმპორტიორებისაგან.

წლის განმავლობაში საწარმოში შესაძლებელი იქნება 2200 ტ. ნედლეულის (რკინის ჯართისა და რკინის სხმულის) გადადნობა.

გადასამუშავებელი ჯართი წარმოადგენს არასახიფათო ნარჩენს - „სახეობებისა და მახასიათებლების მიხედვით ნარჩენების ნუსხისა და კლასიფიკაციის შესახებ“ საქართველოს

მთავრობის 2015 წლის 17 აგვისტოს N426 დადგენილების შესაბამისად მისი კოდი შეიძლება იყოს: 15 01 04 - ლითონის შესაფუთი მასალა (რკინა); 16 01 17 - შავი ლითონი (რკინა); 17 04 05 - რკინა და ფოლადი; 17 19 10 01 - რკინა და ფოლადი; 19 12 02 - შავი ლითონი (რკინა); .

როგორც აღინიშნა, საწარმოში შემოტანილი იქნება გადარჩეული ჯართი, რომლის დაბინძურება სახიფათო ნივთიერებებით მოსალოდნელი არ არის. იმ შემთხვევაში თუ შემოტანილ ნედლეულში აღმოჩნდება ნავთობპროდუქტებით ან სხვა სახიფათო ნივთიერებებით დაბინძურებული ჯართი, კომპანია უზრუნველყოფს მის მართვას, როგორც სახიფათო ნარჩენი. დროებით უსაფრთხო განთავსებას საწარმოს ტერიტორიაზე და შემდგომი აღდგენა/განთავსების მიზნით სათანადო ნებართვის მქონე კომპანიაზე გადაცემას.

რკინის ჯართის აღდგენის ოპერაციის კოდია R4 – ლითონების ან ლითონის ნაერთების რეციკლირება/აღდგენა (ჯართის რეციკლირება ფოლადის სადნობ ღუმელში).

რკინის ჯართიდან სათანადო ნადნობის მიღების მიზნით შესაძლებელია საჭირო გახდეს ფეროშენადნობის დამატება, რომელიც შეძენილი იქნება სათანადო მწარმოებლებისაგან.

საწარმოში სხმულების ყალიბების დასამზადებლად საჭიროა კვარცის ქვიშა (წელიწადში 60 ტ.) და ბენტონიტი (წელიწადში 50 ტ.), ფეროშენადნობი 20 ტ-მდე, რომლთა შესყიდვაზეც გაფორმებული იქნება ხელშეკრულება მომწოდებლებთან.

საჭირო წყლის რესურსების მოწოდება მოხდება რუსთავის წყალმომარაგების სერვისცენტრიდან,  
რომელთანაც უკვე გაფორმებულია ხელშეკრულება  
წლმომარაგება/წყალარინებაზე.

ენერგო რესურსებით მომარაგება განხორციელდება ენერგო-პრო ჯორჯიას უახლოესი ქვესადგურიდან, რომლის მიერაც, კომპანიის განცხადების საფუძველზე, უკვე მოხდა საწარმოს აბონენტად რეგისტრირება და ქსელზე მიერთება. შედგენილია პროექტი, რომელიც შეთანხმებულია ენერგო-პრო ჯორჯიასთან.

### 5.3. ტექნოლოგიური ინფრასტრუქტურის ელემენტები

პროექტი ითვალისწინებს არსებული შენობის გარემონტებას და ტექნოლოგიური ციკლის ყველა პროცესის შენობის შიგნით განთავსებას. ბეტონისა და ლითონის ასაწყობი კონსტრუქციების დამხმარე ინფრასტრუქტურის მოწყობას.

წინასაპროექტო ეტაპზე, გაანალიზდა დაგეგმილი საქმიანობისათვის საჭირო ტექნიკური და ინფრასტრუქტურული მოთხვები, სათანადო სპეციალისტების შედგენილი იქნა გენ-გეგმის სხვადასხვა ვარიანტები, რომლებიდანაც შეირჩა ოპტიმალური.

დაგეგმილი სიმძლავრის, პარამეტრებისა და საქმიანობის ძირითადი ტექნოლოგიური უბნების მოსაწყობად ოპტიმალურია არსებული შენობის საწარმოო კორპუსი, რომლის ფართობი 996 მ<sup>2</sup>-ია, სიმაღლე 11 მ. შენობა მოწყობილია მყარ, რკინაბეტონის სამირკველზე, რკინაბეტონის მზიდი კონსტრუქციებით, გადახურულია რკინაბეტონის ფილებით, კედლები ზოგან

შევსებულია რკინაბეტონის ფილებით, ბეტონის ბლოკით და აგურით. ზედა ნაწილში ჩასმულია ლითონის ჩარჩოიანი ფანჯრები.

წინასაპროექტო ეტაპზე შენობა-ნაგებობის შესწავლით დადატურდა, რომ შენობა აგებულია წერილოვანი საძირკვლებზე, რომელთა სიღრმე  $2.2 \text{ m}$ -ია. აგებულია  $1,0 \times 1,0 \text{ m}$ . ზომების ბეტონით. კოლონების ზომები კვეთში  $0,4 \times 0,4 \text{ m}$ -ია. კედლების სისქე სადაფში  $0,4 \text{ m}$ -ია.

არსებული მდგომარეობით კონსტრუქციები და ბეტონი არის კარგ მდგომარეობაში, არ შეინიშნება ბეტონის დაშლის პროცესი. აღსადგენია ჩრდილო-დასავლეთით არსებული აგურის კედელის ნაწილი, სადაც დაგეგმილია სატრანსფორმატორო და ტექნიკური წყლის გამწმენდი სისტემის განთავსება.

წარმოების პირველი ეტაპია ჯართის შემოტანა და დამუშავება, რომელიც განხორციელდება  $19x40$  ზომის ღია მობეტონეულ მოედანზე.

ნედლეულის (ჯართის) მოსამზადებლად გამოყენებული იქნება აირული ჭრის აპარატი, პრესმაკრატელი და ჯოჯგინა ამწე. ჯართის მიღების უბნიდან დაჭრილი ჯართი იყრება ბადიებში, ჯოჯგინა ამწის საშუალებით იდება რელსზე მოძრავ ურიკაზე ან ავტოდამტვირთველზე და გადაიტანება შენობაში.


საწარმოს ძირითადი ტექნოლოგიური უბნები და მოწყობილობები დატანილია გენ-გეგმაზე (ნახაზი 5.1.). ნავარაუდევია შემდეგი უბნებისა და ძირითადი მოწყობილობების გამოყენება:

1. მაღალი ძაბვის უჯრედი;
2. ღუმელის ტრანსფორმატორი;
3. ტრანსფორმატორი;
4. საწყობი;
5. საქვაბე;
6. ლაბორატორია;
7. საყოფაცხოვრებო სათავსო;
8. შხეფსაცივარი;
9. ღუმელები;
10. სარეზერვო წყლის ავზი;
11. გამტყორცნი მილი;
12. ამწე;
13. დეტალების გამოსაბერტყი;
14. ტრანსპორტიორი;
15. გამობერტყილი მასა;
16. ქვიშის საშრობი;
17. რბია;
18. ქვიშის საწყობი;
19. მზა პროდუქციის საწმენდ/დამხარისხებელი საწყობი;
20. საფანტმტყორცნი;

21. ციკლონი;
22. ჯართის მიმღებ/დამხარისხებელი მოედანი;
23. წიდის დროებითი განთავსების ბაქანი;
24. სანიაღვრე სალექარი;
25. არტეზიული ჭა.

საწარმოს ყველა ძირითადი ტექნოლოგიური პროცესი განთავსებული იქნება დახურულ შენობაში.

## ნახაზი 5.1. გენგეგმა



**ექსპლიკაცია:** 1. მაღალი ძაბვის უჯრედი; 2. ღუმელის ტრანსფორმატორი; 3. ტრანსფორმატორი; 4. საწყობი; 5. საქვაბე; 6. ლაბორატორია; 7. საყოფაცხოვრებო სათავსო; 8. შეეფსაცივარი; 9. ღუმელები; 10. სარეზერვო წყლის ავზი; 11. გამტყორცნი მილი; 12. ამწე; 13. დეტალების გამოსაბერტყი; 14. ტრანსპორტიორი; 15. გამობერტყილი მასა; 16. ქვიშის საშრობი; 17. რბია; 18. ქვიშის საწყობი; 19. მზა პროდუქციის საწმენდ/დამხარისხებელი საწყობი; 20. საფანტმტყორცნი; 21. ციკლონი; 22. ჯართის მიმღებ/დამხარისხებელი მოედანი; 23. მოედანი; 24. საწიაღვრე წყლების სალექარი; 25. ჭავა

## 5.4. ტექნოლოგიური პროცესის აღწერა

საწარმო ნედლეულად გამოიყენებს რკინის (თუჯის და ფოლადის) ჯართს, რომელსაც საწარმოში შემოიტანს ჯართის მიმღები პუნქტებიდან წინასწარ გადარჩეული/ დახარისხებული სახით. ნედლეული შემოიზიდება ავტომანქანებით, გადმოიტვირთება ამწის საშუალებით და თავსდება ნედლეულის ბაქანზე, რომელიც მოეწყობა ტერიტორიის აღმოსავლეთ ნაწილში. ბაქანზე მოხდება ჯართის მომზადება ღუმელში მისაწოდებლად. მომზადება გულისხმობს მის დაჭრას საჭირო ზომებად. ჯართის მომზადების უბანზე დამონტაჟდება პრესმაკრატელი, დაიდგმება აირული ჭრის მოწყობილობა. დაჭრა განხორციელდება პრესმაკრატლით და აირული ჭრით, ორივე ერთად ან ერთი რომელიმე, კონკრეტულ შემთხვევაში რომელიც იქნება საჭირო ჯართის დასაჭრელად. ცალკეულ შემთხვევაში ჯართის დასაჭრელად გამოყენებული იქნება ის მეთოდი, რომელიც იქნება უფრო მიზანშეწონილი.

საწარმოში შესაძლებელია ასევე დაინერგოს პლაზმური ჭრის მეთოდის გამოყენებაც, თუმცა ამ ეტაპზე მოეწყობა მხოლოდ პრესმაკრატელი და აირული ჭრის დანადგარი.

ნედლეულის ბაქნიდან, მომზადებული ჯართი იყრება ბადიაში, რომელიც იდება რესლზე მოძრავ ურიკაზე და გადაიტანება სამქროში. აქედან ხიდური ამწით გადაიტანება საღუმელე უბანზე და ელექტროტელფერის საშუალებით მიეწოდება სადნობ ღუმელს.

საღუმელე უბანზე დაგეგმილია 2 ინდუქციური ღუმელის დამონტაჟება, თითოეულის ტევადობა იქნება 2 ტ. ღუმელები იმუშავებს მონაცვლეობით.

ღუმელში კაზმი იყრება თანდათანობით, ოპერატორის მეთვალყურეობით. ფოლადის დნობის შემთხვევაში, შესაძლებელია საჭირო გახდეს მაღეგირებელი ფეროშენადნობის დამატება.

ნადნობის გადმოსხმა ხდება ტიგელის ამობრუნებით. გამდნარი ლითონი ისხმება ციცხვებში. ციცხვებიდან წიდის მოხსნა მოხდება ხელის ნიჩბის საშუალებით, წიდა ჩაისხმება მისთვის განკუთვნილ ციცხვში. გამდნარი მეტალი გადაიტანება სხმულების ჩამოსასხმელ უბანზე და ხელის ციცხვით ჩაისხმება წინასწარ მომზადებულ ყალიბებში (კოპებში). ჩამოსხმის დრო დამოკიდებულია სხმულის ზომებზე, შესაძლებელია დასჭირდეს 5 წთ-იდან 40 წთ-მდე.

ყალიბების დამზადება ხდება საყალიბე უბანზე შემდეგნაირად: ნედლეულად გამოიყენება კვარცის ქვიშა და ბენტონიტი. რომლებიც შემოიზიდება მომწოდებლებისაგან და თავსდება შენობის შიგნით ბაქანზე. საყალიბე მასალის მომზადება შესაძლებელია რბიანაში. ზოგ შემთხვევაში საყალიბე მასას ესაჭიროება წინასწარ გამომშრალი ქვიშა, რისთვისაც სამქროში მოეწყობა საშრობი დოლი, რომელიც იმუშავებს ბუნებრივ აირზე. სამქროში დაგეგმილია ორი ერთეული რბიას დამონტაჟება.

რბიანაში საყალიბე მასის მომზადება მოხდება შემდეგნაირად: კვარცის ქვიშას ემატება ბენტონიტი და იზილება. თუ ქვიშა არ შეიცავს საკმარის ტენს, შესაძლებელია მასალას შერევის დროს დასჭირდეს წყლით დანამვა. შერევის შემდეგ საკოპე მასალა იყრება ბადიაში, საიდანაც ხელის ნიჩბით ნაწილდება წინასწარ მომზადებულ საყალიბეში, რომელშიც მოთავსებულია დასამზადებელი სხმულის ფორმა და იტკეპნება ვიბროწნებით. დამზადებული ყალიბები შრება ბუნებრივად, გადაიტანება ჩამოსხმის უბანზე და ლაგდება ისე რომ მოსახერხებელი იყოს

მეტალის ჩასასხმელად.

ყალიბებში მეტალის გაცივების შემდეგ ხდება მისი გამობერტყვა 2 მეტრი სიგრძისა და 1,5 მ. სიგანის ვიზრომაგიდაზე. გამობერტყვილი ქვიშა ლენტური ტრანსპორტიორით იყრება ქვიშის ბაქანზე, და ისევ გამოიყენება ყალიბების დასამზადებდად.


სხმულები ცივდება ადგილზე ბუნებრივად, გაცივების შემდეგ გადაიტანება მზა პროდუქციის საწმენდ-დამხარისხებელ უბანზე, სადაც იწმინდება და მოწმდება წუნზე. დეტალების გაწმენდა ხდება ქვიშამტყორცნით ან/და მბრუნავ დოლში. დეტალის ფორმისა და ზომების შესაბამისად შესაძლებელია საჭირო გახდეს ხელის ინსტრუმენტებით გაწმენდა.

წუნდებული დეტალები გროვდება ცალკე ნედლეულზე დასამატებლად, ხოლო მზა პროდუქცია დროებით საწყობდება პროდუქციის ტიპის შესაბამისად არსებული წესით.

ტექნოლოგიური სქემა მოცემულია ნახაზზე 5.2.

ნახაზი 5.2.

### ტექნოლოგიური სქემა



## 5.5.მირითადი ტექნოლოგიური უბნები

საწარმოში დაგეგმილი ტექნოლოგიური პროცესების უზრუნველსაყოფად გამოყოფილი იქნება შემდეგი მირითადი ტექნოლოგიური უბნები:

- ჯართის მიღება მომზადების უბანი;
- წიდების დროებითი განთავსების უბანი;
- საღუმელე უბანი;
- ჩამოსხმის უბანი;
- საყალიბე უბანი;
- პროდუქციის გაწმენდა დასაწყობების უბანი;
- აირგამწმენდი უბანი;
- ტექნიკური წყლით უზრუნველყოფის უბანი;
- სატრანსფორმატორო უბანი;
- დამხმარე მასალების საწყობი;
- საყოფაცხოვრებო ადმინისტრაციული სათავსო;
- ყალიბებისათვის საჭირო მრუდეზედაპირიანი ხის დეტალების დასამზადებელი RC1325RH როუტერის სათავსო;

საწარმოს ყველა ტექნოლოგიური უბანი განთავსდება შენობაში. ღია სივრცეში მოეწყობა მხოლოდ ჯართის მიღება-დასაწყობების მოედანი. ტექნოლოგიური უბნების განთავსება მოცემულია ნახაზზე 5.3.


ჯართის მიღება-მომზადების უბანი განთავსდება ტერიტორიის აღმოსავლეთ საზღვართან, მობეტონებულ ბაქანზე. ბაქანზე დაყენებულია ჯოჯგინა ამწე, რომლის საშუალებითაც მოხდება ჯართის გადმოტვირთვა, მიწოდება. აღნიშნულ უბანზე დასაწყობდება ასევე რკინის სხმული (ნამზადი - ნახევარფაბრიკატი), ასეთის შემოტანის შემთხვევაში. ჯართის განთავსების მოედანი აღჭურვილი იქნება სანიაღვრე წყალშემკრები სისტემით და სანიაღვრე წყლების გამწმენდი ნაგებობით. ბაქანზე გათვალისწინებულია ჯართის გადარჩევა და გაბარიტული ჯართის დაჭრა აირული ჭრით ან/და პრესმაკრატლით.

შესაძლებელია ჯართის დასაჭრელად გამოყენებული იქნას ასევე პლაზმური ჭრის მეთოდი. ჯართის მოედნის კუთხეში გამოყოფლი იქნება წიდების დასაწყობების ბაქანი, სადაც განთავსდება მეტალურგიული წიდები.

ნედლეულის მომზადება-მიწოდების სქემა:




### ნახაზი 5.3. ტექნოლოგიური უბნები



საღუმელე, საყალიბე და სხმულების უბნები (3.;4.;5.) განთავსებული იქნება ერთიან სივრცეში, შენობის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში. უბნები ერთმანეთისაგან არ არის გამოყოფილი ბარიერით (საზღვრები პირობითია). ტექნოლოგიური უბნების და მოწყობილობების განთავსების ადგილები შერჩეულია ისე, რომ ექსპლუატაციის ეტაპზე მოსახერხებელი იყოს მუშაობა. საღუმელე უბანზე ჯართი მიეწოდება ბადიებით და თავსდება ღუმელების მომსახურეობისათვის განკუთვნილ ბაქანზე. საამქროს იატაკზე (0 ნიშნულზე) მოეწყობა ციცხვში ჩამოსხმის განყოფილება.

საყალიბე მასისა და ყალიბების მომზადების უბანი განთავსდება შენობის შესასველთან, უბანზე განთავსდება საყალიბე მასის მოსამზადებელი ორი რბია (ერთი 300 კგ.-ანი, დ-1550 მმ, მეორე 160 კგ-იანი, დ-1220 მმ), კვარცის ქვიშის ბაქანი, ყალიბების მომზადების უბანი. ყალიბის აწყობა ხდება საყალიბე ჩარჩოზე, დასამზადებელი სხმულის ნიმუშის შესაბამისად. აწყობილი ყალიბები, ჩაჩოიანად გადაიტანება ჩამოსხმის უბანზე და ლაგდება თანმიმდევრობით, ისე რომ მოსახერხებელი იყოს ლითონის ჩასასხმელად.

საყალიბე უბნის მუშაობის სქემა




შუა ნაწილში შენობის ორივე მხარეს განთავსდება სხმულების ჩამოსხმის უბანი, სადაც წინასწარ დალაგდება გამზადებული ყალიბები. სხმულების გაცივების შემდეგ, ყალიბებიანად გადაიტანება და იყრება გამომბერტყ მანქანაზე, რომელიც დაიდგმება საყალიბე და სხმულების უბნებს შორის.

საღუმელე უბნის მომსახურეობისათვის შენობის ჩრდილოეთით მოეწყობა ტექნიკური წყლის მომზადების უბანი (8), სადაც განთავსდება წყლის გამწმენდი დანადგარი, შეფსაცივარი და ბრუნვითი სისტემის სატუმბი სადგური. შენობის ჩრდილოეთ ნაწილში სატრანსფორმატორო განყოფილება (9.), სადაც დახურულ სივრცეში განთავსდება ტრანსფორმატორი.

ღუმელებიდან აირმტვერნარევის გამწოვი, გამწმენდი სისტემები და გაფრქვევის მილი დამონტაჟდება შენობის ჩრდილოეთით საღუმელე უბნის კედელთან (7.).

ღუმელების მუშაობის სქემა




მუშა-მოსამსახურე პერსონალის შესასვლელი იქნა შენობის ჩრდილო-დასავლეთის მხრიდან, დასავლეთ ნაწილში, ორ სართულზე განთავსდება საყოფაცხოვრებო-ადმინისტრაციული ბლოკი (11). პირველ სართულზე სველი წერტილები, მუშა-მოსამსახურეთა მოსასვენებელი ოთახი, მეორე სართულზე ადმინისტრაციული განყოფილება.

პირველ სართულზე, შესასვლელის პიდაპირ, დახურულ სივრცეში მოეწყობა დამხმარე მასალების საწყობი.

პროდუქციის გაწმენდა დასაწყობების უბანი განთავსდება შენობის სამხრეთ მხარეს მინაშენში, რომელშიც გამოყოფილი იქნება წმენდისა და სასაწყობე უბნები. გაწმენდა იწარმოებს ხელით, მბრუნავი დოლისა და საფანტმტყორცნის საშუალებით. გაწმენდის მეთოდი დამოკიდებულია დეტალის ზომასა და წმენდის მოთხოვნაზე. გაწმენდილი სხმულები დროებით შეინახება მინაშენის სამხრეთ-აღმოსავლეთ მხარეს.

სხმულების გაწმენდა-დასაწყობების სქემა



ჩამოსასხმელი დეტალის(სხმულის) ნიმუშის დამზადება გათვალისწინებულია მრუდეზედაპირიანი ხის დეტალების დასამზადებელი RC1325RH როუტერზე, რომელიც განთავსდება ცალკე სათავსოში. ნიმუშზე დავალების მიცემა მოხდება ოპერატორის მიერ. ძირითად მასალად გამოყენებული იქნება ხე.

## 5.6. ძირითადი ტექნოლოგიური მოწყობილობების დახასიათება


### 5.6.1. ღუმელი

მეტალურგიული საწარმოს ძირითადი ტექნოლოგიური დანადგარია ინდუქციური ღუმელი, რომელიც შეკვეთით დამზადდება უცხოეთში. დაგეგმილია ME-2X ინდუქციული ღუმელის დამონტაჟება, რომლის საპასპორტო მონაცემები და მოწყობილობების ჩამონათვალი მოცემულია ცხრილში 5.1:


ცხრილი 5.1.

N	დასახელება	რაოდენობა
1	ღუმელის კორპუსი ფოლადის გარსაცმით მაგნიტური უღლით:	2 ცალი. (როდესაც ერთი მუშაობს, მეორე ჩერდება ტექნიკური მომსახურებისთვის, ამონაგის მომზადების, ალტერნატიული გამოყენებისთვის და ა.შ.)
2	ელექტრო კარადა ME2X	1 კომპლექტი
3	ძირითადი პარამეტრების ჩვენების სისტემა	ინდიკატორის ნაკრების ტიპი 1
4	ძალიან მგრძნობიარე DM წყლის გაგრილების სისტემა	1 ნაკრები
5	კონდენსატორის ერთეული 1500 V / 1000 Hz	1 კომპლექტი
6	წყლით გაცივებული კაბელი, 300 კვ. მმ / 4 მ	2 ნაკრები
7	ინდუქციური ღუმელის აწყობის ხვია	2 ტონა 1 ნაკრების სიმძლავრით
8	გადასატანი კონსტრუქციის ამწე	2 ტონა 1 ნაკრები.
9	ჰიდრაულიკური დენის პაკეტი მოტორით	1 კომპლექტით
10	სპილენძის დამაკავშირებელი	1 ნაკრები.
11	გამაგრილებელი კოშკის გაგრილების სისტემა	1 კომპლექტი
12	დენის ტრანსფორმატორი 2 MVA 10 kV / 850 V ან 6 kV / 850 V	1 კომპლექტი
13	VCB Incomer 1Set დაცვის პანელი	1


ღუმელები დამონტაჟდება ერთ მთლიან ბაქანზე, რომლის სქემა მოცემულია ნახაზზე 5.4. ხოლო ღუმელებისა და საღუმელე უბნების გეგმა ნახაზებზე 5.5. და 5.6.



ნახაზი 5.4. ღუმელების დასამონტაჟებელი ბაქანი.



ნახაზი 5.5. ღუმელების გეგმა



ნახაზი 5.6. საღუმელე უბნის გეგმა.

### 5.6.2. ტრანსფორმატორი

ინდუქციური ღუმელის ძირითადი მოწყობილობაა საღუმელე ტრანსფორმატორი, რომელიც გათვალისწიებულია ღუმელის კომპლექტაციაში.

დასამონტაჟებელი ტრანსფორმატორის საპასპორტო და მუშა პარამეტრები მოცემულია სქემაზე ნახაზი 5.7.

170

**CENTURY TRANSFORMERS PVT. LTD.**  
 AN ISO 9001: 2015 CERTIFIED COMPANY  
 OFFICE & WORKS: RAJHAT, BHATUA, HOOGHLY-712 123. W.B., INDIA  
 TEL: 8017984331, 9231762172  
**OIL COOLED TRANSFORMER**  
 TO INDIAN STANDARD 2026-2011

33 <sup>rd</sup> ვოლტაჟი არ არა დატოვითადა ამპერები ფაზები ფაზაგრამა წ. დამატებულის სერ. წ. სამუშაოს კოდის წ.	<table border="1" style="width: 100%; border-collapse: collapse;"> <tr><td>2000</td></tr> <tr><td>6000</td></tr> <tr><td>1000</td></tr> <tr><td>HV</td></tr> <tr><td>192.44</td></tr> <tr><td>LV</td></tr> <tr><td>1154.66</td></tr> <tr><td>HV</td></tr> <tr><td>3</td></tr> <tr><td>LV</td></tr> <tr><td>3</td></tr> <tr><td>TW-680</td></tr> </table>	2000	6000	1000	HV	192.44	LV	1154.66	HV	3	LV	3	TW-680	<table border="1" style="width: 100%; border-collapse: collapse;"> <tr><td>გატოლების ტიპი</td></tr> <tr><td>სახშირე</td></tr> <tr><td>წინაღობის ვოლტი</td></tr> <tr><td>კავშირის სიმილანი</td></tr> <tr><td>უპლარი და ურაგრილი (კ)</td></tr> <tr><td>ზეობის წონა (კ)</td></tr> <tr><td>საერთო წონა (კ)</td></tr> <tr><td>ზეობის (ლიტრი)</td></tr> <tr><td>გამოშევების წელი</td></tr> </table>	გატოლების ტიპი	სახშირე	წინაღობის ვოლტი	კავშირის სიმილანი	უპლარი და ურაგრილი (კ)	ზეობის წონა (კ)	საერთო წონა (კ)	ზეობის (ლიტრი)	გამოშევების წელი
2000																							
6000																							
1000																							
HV																							
192.44																							
LV																							
1154.66																							
HV																							
3																							
LV																							
3																							
TW-680																							
გატოლების ტიპი																							
სახშირე																							
წინაღობის ვოლტი																							
კავშირის სიმილანი																							
უპლარი და ურაგრილი (კ)																							
ზეობის წონა (კ)																							
საერთო წონა (კ)																							
ზეობის (ლიტრი)																							
გამოშევების წელი																							
33 <sup>rd</sup> ვოლტაჟი არ არა დატოვითადა ამპერები ფაზები ფაზაგრამა წ. დამატებულის სერ. წ. სამუშაოს კოდის წ.	<table border="1" style="width: 100%; border-collapse: collapse;"> <tr><td>ONAN</td></tr> <tr><td>50 Hz</td></tr> <tr><td>Dyn11</td></tr> <tr><td>2600</td></tr> <tr><td>1150</td></tr> <tr><td>5500</td></tr> <tr><td>1400</td></tr> <tr><td>2021</td></tr> </table>	ONAN	50 Hz	Dyn11	2600	1150	5500	1400	2021	33 <sup>rd</sup> ვოლტაჟი არ არა დატოვითადა ამპერები ფაზები ფაზაგრამა წ. დამატებულის სერ. წ. სამუშაოს კოდის წ.													
ONAN																							
50 Hz																							
Dyn11																							
2600																							
1150																							
5500																							
1400																							
2021																							

მომხმარებელის სახელი:  
 მომხმარებელის შეკვეთის წელი:  
 გარანტირებული ტემპერატურის ჩაქსიდანული ზრდა ზეთიში 50°C გრადიუსზე 55°C  
 წინაღობული 50°C ზეტი ტემპერატურის პირობებში

გადართვის პოზიციის ნომერი	გადართვის კავშირები	მაღალი ძალა		დაბალი ძალა	
		1 U	1 V	1 W	2 U
1	6 – 7	6300			
2	7 – 5	6150			
3	5 – 8	6000	192.44	1000	1154.66
4	8 – 4	5850			
5	4 – 9	5700			

**მიმღებელოვანი**  
 ქსელი ტემპირიდან 3 ფაზიან წილით განვიტოვის ჩამონავალის.  
 გათიშვთ ტრანსფორმირობით ქსელიდან გადართვის მდგომარეობის შედელამდე.


კავშირის სქემა

Dyn11  
კავშირის სიმილანი  
დამატებულის ინდიკატორი

ნახაზი 5.7. ტრანსფორმატორის პარამეტრები და სქემა.

ელექტრომომარაგება გათვალისწინებულია ენერგო-პრო ჯორჯიას ქვესადგურიდან. ელექტრო მომარაგების პრინციპული სქემა მოცემულია ნახაზე 5.8.

ნახაზი 5.8. ელ. მომარაგების სქემა



### **5.6.3. ტექნიკური წყლის გამწმენდი სისტემა**

ღუმელის გაგრილების სისტემაში გამოიყენება დარბილებული და გაწმენდილი წყალი, წყალსადენის ქსელიდან (ან მიწისქვეშა ჰორიზონტიდან). მიღებული პირობითად სუფთა წყალი შესაძლებელია შეიცავდეს მარილებს, რომელთაგან განსაკუთრებით სახიფათოა კალციუმისა და მაგნიუმის მარილები, რომელთა გამოლექვა შესაძლებელია გაგრილების სისტემის შიდა ზედაპირზე. ტექნიკური წყლის გამწმენდი სისტემა ასევე შედის ღუმელების კომპლექტაციაში და მოწოდებული იქნება მწარმოებლის მიერ.


ტექნიკური წყლის სისტემა შედგება: წყლის გამწმენდის (დემინერალიზაცია), სატუმბი სადგურის, ტექნიკური წყლის მიღვაყვანილობისა და გაგრილების სისტემისაგან, ასევე სუფთა წყლის სამარაგო და ავარიული წყლის ავზისაგან.

წმენდის პირველი საფეხურია მისი დარბილება სპეციალურ მოწყობილობაში, მაგნიულისა და კალციუმის მარილების მოშორება, რის შემდეგაც წყალი გაივლის ოსმოსურ წმენდას და შემდეგ მიეწოდება ფილტრებს.

აღნიშნული წმენდის საფეხურების შემდეგ სუფთა და რბილი წყალი გადაიტუმბება გაგრილების სისტემის ავზში. ავზიდან სატუმბი სადგურით მიეწოდება გასაგრილებელ სისტემას, დაბრუნებული ცხელი წყალი მიეწოდება გამაგრილებელ კოშკს (შეფასაცივარს). გაგრილების შემდეგ ბრუნდება სისტემის 35 მ<sup>3</sup>-ის მოცულობის ავზში.

ტექნიკური წყლის მეურნეობისა და ბრუნვითი წყალმომარაგების სქემა მოცემულია ნახაზზე 5.9.

ნახაზი N5.9.



გრძელის სპეციფური ტექნიკური დაზიანება შედგენილი რიცხვით 1500 ლ/მ².

SR. NO.	ნარჯი	LPM	საცხოვო დანები მიუწოდებული	კუნძულის დაცვის დოსალები	იმპერიალი DIA. IN MM	QTY.	გამოყენება
P1	250	36	IKDT-544-■	■ L.P. x 2900 RPM	—	01	საცხოვო წელი აქცია
P1/A	შესაცვლილი	■ LPM 0 30 მცირებული მნიშვნელი	—				01
P2&P2/A	300	■ ■	KDS-538+■	■ L.P. x 2900 RPM	—	01+01	DM ნონბენ აკადემია
P3&P3/A	650	■ ■	■ H.P. x 2945 RPM		01+01	დაცვილი გადაზიანება	
* P1/A, P2/A, & P3/A ამის საცხოვოს გარემონტი განათებულია.							

8

7

6

5

—

1 0F 1

რეკომენდირული შედეის ნარჯისი ინდუსტრიული დაწყებულებები

მუსიკალური დრო	ნეტო წელი	მინიმუმ წელი	D.M. წელი
შემთხვევაში მისამართება მნიშვნელობის გადაზიანება	< 5 mg/l	< 3 mg/l	NIL
ნიჟარების ზომა	< 0.2 mm.	< 0.1 mm.	NIL
იუდ. განვითარების გრანულური	< 250 mg/l	< 250 mg/l	< 6 mg/l
სხვ. მდგრადი	< 100 mg/l	< 100 mg/l	< 4 mg/l
კონსისტენცია	< 50 mg/l	< 50 mg/l	< 2 mg/l
ნუკლინული CaCO <sub>3</sub> -ს სიმაღლე	< 100 mg/l	< 10 mg/l	NIL
pH სივრცე	7.0 TO 8.5	7.0 TO 8.5	7.0 TO 8.5
ნეტო ნიკეტის დოსალები	NIL	NIL	NIL
კუსტორი	—	< 380 mho/cm	< 10 mho/cm
pH	< 30 mg/l	< 30 mg/l	—
TDS	< 80 mg/l	< 80 mg/l	—
სივრცე	1	1	NIL

მარტივი ნივთების გამატებულის	
○	საცხოვო საწყლება
○	მდგრადი საწყლება
□	საყლაო
□	ჩრდილიშვილ განვითარება
►	საცხოვო წარმოშობა
○ P.M.	სიცადეს სახელი
○ T.M.	ძალისმცურნებელი სახელი
À	რეზივონ საწყლება
↓	ნაცხლობი გადაზიანება
Z	მიმღების მიმღებელი დაგენერირებული საწყლება
■	მიმღები მაცველი გადაზიანება
● ●	ფარდული კარგობრუნვის გადაზიანება
□□	ნაცხლობი

(და მარტივების სისტემა)

განმიზნა:

- დაცვული ტექნიკა / D.G. კონტაქტის დაცვულის ტექნიკა დანერგებული
  - შემთხვევაში მიმღების გადაზიანება 17 500 ლიტრის გადაზიანების ტახტაზე მდგრადი აღმოჩენა არის დარღვეული წლიური მიმღების გადაზიანება.
  - შემთხვევაში დაცვულის ტექნიკა შედეგი აქცია ხდება
  - მოძრავი საზოგადო სისტემა / დარღვეული სისტემა და კარბო ინკრისტის დაცვულის კონცენტრაცია  $\leq 500 \text{ mg/L}$  და მიღების სისტემის რიტუალი.
  - მიგ. გადამცურნებული საწყლების გადაზიანება (მიმღებელის და ნორმულ ნივთების გამატებულის გადაზიანება) მდგრადი გადაზიანების მიზანებით
  - საკუსტორო დოსალების შედეგი მიმღების გადაზიანება (მიმღებელის მიზანებით ირწმუნება) და დანარღვეული საკუსტორო მიმღების გადაზიანება.
- 1 - კონცენტრაცია (კონცენტრაციული ტახტა)  $= 0.166 \times \text{დაცვული} / \text{გადაზიანებული} \times 1000 \pm 0.001\%$
- 2 - DM წელი (D.C. დაცვული მიმღებელი) = მიმღების ტონიკების  $0.001\% \pm 0.001\%$

დამკეთლი:

დამკეთლი	2500	—	±5
— 1500	2500	— ±3	
— 1500	— ±2		
5000	— ±10		
3500	5000	±7	
2500	3500	±5	
1500	2500	±4	
200	1500	±3	
--	200	±1	
1000	2000	±1.2	
— 1000	— ±5		
120	315	±5	
30	120	±3	
— 30	— ±2.5		
0.5	6	±0.1	
— 5	TOL		

კუსტორის ნივთების დანერვება 1 500 კეტების დაცვულის მიმღების გადაზიანება

დანერვება	DRN
ჩრდილი	CHD
მინიმუმი	STD

საცხოვო	სატენდერო	APPD	მიმღები
---------	-----------	------	---------

DRG. No. SHEET 1 OF 1

შპს Svar Therm Pvt.

#### 5.6.4. ჰაერის გამწმენდი ნაგებობები

მტვერდამჭერი სისტემა განკუთვნილია ღუმელში ჯართის ჩატვირთვისას, ინდუქციურ ღუმელებში დნობისას წარმოქმნილი აირმტვერნარევის გაწოვისა და გაწმენდისათვის. სისტემა შედგება ღუმელების თავზე მოწყობილი ქოლგების, აირმტვერსატარი სისტემის, ვენტილატორის, მშრალი მტვერდამჭერისა გაფრქვევის მიღისაგან. გამწმენდი სისტემაც შედის ღუმელების კომპლექტაციაში და მოწოდებული იქნება მწარმოებლის მიერ ღუმელებთან ერთად.

- აირგამწმენდი სისტემის სიმძლავრეა 14 000 მ<sup>3</sup>/სთ. ტექნოლოგიური პროცესების დროს გამოყოფილი აირნარევების გაწოვა ხორციელდება ორი ქოლგის მეშვეობით, რომლებიც ღუმელების პარალელურად მუშაობენ მონაცვლეობით.

ღუმლებში ჯართის ჩატვირთვის დროს ვენტილატორი ჩართულია, ქოლგა იწევა ზემოთ და უზრუნველყოფს ჩატვირთვის დროს ღუმელის თავზე წარმოქმნილი აირნარევის გაწოვას.

სახელოიანი ფილტრი წარმოადგენს ლითონის კონსტრუქციას, რომლის შიგნით განთავსებულია ლითონის კარკასებზე ჩამოცმული ქსოვილის სახელოები.

საფილტრი ელემენტების რეგენერაცია ხდება უკუშებერვით.

სახელოიანი ფილტრების ტექნიკური მახასიათებლებია:

- საერთო სიმძლავრე, მ<sup>3</sup>/სთ 14 000
- მაქსიმალური მუშა ტემპერატურა, °C 130
- სახელოების რაოდენობა, ცალი 30
- ფილტრაციის საერთო ფართობი, მ<sup>2</sup> 250
- გაწმენდის ეფექტურობა % 99
- ფილტრაციის სახელოების ზომები, მმ 300 x 8900

- კვამლგამწოვი ვ. 9.

გათვალისწინებულია ერთი კვამლგამწოვი ორი ქოლგით, რომლებიც მუშაობს მონაცვლეობით. მათი მახასიათებლებია:

- წარმადობა, მ<sup>3</sup>/სთ 14 000
- დაწევა, პა 2800
- სამძლავრე, კვტ 11


კვამლგამწოვის ტექნიკური პასპორტი მოცემულია დანართში N5.

- გამტყორცნი მიღი

გამტყორცნი მიღი მზადდება ლითონკონსტრუქციებისაგან და იდგმება ბეტონის საძირკველზე. გაწმენდილი აირი ვენტილატორების მეშვეობით ლითონის დიფუზორების მეშვეობით გადადის გამტყორცნ მიღში, რომლის სიმაღლეა 12 მ და დიამეტრი 500 მმ.

ღუმელებიდან აირნარევის გაწოვოსა და აირგამწმენდის სქემა მოცემულია ნახაზე 5.10.

ნახაზი 5.10. აირგამწმენდის სქემა



სხმულების გაწმენდის უბანზე, ქვიშამტყორცნის გამოყენების დროს მოსალოდნელი ამტვერების გამო გათვალისწინებულია აირგამწოვი სისტემისა და მშრალი მტვერდამჭერი მოწყობილობის, ციკლონის დამონტაჟება (ნახაზი 5.11).


დაგეგმილი გამწმენდი სისიტემის პარამეტრებია:

გაწოვილი აირნარევის მოცულობა ---- 4 000 მ<sup>3</sup>/სთ;

გაწმენდის ეფექტურობა ----- 70 %;

გაფრქვევის სიმაღლე----- 10 მ.

ნახავი 5.11.



გამწმენდების განთავსებისა და ტექნიკური პარამეტრები დაზუსტდება მონტაჟის პროცესში.

## 5.7. წარმოებული პროდუქცია

საწარმოს პროდუქციას წარმოადგენს სხვადასხვა სახისა და დანიშნულების თუჯისა და ფოლადის სხმულები (დეტალები):

- საკომუნიკაციო ჭის თავსახურები;
- სხვადასხვა ფორმის ძელსკამის საყრდენები (ფეხები, საზურგეები);
- თუჯის მულდები;
- სამსხვრეველას ჯავშანი და სხვა.

შეკვეთის შესაბამისად საწარმოს შეუძლია დაამზადოს ნებისმიერი ნაკეთობა, რომლის ზომა და წონა შეესაბამება დამონტაჟებული დანადგარების მწარმოებლურობას.

სავარაუდო პროდუქციის სახეობა, საჭირო მასალა და ზომები მოცემულია ცხრილში 5.2.

## ცხრილი 5.2. წარმოებული პროდუქცია.

№	დასახელება	მასალა	წონა (კგ)	ზომა (მმ)	გამოყენება
1	მულდი V=0,53 მ3 ნახ. 10304.00СБ (შტ)	ფოლადი	3385	2000/1150	მეტალურგია
2	მულდი V=0,14მ3 ნახ. 11675.00.СБ (შტ)	თუჯი	1920	1900/900	მეტალურგია
3	მულდი PM720 ნახ.11612 ,,"A" (შტ)	თუჯი	285	978/440	მეტალურგია
4	სამსხვრეველას ჯავშნები	ფოლადი	160	900/500	სამთო მოპოვება
5	წისქვილის სფერო (შარი)	ფოლადი	5,2	90-110	სამთო მოპოვება
6	საკანალიზაციო, საკომუნიკაციო და სანიაღვრე ჭის თავები	თუჯი	110	500-950	საყოფაცხოვრებო
7	ყურძნის საწური წნები	თუჯი	70		საყოფაცხოვრებო
8	სკვერის სკამი	თუჯი	50		საყოფაცხოვრებო
9	სხვა	თუჯი/ფოლადი	-	-	სხვადასხვა

## 5.8. ნარჩენები

საწარმოს მოწყობის ეტაპზე მოსალოდნელია მცირე რაოდენობით სამშენებლო ნარჩენების წარმოქმნა. პროექტის თანახმად, არ იგეგმება მიწის საექსკავაციო სამუშაოების, შესაბამისად ნარჩენი გრუნტის წარმოქმნა მოსალოდნელი არ არის. ჯართის უბანზე განხორციელდება ტერიტორიის მობეტონება, დაყენდება ჯართის ტრანსპორტირებიათვის საჭირო ლითონის კონსტრუქციები და ამწე-მექანიზმები, რა დროსაც შესაძლებელია მცირე რაოდენობის ჯართის წარმოქმნა. სარემონტო სამონტაჟო სწამუშაოების ორგანიზების დროს წარმოიქმნება მუნიციპალური ნარჩენები, რომელიც შეგროვებდება მუნიციპალური ნარჩენების კონტეინერებში და ხელშეკრულების საფუძველზე გაიტანება რუსთავის მუნიციპალური სამსახურის მიერ.

მშენებლობის ეტაპზე მოსალოდნელია სახიფათო ნარჩენების წარმოქმნა, რომელიც დაკავშირებულია მანქანა-მოწყობილობების ექსპურატაციასთან (ნავთობპროდუქტებით დაბინძურებული მასალები). მშენებლობის ეტაპზე წარმოქმნილი ყველა ნარჩენი შეგროვდება სეპარირებულად, სახეობებისა და მახასიათებლების მიხედვით, შემდგომი გაუვნებლობის მიზნით გადაეცემა სათანადო ნებართვის მქონე ორგანზაციებს.

საწარმოს ექსპლუატაციის ეტაპზე ტექნოლოგიური პროცესების ყველა ეტაპზეა მოსალოდნელი ნარჩენების წარმოქმნა, რომელიც დაკავშირებულია, როგორც უშუალოდ ტექნოლოგიურ პროცესებთან ისე ტექნოლოგიური მოწყობილობების ექსპლუატაცია/მომსახურებასთან. ტექნოლოგიური პროცესების დროს, მეტალურგიულ უბანზე შესაძლებელია წარმოიქმნას მეტალურგიული წიდა (10 02 02), ღუმელების ამონაგის შეკეთების შედეგად გამომწვარი ცეცხლგამძლე მასალები (16 11 03 ან/და 16 11 04). მტვერდამჭერში დაჭერილი მტვერი - სხვა წიდები და ფილტრის ნალექები (10 02 15).

საქართველოს მთავრობის 2015 წლის 17 აგვისტოს №426 დადგენილებით დამტკიცებული „სახეობისა და მახასიათებლების მიხედვით ნარჩენების ნუსხის განსაზღვრისა და კლასიფიკაციის შესახებ“ ნარჩენების ნუსხის შესაბამისად - შავი მეტალურგიისა და ფოლადსასხმელი ინდუსტრიიდან წარმოქმნილი წიდა (10 02 02) არ წარმოადგენს სახიფათო ნარჩენებს. წლის განმავლობაში წარმოქმნილი მეტალურგიული წიდის მოსალოდნელი რაოდენობა იქნება 70 ტ-მდე.

წიდების ძირითადი ფიზიკურ-ქიმიური თვისებები განისაზღვრება მათში შეზღუდული რაოდენობით ჟანგეულების შემცველობით, რომელთაც მიეკუთვნება:

- ძირითადი ოქსიდები -- CaO, MgO, FeO, MnO;
- მუჟავური ოქსიდები -- SiO<sub>2</sub>, P<sub>2</sub>O<sub>5</sub>;
- ამფოტერული ოქსიდები -- Fe<sub>2</sub>O<sub>3</sub>, Al<sub>2</sub>O<sub>3</sub>.

არსებული ლიტერატურული წყაროებისა და გამოცდილების გაზიარებით, ელექტროფოლადსადნობ ღუმელებში წარმოქმნილი წიდის ქიმიური შემადგენლობა მოცემულია ცხრილში 5.3. (საწარმოში წარმოქმნილი წიდის შემადგენლობის განსაზღვრა შესაძლებელია მხოლოდ ექსპლუატაციაში შესვლის შემდეგ).

ცხრილი 5.3.

ლიტერატურა	კომპონენტების შემცველობა, %										
	FeO	Fe <sub>2</sub> O <sub>3</sub>	SiO <sub>2</sub>	MnO	CaO	Al <sub>2</sub> O <sub>3</sub>	P <sub>2</sub> O <sub>5</sub>	MgO	CaS	CaC <sub>2</sub>	B <sub>2</sub> O <sub>3</sub>
<a href="https://steeltimes.ru/books/theory/tom_p/42/42.php">https://steeltimes.ru/books/theory/tom_p/42/42.php</a>	8-15	2-4	12-20	5-19	40-50	3-5	0,5-1,5	7-12	--	--	
<a href="https://metallickey-portal.ru/articles/plavka_i_rozliv/resursi_i_shlaki_v_staleplavilnom_processe/37">https://metallickey-portal.ru/articles/plavka_i_rozliv/resursi_i_shlaki_v_staleplavilnom_processe/37</a>	0.4	--	7.5	0.06	65.8	2.2	--	13.7	2.2	4.5	
<a href="https://uas.su/books/metstali/31/razdel_31.php">https://uas.su/books/metstali/31/razdel_31.php</a>	8-15	2-4	12-20	5-19	40-50	3-5	0,5-1,5	7-12	--	---	
თამაზ ჯალიაშვილი, მინი-მეტალურგიულ კომპლექსებში ნაკერიანი მიღების მიღების ტექნ.პროცესების ოპტიმიზაცია; ავტორეფერატი, თბილისი 2019წ.	0.6	--	6.1	--	57	19	--	1.5	--	--	9.3

როგორც ცხრილიდან ჩანს, მეტალურგიული წიდა მისი ქიმიური შემადგენლობით არ შეიცავს ტოქსიკურ და გარემოსათვის სახიფათო ნივთიერებებს. ფიზიკური თვისებებით წარმოდგენილია მყარი, მაღალი სიმტკიცის, უხსნადი ნატეხებისა და ლოდების სახით. ასევე ლიტერატურული წყაროებსა და კვლევებზე დაყრდნობით, წიდების გამოყენება შესაძლებელია/მიზანშეწონილია ინერტული ნედლეულის შემცვლელად, გზების მშენებლობაში, ტერიტორიის შესავსებად, მოსასწორებლად სამშენებლო სამუშაოების დროს, ასევე ცემენტის და სამშენებლო მასალების წარმოებაში. ამდენად შესაძლებელია წიდის სხვადასხვა მიმართულებით გამოყენება.

წლის განმავლობაში მოსალოდნელია 70 ტონამდე წიდის წარმოქმნა. ექსპლუატაციის ეტაპზე მომიებული იქნება კლიენტები წიდის მიყიდვის მიზნით. წიდის ორლი საუკეთესო მასალაა საყოფაცხოვრებო ნარჩენების ნაგავსაყრელზე, ნაყარის გადასაფარად, შესაძლებელია ამ მიზნით გადაეცეს მყარი ნარჩენების კომპანიას. ნაწილი გადაეცემა შპს „რუსთავის ფოლადის“ წიდისა და ჯართის გადამამუშავებელ საწარმოს (წიდასაყარი).

ლითონის ციცხვში ჩასხმის დროს მიღებული მეორეული ხენჯი (10 02 10) არ წარმოადგენს ნარჩენს, იგი მეტალურგიული პროცესების ძირითადი ნედლეულია. საწარმოში დღის განმავლობაში შესაძლებელია 50 კგ-მდე მეორეული ხენჯის წარმოქმნა. ხენჯი ფიზიკურად წარმოდგენილია მცირე ზომის რკინის ნაწილაკების და ნატეხების სახით. მისი შეგროვება მოხდება სისტემატიურად და გადაიტანება საღუმელე უბანზე, ემატება ღუმელში სხვა ჯართათან ერთად.

აირგამწმენდ უბანზე წარმოიქმნება ფილტრებში დაჭრილი მტვერი (10 02 15), დაზიანებული და შეცვლილი ფილტრის მასალები (15 02 02\* და 15 02 03).

როგორც აღინიშნა, საწარმოში შემოტანილი იქნება გადარჩეული ჯართი, რომლის დაბინძურება სახიფათო ნივთიერებებით მოსალოდნელი არ არის. იმ შემთხვევაში თუ შემოტანილ ნედლეულში აღმოჩნდება ნავთობპროდუქტებით ან სხვა სახიფათო ნივთიერებებით დაბინძურებული ჯართი, კომპანია უზრუნველყოფს მის მართვას, როგორც სახიფათო ნარჩენი - დროებით უსაფრთხო განთავსებას საწარმოს ტერიტორიაზე და შემდგომი აღდგენა/განთავსების მიზნით სათანადო ნებართვის მქონე კომპანიაზე გადაცემას.

დაბინძურებული ჯართის გამოვლენა მოხდება ნედლეულის გადარჩევა-დახარისხების დროს, მისი მართვა მოხდება, როგორც სხვა სახის ნარჩენი, რომელიც შეიცავს სახიფათო ნივთიერებებს (19 12 11\*).

ნარჩენების წარმოქმნა შესაძლებელია ასევე მოწყობილობებისა და დანადგარების ექსპლუატაციის/მომსახურეობის შედეგად, მასალები რომელიც შესაძლებელია იყოს ნავთობპროდუქტებით დაბინძურებული, შესაფუთი მასალები, სპეცტანსაცმელი, დაზიანებული ფილტრის მასალები და სხვა (15 02 02\* ან/და 15 02 03).

არასახიფათო მყარი ნარჩენები შეგროვებული იქნება ბიგ-ბეგებში და გადაეცემა მყარი ნარჩენების კომპანიას ნაგავსაყრელზე განსათავსებლად.

სახიფათო ნივთიერებებით (ნავთობპროდუქტებით) დაბინძურებული მასალები შეგროვდება ჰერმეტულ კონტეინერებში, კონტრაქტის საფუძველზე გადაეცემა სათანადო ნებართვიან

კონტრაქტორებს.

ნარჩენების წარმოქმნა მოსალოდნელია ასევე მუშა-მოსამსახურეთა საყოფაცხოვრებო სათავსოში და ოფისში.

წარმოების ყველა ეტაპზე წარმოქმნილი ნარჩენის მართვა მოხდება მოქმედი კანონმდებლობის და სამინისტროსთან შეთანხმებული ნარჩენების მართვის გეგმის შესაბამისად. შეგროვდება სახეობებისა და მახასიათებლების მიხედვით ცალ-ცალკე, დროებით განთავსდება დახურულ სათავსოში (სახიფათოობის შემთხვევაში) ან მისთვის სპეციალურად გამოყოფილ ბაქანზე. შემდგომი აღდგენის ან/და განთავსების მიზნით გადაეცემა სათანადო ნებართვის მქონე კონტრაქტორებს.

საწარმოს ესპლუატაციის ეტაპზე მოსალოდნელი ნარჩენების ჩამონათვალი და მახასიათებლები მოცემულია ცხრილში 5.4.

**ცხრილი 5.4.**

№	ნარჩნის კოდი	ნარჩენის დასახელბა	სახიფათო (დიახ/არა)	სახიფათობ ის მახასიათებე ლი	განთავსების/ აღდგნის ოპერაციები	სავარაუდო რაოდენობა	შემდგომი აღდგენა/განთავსება
1	20 03 01	შერეული მუნიციპალური ნარჩენები	არა	--	D1	3,5 ტ	გაიტანება რუსთავის კომუნალური სამსახურის მიერ და განთავსდება გარდაბნის მუნიციპალური ნარჩენების პოლიგონზე
2	08 03 17*	პრინტერის ტონერი/მელნის ნარჩენი რომელიც შეიცავს საშიშ ნივთიერებებს	დიახ	H15	D10	1 კგ	საბოლოო დამუშავების მიზნით შპს „მედიკალ ტექნოლოგს“ ს/კ: 404384590; ნებართვა: „ბრძანება N-1037“ 30.12.2015 ან/და შპს „სანიტარი“-ს ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა N71. 06.10.2017
3	15 02 02*	აბსორბენტები, ფილტრის მასალები (ზეთის ფილტრის ჩათვლით, რომელიც არ არის განხილული სხავა კატეგორიაში), საწმენდი ნაჭრები და დამცავი ტანისამოსი, რომელიც დაბინძურებულია საშიში ქიმიური ნივთირებებით	დიახ	H15	D10	20 კგ	საბოლოო დამუშავების მიზნით შპს „მედიკალ ტექნოლოგს“ ს/კ: 404384590; ნებართვა: „ბრძანება N-1037“ 30.12.2015 ან/და შპს „სანიტარი“-ს ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა N71. 06.10.2017
4	15 02 03	აბსორბენტები, ფილტრის მასალები, საწმენდი ნაჭრები და დამცავი ტანისამოსი, რომელიც არ გვხვდება 15 02 02 პუნქტში	არა	-	D1	30 კგ	შეგროვდება სპეციალურად გამოყოფილ კონტეინერში და გადაეცემა საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანიას ნაგავსაყრელზე განსათავსებლად.
5	13 03 08*	სინთეტური საიზოლაციო და თბოგადამცემი ზეთები	დიახ	H3-H5	D10	20 კგ	საბოლოო დამუშავების მიზნით შპს „მედიკალ ტექნოლოგს“ ს/კ: 404384590; ნებართვა: „ბრძანება N-1037“ 30.12.2015 ან/და შპს „სანიტარი“-ს ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა N71. 06.10.2017
6	13 01 11*	სინთეზური ჰიდრავლიკური ზეთები	დიახ	H3-H5	D10	10 კგ	საბოლოო დამუშავების მიზნით შპს „მედიკალ ტექნოლოგს“ ს/კ: 404384590; ნებართვა: „ბრძანება N-1037“ 30.12.2015 ან/და შპს „სანიტარი“-ს

7	13 02 06*	ძრავისა და კბილანური გადაცემის კოლოფის სინთეტიკური ზეთები და სხვა ზეთოვანი ლუბრიკანტები	დიახ	H3-H5	R9	20 კგ	საბოლოო დამუშავების მიზნით შპს „მედიკალ ტექნოლოგი“ ს/კ: 404384590; ნებართვა: “ბრძანება N-1037” 30.12.2015 ან/და შპს „სანიტარი“-ს ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა N71. 06.10.2017
8	10 02 02	გადაუმუშავებელი წიდა	არა	-	D1	70 ტ	ნაწილი გადაცემა საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანიას ნაგავსაყრელზე განსათავებლად, ხოლო ნაწილი შემდგომი მართვის მიზნით შპს „რუსთავის ფოლადის“ (ს/კ 404411908) წიდისა და ჯართის გადამაუშავებელ საწარმოს (წიდასაყარი)
9	10 02 15	სხვა წიდები და ფილტრის ნარჩენები	არა	-	D1	2,7 ტ	შეგროვდება ბიზ-ბეგებში, განთავსდება სპეციალურად გამოყოფილ ადგილას. გადაეცემა საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანიას განთავსდება ნაგავსაყრელზე.
10	16 11 03*	სხვა მოსაპირკეთებელი მასალა და ცეცხლგამძლე ნარჩენები მეტალურგიული პროცესებიდან, რომელიც შეიცავს სახიფათო ნივთიერებებს	დიახ	H14	D10	1 ტ.	ანალიზისათვის ნიმუშები გაეგზავნება საქართველოს ტექნიკური უნივერსიტატის სპეც. ლაბორატორიას. სახიფათობის დადასტურების შემთხვევაში, შემდგომი მართვის მიზნით გადაეცემა შპს სანიტარს, ტრანსპორტირება განხორციელდება შპს „ეკოსერვისჯორჯიას“ ან შპს „სანიტარის“ მიერ.
11	16 11 04	სხვა მოსაპირკეთებელი მასალა და ცეცხლგამძლე ნარჩენები მეტალურგიული პროცესებიდან, რომელსაც არ ვხვდებით 16 11 03 პუნქტში	არა		D1	1 ტ	ანალიზისათვის ნიმუშები გაეგზავნება საქართველოს ტექნიკური უნივერსიტატის სპეც. ლაბორატორიას. ლაბორატორიის დასკვნის (რომ ნარჩენი არ შეიცავს სახიფათო ნივთიერებებს) საფუძველზე განთავსდება საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანიის ნაგავსაყრელზე.

12	18 01 03*	ნარჩენები, რომელთა შეგროვება და განადგურება ექვემდებარება სპეციალურ მოთხოვნებს ინფექციების გავრცელების პრევენციის მიზნით	დიახ	H9	D10	15 კგ	შეგროვდება სპეციალურ ყუთებში, კონტრაქტის საფუძველზე გადაეცემა შპს „მედიქალ ტექნოლოგი“-ს განთავსების მიზნით
13	10 02 10	მეორეული ხენჯი	არა		R4	10 ტ.	შპს „ჯეოენტერპრაიზ“ შეგროვდება სპეციალურ ყუთში, მიეწოდება ღუმელში ნედლეულად გამოყენებული იქნება რკინის ნედლეულად დაემატება ღუმელში.
14	19 12 11*	სხვა სახის ნარჩენები (მათ შორის ნარევები, მასალები) მექანიკური დამუშავების შედეგად მიღებული ნარჩენებისგან, რომლებიც შეიცავს სახიფათო ნივთიერებებს - (ნავთობპროდუქტებით დაბინძურებული ჯართი)	დიახ	H15	D10	0,1 ტ.	შეგროვდება სპეციალურად გამოყოფილ ადგილას. საბოლოო დამუშავების მიზნით გადაეცემა შპს „სანიტარი“-ს

### **5.8.1. ნარჩენების მართვა**

საწარმოს ნარჩენების მართვა განხორციელდება მოქმედი კანონმდებლობის სრული დაცვით, რაც მოიცავს: წარმოქმნილი ნარჩენების რაოდენობის შემცირებას; შესაძლებლობის შემთხვევაში ნარჩენების მეორადი გამოყენებას; წარმოქმნილი ნარჩენების იდენტიფიკაციას სახეების მიხედვით; ნარჩენების სეპარირებული შეგროვების უზრუნველყოფას; ნარჩენების ტრანსპორტირების სათანადო პირობების უზრუნველყოფას; გაუვნებლობის, გადამუშავების ან უტილიზაციის დროს გარემოს და ადამიანის ჯანმრთელობისათვის უვნებელი მეთოდების გამოყენებას; ნარჩენების მართვაზე პერსონალის პასუხისმგებლობის განსაზღვრას; ნარჩენების აღრიცხვის უზრუნველყოფას.

კომპანიის საქმიანობის შედეგად წარმოქმნილი ყველა ნარჩენი იქნება იდენტიფიცირებული და შეგროვდება სპეციალურად გამოყოფილ ადგილებზე ან კონტეინერებში და დროებით დასაწყობდება ნარჩენების სათავსოში ან/და სპეციალურად გამოყოფილ ადგილებზე.

შეგროვების შემდეგ გადაეცემა სათანადო ნებართვის მქონე კონტრაქტორებს, შემდგომი აღდგენის ან განთავსების მიზნით.

ნარჩენების რაოდენობის შემცირების მიზნით, მასალები რომელთა გამოყენება შესაძლებელია განმეორებით, გამოყენებული იქნება ადგილზე, ან გადაეცემა შესაბამის მომზმარებლებს.

მუნიციპალური ნარჩენების შეგროვება მოხდება სპეციალურ კონტეინერებში, რომლებიც განთავსებული იქნება საყოფაცხოვრებო დანიშნულების სათავსოში, ადმინისტარციული ოფისის და საწარმოს ტერიტორიებზე. ნარჩენების გატანა პერიოდულად მოხდება ადგილობრივი მუნიციპალური სამსახურის მიერ, ხელშეკრულების საფუძველზე.

საწარმოში ცალკე შეგროვდება სამედიცინო ნარჩენები, რომელიც პერიოდულად გაიტანება ტერიტორიიდან ნებართვიანი კონტრაქტორის მიერ.

გამოყენებული ტექნოლოგიური დანადგარებისა და ტექნიკის მომსახურეობის შედეგად წარმოქმნილი ნარჩენები (ფილტრები, ნავთობროდუქტებით დაბინძურებული საწმენდი ნაჭრები და სხვა) მოითხოვს სათანადო მართვას. მისი დროებითი შენახვის მიზნით საწარმოში მოეწყობა დახურული სათავსო. ნავთობროდუქტები და ნავთობპროდუქტებით დაბინძურებული ნარჩენები, შეგროვდება სპეციალურ მოცულობებში და ტრანსპორტირების მიზნით გადაეცემა შპს „ეკო სერვის ჯორჯია“-ს, რომელიც ნარჩენებს გადასცემს შესაბამისი ნებართვის მქონე ორგანიზაციებს შემდგომი გაუვნებლობისათვის.

ნარჩენების მართვის კოდექსის (მუხლი 29) თანახმად კომპანია ვალდებულია აწარმოოს ნარჩენების აღრიცხვა-ანგარიშგება სამინისტროს წინაშე და ნარჩენების შესახებ მონაცემები შეინახოს 3 წლის განმავლობაში.

კომპანია წარმოქმნილი ნარჩენების აღიცხვას განახორციელებს სპეციალურ ჟურნალში.

### **5.8.1.1. ნარჩენების პრევენციის ღონისძიებები**

ნარჩენების წარმოქმნის პრევენციის ფორმას წარმოადგენს გარემოსდაცვითი უსაფრთხოების წესების დაცვა, მანქანა დანადგარების სწორი და უსაფრთხო ექსპლუატაცია. წარმოქმნილი ნარჩენების შეგროვება და სწორი მართვა.

პრევენცია შეიძლება იყოს ორი მიმართულებით: რაოდენობრივი და ხარისხობრივი.

საწარმო არ შეიძლება ისეთ და იმ რაოდენობის ნედლეულს და მასალებს, რომლიც არ არის საჭირო წარმოებისათვის. ჯართის შემოტანის დროს მკაცრად გაკონტროლდება მისიშემადგენლობა და ხარისხი.

საწარმოში სახიფათო ნარჩენების წარმოქმნის რისკი დაკავშირებულია ავარიულ შემთხვევებთან (ნავთობპროდუქტების ავარიული დაღვრა), ნარჩენების არასათანადო მართვასთან.

კომპანიის მიერ მკაცრად იქნება დაცული მანქანა-მოწყობილობების უსაფრთხო ექსპლუატაცია, რაც მინიმუმადე შეამცირებს ავარიულ შემთხვევებს და წარმოქმნილი ნარჩენების რაოდენობას.

რაც შეეხება ტექნოლოგიური პროცესების დროს წარმოქმნილ წიდებს, მისი განთავსება მოხდება მობეტონებულ ბაქანზე. არსებული ლიტერატურული წყაროებისა და მეტალურგიული საწარმოების მრავალწლიანი გამოცდილებით, წიდა შესაძლებელია გამოყენებული იქნას ინერტული მასალის შემცვლელად.

ზემოაღნიშნულით მოხდება ნარჩენების რაოდენობრივი პრევენცია.

რაც შეეხება ხარისხობრივ პრევენციას, აღნიშნული უნდა განხორციელდეს სახიფათო ნარჩენების რაოდენობრივი შემცირების ხარჯზე. ამ მიმართულებისთვის უმნიშვნელოვანესია ნარჩენების სეპარირების მეთოდის დანერგვა და ნარჩენების მართვაზე შიდა კონტროლის განხორციელება.

საწარმოში წარმოქმნილი ყველა ნარჩენი განთავსდება მისთვის განკუთვნილ შეფუთვაში ან/და ადგილას.

### **5.8.1.2. ნარჩენების სეპარირება**

ნარჩენების სეპარირებულ შეგროვებასა და გადამუშავებას ნარჩენების მართვის სფეროში აღტერნატივა არ გააჩნია, რომელიც ასევე უზრუნველყოფს მის რაოდენობრივ პრევენციასაც.

დღევანდელი რეალობიდან გამომდინარე, უმნიშვნელოვანესია ნარჩენების შემცირება, რისთვისაც აუცილებელია ნარჩენების სეპარირებული შეგროვების დანერგვა მისი წარმოქმნის ადგილებზე.

ნარჩენების შეგროვება-განთავსების დროს უნდა გამოირიცხოს მათი შერევა. სახიფათო ნარჩენების განთავსებისათვის გამოყოფილი იქნება სპეციალური სათავსო და მარკირებული

თავდახურული ჭურჭელი, რომლებშიც ნარჩენების განთავსება მოხდება სწორი იდენტიფიკაციის შემდეგ.

ნარჩენები შეგროვდება და განთავსდება სახეობებისა და მახასიათებლების შესაბამისად, მისთვის გამოყოფილ ადგილებზე, კონტეინერებში ან სათავსოში.

აღნიშნული უზრუნველყოფს არასახიფათო ნარჩენების ხელახალი გამოყენების შესაძლებლობას, სახიფათო ნარჩენების შემთხვევაში მათი აღდგენის შესაძლებლობას.

შერეული მუნიციპალური ნარჩენების შეგროვება მოხდება ტერიტორიაზე განთავსებულ სპეციალურ კონტეინერში.

#### **5.8.1.3. ნარჩენების დროებითი შენახვის პირობები**

საწარმოში წარმოქმნილი ნარჩენები შეგროვდება სახეობების მიხედვით, მათთვის განკუთვნილ მოცულობებში.

სახიფათო ნარჩენების დროებით შენახვისათვის მოეწყობა სათანადო სათავსო, რომელშიც ნარჩენების კონტეინერები განთავსდება სტელაჟებზე ან თაროებზე. სათავსო იქნება დახურული, გარეშე პირთა მოხვედრისაგან დაცული.

სამუშაოების წარმოების უბნებზე განთავსებული იქნება საყოფაცხოვრებო და სახიფათო ნარჩენების კონტეინერები. შეგროვებული ნარჩენები გადაეცემა სათანადო ნებართვის მქონე კონტრაქტორებს.

კონტეინერში შეგროვებული საყოფაცხოვრებო ნარჩენები, პერიოდულად გაიტანება რუსთავის მუნიციპალური ნარჩენების პოლიგონზე.

## **6. წყალსარგებლობა**

### **6.1. წყალაღება და წყლის გამოყენება**

საწარმოს მოწყობა-ექსპლუტაციის ეტაპზე საჭიროა როგორც ტექნიკური ასევე სასმელ-სამეურნეო წყალი. ობიექტის წყალმომარაგება დაგეგმილია რუსთავის წყალმომარაგების სერვისცენტრიდან, რაზედაც გაფორმებულია ხელშეკრულება, დაყენებულია წყალაღიცხვის კვანძი (სურათი 6.1.). წყალი მოყვანილია საწარმოს ტერიტორიაზე (სურათი 6.2.).



სურათი 6.1. წყალაღრიცხვის კვანძი.



სურათი 6.2.

ტექნიკური წყალმომარაგების მიზნით შესაძლებელია საწარმომ მოაწყოს მიწისქვეშა ჰორიზონტის ჭა (შემდეგ საორიენტაციო კორდინატზე x-503691, y-4598891), საიდანაც წყალაღება განხორციელოდება სათანადო ლიცენზიის საფუძველზე.

საწარმოს მოწყობის სამუშაოები ითვალისწინებს შენობის რემონტს, ბაქნების მობეტონებას და მინაშენის მოწყობას, რომელსაც დასჭირდება 4 თვემდე დრო (100 დღე). მშენებლობის ეტაპზე ძირითადად საჭირო იქნება სასმელ-სამეურნეო წყალი, რომელიც აღებული იქნება წყალსადენის ქსელიდან.

საწარმოს მოწყობის ეტაპზე, დასაქმებულთა რაოდენობა იქნება დღის განმავლობაში საშუალოდ 6 კაცი, მოსალოდნელი სასმელ-სამეურნეო წყლის ხარჯი იქნება:

$$6 \times 25 \times 100 \times 10^{-3} = 15 \text{ m}^3.$$

საწარმოს ექსპლუატაციის ეტაპზე წყლის გამოყენება საჭიროა როგორც სასმელ-სამეურნეოდ, ასევე საწარმოო მიზნით, მეტალურგიულ უბანზე ღუმელების გასაგრილებლად, საყალიბების დასანამად.

ღუმელის გაგრილების სისტემისათვის მოწყობილი იქნება წყლის გამოყენების ბრუნვითი სისტემა. ღუმელების გაგრილების სისტემაში გამოყენებული წყალი უნდა პასუხობდეს სათანადო მოთხოვნებს, ამიტომ საწარმოში მოეწყობა წყლის მომზადების მეურნეობა, სადაც მოხდება ტექნიკური წყლის წინასწარი დარბილება. ცხელი წყლისათვის მოეწყობა გამაგრილებელი სისტემა (ე.წ. შხეფსაცივარი), რის შემდეგაც წყალი ისევ დაბრუნდება სისტემაში. წყალსადენიდან ტექნიკური წყლის აღება მოხდება მხოლოდ დანაკარგისშესავსებად.

საწარმოს ექსპლუატაციის ეტაპზე დასაქმებულთა რაოდენობა შეადგენს 25 კაცს, მათგან 4 ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალია. საწარმოში მოეწყობა მუშა-მოსამსახურეთა საყოფაცხოვრებო დანიშნულების სათავსო, საშხაპე.

მოსალოდნელი სასმელ-სამეურნეო წყლის ხარჯი იქნება:

$$(4 \times 25) + (21 \times 45) = 1045 \text{ ლ}/\text{დღ}.$$

$$910 \times 250 \times 10^{-3} = 227,5 \text{ მ}^3/\text{წელ}.$$

საწარმოო მიზნით წყალაღება საჭიროა ღუმელის გაგრილების სისტემაში, წყლის დანაკარგის შესავსებად. ღუმელის საპასპორტო მონაცემებით ღუმელის გაგრილების სისტემაში წყლის საათური ხარჯი შეადგენს  $25 \text{ მ}^3$ -ს. სამუშაო საათების გათვალისწინების წყლის წლიური ხარჯი იქნება  $25 \times 2000 = 50000 \text{ მ}^3$ . რადგან წყალაღება საჭიროა მხოლოდ დანაკარგის შესავსებად, ქსელიდან (ან/და ბუნებრივი წყლის ობიექტიდან) აღებული წყლის რაოდენობა შეადგენს საჭირო წყლის  $10\%$ -ს, საათში  $2,5 \text{ მ}^3$  და  $5000 \text{ მ}^3/\text{წელ}$ . საყალიბე მასის დანამვა საჭიროა თუ კვარცის ქვიშა არ შეიცავს საკმარის ტენს, დაგეგმილი დღიური წარმადობის (8 ტ. სხმული დღეში) შესაბამისად, ამასთან თუ ჩავთვლით, რომ დანამვა საჭიროა მასის მომზადების ყოველ ჯერზე, დღის განმავლობაში შესაძლებელია  $1 \text{ მ}^3$ -მდე წყლის გამოყენება, რაც წელიწადში შეადგენს  $250 \text{ მ}^3$ -ს.

ამდენად, საწარმოს ტექნიკური წყლის ხარჯი შეადგენს  $2,625 \text{ მ}^3/\text{სთ}$  ( $5250 \text{ მ}^3/\text{წელ}$ ). საწარმოს წყალაღების სქემა მოცემულია ნახაზზე 6.1.



ნახაზი 6.1. წყალაღების სქემა

## 6.2. საწარმოს ჩამდინარე წყლები და წყალარინება.

საწარმოში წარმოიქმნება მხოლოდ საყოფაცხოვრებო-ფეკალური ჩამდინარე წყალი, რომელიც შენობის სხვადასხვა წერტილიდან შეიკრიბება ერთ მილში და ჩაშვებული იქნება კანალიზაციის კოლექტორში, საწარმოს ტერიტორიაზე (სურათი 6.3; 6.4; 6.5) სასმელ-სამეურნეოდ საჭირო წყლის რაოდენობის შესაბამისად, საყოფაცხოვრებო ჩამდინარე წყლის მოსალოდნელი რაოდენობა იქნება:  $0,8 \text{ m}^3/\text{დღ.}$   $204,75 \text{ m}^3/\text{წელ.}$



სურათი 6.3. კანალიზაციის ჭა საწარმოს ტერიტორიაზე.



სურათი 6.4. ცენტრალური კანალიზაციის ჭა საწარმოს ტერიტორიაზე,



სურათი 6.5. ცენტრალური კანალიზაციის სისტემის ჭები.

ტექნოლოგიური პროცესების შედეგად ჩამდინარე წყლები არ წარმოიქმნება. საწარმოს ყველა ტექნოლოგიური პროცესი განთავსებულია დახურულ შენობაში. ღია სივრცეში განთავსდება მხოლოდ ჯართის დამუშავების უბანი, რომლის ფართობი იქნება 800 მ<sup>2</sup>. ჯართის მიღება დამუშავების უბანი იქნება მობეტონებული, უზრუნველყოფილი იქნება სანიაღვრე წყალშემკრები სისტემით და სანიაღვრე წყლების გამწმენდი ნაგებობით. გაწმენდის შემდეგ ჩამდინარე წყლები ჩაშვებული იქნება რუსთავის სანიაღვრე წყლების კოლექტორში, რომელიც განთავსებულია საწარმოს ტერიტორიის სამხრეთ დასავლეთით, მიემართება მშვიდობის ქუჩისაკენ.

სამშენებლო კლიმატოლოგიისა და ჯართის მოედნის ფართობის შესაბამისად, მოსალოდნელი სანიაღვრე წყლის რაოდენობა გამოითვლება ფორმულით:

$$Q=10 \times F \times H \times K$$

სადაც: Q -არის სანიაღვრე წყლების მოცულობა მ<sup>3</sup>/წელი

F - ტერიტორიის ფართობი ჰა-ში, მოცემულ შემთხვევაში ნედლეულის ბაქნის ფართობი ტოლია 0,08 ჰა.

H -ნალექების საშუალო წლიური რაოდენობაა განსახილველი ტერიტორიისთვის, სამშენებლო კლიმატოლოგიის მიხედვით, რუსთავის მუნიციპალიტეტისათვის შეადგენს 382 მმ/წელ, დღედამური მაქსიმუმი 123 მმ.

K- კოეფიციენტი, რომელიც დამოკიდებულია საფარის ტიპზე, - ასფალტ-ბეტონის საფარისათვის =0,265;

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ნედლეულის ბაქნის სანიაღვრე წყლების მოცულობა იქნება:

$$Q_{ნედლ.} = 10 \times 0,08 \times 382 \times 0,265 = 80,98 \text{ მ}^3/\text{წელ}$$

ნალექების მაქსიმალური სადღედამისო ინტენსივობა შეადგენს 123 მმ-ს, მაშინ სანიაღვრე წყლების დღე-დღამური მოცულობა იქნება

$$Q_{დღლ. ბაქ.} = 10 \times 0,08 \times 123 \times 0,265 = 26,07 \text{ მ}^3/\text{დღ.}$$

ნალექების უთანაბრობის კოეფიციენტის (1,5-3) გათვალისწინებით, სანიაღვრე ჩამდინარე წყლის მაქსიმალური ხარჯი შეიძლება იყოს:

$$26,07 \div 24 \times 3 = 3,25 \text{ მ}^3/\text{სთ.}$$


საწარმოს წყალარინების სქემა დატანილია ნახაზზე 6.2.



ნახაზი 6.2. წყალჩაშვების სქემა.

## 7. საწარმოს განთავსება

შპს „ჯეო ენტერპრაიზი“-ს საპროექტო საწარმოს განთავსება დაგეგმილია ქ. რუსთავში, „გიორგი გოგოლაძის სახელობის რუსთავის ინდუსტრიულ ზონაში“ (სურათი 7.1.) კომპანიის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (საკ.კოდი 02.07.01.299) (ნახაზი 7.1.), რომლის ფართობია 5052 მ<sup>2</sup>. მასზე განთავსებულია შენობა.



სურათი 7.1.




ნახაზი 7.1.. საპროექტო ტერიტორია

საპროექტო ტერიტორიის წვეროთა ნუმერაცია და GPS კოორდინატები მოცემულია 7.2. ნახაზზე და ცხრილი 7.1.-ში.

#### ცხრილი 7.1.

წვეროთა ნომერი	GPS კოორდინატები	
	X	Y
1	503764	4598803
2	503695	4598899
3	503660	4598873
4	503731	4598779



ნახაზი 7.2.საპროექტო ტერიტორიის წვეროთა ნუმერაცია.

საპროექტო ტერიტორიაზე გასულ საუკუნეში განთავსებული იყო რუსთავის ქიმიკოს მექანიკური საამქრო, შემორჩენილია კაპიტალური შენობა რომელშიც დაგეგმილია საწარმოს განთავსება (სურათი 7.2. 7.3. 7.4.და 7.5.)



სურათი 7.2. ტერიტორიის ხედი სამხრეთ-დასავლეთიდან



სურათი 7.3. შენობის ხედი სამხრეთიდან.



სურათი 7.4. შენობის ხედი ჩრდილო-დასავლეთიდან.



სურათი 7.5. შენობის ხედი ჩრდილო-აღმოსავლეთიდან.  
ტერიტორიის სიტუაციური გეგმა მოცემულია 7.3. ნახაზზე.

ნახაზი 7.3. სიტუაციური გეგმა



უახლოესი საცხოვრებელი მასივი მდებარეობს საპროექტო ტერიტორიიდან ჩრდილო - დასავლეთით, 1600 მ დაშორებით, ახალი სამგორის შემოვლითი გზის გასწვრივ.

საპროექტო ტერიტორიაზე მისასვლელი გზა შემოდის სამხრეთიდან რუსთავი-ჯანდარას საავტომობილო გზიდან (სურათი N7.6.), რომელიც დაშორებულია 570 მ-ით.

სამხრეთით, 760 მ-ის დაშორებით მდებარეობს რკინიგზის სატვირთო სადგური.


დასავლეთით, 950 მ-ის დაშორებით მდებარეობს უახლოესი მეტალურგიული საწარმო (შპს „ჯეოსტილი“).

საპროექტო ტერიტორიიდან სამხრეთ აღმოსავლეთით, 670 მ-ის დაშორებით მდებარეობს რუსთავის აზოტის საწარმო.

საპროექტო ტერიტორიიდან სამხრეთ აღმოსავლეთით, არსებული ობიექტების განთავსება და დახასიათება მოცემულია 7.4. ნახაზზე და 7.2. ცხრილში.



სურათი 7.6.



ნახაგი 7.4.

ცხრილი 7.2.

N	საკადასტრო კოდი	მფლობელი	შენიშვნა	ფოტო
1	02.07.01.708	შპს "ჯეო ლედერ", ტყავის საწარმო	არ ფუნქციონირებს	
2	02.07.01.707	შპს "ჯეო ლედერ". სასაწყობო მეურნეობა.	არ ფუნქციონირებს	
3	02.07.01.037	არონ სოხაძე - პოლიპროპილენის მაფის საამქრო.	მოქმედი	

4	02.07.01.578	შპს "საქართველოს საერთაშორისო ენერგეტიკული კორპორაცია, გამანაწილებელი ქვესადგური	არ ფუნქციონირებს	
5	02.07.01.386	შპს "ბაზალტ ფაიბერს"-ის ბაზალტის ძაფისა და საყრდენი ბომების საწარმო	მოქმედი	
6	02.07.01.366	შპს“თემა“ სასაწყობო მეურნეობა	მოქმედი	

7	02.07.01.306	შპს "ავტომატიკა"	უფუნქციო	
8	02.07.01.047	ზვიად დოლიძე	მოქმედი	
9	02.07.01.465	სახელმწიფო	უფუნქციო	

როგორც 7.4 ნახაზზეა მოცემული, საპროექტო საწარმოს ტერიტორიას ჩრდილო-აღმოსავლეთიდან უშუალოდ ესაზღვრება ტყავის საწარმო, რომელიც 2 წელზე მეტია არ ფუნქციონირებს, ტერიტორიები გამიჯნულია 2 მეტრიანი ბეტონის ღობით (სურათი N7.7.) ღობის ორივე მხარეს დარგულია ხე მცენარეები. ტერიტორიას დასავლეთიდან ესაზღვრება საერთო სარგებლობის გრუნტის გზა (სურათი N7.8.), გზის მეორე მხარეს სახელმწიფო საკუთრების, თავისუფალი ტერიტორიები (სურათი 7.9.) და მშვიდობის ქუჩა (სურათი 7.10.).

თავისუფალი ტერიტორიები ესაზღვრება ასევე დასავლეთისა და სამხრეთის მხრიდანაც (სურათი 7.11; 7.12), რომლებზედ შემორჩენილია ყოფილი შენობების ნანგრევები.



სურათი N7.7. ტყავის საწარმო



სურათი N7.8. საერთო სარგებლობის გზა



სურათი N7.9. ჩრდილო-დასავლეთით არსებული ტერიტორიები



სურათი 7.10. მშვიდობის ქუჩა



სურათი N7.11.ხედი სამხრეთ-დასავლეთით



სურათი 7.12.ხედი სამხრეთ- აღმოსავლეთით

საპროექტო საწარმო განთავსებულია სამრეწველო ზონაში, რომელიც შიდასახელმწიფოებრივი გზით უკავშირდება სახელმწიფო მნიშვნელობის ავტომაგისტრალს - თბილისის შემოვლით გზას. აღნიშნული მიმართულებიდან გათვალისწინებულია საწარმოში ტვირთების შემოტანა-გადაზიდვა. საწარმოს გადაზიდვების მარშრუტები მოცემულია ნახაზე 7.5.



ნახაზი 7.5. სატრანსპორტო გადაზიდვის მარშრუტები.

## 8. საწარმოს განთავსების ადგილის გარემოს არსებული მდგომარეობისანალიზი

### 8.1. ზოგადი ნაწილი

ქალაქი რუსთავი წარმოადგენს ქვემო ქართლის მხარის ადმინისტრაციულ ცენტრს, მდებარეობს ქვემო ქართლის ვაკეზე, მდინარე მტკვრის ორივე ნაპირას, ზღვის დონიდან 370 მ სიმაღლეზე (ნახაზი 8.1).


რუსთავი ქვემო ქართლის მხარის ყველაზე მსხვილი ქალაქია და მდებარეობს  $41,5^{\circ}$  განედსა და  $41,5^{\circ}$  გრძედზე, ზღვის დონიდან დაახლოებით 350 მეტრზე. მას უკავია 6060 ჰექტარი უნაყოფო სტეპის ტერიტორია თბილისის სამხრეთ-აღმოსავლეთით, 27 კილომეტრ მანძილზე. რუსთავის ადმინისტრაციული საზღვარი გადის მარნეულის და გარდაბნის მუნიციპალიტეტებთან, სამხრეთიდან და დასავლეთიდან აკრავს იალუჯისა და ჩათმის მთები, ხოლო აღმოსავლეთით

გარდაბნისა და ფონიჭალის ველები. ქალაქს ორ ნაწილად ჰყოფს მდინარე მტკვარი (მარჯვენა და მარცხენა სანაპირო; ძველი და ახალი რუსთავი).

რუსთავზე გადის საერთაშორისო მნიშვნელობის საავტომობილო გზა — ს 4 „თბილისი-წითელი ხიდი (აზერბაიჯანის საზღვარი)“, რომელსაც ასევე ემთხვევა ევროპის ავტომაგისტრალი E60 სიგრძე 28 კმ (ყოფილი აბრეშუმის გზა).

რუსთავი თბილისის აგლომერაციაში მყოფი ქალაქებიდან უდიდესია. მოსახლეობა შეადგენს 125 000 ადამიანი. მოსახლეობის ძირითადი ნაწილი ქართველია, თუმცა არიან სხვა ეროვნებებიც. ძირითადად აზერბაიჯანელები, რუსები და სომხები. რუსთავი საქართველოს უმთავრესი სამრეწველო ქალაქია თბილისის შემდეგ.

რუსთავის ახალი ისტორია იწყება 1948 წლის 19 იანვრიდან, მას შემდეგ, რაც რუსთავში მსხვილი საბჭოთა ინდუსტრიული ქალაქის მშენებლობა დაიწყო. მეოცე საუკუნის მეორე ნახევარიდან რუსთავში განთავსდა იოსებ სტალინის სახელობის რუსთავის მეტალურგიული კომბინატი, რომელიც 90-მდე სხვა მსხვილ თუ საშუალო საწარმოსთან ერთად, ამიერკავკასიის რეგიონში მნიშვნელოვან ინდუსტრიულ ცენტრს წარმოადგენდა. 1948 წლის 26 მარტს საქართველოს სსრ გარდაბნის რაიონის დაბა რუსთავს მიენიჭა ქალაქის სტატუსი.



ნახაზი 8.1.

### **8.1.1. ეკონომიკა**

რუსთავი XX საუკუნეში საქართველოს უდიდესი სამრეწველო ცენტრი იყო თბილისის შემდეგ. ქალაქმა აღმავლობა საბჭოთა პერიოდში დაიწყო: აქ ფუნქციონირებდა 90-მდე დიდი და საშუალო საწარმო, მათ შორის: მეტალურგიული კომბინატი, აზოტის, ქიმიური კომპლექსი, ამწემშენებელი ქარხნები, ს. ს. ლითონკონსტრუქცია და სხვა. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ძველი ეკონომიკური კავშირების მოშლის შედეგად მრავალი საწარმო გაკოტრების პირას დადგა. შედეგად, 90-იანი წლების ქალაქისთვის განსაკუთრებით მძიმე გამოდგა უმუშევრობისა და სიღარიბის დონის სწრაფი ზრდის გამო. 2004-2006 წლებში განხორციელდა სახელმწიფო ქონების ფართომასშტაბიანი პრივატიზაცია, რომელშიც ნაწილობრივ რუსთავის საწარმოებიც მოექცა. ქალაქის ეკონომიკა ისევ აღმავლობის გზას დაადგა.

### **8.1.2. კულტურა**

რუსთავის პირველი შვიდწლიანი შერეული სკოლა გაიხსნა 1944 წელს. დაწყებით კლასში ირიცხებოდა 4 მოსწავლე, ხოლო ზედა კლასებში — 7-8. სკოლაში მუშაობდა 5 პედაგოგი. 1948 წელს დაარსდა პირველი რვაწლიანი სკოლა (დღევანდელი მე-2 საჯარო სკოლა). 1967 წლის 30 ნოემბერს გაიხსნა რუსთავის სახელმწიფო დრამატული თეატრი. 1968 წელს შეიქმნა სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლი რუსთავი.

დღეს ქალაქში 32 სახელმწიფო და 10 არასახელმწიფო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაა, 5 საშუალო პროფესიული სასწავლებელი, 3 უმაღლესი სასწავლებელი. აქ ფუნქციონირებს 13 ბიბლიოთეკა, 1 თეატრი (რუსთავის თეატრი), 1 მუზეუმი (მხარეთმცოდნეობის), ფოლკლორული ანსამბლები, მათ შორის ანსამბლი „რუსთავი“. ქალაქში ყოველწლიურად ტარდება საერთაშორისო თეატრალური ფესტივალი „ოქროს ნიღაბი“, იმართება სახალხო ზეიმი „რუსთაველაქობა“. რუსთავიდან მაუწყებლობს ქვემო ქართლის ტელერადიო კომპანია, გამოდის რამდენიმე გაზეთი.

## **8.2. ბუნებრივი ფონოური მონაცემები:**

### **8.2.1. კლიმატი**

ქ.რუსთავი შედის ქვემო ქართლის ბარის კლიმატურ ზონაში, ზომიერად ცივი ზამთრით და ცხელი ზაფხულით. აღნიშნული ტერიტორიის კლიმატის ცალკეული ელემენტები შესაძლებელია დახასიათებულ იქნეს რუსთავის და გარდაბნის მეტეოროლოგიური სადგუების რეგულარული დაკვირვებების მონაცემებით.

ერთის მხრივ სუბტროპიკული ზონის ჩრდილოეთ საზღვარზე, შავსა და კასპიის ზღვებს შორის მდებარეობა, მეორეს მხრივ კი, მისი რელიეფის განსაკუთრებული სირთულე და ამასთან დაკავშირებული, ატმოსფეროს ზოგადი ცირკულაციის ადგილობრივი

თავისებურებები განაპირობებს საქართველოს ჰავის მრავალფეროვნებას. რელიეფის მნიშვნელოვანი დასერილობა ზოგად ცირკულაციას იმგვარად გარდაქმნის და მეტეოროლოგიური ელემენტების რიცხვითი სიდიდეების ისეთ დიდ სხვადასხვაობას იწვევს, რომ საქართველოს ამ შედარებით მცირე ტეროტორიაზე, მკვეთრად გამოიყოფა განსხვავებული კლიმატური რაიონები. ამ მრავალფეროვნების დასახასიათებლად და სათანადო სამეცნიერო თუ პრაქტიკული საწარმოო-საზოგადოებრივი საქმიანობის უზრუნველსაყოფად, ქვეყანაში ფუნქციონირებს მეტეოროლოგიური რეგულარული დაკვირვებების სახელმწიფო ქსელი, რომელთა დაკვირვებების ბაზაზე დადგენილია საქართველოს, ცალკეული დასახლებული რაიონების და მსხვილი ქალაქების კლიმატური მახასიათებლები.

საქართველოს ტერიტორიის დასავლეთ და აღმოსავლეთ ნაწილებს გააჩნიათ კლიმატის ფორმირების მკვეთრად განსხვავებული ფიზიკურ-გეოგრაფიული და ატმოსფერული ცირკულაციის თავისებურებები. ამასთან აღსანიშნავია ისიც, რომ ამ რეგიონებში მიმდინარე ლოკალურ ანთროპოგენულ პროცესებს შეუძლათ გავლენა იქონიონ მხოლოდ შეზღუდული მაშტაბით.

### 8.2.2. ტემპერატურული რეჟიმი

რეგიონში ზომიერად სუბტროპიკული ჰავაა, კერძოდ, ბარის დაბალ ნაწილში ზომიერად თბილი ველის ჰავაა ცხელი ზაფხულით, უფრო მაღლა – ზომიერად თბილი ველის ჰავიდან ზომიერად ნოტიოზე გარდამავალი; მთაში კი ზომიერად ნოტიო ჰავა ზომიერად ცივი ზამთრითა და ხანგრძლივი თბილი ზაფხულით. ჰაერის საშუალო წლიური ტემპერატურა  $13^{\circ}\text{C}$ -დან (ბარში) –  $5-6^{\circ}\text{C}$ -მდე (მთაში) მერყეობს. იანვარში  $-0,3^{\circ}\text{C}$  (ვაკე) –  $-5^{\circ}\text{C}$  (მთაში). ივლისში – შესაბამისად 25- დან  $10-11^{\circ}\text{C}$  -მდე. აბსოლუტური მაქსიმალური  $40-41^{\circ}\text{C}$  (ბარში),  $30-32^{\circ}\text{C}$  (მთაში). აბსოლუტური მინიმალური  $-25$ ,  $-27^{\circ}\text{C}$ . ნალექების საშუალო წლიური რაოდენობა  $441-1000$  მმ-მდეა (იალნოს ქედზე), მაქსიმალური მაისშია, მინიმალური – იანვარში, ხშირია სეტყვა.

ქვემოთ ცხრილებში წარმოდგენილია საკვლევ რაიონში კლიმატის მახასიათებელი ტემპერატურული და ქართა მიმართულებებისა და მათი განმეორებადობების აღმჩერი პარამეტრების მნიშვნელობები (ცხრილები: 8.1; 8.2; 8.3; 8.4; 8.5).

ცხრილი 8.1. ატმოსფერული ჰაერის საშუალო თვიური ტემპერატურები.

თვე	I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	IX	X	XI	XII	წლის
$t^{\circ}\text{C}$	0,8	2,6	6,6	11,9	17,5	21,6	25,0	25,0	20,3	14,4	7,7	2,6	13,0

ცხრილი 8.2. ატმოსფერული ჰაერის საშუალო-მინიმალური ტემპერატურები.

თვე	I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	IX	X	XI	XII	წლის
$t^{\circ}\text{C}$	-2,7	-1,3	1,8	7,3	12,6	16,4	19,5	19,6	15,3	9,7	3,7	-0,8	8,4

ცხრილი 8.3. ატმოსფერული ჰაერის საშუალო-მაქსიმალური ტემპერატურა.

თვე	I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	IX	X	XI	XII	წლის
t°C	5,8	7,6	11,6	17,8	23,7	27,8	31,3	31,4	26,2	20,0	12,4	7,6	18,6

ცხრილების ანალიზით ჩანს, რომ ჰაერის მრავალწლიური საშუალო-თვიური ტემპერატურა 0,8 °C -ზე (იანვარი) დაბლა არ ჩამოდის, ხოლო მაქსიმუმი არ აღემატება 25,0 °C -ს (ივლისი, აგვისტო). აღსანიშნავია, რომ ჰაერის საშუალო-მინიმალური ტემპერატურა -2,7 °C -ზე (იანვარი) დაბალი არ არის, ხოლო ჰაერის საშუალო-მაქსიმალური ტემპერატურა აგვისტოში აღწევს 31,4 °C-ს.

ქარის მიმართულებების განმეორადობა მოცემულია ცხრილში 8.4.

ცხრილი 8.4. ქარის მიმართულებების განმეორადობა.

ჩ	ჩა	ა	სა	ს	სდ	დ	ჩდ	შტილი
8	4	7	12	10	3	7	49	18

როგორც ცხრილი 8.4-დან ჩანს, გაბატონებულია ჩრდილოეთის (49%) ქარი. შტილების განმეორადობა შეადგენს 18%-ს.


ქარის საშუალო-თვიური სიჩქარეები მოცემულია ცხრილში 8.5.

ცხრილი 8.5. ქარის საშუალო-თვიური სიჩქარეები.

თვე	I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	IX	X	XI	XII	წლის
მ/წმ	4,4	6,0	5,3	4,9	5,2	5,4	6,0	4,9	4,5	4,2	3,1	3,4	4,8

ცხრილი 8.5-დან ჩანს, რომ ქარების საშუალო წლიური სიჩქარე შეადგენს 4,8 მ/წმ-ს, ხოლო ქარების თვიური სიჩქარეები იცვლება 3,1-დან (დეკემბერი) 6,0 მ/წმ-მდე (თებერვალი, ივლისი).

სქემატურად ქარის სხვადასხვა მიმართულების განმეორებადობა მოტანილია ნახაზზე 8.2.



ნახაზი 8.2. ქარის მიმართულებების განმეორადობა (პროცენტული).

ზემოთ მოყვანილი ცხრილების საფუძველზე ცხრილ 8.6-ში წარმოდგენილია ატმოსფერული ჰაერის დაბინძურებაზე გავლენის მქონე მეტეოპარამეტრებისა და სხვა მახასიათებლების ძირითადი მნიშვნელობები, რომლებიც განსაზღვრავენ ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გაბნევის პირობებს.

ცხრილი 8.6. ატმოსფერული ჰაერის დაბინძურებაზე გავლენის მქონე მეტეოპარამეტრების და სხვა მახასიათებლების დახასიათება.

№	მეტეოროლოგიურიმახასიათებლები	მნიშვნელობები
1.	ატმოსფეროს ტემპერატურული სტრატიფიკაციის კოეფიციენტი	200
2.	ადგილის რელიეფის გავლენის მახასიათებელი კოეფიციენტი	1,0
3.	წლის ყველაზე ცხელი თვის ჰაერის საშუალო ტემპერატურა, °C	25,0
4.	წლის ყველაზე ცივი თვის ჰაერის საშუალო ტემპერატურა, °C	0,8
5.	ქარების მიმართულების წლიური განმეორადობა, %	
	_ ჩრდილოეთი	8
	_ ჩრდილო-აღმოსავლეთი	4
	_ აღმოსავლეთი	7
	_ სამხრეთ-აღმოსავლეთი	12
	_ სამხრეთი	10
	_ სამხრეთ-დასავლეთი	3
	_ დასავლეთი	7
6.	_ ჩრდილო-დასავლეთი	49
	– ქარის სიჩქარე(მრავალწლიური მონაცემების მიხედვით), რომლის გადამეტების განმეორადობაა 5%	12,0

### 8.2.3. ატმოსფერული ჰაერის ხარისხი

ატმოსფერული ჰაერის დაბინძურება ხდება როგორც ბუნებრივი, ისე ანთროპოგენური წყაროებიდან. ატმოსფერული ჰაერის ძირითადი მავნე ნივთიერებებით დაბინძურების ანთროპოგენური წყაროები შემდეგ ძირითად სექტორებად შეიძლება დაიყოს: მრეწველობა, ავტოტრანსპორტი, ენერგეტიკა და სოფლის მეურნეობა. ამასთან აღსანიშნავია, რომ 2017 წლის მონაცემებით მყარი ნაწილაკების (PM) ქვეყნის ჯამური გაფრქვევების თითქმის 90% მრეწველობასა და ენერგეტიკის (უმთავრესად შეშის მოხმარება) დარგებზე მოდის.

საქართველოში ატმოსფერული ჰაერის მყარი ნაწილაკებით დაბინძურების კუთხით ბუნებრივ წყაროებს საკმაოდ მნიშვნელოვანი როლი უკავიათ. ამ კუთხით განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საჰაერო და არაბეთის ნახევარკუნძულიდან პერიოდულად შემოჭრილი უდაბნოს მტვრის მასები, რომელიც ხშირ შემთხვევაში ქვეყნის პრაქტიკულად მთელ ტერიტორიაზე ვრცელდება, მათ შორის რუსთავშიც.

გარემოს ეროვნული საგენტოს 2017 წლის წელიწევულის თანახმად, ქ.რუსთავში ატმოსფერული ჰაერის დაბინძურებაზე რეგულარული დაკვირვება წარმოებდა ბათუმის ქუჩაზე მდებარე ჯიხურში. ისაზღვრობოდა ოთხიდამაბინძურებლის: მტვრის, ნახშირჟანგის, აზოტის დიოქსიდისა და ტყვიის შემცველობა.

მტვრის მაქსიმალურმა ერთჯერადმა კონცენტრაციამ მიაღწია  $2.2 \text{ მგ/მ}^3$  -ს (4.4 %დკ), აზოტის დიოქსიდის -  $0.54 \text{ მგ/მ}^3$  -ს (2.7%დკ), ხოლო ნახშირჟანგის მაქსიმალური ერთჯერადი კონცენტრაცია  $4.8 \text{ მგ/მ}^3$  არ აღემატებოდა შესაბამის ზღვრულად დასაშვებ კონცენტრაციას. დამაბინძურებლების საშუალო წლიური კონცენტრაციების ( $\text{მგ/მ}^3$ ) ცვლილება 2013–2017 წლების მონაცემების მიხედვით მოცემულია ცხრილში 8.7.

#### ცხრილი 8.7.

დამაბინძურებელი	წლები				
	2013	2014	2015	2016	2017
ნახშირჟანგი	3.5	2.8	1.9	1.5	1.4
აზოტის დიოქსიდი	0.190	0.126	0.110	0.120	0.120
მტვრი	-	1.27	0.98	0.66	0.85
ტყვია	-	0.00013	0.00017	0.00010	0.00009

2019 წლის თებერვლიდან ბათუმის ქუჩის N19-ში (განედი: 41.5462, გრძელი: 45.0145) გარემოს ეროვნული სააგენტოს მიერ განთავსდა ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების მონიტორინგის ავტომატური სადგური, რომითაც ისაზღვრება PM10, PM2.5, SO2, NO, NOx, NO2, O3 და მეტეოროლოგიური პარამეტრები. ინფორმაცია ხელმისაწვდომია მუდმივად, ონლაინ რეჟიმში.

ამჟამად ქ. რუსთავში ატმოსფერული ჰაერის ხარისხის გაზომვები წარმოებს, როგორც ძველ რუსთავში განთავსებული ავტომატური მონიტორინგის ფონური სადგურის, ისე 7 ადგილზე ყოველკვარტალური ინდიკატორული გაზომვების საშუალებით.

არსებული დაკვირვების პუნქტებიდან მიღებული მონაცემებით, ძველ რუსთავში უმთავრეს პრობლემას წარმოადგენს უმცირესი ზომის მყარი ნაწილაკების კონცენტრაციის, ხოლო ახალ რუსთავში, ცენტრალურ ქუჩაზე აზოტის დიოქსიდის (NO2) შემცველობის წლიური ნორმის გადაჭარბება (სავარაუდოდ აღნიშნული გამოწვეულია ავტოტრანსპორტის ინტენსიური მოძრაობით). სხვა დამბინძურებლები (SO2, CO, O3, Pb, C6H6) ნორმის ფარგლებშია.

2019 წელს ავტომატური მონიტორინგით მიღებული (ამ ეტაპზე არავალიდირებული 14) მონაცემების თანახმად, უმცირესი ზომის მყარი ნაწილაკის PM10-ის საშუალო წლიური კონცენტრაცია  $1,6\text{-ჯერ}$  აღემატებოდა ნორმას, PM2.5-ისა კი  $1,3\text{-ჯერ}$ . PM10-ის დღიური საშუალო კონცენტრაცია ზღვარს აჭარბებდა 175 დღის განმავლობაში (დასაშვები გადაჭარბების რაოდენობა წლის მანძილზე არის 35), რომელთაგან 63 შემთხვევა ტრანსსასაზღვროზემოქმედებასთან იყო დაკავშირებული. PM10-ის მაქსიმალურმა კონცენტრაციამ, რომელიც ტრანსსასაზღვრო დაბინძურებით იყო განპირობებული, შეადგინა  $301.77 \text{ მკგ/მ}^3$  და იგი  $6\text{-ჯერ}$  აღემატებოდა ზღვრულად დასაშვებ მნიშვნელობას, ხოლო ლოკალური დაბინძურებით გამოწვეულმა მაქსიმალურმა მნიშვნელობამ მიაღწია  $147.71 \text{ მკგ/მ}^3$ -ს და იგი თითქმის  $3\text{-ჯერ}$  აღემატებოდა ზღვრულად დასაშვებ მნიშვნელობას.

ქ. რუსთავში ატმოსფერული ჰაერის ხარისხის მონიტორინგის შედეგად დაფიქსირებულმა მყარი ნაწილაკებით დაბინძურების საკმაოდ მაღალმა მაჩვენებლებლებმა განაპირობა ქ. რუსთავის ატმოსფერული ჰაერის ხარისხის გაუმჯობესების სამოქმედო გეგმა 2020–2022 (შემდეგში -

სამოქმედო გეგმა)-ის შემუშავება, რომელიც მიზნად ისახავს ქ. რუსთავში ატმოსფერული ჰაერის ხარისხის გაუმჯობესებას. გეგმა შემუშავებულია ქ. რუსთავის ატმოსფერული ჰაერის ხარისხის გაუმჯობესების ხელშემწყობი სამუშაო ჯგუფის მიერ (შემდეგში - სამუშაო ჯგუფი). სამუშაო ჯგუფი შექმნილია საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2020 წლის 14 თებერვლის N2-134 ბრძანების საფუძველზე.

სამუშაო ჯგუფის ფარგლებში ორგანიზებული განხილვების შედეგად, ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების თვალსაზრისით გამოიკვეთა შემდეგი ძირითადი გამოწვევები:

- სამრეწველო ობიექტების მიერ ჰაერდაცვითი მოთხოვნების შეუსრულებლობა;
- სამრეწველო ობიექტების უმრავლესობაში ნარჩენების მართვის კუთხით არსებული მოთხოვნების შეუსრულებლობა;
- არასრულყოფილი ჰაერდაცვითი კანონმდებლობა და დაბალი სანქციები დარღვევების გამოვლენის შემთხვევაში, რომელთაც არ აქვს შემაკავებელი ეფექტი სამრეწველო ობიექტებიდან ატმოსფერული ჰაერის მავნე ნივთიერებებით დაბინძურების პრევენციისთვის;
- დაბინძურების სტაციონარული წყაროებიდან ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გაფრქვევების თვითმონიტორინგის მოძველებული სისტემა, ასევე კომპანიების მხრიდან მხოლოდ ფორმალური ვალდებულებების შესრულება, რომელიც აფერხებს სახელმწიფო საზედამხედველო ფუნქციის ეფექტურ განხორციელებას;
- სახელმწიფო ზედამხედველობისა და კონტროლის სისტემის გაუმჯობესების აუცილებლობა;
- ატმოსფერული ჰაერის ხარისხის შეფასების სისტემის გაუმჯობესებისა და მონიტორინგს დაქვემდებარებულ დამბინძურებელთა სპექტრის გაზრდის საჭიროება;
- ქალაქის მთავარი სატრანსპორტო მაგისტრალის გასწვრივ (განსაკუთრებით ახალ რუსთავში) ავტოსატრანსპორტო საშუალებებიდან ატმოსფერული ჰაერის აზოტის დიოქსიდით დაბინძურება;
- ქალაქში არსებული მწვანე სივრცეების შენარჩუნება/განვითარებისა და ასევე, ქალაქში მწვანე სივრცეების გაზრდის საჭიროება;
- გარემოს, მათ შორის ატმოსფერული ჰაერის, დაცვის საკითხებთან დაკავშირებით მოსახლეობის ცნობიერების დაბალი დონე და გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებების მიღების პროცესში დაბალი ჩართულობა.

### 8.3. გეოლოგიური აგებულება

გეოლოგიურ აგებულებაში მონაწილეობას იღებენ ზედაპირული, ცარცული, პალეოგენური, ნეოგენური, ძველმეოთხეული და თანამედროვე მეოთხეული ნალექები. რუსთავი-სოლანლულის ზოლში განვითარებულია მესამეული დანალექი ქანები შუა ეუცენიდან აღჩაგილის ჩათვლით,

რომლებიც სხვადასხვა წარმოშობის მეოთხეული წარმონაქმნებით არიან ადგილ-ადგილ გადაფარული. მდინარე მტკვრის კალაპოტში ქვიშა-ხრეშის დანაგროვი ძირითადად მესამეული ქანების მასალისაგან არის აგებული.

შუა ეოცენი ორ ნაიწლად იყოფა: ქვედა-დაბახანის (ტუფოგენური) წყებას მიეკუთვნება, ზედა-არეულშრეებრივი ლოდბრექჩიების (ბრექჩიული ტუფოგენური) წყება. პირველი 500-600მ-ის სისქის ვულკანოგენებია, ზედა 85მ-ის სისქის ამავე ვულკანოგენების ლოდები.

ზედა ეოცენი თანხმობითაა განლაგებული შუა ეოცენის ვულკანოგენბზე და წარმოდგენილია თიხა-ქვიშიანი ნალექებით, რომელთა შორის საკმაოდ ბევრია ტუფოგენური ვულკანოგენები. ზედა ნაწილი ლითოლოგიურად ქვედა ოლიგოცენის მსგავსია. ზედა ეოცენის ჯამური სისქე 2000მ-ია.

მაიკოპის თიხა-ქვიშიანი წყება, რომელსაც ოლიგოცენის გარდა ქვედა მიოცენიც მიეკუთვნება, თანხმობით ედება ზედა ეოცენს და მისი სამივე ნაწილის სისქე 2600მ-ს აღწევს, მათ შორის უმეტესი ნაწილი მაიკოპური თიხებით არის წარმოდგენილი.

შუა მიოცენი თარხნარის ქვიშიანი თიხებისა და ქვიშაქვების იშვიათი შუაშრეებიანი თიხებით (40მ), ჩიკრაკის თიხების, ქვიშაქვებისა და მერგელების იშვიათი შუაშრეების მორიგეობით (F80-100მ), კარაგანის ქვიშა-თიხების,

მერგელების და კირქვების მორიგეობით (225მ), რომლებშიც ქვიშები და კონგლომერატები გამოერევა, კონკის ქვიშა-თიხიანი (70მ) არის წარმოდგენილი.

შუა მიოცენს მოყვება ქვედა სარმატის თიხები და ქვიშაქვები მათში გაფანტული სხვადასხვა ქანების იშვიათი კენჭებით. ქვედა სარმატის არასრული სისქე 100მ-ს აღწევს.

ზემოთ უთანხმოდ ედება მეოტის-პონტის წარმოშობის კონგლომერატები, თიხები, ქვიშაქვები და ქვიშიანი არგილიტები, რომლებიც აგრეთვე უთანხმოდ არიან გადაფარული ტრანსგრესიულად განლაგებული ზღვიურ-კონტინენტური წარმოშობის აღჩაგილური ნალექებით. ისინი წარმოდგენილი არიან არაშრეებრივი თიხებით, ქვიშაქვებით და კონგლომერატებით. უკანასკნელს უკავია ჭრილის უმეტესი ნაწილი. კონგლომერატებში აღინიშნება კარგად დამრგვალებული კენჭები, რომლებიც სხვადასხვა ქანებისაგან არის აგებული, იშვიათად გვხვდება ვულკანური ქანების კენჭებიც.


მესამეულის შემდგომი წარმონაქმნები ფართოდ არის გავრცელებული. ინტენსიური რეცხვის შედეგად მეოთხეულის პერიოდში წარმოიშვა ალუვიური, დელუვიური და ტბიური ნალექები.

დელუვიური ნალექები გვხვდება მთებისა და მთაგრეხილების ძირში და წარმოდგენილია თიხებით, თიხნარით, კაჭარით, რომლებიც ამ მთებისა და მთაგრეხილების ამგები ქანების გამოფიტვის შედეგად არიან წარმოშობილი.

ალუვიური ნალექები განვითარებულია მდინარეების სისტემებისა და მათი ტერასების გასწვრივ, განსაკუთრებით კარგად არის გამოხატული მდინარე მტკვრის ტერასები, რომლებიც დიდ მონაწილეობას ღებულობენ რელიეფის აგებულებაში.

გეოლოგიური რუქა მოცემულია N8.3. ნახაზზე.

ნახატი N 8.3.



რაიონის გეოლოგიური რუკა.

მასშტაბი 1:2000000

უშუალოდ საწარმოს ტერიტორიის საინჟინრო გეოლოგიური კვლევა ჩატარდა ი.ს. „მშენებელს“ მიერ, რომლის მიერაც ტერიტორიაზე გაყვანილი იქნა 3 შურფი, რომელთა აღწერის მიხედვით გეოლოგიური აგებულება მარტივია და ზედაპირიდან დამიებულ სიღრმემდე წარმოდგენილია შემდეგი ფენებით:

ფენა -1. ნაყარი გრუნტი - ხვინჭკა, ხრეში-ღორლი-თიხნარის შემავსებლით, გავრცელებულია ზედაპირიდან 50,8-2,0 მ. სიღრმემდე, სიმკვრივით 1,78 გ/სმ<sup>3</sup>.

ფენა 2. თიხა - ღია ყავისფერი, მყარპლასტიკური კონსისტენციის, თაბაშირიანი. ხვინჭკისა და კენჭების მინარევით 5-10% -მდე. გავრცელებულია მთელს სამშენებლო მოედანზე, ფენა-1-ის ქვემოთ დამიებულ სიღრმემდე. განხორციელდა გრუნტის ლაბორატორიული კვლევა, რომელმაც დაადსტურა, რომ გრუნტი წარმოადგენს თიხას, მყარპლასტიკური კონსისტენციით, რომლებიც ხასიათდებიან მშრალი გრუნტის სიმკვრივის მაღალი მაჩვენებლით. გრუნტის მზიდუნარიანობა შეადგენს  $R=2,30$  კგძ/სმ<sup>2</sup>.

გამოკვლეულ სიღრმეზე გრუნტის წყალი არ დაფიქსირებულა.

სამშენებლო ტერიტორიაზე უარუოფითი ფიზიკურ-გეოლოგიური პროცესები მოსალოდნელი არ არის და შერჩეული ტერიტორია დამაკმაყოფილებელ მდგომარეობაშია.

საშიში გეოლოგიური პროცესების წარმოქმნა-განვითარება მოსალოდნელი არ არის.

კვლევის შედეგად იღებული იქნა შემდეგი დასკვნა, რომ ქ. რუსთავში, მშვიდობის ქ. N12-ში, შპს „ჯეო ენტერპრაიზ“-ის საკუთრებაში არსებულ 5052 მ<sup>2</sup> ნაკვეთზე, მცირე მეტალურგიული საწარმოს შენობის რეკონსტრუქციის (მიშენება) პროექტისათვის არსებულ სამშენებლო მოედანზე ჩატარებული საინჟინრო გეოლოგიური სამუშაოების შედეგად შეიძლება დავასკვნათ რომ, ტერიტორიის საინჟინრო გეოლოგიური პირობები აკმაყოფილებს საქართველოში მოქმედი სამშენებლო ნორმების მოთხოვნებს.

საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის მასალები მოცემულია დანართში 4.

### 8.3.1. ტექტონიკა და სეისმური პირობები

საქართველოს სეისმოლოგიური კვლევის მონაცემებით ადგილი აქვს ტექტონიკურ აქტიურობას, რომელიც დიფერენცირებული და კონტრასტულია და დამოკიდებულია ცალკეული ბლოკების აქტიურობის ინტენსივობაზე. 1988 წელს სომხეთში მომხდარი ძლიერი მიწისძვრის გამო საქართველოს ტერიტორიის ზოგადი სეისმური დარაიონების კორექტირებული სქემის მიხედვით, ქ. გარდაბანი და მისი რაიონი მიეკუთვნება 8 ბალიან სეისმურ ზონას. (საქ. რესპ. არქიტექტურისა და მშენებლობის საქმეთა სამინისტროს 1991 წლის 7 ივლისის 29 დადგენილება №42) სეისმური თვისებების მიხედვით საკვლევი უბნის ამგები გრუნტები ს.ნ. და წ. 11-7-81 ცხ. -1-ის თანახმად განეკუთვნებიან II კატეგორიას, ამიტომ უბნის სეისმურობა უნდა განისაზღვროს 8 ბალით;

### 8.3.2. რელიეფი

საკვლევი ობიექტი და მისი მიმდებარე ტერიტორია ქ. რუსთავს მიეკუთვნება. მორფოლოგიურად ვაკეა, რომელიც ოლიგოცენ – ქვედა მიოცენის ძირითადი ქანების, ქვიშაქვა- არგილიტების მონაცელეობის სუბსტრატზე არის განვითარებული და წარმოადგენს მდ. მტკვრის მარცხენა, ჭალისზედა ფართო ტერასას, რომელიც მოსწორებული, ზოგან ჩაზნექილი, ვაკე რელიეფით ხასიათდება. რელიეფი უმნიშვნელოდ არის დახრილი სამხრეთ-დასავლეთით,

მდ. მტკვრის კალაპოტის მიმართულებით, რომელიც განსახილველი უბნიდან 2,5 კმ-ზე მეტი მანძილით არის დაშორებული.

უშუალოდ განსახილველი ტერიტორია ვაკე რელიეფისაა (სურათი 8.1.), შესაძლებელია მისი მოსწორება მოხდა გასულ საუკუნეში საწარმოების მშენებლობის გამო. ამჟამად ზედაპირის ფორმებს (მცირე ბორცვებს) განაპირობებს გროვებად დაყრილი ტექნოგენური ნაყარები (სურათი 8.2.). საპროექტო ტერიტორიის ტელიეფი მოცემულია ტოპო გეგმაზე, ნახაზი 8.4.




სურათი 8.1.



სურათი 8.2.

ნახაზი 8.4.

ტოპო-გებება



## **8.4. ჰიდროგეოლოგიური პირობები**

ჰიდროგეოლოგიური თვალსაზრისით, ქალაქ რუსთავის ტერიტორია გრუნტის წყლებით მწირია, ზოგიერთ ადგილას ადგილი აქვს გრუნტის წყლების მცირე გამოვლინებას, რომლებიც ატარებენ ინფილტრაციულ ხასიათს და ძირითადად იკვებებიან ზედაპირული (ატმოსფერული) ნალექებით.

უშუალოდ საწარმოს ტერიტორიაზე ჩატარებული საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის დროს, გაყვანილი შურფებით გრუნტის წყლის დონე არ გადაკვეთილა, შესაბამისად გამოკვლეულ სიღრმეზე გრუნტის წყლის არსებობა მოსალოდნელი არ არის.

## **8.5. ნიადაგები**

ქ.რუსთავში და მის ირგვლივ, ნიადაგები ზონალურად არის გავრცელებული. ტერასულ ვაკეზე წაბლა ნიადაგები ჭარბობს, ზეგანზე – ნეშომპალა-სულფატური (გაჯიანი). მნიშვნელოვანი ფართობი უჭირავს აგრეთვე შავმიწებს. მთისწინეთში ტყის ყავისფერი და მდელოს ყავისფერი, მეტწილად, კარბონატული ნიადაგებია, რომელთაც ზემოთ სხვადასხვა სახის ტყის ყომრალი ნიადაგი ენაცვლება. ქედების თხემები და მწვერვალები მეორეულ მთის მდელოს ნიადაგებს უჭირავს. განვითარებულია აგრეთვე ალუვიური (მდინარეთა ტერასებზე), ჭაობის (ტბებისპირა ზოლში) და მლაშობი (ნატბეურებზე) ნიადაგები. ხევ-ხრამების ციცაბო ფლატებზე ძლიერ ჩამორეცხილი ნიადაგებია.

უშუალოდ საწარმოს განთავსებისა და მიმდებარე ტერიტორიებზე ნიადაგები შენარჩუნებული არ არის, რადგან გასული საუკუნის 60-იანი წლებიდან ათვისებული იყო სამეწარმეო დანიშნულებით. განსახილველ ტერიტორიაზე განთავსებული იყო რუსთავის ქიმბოჭვის საწარმო და შენობა-ნაგებობები. ამჟამად შენობა-ნაგებობების უმეტესობა დაწგრეულია, ტერიტორიები გადაფარულია ტექნოგენური ნაყარით და სამშენებლო ნარჩენებით (სურათი 8.3.; 8.4.).

უშუალოდ საპროექტო ტერიტორიაზე, საინჟინრო- გეოლოგიური კვლევით დადასტურდა, ტომ საკვლევი ტერიტორია გადაფარულია  $0,8 - 2,0$  მ-იანი ტექნოგენური ნაყარით, ნიადაგის ნაყოფიერი ფენა არ დაფიქსირებულა.



სურათი 8.3.



სურათი 8.4.

## 8.6. ჰიდროლოგია

საქართველოს მდინარეთა რეჟიმი წლის განმავლობაში ხასიათდება რამდენიმე ფაზით: გაზაფხულის და ზაფხულის წყალდიდობით, აგრეთვე ზაფხულ-შემოდგომის და ზამთრის (წყალმცირობის ფონზე) ხანდახან წაყლმოვარდნებით. ფაზები განაპირობებენ მდინარეთა ჩამონადენის სეზონურ ხასიათს. რაც საზრდოობის ძირითად წყაროებთან ერთად განსაზღვრავენ მდინარეთა რეჟიმის თავისებურებებს. ზოგადი დახასიათებით, საქართველოს რელიეფი დახრილია ორი ძირითადი მიმართულებით: დასავლეთისა და აღმოსავლეთისაკენ. შესაბამისად მდინარეები მიეკუთვნებიან შავი ზღვისა და კასპიის ზღვის აუზებს. მათი წყალგამყოფი ლიხის ქედზე გადის.

აღმოსავლეთ საქართველოს მდინარეთა უმრავლესობას მიწისქვეშა წყლები, მყინვარები და თოვლი ასაზრდებენ, რასაც ატმოსფერული ნალექებიც ემატება. მდინარეებზე წყალდიდობა გვიან გაზაფხულსა და ზაფხულის დასაწყისში აღინიშნება.

რაიონის მთავარი მდინარეა მტკვარი. იგი შერეული საზრდოობის მდინარეა, იკვებება წვიმით, მიწისქვეშა წყლებით და თოვლით. ივლის-აგვისტოში წყალმცირობაა, მდგრადი წყალმცირობა კი ზამთარშია.

მტკვრის ჩამონადენის განაწილება სეზონების მიხედვით ასეთ სურათს იძლევა: გაზაფხულზე ჩამოედინება წლიური ჩამონადენის 48,5%, ზაფხულში 26,9%, შემოდგომაზე 13,7% , ზამთარში 10,9%. მტკვარი მძლავრი და წყალუხვი მდინარეა, იგი წყლის ენერგიის დიდ მარაგს ფლობს. მისი შენაკადებია: მარჯვენა ვერე და წავისისწყალი (ლედვთახევი), მარცხენა ლოჭინი. ამ მდინარეთა წყალდიდობა გაზაფხულზეა, წყალმცირობა – ზამთარში. პერიოდულ მდინარეთა შორის მთავარია: ორხევი, ნავთისხევი, ხევძმარი. ისინი წყლიანია ხშირი წვიმების დროს – გაზაფხულსა და შემოდგომაზე.

მტკვრის მარჯვენა მხარეს არის კუმისის ტბა, მარცხენა მხარეს ჯანდარის ტბა. ორივე ტბა მდიდარია თევზით.

საპროექტო ტერიტორიიდან 2 კმ-იან რადიუსში ზედაპირული წყლის ობიექტი არ არის განთავსებული.

## 8.7. ძირითადი ლანდშაფტები

განსახილველი ტერიტორია განთავსებულია ძლიერი ანთროპოგენური დატვირთვის ზონაში, სადაც განთავსებულია (იყო) ქვეყნის ერთ-ერთი უდიდესი საწარმოო ობიექტები. ლანდშაფტი მთლიანად სახეცვლილი და ანთროპოგენურია. თუმცა საწარმოთა ნაწილის უფუნქციობისა და გაუქმების გამო ანთროპოგენური ლანდშაფტიც ძლიერ დეგრადირებულია (სურათი 8.5.; 8.6.), მიმდებარე ტერიტორიები დაფარულია სამშენებლო ნარჩენებით და ნახევრად დანგრეული შენობებით. ამდენად ლანდშაფტს რაიმე ვიზუალურ-ესთეტიური ღირებულება არ გააჩნია.



სურათი 8.5.



სურათი 8.6.

## 8.8. ბიომრავალფეროვნება

განსახილველი ტერიტორია გეობოტანიკური დარაიონების მიხედვით (რ. ქვაჩავიძე „საქართველოს გეობორანიკური დარაიონება“) მიეკუთვნება ქვემო ქართლის ბარის გეობოტანიკურ რაიონს, რომელიც მოიცავს ქ.თბილისის ქვემოთ, მდ. მტკვრის ორივე სანაპიროს.

ბუნებრივი მცენარეულობით დაფარულია რაიონის ტერიტორიის მცირე ნაწილი, ამასთან ბუნებრივი მცენარეულობა ძლიერ სახეცვლილია ადამიანის სამეურნეო საქმიანობის შედეგად, განსაკუთრებით ვაკეებზე, ბუნებრივი მცენარეულობა დიდი ხანია კულტურულმა მცენარეულობამ შეცვალა.

მიუხედავად შეზღუდული ფართობისა, ტიპოლოგიური სტრუქტურის, განვითარების ისტორიისა და სუქცესიური ცვლისა, რაიონის ტერიტორიაზე მცენარეული საფარი ძალზე მრავალფეროვან და რთულ სურათს იძლევა. წარმოდგენილია: ტყის მცენარეულობით, ჰემიქსეროფილური და ქსეროფილური ბუჩქარებით, სტეპის, ნახევრად უდაბნოსა და ჭაობის მცენარეულობით.

ტყის მცენარეულობა ფიტოცენოლოგიურად მრავალფეროვანია. ტერიტორიის ყველაზე მაღალ ნაწილში განვითარებულია მთის ტყეები, ქრთული მუხის, მაღალმთის მუხისა და რცხილიან-მუხნარი და პოლიდომინანტური ფოთლოვანი ტყის კორომები (ქართული და მაღალმთის მუხა, იფანი, რცხილა, ცაცხვი, მინდვრის ნეკერჩხალი)

რაიონის ტერიტორიაზე შემორჩენილია არიდული მუხის ტყის ნაშთები- საკმლის ხიანის და აკაკიანის მომცრო კორომები.

მდ. მტკვრისა და ხრამის ჭალებში შემორჩენილია ჭალის ტყეების ნაშთები - ტირიფნარი და ვერცვნარ-ტირიფნარი, თელა, ჭალის მუხა, თუთა, შინდანწლა, კვრინჩხი, ღვედეკუცი, მაყვალი, ქაცვი და სხვა.

ჰემიქსეროფილური და ქსეროფილური ბუჩქნარები გავრცელებულია სერის ფერდობებზე და პლატოებზე, წარმოდგენილია ძემვიანებით, ავშანიან-უროიანებით, ძემვიან-უროიანებით და მარცვლოვან-ნაირბალახოვანი სტეპის მცენარეებით.

ნახევრად უდაბნოს მცენარეულობა განვითარებულია მეტწილად ვაკე ადგილებში, წაბლა და დამლაშებულ ნიადაგებზე. მცენარეულობა წარმოდგენილია ავშნიანებით (*artemisia lerchiana*) და ხურხუმოიანი (*salsola maduosa*) და ნახევრად უდაბნოს მცენარეულობის სხვა ფორმებით. ავშნიანი დახევრადუდაბნო საუკეთესო ზამთრის საძოვარია.

ჭაობის მცენარეულობა განვითარებულია წყალსაცავებისა და მდინარეების ნაპირებზე, მეტწილად მომცრო ნაკვეთების სახით. შემადგენლობაში დომინირებს ლაქშიანები.

უშუალოდ განსახილველ ტერიტორიაზე ბუნებრივი მცენარეულობა არ გვხვდება, რადგან ტერიტორიაზე სამრეწველო საწარმოთა მშენებლობა-ექსპლუატაციის დროს მოხდა არსებული მცენარეული საფარის განადურება. ამჟამად ტერიტორიის მცენარეული საფარი მეტად ღარიბია. ყოფილი ქიმბოჭვის ქარხნის გაუქმებისა და შენობა-ნეგებობების დაშლის შემდეგ ნიადაგის არ არსების გამო ბალახოვანი მცენარეებიც (უროინებისა და ვაციწვერიანების სახეობები) მცირედ არის წარმოდგენილი. ტერიტორიაზე და მიმდებარედ შემორჩენილია ქარხნის გამწვანების ზოლის ფიჭვის (*Pinus*) ხეები (სურათი 8.7 და სურათი 8.8), ველური თუთის (*Moraceae*), ერთეული კვიპაროსის, იფანის (*Fraxinus*), რცხილის (*Carpinus*) და ხეხილის (ტყემალი (*Prunus cerasifera*), ნუში (*Prunus communis*), ლელვი (*Ficus carica*) ხეები.



სურათი 8.7.



#### სურათი 8.8.

აღმოსავლეთ საქართველოს ვაკისა და დაბლობი ზონის ფაუნა საკმაოდ მრავალფეროვანია. გარდა ველის სახეობებისა, აქ მრავლადაა წარმოდგენილი ჭალის ტყისათვის დამახასიათებელი ცხოველები.

ძუძუმწოვრებიდან აღსანიშნავია შირაქის ქურციკი, ჭალის გარეული ღორი, შველი, ირემი, ევროპული ზღარბი, კავკასიური თხუნელა. თბილისის მიდამოებშია ცნობილი ყველაზე პატარა ძუძუმწოვარი - ფუღუ, რომელიც წითელ წიგნშია შეყვანილი.

აღმოსავლეთ საქართველოს სტეპები, ნათელი ტყეები და ნახევრადუდაბნოები ხელსაყრელ პირობებს უქმნის ქვეწარმავალთა მრავალსახეობას.

საკმაოდ მრავალფეროვანია მთის ტყის ფაუნა. აქ ძუძუმწოვრებიდან აღსანიშნავია გარეული ღორი, შველი, ირემი, კურდღლელი, ციყვი, კავკასიური თრია და სხვ. მტაცებლებიდან კავკასიური მურა დათვი, მგელი, ტურა, მელა, ფოცხვერი და სხვ.

რუსთავის მიმდებარე ტერიტორიებზე, მტკვრის ნაპირებზე, სარწყავი სისტემის მახლობლად და ჯანდარისა და კუმისის ტბებზე მობინადრე, თუ მიგრირებად ხერხემლიან ცხოველთა ფაუნა მრავალფეროვანია. კერძოდ:

50 სახეობის ძუძუმწოვარი: - ღამურები, მათ შორის - ჩვეულებრივი ღამურა; - დიდი და პატარა ზომის მღრღნელები (მათ შორის: -ველის თაგვი, შავი ვირთაგვა, ევროპული კურდღლელი, რუხი ვირთაგვა), მგელი და სხვ.

204 სახეობის ფრინველი: როგორც ტყის, ჭალის, ასევე უდაბნოსა და ნახევარუდაბნოსთვის დამახასიათებელი სახეობებით (მათ შორის: წითელნისკარტა ყურყუმელა, გნოლი, გუგული, დიდი ჭრელი კოდალა, წეროტურფა, ველის არწივი და სხვ).

28 სახეობის ქვეწარმავალი: წარმოდგენილია მცურავებით, ხვლიკებითა და სხვა სახეობებით. ამფიბიების 5 სახეობა. თევზების 25 სახეობა (მათ შორის: შამაია, ამიერკავკასიური გველანა, ჩვეულებრივი ლოქო და სხვა).

უშუალოდ საწარმოს განთავსების ტერიტორია ცხოველთა სახეობებით, მცენარეული საფარის არარსებობისა და საწარმოო ობიექტების სიახლოების გამო, მეტად ღარიბია. ტერიტორიაზე მსხვილი ძუძუმწოვრების არსებობა გამორიცხულია. მოსალოდნელია მხოლოდ სინანტროპული სახეობების გავრცელება. მიტოვებულ და უფუნქციო შენობებში დაფიქსირდა ღამურების არსებობა (Vespertilio), საწარმოს მიმდებარედ გავრცელეულია ბეღურასნაირ (Passeriformes) ფრინველთა რამდენიმე სახეობა, მათ შორის რუხი ყვავი (Corvus corone), ყორანი (Corvus corax), სახლის ბეღურა (Passer domesticus), დიდი წივწივა (Parus major) და სხვა.

## 8.9. ისტორიულ-კულტურული მნიშვნელობის ძეგლები

რუსთავის ისტორიულ-კულტურული მნიშვნელობის ძეგლებიდან აღსანისნავია: რუსთავის კულტურისა და დასვენების პარკი, რუსთავის თეატრი, რუსთავის ციხის კომპლექსი, რუსთავის ნაქალაქარი.

რუსთავის პარკი - ბუნებრივი ტყე-პარკი, „რუსთავის კულტურისა და დასვენების პარკი“, მდებარეობს რუსთავის ცენტრში, ძველი და ახალი რუსთავის დამაკავშირებელ მონაკვეთთან, სადაც გაშენებულია პატარა ხელოვნური ტბა. რუსთავის პარკში მდებაორებს V-VIII საუკუნეების რუსთავის ციხე-სიმაგრე და ნაქალაქარი (სურათი 8.9).



სურათი 8.9.

რუსთავის ციხე (ან რუსთავის ციხე-ქალაქი) — ისტორიული ციხესიმაგრე კუხეთის, რუსთავის ტერიტორიაზე. ციხე წარმოადგენდა თბილისის ირგვლივ დედაქალაქის დასაცავად აგებულ ციხეთაგან ერთ-ერთს. თავისი არსებობის მანძილზე ციხეს ჰქონდა სამი სხვადასხვა პერიოდის ზღუდე. თავდაპირველად (V-VIII საუკუნეები) ზღუდეს ოთხკუთხა კოშკები ჰქონდა, მეორეს, ე.წ. შიდა ზღუდეს, ნახევარწრიული კოშკები. შემდგომ ეს ორივე ზღუდე ერთ ზღუდედ გაუერთიანებიათ (IX-XI საუკუნეები). მესამე, ე.წ. გარე ზღუდეს ჰქონდა გვირაბიანი კარიბჭე (XII-XIII საუკუნეები.). ციხის აღმოსავლეთის მხრიდან ერთდოულად ორი ზღუდე ჰქონდა შემორტყმული. რუსთავის ციხე ერთადერთი ციხეა საქართველოში რომელშიც არის ფრესკები. 2020 წლის 27 აგვისტოს საქართველოს მთავრობის დადგენილების თანახმად მიენიჭა ეროვნული ნიშვნელობის კატეგორია (სურათი 8.10).



სურათი 8.10. რუსთავის ციხე

რუსთავის თეატრი ოფიციალურად გაიხსნა 1967 წლის 30 ნოემბერს. 2004 წელს რუსთავის თეატრი მუნიციპალური სტატუსით ჩამოყალიბდა და შეუერთდა რუსთავის საბავშვო ახალგაზრდული თეატრი (სურათი 8.11),



სურათი 8.11. რუსთავის თეატრი

განსახილველი საწარმოს ტერიტორიის სიახლოეს, კულტურულ-ისტორიული და არქეოლოგიური მნიშვნელობის ძეგლები არ არის განთავსებული.

საპროექტო ტერიტორიიდან უახლოესი კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსის ობიექტი, კოსტავას გამზირზე N21-ში განთავსებული საცხოვრებელი სახლი (სურათი 8.12) პირდაპირი მანძილით დაშორებულია 2600 მ-ით (ნახაზი 8.5).



ნახაზი 8.5.



სურათი 8.12. საცხოვრებელი სახლი მ.კოსტავას 21.


## 8.10. დაცული ტერიტორიები

საპროექტო ტერიტორიიდან უახლოესი დაცული ტერიტორია გარდაბნის აღკვეთილი (საქართველოს ზურმუხტის ქსელი GE- 0000019) – განთავსებულია ტერიტორიის სამხრეთით, 7 კ.მ.-ზე მეტი მანძილით (ნახაზი 8.6.). აღკვეთილი დარსდა 1996 წელს. მისი ფართობი 3 484 ჰექტარია. გარდაბნის აღკვეთილი ამ ტერიტორიაზე არსებულ ტყის კორომთა შენარჩუნების, მათი მდგომარეობის გაუმჯობესებისა და იქ მობინადრე ფაუნის წარმომადგენელთა დაცვის მიზნით შეიქმნა.

გარდაბნის აღკვეთილის ფლორის მთავარი სიმდიდრეა ჭალის ტყეები, რომლის მთავარი ხე-მცენარეებია: ხვალო, ოფი, წნორი, მთრთოლავი ტირიფი, ჭალის მუხა, თელა და პატარა თელადუმა. ქვეტყეში იზრდება კუნძული, დატოტვილი იალღუნი, შინდანწლა და ქაცვი, ლიანებიდან გვხვდება: კატაბარდა, ღვედკეცი და სვია.

გარდაბნის აღკვეთილში ხერხემლიანების, კერძოდ, თევზების 21 სახეობა, ამფიბიების 4 სახეობა, რეპტილების 4 სახეობა, ფრინველების 135 სახეობა და ბუმუმწოვრების 26 სახეობა ბინადრობს, რაც ბიომრავალფეროვნების მაღალ დონეზე მიუთითებს. გარდაბნის დაცულ ტერიტორიაზე ჯერ კიდევ გვხვდება კეთილშობილი ირემი, რომელიც საქართველოს “წითელ ნუსხაშია” შეტანილი.

ნახაზი 8.6.



**9. საქმიანობისა და მისი განხორციელების ადგილის აღტერნატივებისანალიზი**  
საწარმოს განთავსების ადგილის, ტექნოლოგიისა და გამოყენებული მანქანა დანადგარების სწორად შერჩევაზე მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული, როგორც ეკონომიკური საქმიანობის

წარმატება ასევე გარემოს დაცვა. ამიტომაც „გარემოზე ზემოქმედების შეფასების“ დებულების მოთხოვნათა შესაბამისად ანგარიში უნდა შეიცავდეს პროექტის განხორციელების აღტერნატიული ვარიანტების ანალიზსა და ახალი ვარიანტების ფორმირების წესის აღწერას. ამ პროცესში გამოიყენება გადაწყვეტილების მიღების თეორიისა და სისტემური ანალიზის ზოგადი სქემა.

პროექტის აღტერნატიული ვარიანტების ანალიზი, როგორც წესი, გულისხმობს განთავსების ტერიტორიის, ტექნოლოგიის, სიმძლავრეებისა და არქედების აღტერნატივების განხილვას.

რეგულირების გავლენის შეფასების პრაქტიკული სახელმძღვანელოს შესაბამისად, ნებისმიერი რეგულირების გავლენის (მათ შორის გარემოზე ზემოქმედების) შეფასების პროცესში მნიშვნელოვანია იდენტიფიცირებული პრობლემის მოგვარების შესაძლებლობის განხილვა, რომლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია აღტერნატივების გამოვლენა/ჩამოყალიბება

აღტერნატივების შეფასების მთავარი მიზანია მათი გავლენის იდენტიფიცირება და ანალიზი - თუ რა გავლენას ახდენს თითოეული აღტერნატივა ეკონომიკური, სოციალური თუ გარემოს კუთხით ყველა იმ კომპონენტზე, რომელთაც აღტერნატივა შეიძლება შეეხოს.

აღტერნატივების ჩამოყალიბების ეტაპზე ხდება პრობლემის მოგვარების სხვადასხვა შესაძლო ვარიანტების გამოვლენა და მათი შედარებითი ანალიზის საფუძველზე იმ აღტერნატივის გამოკვეთა, რომელიც მიზნის მიღწევის ყველაზე ეფექტური გზა იქნება.

აღტერნატივების ჩამოყალიბების შემდეგ, თითოეული აღტერნატივა უნდა შეფასდეს, რათა გამოვლენილ იქნეს ის აღტერნატივა, რომელიც ყველაზე ეფექტურად და ნაკლები დანახარჯით მოაგვარებს არსებულ პრობლემას და მიგვიყანს მიზნის მიღწევამდე. ზოგადად, ყველა აღტერნატივას აქვს უპირატესობები და ნაკლოვანებები, რაც გამოიხატება ეფექტური განვითარებით.

თითოეულ აღტერნატივას შესაძლოა ზეგავლენა ჰქონდეს ეკონომიკაზე, სოციალურ სფეროზე ან/და ეკოლოგიაზე. ეს ზეგავლენები მაქსიმალურად სიზუსტით უნდა იქნეს გაანალიზებული.

მაშინ როდესაც ყველა სახის ხარჯის და სარგებლის გამოხატვა რაოდენობრივი მაჩვენებლით შეუძლებელია, აღტერნატივების შედარებისას გამოიყენება მრავალკრიტერიუმიანი ანალიზი.

მრავალკრიტერიუმიანი ანალიზის დროს აღტერნატივები ფასდება სხვადასხვა კრიტერიუმით და ხდება ვარიანტების შედარება. ეს მეთოდი ხშირად გამოიყენება იმ შემთხვევებში, როდესაც რთულია ხარჯისა და სარგებლის ფულად ერთეულში გამოსახვა. მრავალკრიტერიუმიანი ანალიზი აფასებს სცენარების დადებით და უარყოფით გავლენებს, რომლებიც მოიცავს რაოდენობრივ, თვისობრივ და ფულად მონაცემებს.

მრავალკრიტერიუმიანი ანალიზის დროს, როგორც წესი, აღტერნატივები შემდეგი ძირითადი კრიტერიუმებით ფასდება:

ეფექტურობა - რამდენად პასუხობს თითოეული აღტერნატივა გადასაჭრელ ამოაცანებს;

ზეგავლენები - აღტერნატივების შეფასება ეკონომიკური, საზოგადოებრივი, გარემოსდაცვითი გავლენის კუთხით;

კონკრეტული ზეგავლენები (საჭიროების შემთხვევაში) - გავლენა მცირე და საშუალო საწარმოებზე, ფუნდამენტური უფლებების დაცვის ხარისხი, ზეგავლენა მოწყვლად ჯგუფებზე და სხვა;

ეფექტიანობა (ხარჯ-სარგებლიანობის ანალიზი და ხარჯ-ეფექტიანობის ანალიზი).

კრიტიკულები შემდგომ უნდა დაიშალოს ქვეკრიტიკულებად, იმის გათვალისწინებით, თუ რამდენად კომპლექსურია ალტერნატივა და მისგან გამოწვეული ზეგავლენა.

მაგალითად, გარემოზე ზეგავლენის ქვე-კრიტიკულები შეიძლება იყოს: წყლის რესურსების (მდინარის, ზღვის, ტბის) დაცვა, გამონაბოლქვის შემცირება, ნიადაგის ეროზიის პრევენცია, ტყის მდგრადი განვითარება და სხვა.

ალტერნატივის შერჩევის მთავარი პროცესია ალტერნატივების შედარება.

ალტერნატივების შედარება მიზნად ისახავს, შეირჩეს ის ალტერნატივა, რომელიც ყველაზე ოპტიმალური და ნაკლებდანახარჯიანია მიზნის მისაღწევად.

## 9.1. ნულოვანი, ანუ არქმედების ალტერნატივა

ე.წ. ნულოვანი ვარიანტის განხილვა გულისხმობს დაგეგმილი საქმიანობის არ განხორციელებას, მოცემულ შემთხვევაში საქმიანობის არ განხორციელებით არ გვექნება გარემოს ცალკეულ კომპონენტებზე უარყოფითი ზემოქმედება, თუმცა აღნიშნული უარყოფითად აისახება ქვეყნის სოციალურ ეკონომიკურ განვითარებაზე.

საქმიანობის არ განხორციელების ალტერნატივად, თუ განვიხილავთ არსებული შენობა ნაგებობის უფუნქციონ ყოფნას, რამდენიმე წელიწადში მოსალოდნელია იგივე სურათის მიღება, რაც მის ირგვლივ არსებულ ტერიტორიებზე (სურათი N9.1. და N9.2.).



სურათი N9.1.



სურათი N9.2.

წლების განმავლობაში უფუნქციობის გამო შენობას დაწყებული აქვს დაშლა (სურათი N9.3.), რაც ბუნებრივია გაგრძელდება და რამდენიმე წელში შეუძლებელი იქნება მისი რეაბილიტაცია/გამოყენება, დროთა განმავლობაში ტერიტორიაზე დარჩება სამშენებლო ნარჩენების გროვა, რაც თავისთავად უარყოფითად აისახება არსებულ ბუნებრივ გარემოზე,

ლანდშაფტზე. უფუნქციოდ დარჩება არასასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთი, რომლის გამოყენება აქტუალურია მიწის ფონდის რაციონალური გამოყენებისათვის.



#### სურათი N9.3. შენობის ხედი ჩრდილო-დასავლეთიდან

საქმანობის არ განხორციელება უარყოფითად აისახება სოციალურ-ეკონომიკური გარემოს განვითარებაზე, რადგან საქმიანობის დაგეგმვა მოხდა ბაზარზე არსებული მოთხოვნის გათვალისწინებით, წარმოებული პროდუქცია ხელს შეუწყობს ექსპორტის შემცირებას და ბაზრის მოთხოვნის ნაწილის დავმაყოფილებას ადგილობრივი წარმოების მასალებით. ამასთან შენობის გარემონტება, გარე ტერიტორიის მოწესრიგება დადებითად აისახება არსებულ დეგრადირებულ ლანდშაფტზე, ხელს შეუწყობს უფუნქციო მიწის რესურსების რაციონალურ გამოყენრბას.

ობიექტის მოწყობისა და ექსპლუატაციის დროს დაცული იქნება გარემოსდაცვითი კანონმდებლობის მთხოვნები, ამ პირობებში გარემოზე უარყოფითი ზემოქმედება იქნებადაბალი, სოციალური და ეკონომიკური სარგებელი კი მნიშვნელოვანი.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით გადაწყვეტილება მიღებული იქნა საქმიანობის განხორციელების სასარგებლოდ.

## 9.2. საწარმოს განთავსების ალტერნატივა

საწარმოს განთავსების ტერიტორიის შერჩევა განხორციელდა პროექტის დაგეგმვის ადრეულ ეტაპზე. ინვესტორის მიერ დაგეგმილი საქმიანობის განხორციელებისათვის საწარმოს მოსაწყობად შესაფერისი მიწის შესყიდვის მიზნთ, თბილისისა და რუსთავის მიმდებარე ტერიტორიებზე შერჩეული იქნა რამოდენიმე მიწის ნაკვეთი.

პირველი ალტერნატიული მიწის ნაკვეთი (საკ. კოდი. 01.19.17.001.022) განთავსებულია თბილისში, კახეთის გზატკეცილის მიმდებარედ, სამეწარმეო ზონაში. მიწა არასასოფლო-

სამეურნეო დანიშნულებისაა, ფართობი შეადგენს 1911 მ<sup>2</sup>. ტერიტორიის ირგვლივ განთავსებულია არასაოფლო-ამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთები. მისასვლელი გრუნტის გზა შემოდის ამილახვარის ქუჩიდან, ტერიტორიიდან კახეთის გზატკეცილი დაშორებულია 400 მ-ით, ამილახვარის ქუჩა 150 მ-ით. სამხრეთით 250 მ-ში განთავსებულია საქართველოს ეროვნული ბანკის შენობა. უახლოესი მოსახლე მდებარეობს დასავლეთით, ტერიტორიიდან 250 მ-ში. ტერიტორიაზე არ არის შენობა-ნაგებობები, ხე მცენარეები. დაფარულია ტექნოგენური ნაყარით. ტერიტორიის განთავსება მოცემულია ნახაზე N9.1.



ნახაზი N9.1.

მეორე ალტერნატიულ ვარიანტად შერჩეული იქნა რუსთავის სამრეწველო ზონა, რადგან გასულ საუკუნეში არსებული საწარმოო ობიექტები და ტერიტორიები ამორტიზებული და დანგრეულია. მათი აღდგენა აქტუალურია მიწის ფონდის რაციონალური გამოყენების თვალსაზრისით. ამის გათვალისწინებით განხილულ იქნა ყოფილი ქიმიური ბოჭკოს საწარმოს ტერიტორიები. კერძოდ, განხილული იქნა ნაკვეთები(ნახაზი9.2):

- 02.07.01.645
- 02.07.01.518
- 02.07.01.518

სამივე ნაკვეთი განთავსებულია სამრეწველო ზონაში, მათზე გასულ საუკუნეში ფუნქციონირებდა რუსთავის ქიმიური ბოჭკოს მიწის ფონდი.



ნახაზი N9.2.

- 02.07.01.645 ნაკვეთის დაზუსტებული ფართობი შეადგენს 438134 მ<sup>2</sup>, განიხილებოდა ტერიტორიის სამხრეთ დასავლეთ ნაწილის 27700 მ<sup>2</sup>-ის გამოსყიდვა, მასზე საწარმოო შენობისა და სხვა საჭირო ინფრასტრუქტურის მოწყობა. ტერიტორიაზე არ არის შემორჩენილი შენობა-ნაგებობი, ნიადაგის ნაყოფიერი ფენა, ხე მცენარეები (სურათი 9.4.). თუმცა დარჩენილია ყოფილი ქიმბოჭვის ტექნიკური დანიშნულების ბეტონის ავზი, რომელიც ნაწილობრივ ამოვსებულია გრუნტით და წვიმის დროს დგება წყალი. შემორჩენილია ასევე სხვა სამშენებლო ნარჩენები.
- 02.07.01.518 ნაკვეთის ფართობი შეადგენს 119571 მ<sup>2</sup>-ს. ტერიტორია თავისუფალია შენობა-ნაგებობებისაგან, შემორჩენილია ერთეული ფიჭვის და თუთის ხეები, დაფარულია სამშენებლო ნარჩენებით და ტექნიკური ნაყარით. ნიადაგის ფენა არ არის შენარჩუნებული (სურათი 9.5.).
- 02.07.01.299 მიწის ნაკვეთის დაზუსტებული ფართია 5052 მ<sup>2</sup>. მასზე განთავსებულია 1056,7 მ<sup>2</sup> შენობა, რომელშიც განთავსებული იყო ყოფილი ქიმბოჭვის მექანიკური საამქრო. შენობა რკინა-ბეტონის მზიდი კონსტრუქციებისაა, წინასწარი შემოწმებისა და შეფასების მონაცემებით ვარგისია საწარმოოდ გამოსაყენებლად. ტერიტორიაზე

ჩრდილო-აღმოსავლეთის მხრიდან შემორჩენილია რამდენიმე ხე-მცენარე. თავისუფალ ტერიტორიაზე არ არის შემორჩენილი ნიადაგის ფენა.

სამივე ნაკვეთი უახლოესი საცხოვრებელი სახლიდან დაშორებულია 800 მ-ზე მეტი მანძილით. ირგვლივ განთავსებულია სამრეწველო (მოქმედი და ყოფილი) საწარმოთა ტერიტორიები.

ნაკვეთებს შორის არჩევანის გავეთება მოხდა შემდეგი კრიტერიუმების გათვალისწინებით: მდებარეობა, საკმარისი ფართობი, მოსახლეობიდან დაშორება, ინფრასტრუქტურული ობიექტების სიახლოვე, საწარმოს მოსაწყობად საჭირო სამუშაოების მოცულობა.

მოსახლეობიდან დაშორებისა და საწარმომდე მისასვლელი გზის დასახლებული პუნქტიდან დაშორების თვალსაზრისით, ასევე კვალიფიციური ადამიანური რესურსების მისაწვდომობის თვალსაზრისით, არჩევანი შეჩერებული იქნა რუსთავში განთავსებულ მიწის ნაკვეთებზე.

რუსთავის ტერიტორიაზე სამივე ვარიანტის განხილვისა და შეფასების შედეგად საქმიანობის განხორციელებისათვის არჩეული იქნა მე-3 ამიწის ნაკვეთი შემდეგი გარემოებების გამო:

1. განთავსებულია სამრეწველო ზონაში;
2. უახლოესი საცხოვრებელი სახლიდან დაშორებულია 1 კმ-ზე მეტი მანძილით;
3. ტერიტორიასთან ახლოსაა ინფრასტრუქტურული ობიექტები (გზა, მშვიდობის ქუჩიდან საწარმომდე მისასვლელი გზა არ გაივლის დასახლებულ უბნებს) წყალსადენი, კანალიზაცია, ცენტრალური სანიაღვრე ქსელი, ელ.კვების ქვესადგური);
4. წინასწარი შეფასებით ტერიტორიის ფართობი საკმარისი და ოპტიმალურია დაგეგმილი საქმიანობის განსახორციელებლად.
5. მიწის ნაკვეთზე შემორჩენილია ძველი შენობა, რომელშიც განთავსებული იყო რუსთავის ქიმბოჭვის მექანიკური საამქრო. შენობა მოწყობილია მყარ, რკინაბეტონის საძირკველზე, რკინაბეტონის მზიდი კონსტრუქციებით, გადახურულია რკინაბეტონის ფილებით, კედლები შევსებულია რკინაბეტონის ფილებით, ბეტონის ბლოკით და აგურით. ზედა ნაწილში ჩასმულია ლითონის ჩარჩოინი ფანჯრებით. შენობის სათანადო შემოწმებით დადგინდა რომ მისი კონსტრუქციების სიმტკიცე საშუალებას იძლევა შენობა გამოყენებული იქნას დაგეგმილი საქმიანობისათვის. გარემონტების შემთხვევაში მასში განთავსდება როგორც ძირითადი საწარმო უბნები, ასევე ადმინისტრაციულ-საყოფაცხოვრებო სათავსო. ტერიტორიის თავისუფალი ფართი საკმარისია ნედლეულის მიღება-დასაწყობების ბაქნისა და სხვა საჭირო განყოფილებების მოსაწყობად, ასევე შიდა ტერიტორიაზე გადაადგილებისათვის. ამდენად საწარმოს მოსაწყობად საჭირო არ არის სამშენებლო სამუშაოების ორგანიზება.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საწარმოს მიერ არჩევანი გაკეთდა რუსთავის ტერიტორიაზე განთავსებულ მესამე მიწის ნაკვეთზე საკ. კოდი 02.07.01.299.



სურათი 9.4.



სურათი 9.5.

### 9.3. ტექნოლოგიური ალტერნატივები

პრაქტიკაში ცნობილია ფოლადის დნობის მეთოდები

- მარტენის მეთოდი;
  - ელექტროფოლადსადნობი მეთოდი;
  - ჟანგბად-კონვერტორული მეთოდი.
    - ✓ მარტენის მეთოდი ითვალისწინებს სპეციალური ღუმელების გამოყენებას რომელთაც შეუძლიათ ნედლეული გაახურონ  $2000^{\circ}\text{C}$ -მდე. ლეგირებული ფოლადის წარმოებისას შესაძლებელია სხვადასხვა მინარევების დამატებით იშვიათი შემადგენლობის ფოლადის მიღება.
    - ✓ ელექტროფოლადსადნობი მეთოდი.
- მაღალხარისხოვანი მასალის მისაღებად ფოლადის წარმოება ხდება ელექტროდუმელებში. ნედლეულის გასაცხელებლად ელექტროენერგიის გამოყენებით

შესაძლებელია ზუსტად გაკონტროლდეს ჟანგვის პროცესი და წიდის წარმოქმნა. აღნიშნული ტექნოლოგია იძლევა მავნე ნივთიერებების (მაგალითად ფოსფორის და გოგირდის) შემცირების შესაძლებლობას.

- ✓ ჟანგბად-კონვერტორული მეთოდის დროს, ფოლადის უწყვეტი ჩამოსხმისას ინტენსიურად მიმდინარეობს ჟანგბადის აქტიური შებერვა.

იმის გათვალისწინებით, რომ საწარმოს დაგეგმილი აქვს წელიწადში 2000 ტ. სხმულების წარმოება, დღეში 8 საათიანი მუშაობის რეჟიმით, შერჩეული იქნა ყველაზე გამართლებული ელექტროფორადსადნობი მეთოდი. ელექტროსადმონბი მეთოდებიდან ცნობილია ინდუქციური და ელექტრორკალური მეთოდები.

ინდუქციურ ღუმელის უპირატესობაა გარემოში გამოყოფილი მავნე აირების სიმცირე, ექსპლუატაციის სიმარტივე, მცირე წარმადობის დროს მოხერხებულობა და გაბარიტები.

ელექტრო რკალურ ღუმელში მიიღება უფრო მაღალი ხარისხის ნადნობი, მოსახერხებელია უწყვეტი (24 საათიანი) დნობის რეჟიმის დროს.

ამ ორ მეთოდს შორის უპირატესობა მიენიჭა ინდუქციურ ღუმელს, გარემოზე ზემოქმედების თვალსაზრისით, მისი მცირე გაბარიტისა და წარმადობის გამო. ასევე საწარმოს გეგმავს იმუშაოს 8 საათიანი რეჟიმით, რომლისთვისაც ყველეზე გამართლებულია ინდუქციური დნობა. ასევე, ინდუქციურ ღუმელში მიღებული ნადნობის ხარისხი აკმაყოფილებს დაგეგმილი საქმიანობის მოთხოვნებს.

იმის გათვალისწინებით, რომ ინდუქციური ღუმელების გამოყენების დროს ატმოსფეროში გამოყოფილი მავნე აირების რაოდენობა მცირეა, გავრცელებული პრაქტიკაა ღუმელების დამონტაჟება აირმტვერდამჭერი მოწყობილობების გარეშე. თუმცა, ქ.რუსთავის ატმოსფერული ჰაერის მდგომარეობისა და „ქ. რუსთავის ატმოსფერული ჰაერის ხარისხის გაუმჯობესების სამოქმედო გეგმა 2020-2022“ -ის გათვალისწინებით, მიღებული იქნა გადაწყვეტილება აირგამწოვი სისტემისა და მაღალეფექტური (ქსოვილოვანი ფილტრი) გამწმენდი მოწყობილობის დამონტაჟების შესახებ.

#### **9.4. მწარმოებლურობის შემცირება-გაზრდის ალტერნატივა**

საწარმოს სამუშაო რეჟიმისა და მწარმოებლურობის დაგეგმვა მოხდა საქმიანობის განმახორციელებლის შესაძლებლობების, შერჩეული ტექნოლოგიური დანადგარების ოპტიმალური მუშაობის მაჩვენებლებისა და ბაზრის კვლევის შესაბამისად.

იმ შემთვევაში თუ საწარმო გადაწყვეტს მწარმოებლურობის გაზრდას, გაივლის კანონით გათვალისწინებულ სათანადო პროცედურებს.

## 10. გარემოზე ზემოქმედების შეფასება

### 10.1. ზემოქმედების შეფასების მეთოდოლოგია და კრიტერიუმები

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი”-ს მე-10 მუხლის მე-3 ნაწილით დადგენილია მოთხოვნები გზშ-ს ანგარიშის მიმართ, რომელთა შესასრულებლად, საპროექტო ტერიტორიაზე ჩატარდა დეტალური საველე კვლევები და მოხდება მონაცემების მეთოდური და პროგრამული დამუშავება. კვლევა და კვლევის შედეგების დამუშავება განხორციელდა შესაბამისი დარგის სპეციალისტების მიერ.

გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის მომზადების ეტაპზე დაგეგმილი საქმიანობის აღწერის მიზნით განხორციელდა:

- ❖ საპროექტო და მისი მიმდებარე ტერიტორიის ვიზუალური დათვალიერება. პროგრამული მეთოდების საშუალებით დაზუსტდება მანძილი საპროექტო ტერიტორიასა და უახლოეს დასახლებულ პუნქტს, ასევე ზედაპირულ წყლის და სამრეწველო ობიექტს შორის. შესწავლილი იქნება ტერიტორიის გეოლოგიური და ჰიდროგელოგიური პირობები.
- ❖ დეტალურად მოხდება ტექნოლოგიური ციკლის აღწერა. მოცემული იქნება დაზუსტებული ინფორმაცია გამოყენებული მანქანა-დანადგარების საპასპორტო პარამეტრების შესახებ.
- ❖ გზშ-ს ეტაპზე დაზუსტდება ტექნოლოგიური პროცესის დროს გამოყოფილი მავნე ნივთიერებების სახეობა და რაოდენობა, გამოყოფისა და ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვევების და ხმაურის წყაროები. მავნე ნივთიერებათა ემისიების და ხმაურის გავრცელების გაანგარიშება შესრულდება შესაბამისი მეთოდური და ნორმატიული დოკუმენტების გამოყენებით. ყველზე არახელსაყრელი პირობებისთვის განისაზღვრება საანგარიშო წერტილებში მოსალოდნელი ცვლილებები. გაანგარიშების პროცესში გათვალისწინებული იქნება საპროექტო არეალში არსებული ჰაერის დაბინძურების და ხმაურის გავრცელების წყაროების არსებობა. მიღებული შედეგები შედარდა საქართველოში მოქმედ ნორმატიულ დოკუმენტებს; შემუშავდება ზდგ ნორმების პროექტი.
- ❖ გზშ-ს ეტაპზე, საველე კვლევის მეთოდის და ატმოსფერულ ჰაერში ემისიებისა და ხმაურის გავრცელების მოდელირების საშუალებით გამოვლენილი იქნება გარემოს ის კომპონენტები, რომელზეც შესაძლებელია საქმიანობის განხორციელებამ ძლიერი ზემოქმედება მოახდინოს. წინასწარი შეფასებით, ზემოქმედება დაკავშირებული იქნება ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებებისა და ხმაურის გავრცელებასთან. ზემოქმედება ასევე მოსალოდნელია ნიადაგზე. რაც შეხება ზემოქმედების მასშტაბებს, წინასწარი შეფასებით, ზემოქმედება არ იქნება მნიშვნელოვანი.
- ❖ წყლის გარემოსა და ნიადაგის ხარისხობრივ მდგომარეობაზე ზემოქმედების მნიშვნელობის შეფასებისას გათვალისწინებული იქნება არსებული ხარისხობრივი მდგომარეობა,

ზედაპირული წყლებიდან დაცილების მანძილი და საპროექტო საწარმოს ტექნოლოგიური პროცესების სპეციფიურობა; ტერიტორიაზე დაზუსტდება ნიადაგის ნაყოფიერი ფენის არსებობა და საჭიროების შემთხვევაში ღონისძიებები ჩატარდება მოქმედი ნორმების შესაბამისად.

- ❖ გზშ-ს ანგარიშში განხილული იქნება როგორც ტერიტორიის შერჩევის ასევე ტექნოლოგიის ალტერნატივები, მათ შორის ნულოვანი ალტერნატივა.
- ❖ დეტალურად იქნება შესწავლილი საპროექტო ტერიტორიების ბიოლოგიური საფარის აღწერილობა და ზემოქმედების სახეები.
- ❖ გზშ-ს ეტაპზე განხილვას დაექვემდებარება გარემოს კომპონენტები. ზემოქმედების შეფასებისთვის გამოყენებული იქნება კომპიუტერული და ანალიტიკური მეთოდები.

ზემოქმედების შეფასებისას გათვალიწინებული იქნება შემდეგი საკითხები:

- გარემოზე, გრძელვადიანი ზემოქმედება პროექტის სასიცოცხლო ციკლის მთელს პერიოდში;
- ავარიული შემთხვევებით, ბუნებრივი ან ტექნოგენური კატასტროფებით გამოწვეული ზემოქმედება;
- დამხმარე ინფრასტრუქტურის მოვლის დროს მოსალოდნელი ზემოქმედება;

ზემოქმედების შეფასებისას გამოყენებული იქნება შემდეგი მიდგომები:

- ზემოქმედების დონე შეფასდება საკანონმდებლო მოთხოვნების გათვალისწინებით, მათ შორის ბუნებრივი და სოციალური გარემოს რეცეპტორების რაოდენობის, მნიშვნელოვნების და სენსიტიურობის გათვალისწინებით;
- ზემოქმედების შეფასებისას გათვალისწინებული იქნება საქართველოს და საერთაშორისო სტანდარტები და სახელმძღვანელო დოკუმენტები;
- ზემოქმედების ყოველი ტიპისთვის აღიწერება ზემოქმედების დონის შეფასებისთვის გამოყენებული მეთოდები და რის საფუძველზე ენიჭება მას ესა თუ ის დონე;

ზემოქმედების მნიშვნელოვნება განისაზღვრება მოსალოდნელი შედეგებისა და ზემოქმედების ალბათობის გათვალისწინებით. მოსალოდნელი შედეგები შეფასდება შემდეგი კრიტერიუმებით:

- მასშტაბი/არეალი - ზემოქმედებით მოცული ტერიტორია (ლოკალური, რეგიონალური, ქვეყნის მასშტაბის);
- ინტენსივობა - ზემოქმედების სიდიდე (ნულოვანი, დაბალი, საშუალო, მაღალი);
- ხანგრძლივობა - დროის ის მონაკვეთი, რომლის განმავლობაშიც ზემოქმედებას უქნება ადგილი (ნულოვანი, მოკლევადიანი, საშუალო ხანგრძლივობის, გრძელვადიანი);

ზემოთ წარმოდგენილი სამი კრიტერიუმის კომბინაციით მოხდება ზემოქმედების შედეგების რანჟირება (უმნიშვნელო, ძალიან დაბალი, დაბალი, საშუალო, მაღალი).

- ზემოქმედების შედეგების შეფასების შემდეგ განისაზღვრება ზემოქმედების ალბათობა, რისთვისაც განხილული იქნება შემდეგი რანჟირება: ნაკლებსავარაუდო, სავარაუდო, შესაძლებელი, გარდუვალი.

- რეცეპტორის მნიშვნელოვნება/ სენსიტიურობა განისაზღვრება მრავალი კრიტერიუმის გათვალისწინებით. გამოიყენება A-დან E-მდე შკალა (A = ძალიან დაბალი; B = დაბალი; C = საშუალო; D = ძალიან ძალი; E = ძალიან მაღალი).
  - ზემოქმედების მნიშვნელოვნება განისაზღვრება ზემოქმედების შედეგისა და ალბათობის გათვალისწინებით, რანჟირების შემდეგი შკალის გამოყენებით: უმნიშვნელო, ძალიან დაბალი, დაბალი, საშუალო, მაღალი ან ძალიან მაღალი. ზემოქმედების შეფასებისას ასევე განხილული იქნება მისი ხასიათი (დადებითი ან უარყოფითი), რეცეპტორის სენსიტიურობა და გარემოში მოსალოდნელი ცვლილების მასშტაბი.
- ზემოქმედების სიდიდის დასახასიათებლად გამოყენებული იქნება შკალა 1-დან 5-მდე. (1 = ძალიან დაბალი; 2 = დაბალი; 3 = საშუალო; 4 = ძალიან ძალი; 5 = ძალიან მაღალი). სიდიდის შეფასებისას მოხდება ზომის, მასშტაბის, ინტენსიურობის, გეოგრაფიული საზღვრების, ხანგრძლივობის, სიხშირის, შექცევადობის და ხასიათის გათვალისწინება.
- ❖ გაანალიზებული და ანგარიშში ასახულია ობიექტზე მოსალოდნელი ინციდენტები და ავარიული სიტუაციები. შემუშავდება ინციდენტებზე და ავარიულ სიტუაციებზე რეაგირების გეგმა, მონიტორინგისა და ზემოქმედების შემცირების სამოქმედო გეგმა, ნარჩენების მართვის დეტალური გეგმა. აღნიშნულის განხორციელება მოხდება ტექნიკური რეგლამენტების მოთხოვნების გათვალისწინებით და პრაქტიკული გამოცდილების ანალიზის საშუალებით.

## 10.2. გარემოზე ზემოქმედება საწარმოს მოწყობის პროცესში

ამ ეტაპზე საწარმოს ტერიტორიაზე შემოზიდულია ტექნოლოგიური დანადგარების ის ნაწილი რომელიც შეკვეთილი იყო უცხოეთში, ეს დანადგარებია: ღუმელები, სრული კომპლექტაციით (ორი ღუმელი, ტრანსფორმატორი, წყლის გამწმენდი დანადგარი; ფილტრები; კვამლგამწოვი). საწარმოს ტერიტორიაზე მოტანადე განხორციელდა მათი დროებითი (დამონტაჟებამდე) განთავსების ბაქნებისა და სადგამების მოწყობა. დანადგარები გადმოტვირთული და განთავსებულია მათი დასამონტაჟებელი ადგილების მიმდებარედ, ან სადგამებზე. საწარმოს მოსაწყობად საჭიროა შემდეგი სამუშაოების ორგანიზება.

- საწარმოო კორპუსის სარემონტო- აღდგენითი სამუშაოები;
- ტექნოლოგიური დანადგარებისათვის საძირკვლებისა და საყრდენების მოწყობა;
- შენობის გარე ინფრასტრუქტურის მოწყობა;
- ჯართის მიმღები ბაქნისა და წიდების დროებითი განთავსების ბაქნის მობეტონება;
- წყლის და ჰაერგამწმენდი სისტემების მონტაჟი;
- ტექნოლოგიური დანადგარების სამონტაჟო სამუშაოები;
- სხვა საჭირო ტექნოლოგიური დანადგარების შესყიდვა, შემოზიდვა, მონტაჟი.

მოწყობის პროცესში გარემოზე ზემოქმედების შეფასება განხორციელდა აღნიშნული რეალობის გათვალისწიებით.

### 10.2.1. ზემოქმედება ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე

საწარმოს შენობის რემონტისა და ტექნოლოგიური დანადგარების მონტაჟის პროცესში, სამშენებლო მოედანზე დაბინძურების სტაციონალური წყაროები არ არის. შესაბამისად არ

მომხდარა ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვევების ფაქტობრივი რაოდენობის განსაზღვრა მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების დადგნის მიზნით.

სამშენებლო მოედანზე მოსალოდნელია ემისიები სამშენებლო ტექნიკის მუშაობის და შედუღების სამუშაოების (არასტაციონალური წყაროები) დროს.

#### **10.2.1.1. ემისიები სამშენებლო ტექნიკის მუშაობისას.**

სარემონტო სამუშაოების დროს გამოყენებული იქნება სამშენებლო ტექნიკა და სატვირთო ავტოტრანსპორტი. სამონტაჟო სამუშაოების პროცესში გამოყენებული იქნება ავტომანქანებზე დამონტაჟებული ამწე მექანიზმები.

შენებლობისპროცესში სამშენებლო კომპანიამ უნდა უზრუნველყოს ტექნიკურად გამართული მანქანა-მექანიზმების გამოყენება, რათა არ მოხდეს გამონაბოლქვი აირების შემცველობის გადამეტება ზღვრულ დასაშვებ კონცენტრაციებზე. სამშენებლო ტექნიკის მუშაობის დროს მოსალოდნელი ემისიების სახეობა, მაქსიმალური ერთჯერადი და საშუალო დღელამური ზღვრულად დასაშვები კონცენტრაციები მოცემულია 10.1. ცხრილში.

ცხრილი 10.1.

მავნე ნივთიერებათა		ზდკ, მგ/მ³		საშიშროების კლასი
დასახელება	კოდი	მაქს.ერთჯერადი	საშუალო დღელამური	
1	2	3	4	5
შეწონილი ნაწილაკები	2902	0,5	0,15	3
არაორგანული მტვერი: 70-20% SiO <sub>2</sub>	2908	0,5	0,15	3
აზოტის დიოქსიდი (აზოტის (IV) ოქსიდი)	0301	0,2	0,04	2
აზოტის ოქსიდი(აზოტის(II)ოქსიდი)	0304	0,4	0,06	3
ნახშირბადის ოქსიდი	0337	5	3	4
ნაჯერი ნახშირწყალბადები	2754	1	-	4
ნახშირბადი(ჭვარტლი)	0328	0,15	0,05	3
გოგირდი	0330	0,5	0,05	3

სამშენებლო სამუშაოების დროს გამოყენებული იქნება ბენზინისა და დიზელის ძრავიანი ტექნიკა. ლიტერატურული მონაცემებით [19], ბენზინისა და დიზელის ძრავიანი ტექნიკის მუშაობისას მავნე ნივთიერებათა ხვედრითი მაჩვენებლები მოცემულია ცხრილებში 10.2 და 10.3.

ცხრილი 10.2. გაფრქვევის ხვედრითი მნიშვნელობები ბენზინის ძრავიდან

ძრავის ნომინალური სიმძლავრე,კვტ	ხვედრითი გამოყოფა, გ/წთ			
	CO	CH	NO <sub>2</sub>	SO <sub>2</sub>
21-35	18	4,7	0,7	0,023
36-60	23,3	5,8	1,2	0,029
61-100	25,0	6,1	1,7	0,042
101-160	35,0	6,9	3,4	0,058
161-200	57,0	7,0	4,5	0,095
მეტი 200	90,0	7,5	7,0	0,15

ცხრილი 10.3. გაფრქვევის ხვედრითი მნიშვნელობები დიზელის ძრავის გათბობისას

ძრავის ნომინალური სიმძლავრე,კვტ	ხვედრითი გამოყოფა, გ/წთ		
	CH	NO <sub>2</sub>	SO <sub>2</sub>
20-მდე	0,16	0,14	0,022
21-35	0,29	0,26	0,042
36-60	0,47	0,44	0,072
61-100	0,78	0,72	0,12
101-160	1,27	1,17	0,2
161-260	2,05	1,91	0,31
მეტი 260	3,22	3,0	0,2

## 10.2.2. ემისიების საშემდუღებლო სამუშაოების დროს.

ტექნოლოგიური მოწყობილობების მონტაჟის პროცესში საშემდუღებლო სამუშაოების შესრულებისას, დღეში გამოყენებული ელექტროდის მაქსიმალური რაოდნენობა იქნება 40 კგ- მდე. შედუღების პროცესში დამაბინძურებელ ნივთიერებათა გამოყოფის (ემისიის) განსაზღვრისათვის გამოიყენება საანგარიშო მეთოდები დამაბინძურებელ ნივთიერებათა კუთრი გამოყოფის დახმარებით. ტექნიკური რეგლამენტის 69-ე დანართის მიხედვით ელექტროდების გამოყენებით ლითონების შედუღებისას გამოყოფილი შედუღების აეროზოლის ხვედრითი რაოდენობა საშუალოდ შეადგენს 20გ/კგ.

შედუღების პროცესში წარმოქმნილი შედუღების აეროზოლის დღიური რაოდენობა და წამური ინტენსიობა იქნება:

$$G=40 \times 20/10^3=0,8 \text{ კგ/დღ.}$$

$$M=0,8 \times 10^3/8 \times 3600=0,027 \text{ გ/წმ}$$

გაანგარიშებიდან ჩანს, რომ გამოყოფილი მავნე ნივთიერებების დღიური რაოდენობა და წამური ინტენსივობა ძალიან დაბალია. სამუშაოები გაგრძელდება ერთ თვემდე ვადით, ამასთანპროცესი არ წარმოადგენს დაბინძურების სტაციონალურ წყაროს, საჭირო არ არის ზღვრული დასაშვები გაფრქვევის ნორმების დადგენა.

### **10.2.3. ხმაურის ზემოქმედება მშენებლობის პროცესში**

ხმაურის წარმოქმნა და გავრცელება მოსალოდნელია სარემონტო-სამონტაჟო სამუშაოების ორგანიზების პროცესში სამშენებლო მასალების შემოზიდვის, მძიმე ტექნიკისა და ავტოტრანსპორტის მუშაობის შედეგად. სამუშაოების უმეტესი ნაწილი იწარმოებს კაპიტალური შენობის შიგნით, დღის ნათელ პერიოდში. მშენებლობის პროცესში გათვალისწინებულია ექსკავატორის, ამწემექანიზმები, ავტოთვითმცლელების გამოყენება. ყველა მათგანი წარმოადგენს ხმაურის წყაროს. მათი მუშაობისას ხმაურის დონეების მნიშვნელობები შემდეგია:

- ექსკავატორი-85 დბა
- ამწე-85 დბა;
- ავტოთვითმცლელი-88 დბა;

უახლოესი საცხოვრებელი სახლი ობიექტიდან დაშორებულია 1600 მ-ით, ამიტომ მასზე რაიმე ზემოქმედება პრაქტიკულად გამორიცხულია.

### **10.2.4. ნიადაგზე და გრუნტის ხარისხზე ზემოქმედება**

მოწყობის პროცესში ნიადაგზე უარყოფითი ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის, რადგან საპროექტო ტერიტორია წლების განმავლობაში წარმოადგენდა რუსთავის ქიმბოჭკოს მექანიკურ საამქროს, ტერიტორიაზე ნიადაგის ნაყოფიერი ფენა შენარჩუნებული არ არის. ძირითადი სარემონტო და სამონტაჟო სამუშაოები განხორციელდება შენობის შიგნით. საწარმოს და მიმდებარე ტერიტორია დაფარულია ტექნოგენური ნაყარით და ღორღით.

გრუნტის ხარისხსზე არაპირდაპირი ზემოქმედება მოსალოდნელია სამშენებლო ტექნიკიდან და სატრანსპორტო საშუალებებიდან საწვავ-საპოხი ნივთიერებების დაღვრით, ნარჩენების არასწორი მართვით.

საწარმოს მოწყობის ეტაპზე გრუნტის დაბინძურების თავიდან აცილების მიზნით მკაცრად იქნება დაცული: სამშენებლო ტექნიკის ტექნიკური გამართულობა, საწარმოს მოედანზე არ დაიშვება ტექნიკა, რომლიდანაც ჟონავს ზეთი; ნარჩენების მართვის საკითხები, რათა გამოირიცხოს ნარჩენებით ტერიტორიის დაბინძურება.

### **10.2.5. ნარჩენების წარმოქმნა მშენებლობის ეტაპზე**

საწარმოს შენობის აღდგენის ეტაპზე მოსალოდნელია საყოფაცხოვრებო და სამშენებლო ნარჩენების წარმოქმნა. საყოფაცხოვრებო ნარჩენების რაოდენობა დამოკიდებულია სარემონტო-სამონტაჟო სამუშაოებზე დასაქმებული ადამიანების რაოდენობაზე. მშენებლობის ხანგრძლივობა შეადგენს 4 თვეს, დასაქმებული ადამიანების რაოდენობა საშუალოდ დღეში 5-7 ადამიანი. წარმოქმნილი საყოფაცხოვრებო ნარჩენების რაოდენობა იქნება  $7 \times 0.73 \times 4/12 = 1.7$  კუბ. მ. საყოფაცხოვრებო ნარჩენების შეგროვება მოხდება სათანადო კონტეინერში და გაიტანება რუსთავის მუნიციპალური სამსახურის მიერ, კონტრაქტის საფუძველზე.

საწარმოს მოწყობის სამუშაოები არ არის დაკავშირებული მიწის ექსკავაციასთან, შესაბამისად ზედმეტი გრუნტის წარმოქმნა არ ხდება, მოსალოდნელია წარმოიქმნას არმატურისა და სხვა რკინის ნარჩენები, რომლებიც შეგროვდება ცალკე ბაქანზე და გამოყენებული იქნება საწარმოს ექსპლუატაციის ეტაპზე ნედლეულად. მშენებლობის ეტაპზე მოსალოდნელია მცირე რაოდენობით სახიფათო ნაჩენების წარმოქმნა.

მშენებლობის პროცესში ობიექტზე მოსალოდნელი ნარჩენების ნუსხა მოცემულია ცხრილში 10.4.

#### ცხრილი 10.4

ნარჩნის კოდი	ნარჩენის დასახელება	სახიფათო (დიახ/არა)	სახიფათობის მახასიათებელი	სავარაუდო რაოდენობა	განთავსების/აღდგნის ოპერაციები
20.03.01	შერეული მუნიციპალური ნარჩენები	არა	—	340 კგ	D1
15 01 10*	შესაფუთი მასალა, რომელიც შეიცავს სახიფათო ნივთიერებების ნარჩენებს ან/და დაბინძურებულია სახიფათო ნარჩენებით	დიახ	H15	10 კგ	D10
15 02 02*	აბსორბენტის ფილტრის მასალები (ზეთის ფილტრების ჩათვლით, რომელიც განხილული არ არის სხვა კატეგორიაში), საწმენდი ნაჭრები და დამცავი ტანისამოსი, რომელიც დაბინძურებულია სახიფათო ნივთიერებებით	დიახ	H3-B H15	15 კგ	D10
17 04 05	რკინა და ფოლადი	არა		200 კგ	R4

მშენებლობის ეტაპზე წარმოქმნილი ყველა ნარჩენი განთავსდება სეპარირებულად, მისთვის განკუთვნილ მარკირებულ მოცულობებში

მშენებლობის ეტაპზე წარმოქმნილი ნარჩენების სათანადო მართვის პირობებში გარემოზე უარყოფითი ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.

### **10.2.6. ზემოქმედება ბიოლოგიურ გარემოზე**

საწარმოს განთავსება დაგეგმილია არსებულ კაპიტალურ შენობაში, ტერიტორიის მობეტონებისა და დამხმარე მინაშენის მოსაწყობად საჭირო არ არის მცენარეების მოჭრა. საწარმოს განთავსების და მიმდებარე ტერიტორიაზე მცენარეთა და ცხოველთა სახეობები, მით უმეტეს კონსერვაციული ღირებულების, გავრცელებული არ არის. აღნიშნულის გათვალისწინებით, მშენებლობის პროცესში ბიოლოგიურ გარემოზე ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.

### **10.2.7. ზემოქმედება წყლის რესურსებზე**

საწარმოს მოწყობის ეტაპზე წყალი საჭიროა სასმელ-სამეურნეო დანიშნულებით. სასმელ-სამეურნეო წყალაღების მიზნით გაფორმებულია ხელშეკრულება შპს რუსთავწყალთან. წუყალმიმღებზე დაყენებყლია მრიცხველი. საწარმოს მოწყობის ეტაპზე წყლის ხარჯი იქნება ძალიან დაბალი (დღეში 400 ლ-მდე). ჩამდინარე წყლები ჩართულია რუსთავის კანალიზაციის ქსელში.

ამდენად საწარმოს მოწყობის ეტაპზე წყლის რესურსებზე უარყოფითი ზემოქმდების რისკი ძალიან დაბალია.

### **10.2.8. სატრანსპორტო ნაკადებზე ზემოქმედება**

საწარმოს მოწყობის ორგანიზების პროცესი კომპანიას დასჭირდება ტერიტორიაზე სამშენებლო მასალებისა და ტექნოლოგიური დანადგარების შემოზიდვა.

სამშენებლო მასალებიდან რაოდენობრივად მნიშვნელოვანია ბეტონის ხსნარი.

სამშენებლო მასალების შემოტანას დასჭირდება 5-6 გადაზიდვა, ხოლო დანადგარების შემოტანას 3-4 გადაზიდვა. თუ გადაზიდვების რაოდენობას შევადარებთ სამშენებლო სამუშაოების ხანგრძლივობას, სატრანსპორტო ნაკადებზე ზემოქმედება იქნება ძალიან დაბალი (კვირაში 1 დან 2-მდე). ამასთან საწარმომდე მისასვლელი გზა შემოდის რუსთავი-ჯანდარას ავტომაგისტრალიდან და არ გაივლის დასახლებულ პუნქტს.

### **10.2.9. ადამიანების ჯანმრთელობა და უსაფრთხოება**

საწარმოს მოწყობის ეტაპზე განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა სამშენებლო სამუშაოების ორგანიზების დროს შრომის უსაფრთხოების მოთხოვნებს.

მშენებელ კომპანიებთან კონტრაქტების გაფორმების დროს გათვალისწინებული იქნება საქართველოს მთავრობის 2014 წლის 27 მაისის №361 დადგენილებით დამტკიცებული „მშენებლობის უსაფრთხოების შესახებ“ ტექნიკური რეგლამენტის შემდეგი მოთხოვნები:

1. სამშენებლო მოედანზე სამუშაოები უნდა იყოს ორგანიზებული იმგვარად, რომ უზრუნველყოფილ იქნეს მშენებლობის უსაფრთხოება.

2. მასალების, კონსტრუქციების, მოწყობილობების სამშენებლო მოედანზე განთავსებისას მიღებულ უნდა იქნეს ზომები მათი ჩამოცურების, ჯდენის, ჩამოცვენის და გაშლის საშიშროების თავიდან ასაცილებლად.
  3. მშენებლობის დროს გამოყენებული ყველა ტექნიკური აღჭურვილობა და ინსტრუმენტი უნდა იყოს მუშა მდგომარეობაში, მათი ექსპლოატაცია უნდა ხდებოდეს მწარმოებლის მიერ განსაზღვრული წესით.
  4. ხარაჩოები უნდა დაიდგას სამუშაოთა წარმოების პროექტის შესაბამისად და დატვირთვების ამტანუნარიანობის გათვალიწინებით, მათი მდგრადობის უზრუნველყოფით. ქარხნული წესით დამზადებული ხარაჩოების დაყენება უნდა განხორციელდეს მწარმოებლის ინსტრუქციის გათვალისწინებით.
  5. სამშენებლო-სამონტაჟო ინსტრუმენტი, რომელიც გამოიყენება მასალების დამაგრებისათვის უშუალოდ ბეტონზე, აგურის წყობასა და ფოლადის კონსტრუქციაზე (მაგალითად: სამშენებლო-სამონტაჟო დამბაჩები), უნდა აღიჭურვოს დამცავი მოწყობილობით, ხოლო ოპერატორი – სმენისა და მხედველობის დამცავი საშუალებებით, ჩაფხუტით და დაზღვეულ უნდა იქნეს დამბაჩის უკუცემით გამოწვეული წონასწორობის დარღვევის შედეგად სამუშაო ადგილიდან გადმოვარდნისაგან.
  6. ტვირთის ჩაბმა ასაწევად არ უნდა მოხდეს თვითნაკეთი ჩასაბმელით და უნდა განხორციელდეს ამწე მექანიზმის ქარხნული ჩასაბმელით ან ტვირთის ჩასაბმელი სპეციალური მოწყობილობით. ჩაბმის ხერხი უნდა გამორიცხავდეს ტვირთის ვარდნის ან სრიალის შესაძლებლობას.
  7. სამონტაჟო სამუშაოთა შესრულების დაწყებამდე საჭიროა მონტაჟის წარმოების ხელმძღვანელსა და მემანქანეს შორის პირობითი სიგნალის შეთანხმება.
  8. მუშების ყოფნა კონსტრუქციისა და დანადგარის ელემენტებზე მათი გადაადგილების დროს სასტიკად აკრძალულია.
  9. ნებისმიერ ელექტროსამონტაჟო სამუშაოთა შესრულების დროს, უნდა განხორციელდეს გაუთვალისწინებელი ჩართვის (წრედის დამცველები უნდა მოიხსნას) ან გამორთვის თავიდან აცილების ღონისძიებები.
- ზემოაღნიშნული პირობების შესრულების შემთხვევაში ადამიანის ჯანმრთელობის დაზიანების რისკი იქნება დაბალი.

### **10.3. გარემოზე ზემოქმედება საწარმოს ექსპლუატაციის ეტაპზე**

#### **10.3.1. ზემოქმედება ატმოსფერულ ჰაერის ხარისხზე**

##### **10.3.1.1. ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა სახეობები და მათი მახასიათებელი სიდიდეები**

საწარმოში მოსალოდნელია ატმოსფერული ჰაერის დაბინძურება ტექნოლოგიური პროცესის სხვადასხვა საფეხურებზე:

- გაფრქვევა ჯართის ბაქანზე განთავსებისა და აირული ჭრით დამუშავებისას (გ-1 წყარო);

- ინდუქციური ღუმელების გაფრქვევის მილი (გ-2 წყარო);
- ლითონთა ჩამოსხმისა და ნაკეთობათა დამზადების უბანი(გ-3 წყარო);
- ნამზადების საფანტმტყორცნით გაწმენდი სათავსოს გაფრქვევის მილი (გ-4 წყარო);
- ყალიბებისათვის საჭირო მრუდეზედაპირიანი ხის დეტალების დასამზადებელი RC1325RH როუტერის ფუნქციონირებისას (გ-5 წყარო).
- წიდის განთავსება (გ-6 წყარო).


ტექნოლოგიური პროცესების მიმდინარეობისას გამოიყოფა და ატმოსფეროში გაიფრქვევა შემდეგი ნივთიერებები: ლითონის მტვერი; შედუღების აეროზოლი; მანგანუმის ოქსიდები; ნახშირბადის ოქსიდი; აზოტის ოქსიდები; მტვერი; ტყვია; კადმიუმი; ვერცხლისწყალი; დარიშხანი; ქრომი; სპილენძი; ნიკელი; თუთია; გოგირდის ორჟანგი; ნახშირორჟანგი; ხის მტვერი. მათი ზღვრულად დასაშვები კონცენტრაციები და საშიშროების კლასი მოცემულია 10.5. ცხრილში.

#### ცხრილი 10.5.

პოდი	მავნე ნივთიერებათა დასახელება	ზღვრულად დასაშვები კონცენტრაციამგ/მ <sup>3</sup>		კლასი
		მაქსიმალური ერთჯერადი	საშუალო დღე- ღამური	
2909	არაორგანული მტვერი	0,5	0,1	3
0301	აზოტის ოქსიდები	0,2	0,04	2
0337	ნახშირჟანგი	5,0	3,0	4
115	შედუღების აეროზოლი	0,5	--	2
2902	არაორგანული (ლითონის) მტვერი	0,5	0,15	3
143	მანგანუმის ოქსიდები	0,01	0,001	2
184	ტყვია და მისი არაორგანული ნაერთები	0.001	0.0003	1
133	კადმიუმის ოქსიდი	--	0.0003	1
183	ვერცხლისწყალი	--	0.003	1
325	დარიშხანი		0.0003	1
203	ქრომის ოქსიდი	--	0.0015	1
146	სპილენძის ოქსიდი	--	0.002	2
164	ნიკელის ოქსიდი	--	0.001	2
207	თუთიის ოქსიდი	--	0.05	3
330	გოგირდის ორჟანგი	0.3	0.05	3
2936	ხის მტვერი	10	6	4

საწარმოში მოსალოდნელი მავნე ნივთიერებების გამოყოფისა და გაფრქვევის წყაროები დატანილია ნახაზზე 10.1.

ნახატი 10.1.



### 10.3.1.2. ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებების გაფრქვევების რაოდენობის ანგარიში

საწარმოს მიერ ატმოსფეროში გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა რაოდენობის ანგარიში მოხდა „დაბინძურების სტაციონალური წყაროებიდან ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვევების ფაქტობრივი რაოდენობის განსაზღვრის ინსტრუმენტული მეთოდის, დაბინძურების სტაციონალური წყაროებიდან ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვევების ფაქტობრივი რაოდენობის დამდგენი სპეციალური გამზომ-საკონტროლო და აპარატურის სტანდარტული ჩამონათვალისა და დაბინძურების სტაციონალური წყაროებიდან ტექნოლოგიური პროცესების მიხედვით ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვევების ფაქტობრივი რაოდენობის საანგარიშო მეთოდიკის შესახებ ტექნიკური რეგლამენტის (საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის დადგენილება #435) მიხედვით“ [7]. ამასთანავე ვითვალისწინებთ დანართი 117 პირობას, რომ თუ წყარო არ არის აღჭურვილი საერთოგაცვლითი ვენტილაციით, აგრეთვე იმ შემთხვევებში, როცა მოწყობილობების მუშაობა მიმდინარეობს ღია ცის ქვეშ, მყარი ნაწილაკების გაფრქვევების გაანგარიშებისას რეკომენდირებულია გამოყენებულ იქნას მტვრის დალექვის დამახასიათებელი შემასწორებელი კოეფიციენტები, ხისა და ლითონის მტვრისათვის 0,2, ხოლო სხვა მყარი ნაწილაკებისათვის 0,4.

- მავნე ნივთიერებათა გაფრქვევა ჯართის ბაქანზე განთავსებისა და აირული ჭრით დამუშავებისას (გ-1 წყარო);

ჯართის ჩამოტვირთვისას წარმოქმნილი რკინის მტვრის წამური და წლიური ინტენსიონები იანგარიშება ფორმულებით:

$$M = 1.02 \times 10^3 \times K_2 \times K_3 \times K_4 \times K_8 \times G_{\text{სთ}} \times B / 3600 \text{ გ/წმ} \quad (1)$$

$$G = 1.02 \times 10^{-3} \times K_2 \times K_3 \times K_4 \times K_8 \times G_{\text{წლ}} \times B \text{ ტ/წელ} \quad (2)$$

სადაც:

$K_2$ -არის აეროზოლში გადასული მტვრის წილი;(0,07)

$K_3$  - მტვრის წარმოქმნაზე ქარის სიჩქარის გავლენის მახასიათებელი კოეფიციენტი(1);

$K_4$ -გარემე ზემოქმედებისაგან საწყობის დაცვითუნარიანობის მახასიათებელი კოეფიციენტი(0,5);

$K_8$ -გრეიფერის ტიპზე დამოკიდებული კოეფიციენტი(0,6);

$G_{\text{სთ}}$ - საათის განმავლობაში გადასამუშავებელი ჯართის რაოდენობა, ტ/სთ( $2200/2000=1,1$ );

$G_{\text{წლ}}$ -წლის განმავლობაში გადასამუშავებელი ჯართის რაოდენობა, ტ/წელ( $2200$ ).

$B$ -ჩამოტვირთვის სიმაღლე(2)

ამასთანავე ვითვალისწინებთ დანართი 117 პირობას, რომ თუ წყარო არ არის აღჭურვილი ასპირაციული სისტემით და მუშაობა ხდება ღია ცის ქვეშ, ლითონის მტვრისათვის გათვალისწინებულია კოეფიციენტი-0,2.

$$M = 1.02 \times 10^3 \times 0,07 \times 1,0 \times 0,5 \times 0,6 \times 1,1 \times 2 \times 0,2 / 3 \times 600 = 0,0026 \text{ გ/წმ}$$

$$G = 1.02 \times 10^{-3} \times 0,07 \times 1,0 \times 0,5 \times 0,6 \times 2 \times 200 \times 2 \times 0,2 = 0,0188 \text{ ტ/წელ}$$

#### ლითონთა აირული ჭრისას

დამაბინძურებელ ნივთიერებათა გამოყოფის გაანგარიშება შესრულებულია დანართ 70-ს შესაბამისად. ლითონთა აირული ჭრისას დამაბინძურებელ ნივთიერებათა გამოყოფის რაოდენობრივი და თვისობრივი მახასიათებლები მოცემულია ცხრილში 10.6.

ცხრილი 10.6. ლითონების აირული ჭრისას დამაბინძურებელ ნივთიერებათა ხვედრითი გამოყოფის კოეფიციენტები, გ/ჭრის გრძივ მეტრზე

დასაჭრელი მასალის სისქე	შედუღების აეროზოლი	მანგანუმის ოქსიდები	აირები	
			ნახშირბადის ოქსიდი	აზოტის ოქსიდები
5	2,18	0,07	1,5	1,18

ვითვალისწინებთ ტექნიკური რეგლამენტის დანართი 117 პირობას, რომ თუ წყარო არ არის აღჭურვილი ასპირაციული სისტემით და მტვრის გამოყოფა ხდება დახურულ სივრცეში, აგრეთვე იმ შემთხვევაში, როდესაც მოწყობილობების მუშაობა მიმდინარეობს ღია ცის ქვეშ, გათვალისწინებული უნდა იქნეს შემასწორებელი მტვრის დალექვის მახასიათებელი კოეფიციენტი-0,4;

ჭრის სიგრძე სავარაუდოდ აღებულია წელიწადში 350მ-ს ტოლად.

1. შედუღების აეროზოლის წლიური რაოდენობა შეადგენს:

$$G = 350 \times 2,18 \times 0,4 / 10^3 = 0,3052 \text{ ტ/წელ}$$

გამოყოფის წამური ინტენსივობა:

$$M = 0,3052 \times 10^6 / 2\ 000 \times 3\ 600 = 0,0424 \text{ გ/წმ}$$

2. მანგანუმის ოქსიდების წლიური რაოდენობა შეადგენს:

$$G = 350 \times 0,07 \times 0,4 / 10^3 = 0,0098 \text{ ტ/წელ}$$

გამოყოფის წამური ინტენსივობა:

$$M = 0,0098 \times 10^6 / 2\ 000 \times 3\ 600 = 0,0014 \text{ გ/წმ}$$

3. ნახშირბადის ოქსიდის წლიური რაოდენობა შეადგენს:

$$G = 350 \times 1,5 / 10^3 = 0,525 \text{ ტ/წელ}$$

გამოყოფის წამური ინტენსივობა:

$$M = 0,525 \times 10^6 / 2\ 000 \times 3\ 600 = 0,0729 \text{ г/წმ}$$

4. აზოტის ოქსიდების წლიური რაოდენობა შეადგენს:

$$G = 350 \times 1,18 / 10^3 = 0,413 \text{ ტ/წელ}$$

გამოყოფის წამური ინტენსივობა:

$$M = 0,413 \times 10^6 / 2\ 000 \times 3\ 600 = 0,0574 \text{ გ/წმ}$$

- ინდუქციური ღუმელების მილი (გ-2 წყარო)**

ინდეუქციურ ღუმელში ფოლადისა და თუჯის დნობის პროცესისას მავნე ნივთიერებების ხვედრითი გამოყოფის კოეფიციენტები აღებულია მეთოდური მითითებების 44-ე და 45-ე დანართებიდან და იგი მოცემულია ცხილში 10.7.

ცხრილი 10.7. მავნე ნივთიერებათა ხვედრითი გამოყოფის კოეფიციენტები.

	ხვედრითი გამოყოფის კოეფიციენტები										
	კგ/ტ პროდუქტი			გ/ტ პროდუქტზე							
	მყარი ნაწილაკები	CO	NO <sub>x</sub>	ტუკა	კადმიუმი	ვერცხლის წყალი	დარიშნანი	ქრომი	სპილენძი	ნიკელი	თუთა
ფოლადის დნობა	1,33	0,14	0,07	0,015	0,00025	0,0006	0,0015	0,0013	0,02	0,0005	0,023
თუჯის დნობა	1,42	0,11	0,07	0,00049	0,00000081	0,00019	0,000024	0,00024	0,015	--	0,073

ღუმელებიდან აირის გაწოვა მოხდება DH-9ტიპის გამწოვით, რომელიც აღიჭურვება 15კვტ სიმძლავრის, 1500ბრ/წთ ძრავით(დანართი4). გაწოვილი ჰაერის მოცულობა შეადგენს 14000მ<sup>3</sup>/სთ(3,89მ<sup>3</sup>/წთ).

#### **გაფრქვევები ფოლადის დნობისას:**

1. მყარი ნაწილაკების (მტვერის) წლიური რაოდენობა შეადგენს:

$$G = 1000 \times 1,33 / 10^3 = 1,33 \text{ ტ/წელ}$$

გამოყოფის წამური ინტენსივობა:

$$M = 1,33 \times 10^6 / 1000 \times 3\ 600 = 0,3694 \text{ გ/წმ}$$

ღუმელები აღჭურვილია ქსოვილოვანი ფილტრით, რომლის ეფექტურობა შეადგენს 99%-ს აღნიშნულის გათვალისწინებით გაფრქვეული მტვრის რაოდენობა იქნება:

$$G = 1,33 \times 0,01 = 0,0133 \text{ ტ/წელ}$$

გამოყოფის წამური ინტენსივობა:

$$M = 0,3694 \times 0,01 = 0,0037 \text{ გ/წმ}$$

ზემოთმოყვანილი მონაცემების გათვალისწინებით გაწოვილ აირში მტვრის კონცენტრაცია იქნება :  
გაწმენდამდე-V=0,3694:3,89=0,095გ/მ<sup>3</sup>

გაწმენდის შემდეგ V=0,0037:3,89=0,00095გ/მ<sup>3</sup>;

2. ნაბშირჟანგის წლიური რაოდენობა შეადგენს:

$$G = 1000 \times 0,14 / 10^3 = 0,14 \text{ ტ/წელ}$$

გამოყოფის წამური ინტენსივობა:

$M = 0,14 \times 10^6 / 1000 \times 3600 = 0,0389 \text{ г/} \beta\theta$   
 გაფრქვეულ აირში კონცენტრაცია შეადგენს:  
 $V=0,0389 : 3,89=0,01 \text{ г/} \theta^3$

**3. აზოტის ჟანგეულების წლიური რაოდენობა შეადგენს:**

$G = 1000 \times 0,07 / 10^3 = 0,07 \text{ ტ/} \beta\theta\text{ლ}$   
 გამოყოფის წამური ინტენსივობა:  
 $M = 0,07 \times 10^6 / 1000 \times 3600 = 0,0194 \text{ г/} \beta\theta$   
 გაფრქვეულ აირში კონცენტრაცია შეადგენს:  
 $V=0,0194:3,89=0,005 \text{ г/} \theta^3$

**4. ტყვიის წლიური რაოდენობა შეადგენს:**

$G = 1000 \times 0,015 / 10^6 = 0,000002 \text{ ტ/} \beta\theta\text{ლ}$   
 გამოყოფის წამური ინტენსივობა:  
 $M = 0,000002 \times 10^6 / 1000 \times 3600 = 0,000006 \text{ г/} \beta\theta$   
 გაფრქვეულ აირში კონცენტრაცია შეადგენს:  
 $V=0,000006:3,89=0,0000015 \text{ г/} \theta^3$

**5. კადმიუმის წლიური რაოდენობა შეადგენს:**

$G = 1000 \times 0,00025 / 10^6 = 0,0000003 \text{ ტ/} \beta\theta\text{ლ}$   
 გამოყოფის წამური ინტენსივობა:  
 $M = 0,0000003 \times 10^6 / 1000 \times 3600 = 0,00000008 \text{ г/} \beta\theta$   
 გაფრქვეულ აირში კონცენტრაცია შეადგენს:  
 $V=0,00000008:3,89=2 \times 10^{-9} \text{ г/} \theta^3$

**6. ვერცხლისწყლის წლიური რაოდენობა შეადგენს:**

$G = 1000 \times 0,0006 / 10^6 = 0,0000006 \text{ ტ/} \beta\theta\text{ლ}$   
 გამოყოფის წამური ინტენსივობა:  
 $M = 0,0000006 \times 10^6 / 1000 \times 3600 = 0,0000002 \text{ г/} \beta\theta$   
 გაფრქვეულ აირში კონცენტრაცია შეადგენს:  
 $V=0,0000002:3,89=5 \times 10^{-8} \text{ г/} \theta^3$

**7. დარიშხანის წლიური რაოდენობა შეადგენს:**

$G = 1000 \times 0,0015 / 10^6 = 0,0000015 \text{ ტ/} \beta\theta\text{ლ}$   
 გამოყოფის წამური ინტენსივობა:  
 $M = 0,0000015 \times 10^6 / 1000 \times 3600 = 0,0000004 \text{ г/} \beta\theta$   
 გაფრქვეულ აირში კონცენტრაცია შეადგენს:  
 $V=0,0000004:3,89=1 \times 10^{-7} \text{ г/} \theta^3$

**8. ქრომის წლიური რაოდენობა შეადგენს:**

$G = 1000 \times 0,0013 / 10^6 = 0,0000013 \text{ ტ/} \beta\theta\text{ლ}$   
 გამოყოფის წამური ინტენსივობა:  
 $M = 0,0000013 \times 10^6 / 1000 \times 3600 = 0,0000004 \text{ г/} \beta\theta$   
 გაფრქვეულ აირში კონცენტრაცია შეადგენს:  
 $V=0,0000004:3,89=1 \times 10^{-7} \text{ г/} \theta^3$

**9. სპილენძის წლიური რაოდენობა შეადგენს:**

$$G = 1000 \times 0,02 / 10^6 = 0,00002 \text{ ტ/წელ}$$

გამოყოფის წამური ინტენსივობა:

$$M = 0,00002 \times 10^6 / 1000 \times 3 600 = 0,000006 \text{ გ/წმ}$$

გაფრქვეულ აირში კონცენტრაცია შეადგენს:

$$V=0,000006:3,89=1,5 \times 10^{-6} \text{ გ/მ}^3$$

**10. ნიკელის წლიური რაოდენობა შეადგენს:**

$$G = 1000 \times 0,0005 / 10^6 = 0,0000005 \text{ ტ/წელ}$$

გამოყოფის წამური ინტენსივობა:

$$M = 0,0000005 \times 10^6 / 1000 \times 3 600 = 0,0000001 \text{ გ/წმ}$$

გაფრქვეულ აირში კონცენტრაცია შეადგენს:

$$V=0,0000001:3,89=0,26 \times 10^{-7} \text{ გ/მ}^3$$

**11. თუთიის წლიური რაოდენობა შეადგენს:**

$$G = 1000 \times 0,023 / 10^6 = 0,000023 \text{ ტ/წელ}$$

გამოყოფის წამური ინტენსივობა:

$$M = 0,000023 \times 10^6 / 1000 \times 3 600 = 0,000006 \text{ გ/წმ}$$

გაფრქვეულ აირში კონცენტრაცია შეადგენს:

$$V=0,000006:3,89=0,0000015 \text{ გ/მ}^3$$

### **გაფრქვევები თუჯის დნობისას:**

**1. მყარი ნაწილაკების (მტვერის) წლიური რაოდენობა შეადგენს:**

$$G = 1000 \times 1,42 / 10^3 = 1,42 \text{ ტ/წელ}$$

გამოყოფის წამური ინტენსივობა:

$$M = 1,42 \times 10^6 / 1000 \times 3 600 = 0,3944 \text{ გ/წმ}$$

ღუმელები აღჭურვილია სოვილოვანი ფილტრით, რომლის ეფექტურობა შეადგენს 99%-ს  
აღნიშნულის გათვალისწინებით გაფრქვეული მტვრის რაოდენობა იქნება:

$$G = 1,42 \times 0,01 = 0,0142 \text{ ტ/წელ}$$

გამოყოფის წამური ინტენსივობა:

$$M = 0,3944 \times 0,01 = 0,0039 \text{ გ/წმ}$$

ზემოთმოყვანილი მონაცემების გათვალისწინებით გაწოვილ აირში მტვრის კონცენტრაცია იქნება :

$$\text{გაწმენდამდე-} V=0,3944:3,89=0,101 \text{ გ/მ}^3$$

$$\text{გაწმენდის შემდეგ } V=0,0039:3,89=0,001 \text{ გ/მ}^3;$$

**2. ნახშირჟანგის წლიური რაოდენობა შეადგენს:**

$$G = 1000 \times 0,11 / 10^3 = 0,11 \text{ ტ/წელ}$$

გამოყოფის წამური ინტენსივობა:

$$M = 0,11 \times 10^6 / 1000 \times 3 600 = 0,0306 \text{ გ/წმ}$$

გაფრქვეულ აირში კონცენტრაცია შეადგენს:

$$V=0,0306:3,89=0,0079 \text{ გ/მ}^3$$

**3. აზოტის ჟანგეულების წლიური რაოდენობა შეადგენს:**

$$G = 1000 \times 0,07 / 10^3 = 0,07 \text{ ტ/წელ}$$

გამოყოფის წამური ინტენსივობა:

$$M = 0,07 \times 10^6 / 1000 \times 3 600 = 0,0194 \text{ გ/წმ}$$

გაფრქვეულ აირში კონცენტრაცია შეადგენს:

$$V=0,0194:3,89=0,005 \text{ გ/მ}^3$$

**4. ტყვიის წლიური რაოდენობა შეადგენს:**

$$G = 1000 \times 0,00049 / 10^6 = 0,0000005 \text{ ტ/წელ}$$

გამოყოფის წამური ინტენსივობა:

$$M = 0,0000005 \times 10^6 / 1000 \times 3 600 = 0,0000001 \text{ გ/წმ}$$

გაფრქვეულ აირში კონცენტრაცია შეადგენს:

$$V=0,0000001:3,89=2,6 \times 10^{-9} \text{ გ/მ}^3$$

**5. კადმიუმის წლიური რაოდენობა შეადგენს:**

$$G = 1000 \times 0,00000081 / 10^6 = 0,0000000081 \text{ ტ/წელ}$$

გამოყოფის წამური ინტენსივობა:

$$M = 0,000000081 \times 10^6 / 1000 \times 3 600 = 0,00000000225 \text{ გ/წმ}$$

გაფრქვეულ აირში კონცენტრაცია შეადგენს:

$$V=0,00000000225:3,89=5,8 \times 10^{-11} \text{ გ/მ}^3$$

**6. ვერცხლისწყლის წლიური რაოდენობა შეადგენს:**

$$G = 1000 \times 0,00019 / 10^6 = 0,0000002 \text{ ტ/წელ}$$

გამოყოფის წამური ინტენსივობა:

$$M = 0,0000002 \times 10^6 / 1000 \times 3 600 = 0,00000005 \text{ გ/წმ}$$

გაფრქვეულ აირში კონცენტრაცია შეადგენს:

$$V=0,00000005:3,89=1,3 \times 10^{-8} \text{ გ/მ}^3$$

**7. დარიშხანის წლიური რაოდენობა შეადგენს:**

$$G = 1000 \times 0,000024 / 10^6 = 0,00000024 \text{ ტ/წელ}$$

გამოყოფის წამური ინტენსივობა:

$$M = 0,00000024 \times 10^6 / 1000 \times 3 600 = 0,00000007 \text{ გ/წმ}$$

გაფრქვეულ აირში კონცენტრაცია შეადგენს:

$$V=0,00000007:3,89=1,8 \times 10^{-9} \text{ გ/მ}^3$$

**8. ქრომის წლიური რაოდენობა შეადგენს:**

$$G = 1000 \times 0,00024 / 10^6 = 0,00000024 \text{ ტ/წელ}$$

გამოყოფის წამური ინტენსივობა:

$$M = 0,00000024 \times 10^6 / 1000 \times 3 600 = 0,00000007 \text{ გ/წმ}$$

გაფრქვეულ აირში კონცენტრაცია შეადგენს:

$$V=0,00000007:3,89=1,8 \times 10^{-8} \text{ გ/მ}^3$$

**9. სპილენძის წლიური რაოდენობა შეადგენს:**

$$G = 1000 \times 0,015 / 10^6 = 0,000015 \text{ ტ/წელ}$$

გამოყოფის წამური ინტენსივობა:

$$M = 0,000015 \times 10^6 / 1000 \times 3 600 = 0,000004 \text{ გ/წმ}$$

გაფრქვეულ აირში კონცენტრაცია შეადგენს:

$$V=0,000004:3,89=0,000001 \text{ გ/მ}^3$$

**10. თუთიის წლიური რაოდენობა შეადგენს:**

$$G = 1000 \times 0,073 / 10^6 = 0,000073 \text{ ტ/წელ}$$

გამოყოფის წამური ინტენსივობა:

$$M = 0,000073 \times 10^6 / 1000 \times 3 600 = 0,00002 \text{ გ/წმ}$$

გაფრქვეულ აირში კონცენტრაცია შეადგენს:

$$V=0,00002 \cdot 3,89=0,000005 \text{ г/}\theta^3$$

### გაფრქვევები თუჯის დნობისას:

1. მყარი ნაწილაკების (მტვერის) წლიური რაოდენობა შეადგენს:

$$G = 1000 \times 1,42 / 10^3 = 1,42 \text{ ტ/წელ}$$

გამოყოფის წამური ინტენსივობა:

$$M = 1,42 \times 10^6 / 1000 \times 3 600 = 0,3944 \text{ г/წმ}$$

ღუმელები აღჭურვილია სოვილოვანი ფილტრით, რომლის ეფექტურობა შეადგენს

99%-ს აღნიშნულის გათვალისწინებით გაფრქვეული მტვრის რაოდენობა იქნება:

$$G = 1,42 \times 0,01 = 0,0142 \text{ ტ/წელ}$$

გამოყოფის წამური ინტენსივობა:

$$M = 0,3944 \times 0,01 = 0,0039 \text{ г/წმ}$$

2. ნახშირჟანგის წლიური რაოდენობა შეადგენს:

$$G = 1000 \times 0,11 / 10^3 = 0,11 \text{ ტ/წელ}$$

გამოყოფის წამური ინტენსივობა:

$$M = 0,11 \times 10^6 / 1000 \times 3 600 = 0,0306 \text{ г/წმ}$$

3. აზოტის ჟანგეულების წლიური რაოდენობა შეადგენს:

$$G = 1000 \times 0,07 / 10^3 = 0,07 \text{ ტ/წელ}$$

გამოყოფის წამური ინტენსივობა:

$$M = 0,07 \times 10^6 / 1000 \times 3 600 = 0,0194 \text{ г/წმ}$$

4. ტყვიის წლიური რაოდენობა შეადგენს:

$$G = 1000 \times 0,000049 / 10^6 = 0,0000005 \text{ ტ/წელ}$$

გამოყოფის წამური ინტენსივობა:

$$M = 0,0000005 \times 10^6 / 1000 \times 3 600 = 0,00000001 \text{ г/წმ}$$

5. კადმიუმის წლიური რაოდენობა შეადგენს:

$$G = 1000 \times 0,00000081 / 10^6 = 0,00000000081 \text{ ტ/წელ}$$

გამოყოფის წამური ინტენსივობა:

$$M = 0,000000081 \times 10^6 / 1000 \times 3 600 = 0,00000000225 \text{ г/წმ}$$

6. ვერცხლისწყლის წლიური რაოდენობა შეადგენს:

$$G = 1000 \times 0,00019 / 10^6 = 0,0000002 \text{ ტ/წელ}$$

გამოყოფის წამური ინტენსივობა:

$$M = 0,0000002 \times 10^6 / 1000 \times 3 600 = 0,00000005 \text{ г/წმ}$$

7. დარიშხანის წლიური რაოდენობა შეადგენს:

$$G = 1000 \times 0,000024 / 10^6 = 0,000000024 \text{ ტ/წელ}$$

გამოყოფის წამური ინტენსივობა:

$$M = 0,00000024 \times 10^6 / 1000 \times 3 600 = 0,000000007 \text{ г/წმ}$$

8. ქრომის წლიური რაოდენობა შეადგენს:

$$G = 1000 \times 0,00024 / 10^6 = 0,00000024 \text{ ტ/წელ}$$

გამოყოფის წამური ინტენსივობა:

$$M = 0,00000024 \times 10^6 / 1000 \times 3 600 = 0,00000007 \text{ г/წმ-}$$

9. სპილენძის წლიური რაოდენობა შეადგენს:

$$G = 1000 \times 0,015 / 10^6 = 0,000015 \text{ ტ/წელ}$$

გამოყოფის წამური ინტენსივობა:

$$M = 0,000015 \times 10^6 / 1000 \times 3\,600 = 0,000004 \text{ გ/წმ}$$

10. თუთიის წლიური რაოდენობა შეადგენს:

$$G = 1000 \times 0,073 / 10^6 = 0,000073 \text{ ტ/წელ}$$

გამოყოფის წამური ინტენსივობა:

$$M = 0,000073 \times 10^6 / 1000 \times 3\,600 = 0,00002 \text{ გ/წმ}$$

- ლითონთა ჩამოსხმისა და ნაკეთობათა დამზადების უბანი(გ-3 წყარო);

გაფრქვევის აღნიშნული წყარო მოიცავს გამოყოფის შემდეგ წყაროებს:

- ბადიაში ჩაყრა (გამოყოფის N501 წყარო;)
- ჯართის მიწოდება ინდუქციურ ღუმელებში (გამოყოფის N502 და N503 წყაროები);
- ლითონთა ჩამოსხმა ციცხვში და ყალიბებში (გამოყოფის N504 წყარო);
- ნამზადის გამობერტყვის პროცესი (გამოყოფის N505 წყარო);
- გამობერტყილი მასის ლენტური ტრანსპორტიორით გადაადგილება (გამოყოფის N506 წყარო);
- გამობერტყილი მასის განთავსება (გამოყოფის N507 წყარო);
- ნედლეულის მიწოდება რბიაში (გამოყოფის N508 და N509 წყაროები)
- საყალიბე ქვიშის განთავსება (გამოყოფის N510 წყარო)
- საყალიბე ქვიშის შრობა (გამოყოფის N511 წყარო)
- ციცხვთა გაწმენდა (გამოყოფის N512 წყარო);
- ამონაგის შევეთება (გამოყოფის N513 წყარო);

გამოყოფილი მავნე ნივთიერებათა ჯამური რაოდენობა იქნება

$$G = G_{501} + \dots + G_{513} \text{ ტ/წელ}$$

- ბადიაში ჩაყრა (გამოყოფის N501 წყარო)

ჯართის ღუმელში ჩამოტვირთვისას წარმოქმნილი რკინის მტვრის წამური და წლიური ინტენსივობები იანგარიშება (1) და (2) ფორმულებით კოეფიციენტების შემდეგი მნიშვნელობებისათვის:

$$K_2 = 0,07; K_3 = 1; K_4 = 0,005; K_8 = 1; G_{b\omega} = 1,1 \text{ ტ/სთ}; G_{\text{წმ}} = 2200 \text{ ტ}; B = 2$$

$$M = 1.02 \times 10^3 \times 0.07 \times 1.0 \times 0.005 \times 1.0 \times 1.1 \times 2.0 \times 0.2 / 3\,600 = 0.00004 \text{ გ/წმ}$$

$$G = 1.02 \times 10^{-3} \times 0.07 \times 1.0 \times 0.005 \times 1.0 \times 2\,200 \times 2.0 \times 0.2 = 0.0003 \text{ ტ/წელ}$$

- გამოყოფა კაზმის ღუმელში ჩატვირთვის დროს (გამოყოფის N502 და N503 წყაროები):

ზემოთაღნიშნული ტექნიკური რეგლამენტის დანართი 42-ს შესაბამისად შავი ლითონების წარმოებისას ღუმელში საკაზმე მასალების (ჯართის) ჩაყრის დროს დადგენილია ხვედრითი

გამოყოფის კოეფიციენტები: მტვერი-0,29კგ/ტ და ნახშირბადის ოქსიდი -0,79კგ/ტ პროდუქტზე. აღნიშნულის გათვალისწინებით გვექნება:

$$G_{გტრის} = 1100 \times 0,29 \times 0,2/10^3 = 0,0638 \text{ ტ/წელ}$$

$$G_{ნახშირბადის (IV) ოქსიდი} = 1100 \times 0,79/10^3 = 0,869 \text{ ტ/წელ}$$

შესაბამისად გამოყოფის წამური ინტენსიობა იქნება:

$$M_{მტვრის} = 0,0638 \times 10^6/1000 \times 3600 = 0,0177 \text{ გ/წმ}$$

$$M_{ნახშირბადის (IV) ოქსიდი} = 0,869 \times 10^6/1000 \times 3600 = 0,2414 \text{ გ/წმ}$$

ანალოგიური იქნება გამოყოფის N503 წყაროსთვისაც.

- ლითონთა ჩამოსხმა ციცხვში და ყალიბებში (გამოყოფის N504 წყარო).

გამდნარი ლითონის ჩამოსხმა ხდება ციცხვში. ციცხვის გადაადგილება ხორციელდება ხიდური ამწით და მიეწოდება საყალიბე უბანს, სადაც ხდება ლითონის ჩასხმა ყალიბებში.

43-ე დანართის მიხედვით ხვედრითი გამოყოფის კოეფიციენტი შეადგენს;

- მტვერი-0,2კგ/ტ;
- აზოტის ოქსიდები-0,00065კგ/ტ;
- გოგირდის ორჟანგი-0,00175კგ/ტ.

ამასთანავე ვითვალისწინებთ დანართი 117 პირობას, რომ თუ წყარო არ არის აღჭურვილი ასპირაციული სისტემით და მტვრის გამოყოფა ხდება დახურულ სივრცეში, გათვალისწინებული უნდა იქნეს ლითონის მტვრის შემთხვევაში კოეფიციენტი - 0,2.

წლის განმავლობაში თითოეული ღუმელიდან ჩამოისხმება საშუალოდ 1000 ტ ლითონი. ამის გათვალისწინებით გაფრქვევის რაოდენობა ორი ღუმელიდან იქნება:

მყარი ნაწილაკები:

$$G = 0,2 \times 2\ 000 \times 0,2/10^3 = 0,08 \text{ ტ/წელ}$$

$$M = 0,08 \times 10^6/2\ 000 \times 3600 = 0,0111 \text{ გ/წმ}$$

აზოტის ოქსიდები:

$$G = 0,00065 \times 2\ 000/10^3 = 0,0013 \text{ ტ/წელ}$$

$$M = 0,0013 \times 10^6/2\ 000 \times 3600 = 0,0002 \text{ გ/წმ}$$

გოგირდის ორჟანგი:

$$G = 0,00175 \times 2\ 000 / 10^3 = 0,0035 \text{ ტ/წელ}$$

$$M = 0,0035 \times 10^6 / 2\ 000 \times 3600 = 0,0005 \text{ გ/წმ}$$

- ნამზადის გამობერტყვის პროცესი (გამოყოფის N505 წყარო)

66-ე დანართის მიხედვით, ნამზადის გამობერტყვისას მტვრის ხვედრითი გამოყოფის კოეფიციენტი შეადგენს 4,8 კგ/ტ. აღნიშნულისა გათვალისწინებით გვექნება:

$$G = 4,8 \times 2\ 000 \times 0,4 / 10^3 = 3,84 \text{ ტ/წელ}$$

$$M = 3,84 \times 10^6 / 2\ 000 \times 3600 = 0,5333 \text{ გ/წმ}$$

- გამობერტყილი მასის ლენტური ტრანსპორტიორით გადაადგილება (გამოყოფის N506 წყარო).

მასალების ლენტური ტრანსპორტიორით გადაადგილებისას მტვრის გაფრქვევები იანგარიშება ფორმულით:

$$M = W \times K \times B \times L \times 10^3 \text{ გ/წმ}$$

სადაც,

W - ჰაერის შებერვით გამოწვეული მტვრის ხვედრითი გაფრქვევა და ტოლია  $3 \times 10^{-5}$  კგ/მ<sup>2</sup>წმ;

K - ნედლეულის დაქუცმაცების კოეფიციენტია და ტოლია 0,1 მ-ის;

B - ლენტის სიგანეა და ტოლია 0,5მ-ის;

L - ლენტის ჯამური სიგრძეა და ტოლია 9 მ;

სათანადო მნიშვნელობების ჩასმით მივიღებთ:

$$M = 3 \times 10^{-5} \times 0,1 \times 0,5 \times 9 \times 10^3 \times 0,4 = 0,0054 \text{ გ/წმ}$$

$$G = 0,0054 \times 2\ 000 \times 3\ 600 / 10^6 = 0,0389 \text{ ტ/წელ}$$

- გამობერტყილი მასის განთავსება (გამოყოფის N507 წყარო)

გამოყოფილი რაოდენობის ანგარიში ხდება ფორმულით:

$$M = K_1 \times K_2 \times K_3 \times K_4 \times K_5 \times K_7 \times K_9 \times G \times B \times 10^6 \times 0,4 / 3\ 600 \text{ გ/წმ} \quad (3)$$

სადაც,

K<sub>1</sub> - მასალაში მტვრის ფრაქციის წილია;

- K<sub>2</sub> - მტვრის მთლიანი მასიდან აეროზოლში გადასული მტვრის წილია;
- K<sub>3</sub> - მტვრის წარმოქმნაზე ქარის სიჩქარის გავლენის მახასიათებელი კოეფიციენტია;
- K<sub>4</sub> - გარეშე ზემოქმედებისაგან საწყობის დაცვითუნარიანობის მახასიათებელი კოეფიციენტია;
- K<sub>5</sub> - მტვრის წარმოქმნაზე მასალის სინოტივის გავლენის მახასიათებელი კოეფიციენტია;
- K<sub>7</sub> - გადასამუშავებელი მასალის ზომების მახასიათებელი კოეფიციენტია;
- K<sub>9</sub> - შემასწორებელი კოეფიციენტი; ავტოთვითმცლელიდან 10 ტონამდე წონის მასალის ზალპური ჩამოცლისას აიღება 0,2, 10ტ\_ზე მეტის შმთხვევაში აიღება 0,1. სხვა შმთხვევაში იგი აიღება 1-ს ტოლი.
- B - გადატვირთვის სიმაღლეზე დამოკიდებულების კოეიციენტია;
- G - წარმადობაა, ტ/სთ;

აღნიშნული კოეფიციენტებისა და სიდიდეების მნიშვნელობები საწარმოს კონკრეტული პირობებისათვის აიღება მეთოდიკური მოცემული დანართებიდან.

ფორმულაში შემავალი კოეფიციენტების მნიშვნელობები შემდეგია:

$$K1=0,05; K2=0,03; K3=1,0; K4=1.; K5=0,9; K7=1,0; K9=1,0; B=0,4; G=215/2000=0,11$$

აღნიშნულის გათვალისწინებით მივიღებთ:

$$M = 0,05 \times 0,03 \times 1,0 \times 1,0 \times 0,9 \times 1,0 \times 1,0 \times 0,4 \times 0,11 \times 10^6 \times 0,4/3 600 = 0,0066 \text{ გ/წმ}$$

$$G = 0,0066 \times 2\ 000 \times 3\ 600/10^6 = 0,0475 \text{ ტ/წელ}$$

- გაფრქვევები რბიადან (გამოყოფის 508 და 509 წყაროები)

დანართი 64-ის მიხედვით ემისიის საანგარიშო კოეფიციენტი საყალიბებულმათა დამზადების (რბია) პროცესიდან 1 კგ/ტ-ზე. ტექნიკური პირობების მიხედვით გათვალისწინებულია ორი რბიას გამოყენება. თითოეულ მათგანში წლის განმავლობაში დამუშავდება 190ტ ქვიშა და 25ტ ბენტონიტი. აღნიშნულის გათვალისწინებით N508 წყაროსათვის გვექნება:

$$G = 1,0 \times 215 \times 0,4/10^3 = 0,086 \text{ ტ/წელ}$$

$$M = 0,086 \times 10^6/1\ 000 \times 3600 = 0,0239 \text{ გ/წმ}$$

ანალოგიური იქნება N509 წყაროსთვისაც:

$$G = 1,0 \times 215 \times 0,4/10^3 = 0,086 \text{ ტ/წელ}$$

$$M = 0,086 \times 10^6/1\ 000 \times 3600 = 0,0239 \text{ გ/წმ}$$

- საყალიბე ქვიშის განთავსებისას (გამოყოფის N510 წყარო) გამოყოფილი მტვრის რაოდენობის ანგარიში ხდება (3) ფორმულით კოეფიციენტების შემდეგი მნიშვნელობებისათვის:

$$K1=0,05; K2=0,03; K3=1,0; K4=1,; K5=0,9; K7=1,0; K9=1,0; B=0,4; G=60/2000=0,03$$

აღნიშნულის გათვალისწინებით მივიღებთ:

$$M = 0,05 \times 0,03 \times 1,0 \times 1,0 \times 0,9 \times 1,0 \times 0,4 \times 0,03 \times 10^6 \times 0,4/3\ 600 = 0,0018 \text{ გ/წმ}$$

$$G = 0,0018 \times 2\ 000 \times 3\ 600/10^6 = 0,013 \text{ ტ/წელ}$$

- გამოყოფა ქვიშის საშრობი დოლიდან (გამოყოფის N511 წყარო)

შრობა ხდება ბუნებრივი აირის გამოყენებით.

მეთოდური მითითების 64-ე დანართის მიხედვით, ქვიშის საშრობ დოლში შრობისას მტვრის ხვედრითი გამოყოფის კოეფიციენტი შეადგენს 2,1გ/ტ, ხოლო 107-ე დანართის მიხედვით 1000მ³ ბუნებრივი აირის წვისას ემისიის საანგარიშო კოეფიციენტებია: აზოტის დიოქსიდისთვის - 0,0036ტ, ნახშირბადის ოქსიდისათვის - 0,0089ტ, და ნახშირორჟანგისათვის - 2,0ტ.

წლის განმავლობაში გათვალისწინებულია 200ტ ქვიშის შრობა, რისთვისაც მოიხმარება 400მ³ ბუნებრივი აირი.

ზემოთმოყვანილი მონაცემების მიხედვით ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გაფრქვევის რაოდენობრივი მაჩვენებლები იქნება:

მყარი ნაწილაკები:

მყარი ნაწილაკები:

$$G = 2,1 \times 200 \times 0,4/10^3 = 0,168 \text{ ტ/წელ}$$

$$M = 0,168 \times 10^6/2\ 000 \times 3\ 600 = 0,0233 \text{ გ/წმ}$$

აზოტის ოქსიდები:

$$G = 0,0036 \times 0,4 = 0,00144 \text{ ტ/წელ}$$

$$M = 0,00144 \times 10^6/2\ 000 \times 3\ 600 = 0,0002 \text{ გ/წმ}$$

ნახშირჟანგი:

$$G = 0,0089 \times 0,4 = 0,0036 \text{ ტ/წელ}$$

$$M = 0,0036 \times 10^6/2\ 000 \times 3\ 600 = 0,0005 \text{ გ/წმ}$$

ნახშირორჟანგი:

$$G = 2,0 \times 0,4 = 0,8 \text{ ტ/წელ}$$

- გამოყოფა ციცხვთა გაწმენდისას (გამოყოფის N512 წყარო)

43-ე დანართის მიხედვით ხვედრითი გამოყოფის კოეფიციენტი შეადგენს 0,015 კგ/ტ პროდუქტზე. ამის გათვალისწინებით

$$G = 2000 \times 0,015 \times 0,4 / 10^3 = 0,012 \text{ ტ/წელ}$$

გამოყოფის წამური ინტენსივობა:

$$M = 0,012 \times 10^6 / 2000 \times 3\,600 = 0,0017 \text{ გ/წმ}$$

- გამოყოფა ამონაგის შეკეთების დროს (გამოყოფის N513 წყარო)

ხვედრითი გამოყოფის კოეფიციენტი შეადგენს 0,033 კგ/ტ.

წლის განმავლობაში თითოეული ღუმელიდან ჩამოისხმება საშუალოდ 2000 ტ ლითონი. ამის გათვალისწინებით გაფრქვევის რაოდენობა ღუმელების ამონაგის შეკეთებისას იქნება:

$$G = 2000 \times 0,033 \times 0,4 / 10^3 = 0,0264 \text{ ტ/წელ}$$

გამოყოფის წამური ინტენსივობა:

$$M = 0,0264 \times 10^6 / 2000 \times 3\,600 = 0,0037 \text{ გ/წმ}$$

სულ ჯამური გაფრქვევები გ-3 წყაროდან იქნება

$$G_{\text{მთვერი}} = 0,0638 + 0,08 + 3,84 + 0,0389 + 0,0475 + 0,086 + 0,086 + 0,013 + 0,168 + 0,012 + \\ 0,0264 = 4,4616 \text{ ტ/წელ}$$

$$M_{\text{მთვერი}} = 0,0177 + 0,0111 + 0,5333 + 0,0054 + 0,0066 + 0,0239 + 0,0239 + 0,0018 + 0,0233 + \\ 0,0017 + 0,0037 = 0,6524 \text{ გ/წმ}$$

$$G_{\text{ლითონის მთვერი}} = 0,0003 \text{ ტ/წელ}$$

$$M_{\text{ლითონის მთვერი}} = 0,00004 \text{ გ/წმ}$$

$$G_{\text{ნახშირბადის ოქსიდი}} = 0,869 + 0,869 + 0,0036 = 1,7416 \text{ ტ/წელ}$$

$$M_{\text{ნახშირბადის ოქსიდი}} = 0,2414 + 0,2414 + 0,0005 = 0,4833 \text{ გ/წმ}$$

$$G_{\text{აზოტის ოქსიდი}} = 0,0013 + 0,00144 = 0,00274 \text{ ტ/წელ}$$

$$M_{\text{აზოტის ოქსიდი}} = 0,0002 + 0,0002 = 0,0004 \text{ გ/წმ}$$

$$G_{\text{გოგირდის ორჟანგი}} = 0,0035 \text{ ტ/წელ}$$

$$M_{\text{გოგირდის ორჟანგი}} = 0,0005 \text{ გ/წმ}$$

$$G_{\text{ნახშირორჟანგი}} = 0,08 \text{ ტ/წელ}$$

- ნამზადების საფანტმტყორცნით გაწმენდი სათავსოს გაფრქვევის მილი (გ-4 წყარო) დანართი 61-ის მიხედვით მტვრის გამოყოფის კოეფიციენტი შეადგენს:  
თუკის სხმულის შემთხვევაში-8,7 კგ/ტ;  
ფოლადის სხმულის შემთხვევაში-13.0 კგ/ტ  
აირის გაწოვა მოხდება DH ტიპის გამწოვით. გაწოვილი ჰაერის მოცულობა შეადგენს 4000მ<sup>3</sup>/სთ(1.11 მ<sup>3</sup>/წმ)  
ზემოთმოყვანილი მონაცემების მიხედვით ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გამოყოფის რაოდენობრივი მაჩვენებლები იქნება:

**თუკის სხმულის შემთხვევაში:**

$$G = 8,7 \times 1\,000 / 10^3 = 8,7 \text{ ტ/წულ}$$

$$M = 8,7 \times 10^6 / 1\,000 \times 3\,600 = 2,4167 \text{ გ/წმ}$$

**ფოლადის სხმულის შემთხვევაში:**

$$G = 13,0 \times 1\,000 / 10^3 = 13,0 \text{ ტ/წულ}$$

$$M = 13,0 \times 10^6 / 1\,000 \times 3\,600 = 3,6111 \text{ გ/წმ}$$

სათავსო აღჭურვილი იქნება გამწოვი სისტემითა და ციკლონით, რომლის ეფექტურობა 70%-ია. ამის გათვალისწინებით გაფრქვეული მტვრის რაოდენობა იქნება:

$$G = (8,7 + 13,0) \times 0,3 = 6,51 \text{ ტ/წულ}$$

$$M = (2,4167 + 3,6111) \times 0,3 = 1,8083 \text{ გ/წმ}$$

ზემოთმოყვანილი მონაცემების გათვალისწინებით გაწოვილ აირში მტვრის კონცენტრაცია იქნება :  
გაწმენდამდე-V=6.0278:1.11=5.43გ/მ<sup>3</sup>  
გაწმენდის შემდეგ V=1.8083:1.11=1.629გ/მ<sup>3</sup>;

- ემისიები ყალიბებისათვის საჭირო მრუდეზედაპირიანი ხის დეტალების დასამზადებელი RC1325RH როუტერის ფუნქციონირებისას (გ-5 წყარო)

აღნიშნული დანადგარი წარმოადგენს საფრეზი დანადგარის მიახლოებით ანალოგს. ამის გათვალისწინებით, ტექნიკური რეგლამენტის 96-ე დანართის შესაბამისად მტვერგამოყოფის ინტენსიობა აღებულია 8 კგ/სთ ტოლად. ამასთანვე მტვრის გაფრქვევის გაანგარიშებისას გათვალისწინებული იქნა მერქნის სინოტივის მახასიათებელი კოეფიციენტი, რომელიც დანართი 96-ს შესაბამისად ტოლია 0,1.

დანადგარი აღჭურვილი იქნება ადგილობრივი ქსოვილოვანი ფილტრით, რომლის ეფექტურობა შეადგენს არანაკლებ 95%-სა.

ყოველივე ზემოთქმულის გათვალიშტინებით ხის მტვრის გაფრქვევის რაოდენობა იქნება:

$$G = T \times K \times 0,1 / 1\,000 \text{ ტ/წულ}$$

სადაც,

T=300 სთ არის წელიწადში დანადგარის მუშაობის ხანგრძლიობა;

K=8 კგ/სთ არის მტვერგამოყოფის ინტენსიობა.

შესაბამისად გაფრქვევის წლიური რაოდენობა იქნება:

$$G = 300 \times 8 \times 0,1 \times 0,05 / 10^3 = 0,012 \text{ ტ/წელ}$$

გაფრქვევის წამური ინტენსიობა იქნება:

$$M = 0,012 \times 10^6 / 300 \times 3\,600 = 0,0111 \text{ გ/წმ}$$

- ემისიების გაანგარიშება წილის განთავსებისას (გ-6 წყარო).

გაანგარიშება მოხდა (3) ფორმულით კოეფიციენტებს შემდეგი მნიშვნელობებისათვის:

$$K1=0,05; K2=0,02; K3=1,0; K4=1,; K5=1,0; K7=0,2; K9=1,0; B=0,4; G=200/2000=0,1$$

აღნიშნულის გათვალისწინებით მივიღებთ

$$M = 0,05 \times 0,02 \times 1,0 \times 1,0 \times 0,2 \times 1,0 \times 0,4 \times 0,1 \times 10^6 \times 0,4 / 3\,600 = 0,0009 \text{ გ/წმ}$$

$$G = 0,0009 \times 2\,000 \times 3\,600 / 10^6 = 0,0065 \text{ ტ/წელ}$$

გაანგარიშების შედეგები მოცემულია ცხრილებში 10.8-10.11.

ცხრილი 10.8.

წარმოების, საამქროს, უბნის დასახელება	მავნე ნივთიერებათა გაფრქვევის წყაროს			მავნე ნივთიერებათა გამოყოფის წყაროს			მავნე ნივთიერებათა გამოყოფის წყაროს მუშაობის დრო, სთ		მავნე ნივთიერებათა დასახელება	გამოყოფის წყაროდან გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა რაოდენობა,	
	№	დასახელება	რაოდე ნობა, ცალი	№	დასახელება	რაოდ ენობა, ცალი	დღე- ღამეში	წელიწა დში		კოდი	ტ/წელი
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12
ჯართის მიღებისა და დამუშავები ს უბანი	გ-1	არაორგანიზებული	1	500	გაფრქვევა ჯართის ბაქანზე განთავსებისა და აირული ჭრით დამუშავებისას	1	8	2 000	ლითონის მტვერი	2902	0,0188
									შედუღების აეროზოლი	0115	0,3052
									მანგანუმის ოქსიდები	143	0,0098
									ნახშირბადის ოქსიდი	337	0,525
									აზოტის ოქსიდები	301	0,413
სადნობი ღუმელების განყოფილებ ა	გ-2	მიღი	1	001 - 002	ინდუქციური ღუმელების გაფრქვევის მიღი	2	4	1 000	მყარი ნაწილაკები (მტვერი)	2909	1,33* 1,42**
									ნახშირჟანგი	337	0,14* 0,11**
									აზოტის ჟანგეულები	301	0,07* 0,07**
									ტყვია	0184	0,000002* 0,00000005**
									კადმიუმი	0133	0,0000003* 0,0000000081**
									ვერცხლისწყალი	0183	0,0000006* 0,0000002**
									დარიშხანი	0325	0,0000015* 0,000000024**
									ქრომი	0203	0,0000013* 0,00000024**
									სპილენძი	0146	0,00002* 0,000015**
									ნიკელი	0164	0,0000005*

									თუთა	0207	0,000023* 0,000073**
ჩამოსხმის უბანი	გ-3	არაორგანიზებული	1	501	ბადიაში ჩაყრა	1	8	2 000	მყარი ნაწილაკები (მტვერი)	2909	4,4616
				502	ჯართის მიწოდება ინდუქციურ ღუმელებში						
				503	ჯართის მიწოდება ინდუქციურ ღუმელებში						
				504	ლითონთა ჩამოსხმა ციცხვში და ყალიბებში				ლითონის მტვერი	2902	0,0003
				505	ნამზადის გამობერტყვის პროცესი						
				506	გამობერტყილი მასის ლენტური ტრანსპორტიორით გადაადგილება				ნახშირჟანგი	337	1,7416
				507	გამობერტყილი მასის განთავსება						
				508	ნედლეულის მიწოდება რბიაში				აზოტის ჟანგეულები	301	0,00274
				509	ნედლეულის მიწოდება რბიაში						
				510	საყალიბე ქვიშის განთავსება				გოგირდის ორჟანგი	330	0,0035
				511	საყალიბე ქვიშის შრობა						
				512	ციცხვთა გაწმენდა						
				513	ამონაგის შეკეთება				ნახშირორჟანგი	-	0,08
საფანტმტყო რცნის უბანი	გ-4	მილი	1	003	ნამზადების საფანტმტყორცნით გაწმენდის სათავსოს გაფრქვევის მილი	1	4	1 000	მყარი ნაწილაკები (მტვერი)	2909	21,7

ზის საამქრო	გ-5	არაორგანიზებული	1	514	გაფრქვევა ყალიბებისათვის საჭირო მრუდეზედაპირიანი ზის დეტალების დასამზადებელი RC1325RH როუტერის ფუნქციონირებისას	1	1,2	300	ზის მტვერი	2909	0,012
წილის განტავსების ადგილი	გ-6	არაორგანიზებული	1	515	წილის განთავსება	1	8	2 000	მყარი ნაწილაკები (მტვერი)	2909	0,0065

შენიშვნა: \*ფოლადის დნობისას ; \*\*თუკის დნობისას



გ5	3	არაორგანიზებული(1x2)	2936	-	0,0111	0,012	10,0	-25,0				
გ6	3	არაორგანიზებული(10x25)	2909	-	0,0009	0,0065	-	-	60,0	-3,0	60,0	-18,0

შენიშვნა: \*ფოლადის დნობისას ; \*\*თუჯის დნობისას

#### ცხრილი 10.10.

მავნე ნივთიერებათა			აირმტვერდამჭერი მოწყობილობების		მავნე ნივთიერებათა კონცენტრაცია, გ/მ³		აირმტვერდამჭერი მოწყობილობების გაწმენდის ხარისხი, %		აირმტვერდამჭერი მოწყობილობების უზრუნველყოფის კოეფიციენტი, %	
გამოყოფის წყაროს ნომერი	გაფრქვევის წყაროს ნომერი	კოდი	დასახელება და ტიპი	რაოდენობა, ცალი	გაწმენდა- მდე	გაწმენდი ს შემდეგ	საპროექტო	ფაქტობრივი	ნორმა- ტიული	ფაქტობრი ვი
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11
001	გ-2	2909	ქსოვილოვანი ფილტრი	1	0,095*	0,00095*	99	99		
002	გ-4	2909	ციკლონი	1	5,4305	1,629	70	70		

შენიშვნა: \*ფოლადის დნობისას ; \*\*თუჯის დნობისას

#### ცხრილი 10.11.

მავნე ნივთიერებათა		გამოყოფის წყაროებიდან წარმოქმნილი მავნე ნივთიერებათა რაოდენობა, (სვ.4+სვ.6)	მათ შორის			გასაწმენდად შესულიდან დაჭერილი და გაუვნებელყოფილია		სულ ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა რაოდენობა, (სვ.3-სვ.7)	მავნე ნივთიერებათ ა დაჭერის პროცენტი გამოყოფილთ ან შედარებით, (სვ.7/სვ.3) 100			
კოდი	დასახელება		გაფრქვეულია გაწმენდის გარეშე		სულ მოხვდა გამწმენდ მოწყობი ლობაში	სულ	მათ შორის უტილიზი რებულია					
			სულ	მათ შორის ორგანიზებული გამოყოფის წყაროებიდან								
1	2	3	4	5	6	7	8	9	10			
2902	ლითონის მტვერი	0,0191	0,0191	-	-	-	-	0,0191	-			
0115	შედუღების აეროზოლი	0,3052	0,3052	-	-	-	-	0,3052	-			
143	მანგანუმის ოქსიდები	0,0098	0,0098	-	-	-	-	0,0098	-			

337	ნახშირბადის ოქსიდი	2,4066* 2,3766**	2,4066* 2,3766**	0,14* 0,11**	-	-	-	2,4066* 2,3766**	-
301	აზოტის ოქსიდები	0,48574* 0,48574**	0,48574* 0,48574**	0,07* 0,07**	-	-	-	0,48574* 0,48574**	-
2909	მტვერი	27,4981* 27,5881**	4,4681* 4,4681**	-	23,03* 23,12**	16,5067* 16,5958**	16,5067* 16,5958**	10,9914* 10,9923**	-
0184	ტყვია	0,00002* 0,0000005**	0,00002* 0,0000005**	0,00002* 0,0000005**	-	-	-	0,00002* 0,0000005**	-
0133	კადმიუმი	0,0000003* 0,0000000081**	0,0000003* 0,0000000081**	0,0000003* 0,0000000081**	-	-	-	0,0000003* 0,0000000081**	-
0183	ვერცხლისწყალი	0,0000006* 0,0000002**	0,0000006* 0,0000002**	0,0000006* 0,0000002**	-	-	-	0,0000006* 0,0000002**	-
0325	დარიშხანი	0,0000015* 0,000000024**	0,0000015* 0,000000024**	0,0000015* 0,000000024**	-	-	-	0,0000015* 0,000000024**	-
0203	ქრომი	0,0000013* 0,00000024**	0,0000013* 0,00000024**	0,0000013* 0,00000024**	-	-	-	0,0000013* 0,00000024**	-
0146	სპილენდი	0,00002* 0,000015**	0,00002* 0,000015**	0,00002* 0,000015**	-	-	-	0,00002* 0,000015**	-
0164	ნიკელი	0,0000005*	0,0000005*	0,0000005*	-	-	-	0,0000005*	-
0207	თუთია	0,000023* 0,000073**	0,000023* 0,000073**	0,000023* 0,000073**	-	-	-	0,000023* 0,000073**	-
330	გოგირდის ორჟანგი	0,0035	0,0035	-	-	-	-	0,0035	-
-	ნახშირბადის ორჟანგი	0,8	0,8	-	-	-	-	0,8	-
2936	ხის მტვერი	0,012	0,012	-	-	-	-	0,012	-

შენიშვნა: \*ფოლადის დნობისას ; \*\*თუკის დნობისას

### 10.3.1.3. ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გაბნევის ანგარიში

მავნე ნივთიერებათა განბნევის ანგარიში მოხდა კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად. ვინაიდან უახლოესი საცხოვრებელი სახლი დაცილებულია 1600 მ-ზე მეტი მაძილით, გაანგარიშება მოხდა 500 მ-ან საზღვარზე.

ანგარიშისათვის გამოყენებული იქნა ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების გაანგარიშების ტექნიკური რეგლამენტი, რომელიც მიღებულია ატმოსფერული ჰაერის შესახებ საქართველოს კანონის და ამავე კანონით დადგენილი სამართლებრივი ნორმების შესრულების მიზნით (მთავრობის დადგენილება N408, 2013 წლის 31 დეკემბერი).

ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმები დგინდება საწარმოს შესაძლო მაქსიმალური დატვირთვის პირობებისათვის.

„ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების გაანგარიშების ტექნიკური რეგლამენტის“ მოთხოვნათა შესაბამისად ჩატარებული გაანგარიშების შედეგად მიღებული ანგარიშის პროგრამული ამონაბეჭდი და მავნე ნივთიერებათა ემისიების გრაფიკული ასახვა მოცემულია დანართ 3-ში.

ცხრილი 10.12 და 10.13. მოცემულია ნივთიერებები, რომელთა ანგარიშიც მიზანშეწონილი არ არის E3=001 კრიტერიუმების შესაბამისად.

ცხრილი 10.12. ნივთიერებები, რომელთა ანგარიშც არამიზანშეწონილია

თუჯის დნობისას

ანგარიშის მიზანშეწონილობის კრიტერიუმები E3=0,01

კოდი	დასახელება	ჯამი Cm/ზდკ
0133	კადმიუმი	1,151210e-11
0146	სპილენდი	0,0000205
0183	ვერცხლისწყალი	0,0000017
0184	ტყვია	0,0000102
0203	ქრომი	0,0000005
0207	თუთია	0,0000041
0325	დარიშხანი	0,0000002

ცხრილი 10.13. ნივთიერებები, რომელთა ანგარიშც არამიზანშეწონილია

ფოლადის დნობისას

ანგარიშის მიზანშეწონილობის კრიტერიუმები E3=0,01

კოდი	დასახელება	ჯამი Cm/ზდკ
0123	რკინის ოქსიდი	0,0000669
0133	კადმიუმი	4,093191e-9
0146	სპილენდი	0,0000307
0164	ნიკელი	0,0000010
0183	ვერცხლისწყალი	0,0000068
0184	ტყვია	0,0006140
0203	ქრომი	0,0000027
0207	თუთია	0,0000012
0325	დარიშხანი	0,0000136

აღნიშნულის გათვალისწინებით გაანგარიშება განხორციელდა შემდეგი მავნე ნივთიერებებისათვის: შედუღების აეროზოლი, მანგანუმის დიოქსიდი, აზოტის ორჟანგი, გოგირდის ორჟანგი, ნახშირბადის ოქსიდი, ხის მტვერი, მტვერი 20%-მდე  $\text{SiO}_2$ -ს შემცველობით. ვინაიდან უახლოესი საცხოვრებელი სახლი საწარმოდან დაცილებულია 1600 მ-ზე მეტი მაძილით, გაანგარიშება მოხდა 500 მ-ან საზღვარზე როგორც ფოლადის, ასევე თუჯის დნობისას. შედეგები მოცემულია 10.14.ცხრილში.

ცხრილი 10.14.

N	გაფრქვეულ ნივთიერებათა დასახელება	კოდი	მავნე ნივთიერებათა ზდკ-ს წილი 500მ-ანი ზონის საზღვარზე
1	შედუღების აეროზოლი	0115	0,04
2	მანგანუმის დიოქსიდი	0143	0,05
3	აზოტის ორჟანგი	0301	0,21
4	გოგირდის ორჟანგი	0330	0,14
5	ნახშირბადის ოქსიდი	0337	0,31
6	ხის მტვერი	2936	0,01
7	მტვერი 20%-მდე $\text{SiO}_2$ -ს შემცველობით	2909	0,69

გაანგარიშების შედეგების ანალიზით დასტურდება, რომ საწარმოს ექსპლოატაციის პროცესში ატმოსფერული ჰაერში გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა კონცენტრაციის მნიშვნელობები არ აჭარბებს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ზდკ ნორმებს.

### 10.3.2. ხმაურის ზემოქმედება

ხმაურის ნორმირება ხორციელდება საქართველოს მთავრობის 2017 წლის N398 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტის „საცხოვრებელი სახლებისა და საზოგადოებრივი/საჯარო დაწესებულებების შენობების სათავსებში და ტერიტორიებზე აკუსტიკური ხმაურის ნორმების შესახებ“ შესაბამისად.

აკუსტიკური ხმაურის დასაშვები ნორმები (ბგერის დონეები) განსაზღვრულია №1 დანართით. აკუსტიკური ხმაურის დასაშვები ნორმები განსხვავებულია დღის (08:00 სთ-დან 23:00 სთ-მდე) და ღამის (23:00 სთ-დან 08:00 სთ- მდე) პერიოდებისათვის. აღნიშნული დანართით დადგენილია აკუსტიკური ნორმები საცხოვრებელ და საძილე სათავსოებში, რაც დღის პერიოდისათვის შეადგენს 35 დბა, ხოლო ღამის პერიოდისათვის -30 დბა.

საწარმოს ექსპლოატაციის ეტაპზე ხმაური წარმოიქმნება ჯართის მიღება-ჩამოცლის და დამუშავების, სავენტილაციო სიტემების ვენტილატორებისა და ძრავების მუშაობისას.

ჯართის მიღებისა და გადამუშავების დროს ადგილი აქვს დარტყმით ხმაურს, საცნობარო ლიტერატურის მიხედვით (МЕТОДИЧЕСКИЕ РЕКОМЕНДАЦИИ ПО БОРЬБЕ С ШУМОМ И ВИБРАЦИЕЙ НА ПРЕДПРИЯТИЯХ ЧЕРНОЙ МЕТАЛЛУРГИИ 6 апреля 1984 г. N 2986-84) ხმაურის დონე

მერყეობს 90-100 დბა-ს ფარგლებში, ხოლო საშუალო დონე აღწევს 95 დბა-ს. აღნიშნული წყაროდან უახლოეს განაშენიანების ტერიტორიამდე მანძილი შეადგეს 1650 მ-ს. გავრცელებული ხმაურის დონე იანგარიშება ფორმულით.

$$L = L_p - 15 \lg r + 10 \lg \Phi - \beta r / 1000 - 10 \lg Q, \text{ დბა (A)}$$

შესაბამისი მნიშვნელობების ჩასმით მივიღებთ:

$$L = 95 - 15 \lg 1650 + 10 \lg 1 - 10,5 \times 1650 / 1000 - 10 \lg 12,56 = 18,42 \text{ დბა.}$$

როგორც განგარიშებიდან ჩანს, ჯართის ბაქნიდან დასახლებულ პუნქტამდე ხმაური ვერ მიაღწევს, ამასთან ჯართის ბაქანსა და დასახლებულ პუნქტს შორის განთავსებულია ხელოვნური ბარიერები, მათ შორის განსახილველი საწარმოს შენობა.

სხვა ყველა ტექნოლოგიური პოცესი განთავსდება კაპიტალური შენობაში, შენობის გარეთ ხმაურის გავრცელება მოსალოდნელი არ არის, მით უმეტეს ვერ მიაღწევს 1600 მ-ით დაშორებულ დასახებულ პუნქტზე.

ამდენად საწარმოს ექსპლუატაციის ეტაპზე დასახლებულ პუნქტზე ხმაურის ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.

### 10.3.3. წყლის რესურსებზე ზემოქმედება

როგორც მე-5 პარაგრაფშია აღწერილი, ობიექტის წყალმომარაგება გათვალისწინებულია რუსთავის წყალსადენის ქსელიდან, რაზედავ გაფორმებულია ხელშეკრულება. საწარმო მიერთებულია წყალსადენის ქსელზე, მოწყობილია წყალაღრიცხვის კვანძი, წყალი შემოყვანილია საწარმოს ტერიტორიაზე.

საწარმოს დაგეგმილი აქვს მიწისქვეშა ჰორიზონტის ჭის მოწყობა, საიდანაც განხორციელდება წყალაღება საწარმოო მიზნებისათვის. წყალსარგებლობა განხორციელდება სათანადო ლიცენზიის საფუძველზე.

საწარმოო მიზით საჭირო წყლის რაოდენობაა 25 მ<sup>3</sup>/სთ, რაც დღის განმავლობაში შეადგენს 200 მ<sup>3</sup>-ს. რადგან საწარმოში მოწყობილი იქნება წყლის გამოყენების ბრუნვითი სისტემა, ბუნებრივი წყლის ობიექტიდან აღებული იქნება 2,5 მ<sup>3</sup>/სთ დღეში 20 მ<sup>3</sup>-ის ოდენობით. აღნიშნული პარამეტრებით წყალსარგებლობა ვერ მოახდენს მნიშვნელოვან გავლენას მიწისქვეშა წყლის ჰორიზონტზე.

ამდენად, ობიექტის წყალაღებით ზემოქმედება წყლის რესურსებზე იქნება დაბალი.

როგორც 5.2. ქვეთავშია განხილული ობიექტზე საწარმოო ჩამდინარე წყლები არ წარმოიქმნება. ტექნოლოგიაში საჭირო წყალი ჩართულია ბრუნვითი წყალმომარაგების სისტემაში.

მუშა-მოსამსახურეთა საყოფაცხოვრებო დანიშნულების სათავსოებში და ოფისში წარმოქმნილი საყოფაცხოვრებო-ფეკალური ჩამდინარე წყლები შეიკრიბება შიდა კანალიზაციის ქსელით და ჩაშვებული იქნება რუსთავის კანალიზაციის ქსელში.

საწარმოს დაბინძურების რისკის მქონე უბანზე, ჯართის მიღება დამუშავებისმოედნებზე მოეწყობა წყალშემკრები სისტემა. სანიაღვრე წყლების გაწმენდა მექანიკურ გამწმენდ ნაგებობაში. ჩაშვება განხორციელდება სანიაღვრე კანალიზაციის ქსელში საქართველოს მთავრობის 20.08.2016წ. N431 დადგენილებით დამტკიცებული

„წყალარინების (საკანალიზაციო) სისტემაში ჩამდინარე წყლების ჩაშვებისა და მიღების პირობები და დამაბინძურებელ ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები ნორმების“ ტექნიკური რეგლამენტის შესაბამისად.

ამდენად ობიექტის მოწყობა-ექსპლუატაციის ეტაპზე წყლის რესურსებზე ზემოქმედება მოსალოდნელია მხოლოდ წყალაღებით. ამ მიმართულებითაც დაგეგმილია შემარბილებელი ღონისძიების გამოყენება, შედეგად ზემოქმედება იქნება დაბალი.

#### 10.3.4. ნარჩენების წარმოქმნა-გავრცელებაზე ზემოქმედება

როგორც 5.8 ქვეთავშია განხილული, ექსპლუატაციის პროცესში მოსალოდნელია სხვადასხვა ნარჩენის წარმოქმნა, რომელთა მართვა მოხდება შემდეგი პრიციპით:

- ნარჩენების იდენტიფიკაციის უზრუნველყოფა, მათი სახეების მიხედვით;
- ნარჩენების სეპარირებული შეგროვების უზრუნველყოფა, მათი დროებითი განთავსებისათვის საჭირო პირობების დაცვა, რათა გამოირიცხოს ნარჩენების მავნე ზემოქმედება გარემოზე და ადამიანთა ჯანმრთელობაზე;
- ნარჩენების ტრანსპორტირების პირობების უზრუნველყოფა, რომლის დროსაც გამორიცხული უნდა იქნას ნარჩენების გაფანტვა, დაკარგვა, ავარიული სიტუაციების შექმნა, გარემოსა და ადამიანთა ჯანმრთელობისათვის ზიანის მიყენება;
- ნარჩენების რაოდენობის შემცირება;
- ნარჩენების მეორადი გამოყენება;
- ნარჩენების მართვაზე პერსონალის პასუხისმგებლობის განსაზღვრა;
- საწარმოო და საყოფაცხოვრებო ნარჩენების აღრიცხვის უზრუნველყოფა.

საწარმოს ექსპლუატაციის ეტაპზე პრიორიტეტული საკითხი იქნება ნარჩენების პრევენცია, რაც განხორციელდება იმ ტექნოლოგიური პროცესების სრულყოფილი მართვით, რომელიც დაკავშირებულია ნარჩენების წარმოქმნასთან;

საწარმოში შემოიზიდება წინასწარ გადარჩეული და დახარისხებული ჯართი, რაც უზრუნველყოფს ნედლეულის მომზადების უბანზე ნარჩენების წარმოქმნის პრევენციას/შემცირებას. ტექნოლოგიური პროცესების დროს მანქანა-დანადგარების სწორი და უსაფრთხო ექსპლუატაცია ასევე უზრუნველყოფს ნარჩენების პრევენციას.

მნიშვნელოვანი ყურადღება დაეთმობა ნარჩენების სეპარირებას. ყველა ტიპისა და სახეობის ნარჩენი განთავსდება ცალ-ცალკე, მისთვის განკუთვნილ ადგილზე და

მოცულობაში. სეპარირებული შეგროვება ასევე ხელს შეუწყობს სახიფათო ნარჩენების შემცირებას, მარტივსა და მოსახერხებელს გახდის მათ მართვას.

სახიფათო ნარჩენებისათვის მოქმედი დახურული სათავსო, სადაც დადგმული იქნება სათანადო მარკირებული კონტეინერები, ნარჩენების სეპარირებული შეგროვებისათვის.

ობიექტზე წარმოიქმნება საყოფაცხოვრებო ნარჩენები, რომლის შეგროვება მოხდება სათანადო კონტეინერებში და გადაეცემა რუსთავის კომუნალურ სამსახურს, ხელშეკრულების საფუძველზე.

საწარმოს ტერიტორიაზე მოქმედი წილების განთავსების უბანი, სადაც წილები დროებით განთავსდება შემდგომი გამოყენებისათვის, რეალიზდება მომხმარებლებზე, ან/და გადაეცემა მყარი ნარჩენების კომპანიას ნაგავსაყრელზე განთავსების (ნაყარის გადაფარვის) მიზნით.

კომპანია ექსპლუატაციის ეტაპზე ნარჩენების მართვას მოახდენს სამინისტროსთან შეთანხმებული ნარჩენების მართვის გეგმის და ნარჩენების მართვის სფეროში მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად.

ზემოაღნიშნული მოთხოვნების დაცვის პირობებში ნარჩენებით გარემოზე  
მოსალოდნელი ზემოქმედება იქნება დაბალი.

### 10.3.5. ზემოქმედება ბუნებრივ ლანდშაფტსა და ბიოლოგიურ გარემოზე

საწარმოს განთავსება დაგეგმილია საწარმოო ზონაში, ანტროპოგენური ზემოქმედების შედეგად სახეცვლილ ტერიტორიაზე, რომელსაც გარს ეკვრის სხვადასხვა პროფილის საწარმოები, ყოფილი (გაუქმებული) საწარმოთა ტერიტორიები. ლანდშაფტი სახეცვლილი და დეგრადირებულია, ამდენად გამორიცხულია ბუნებრივ ლანდშაფტზე, ფლორასა და ფაუნაზე დამატებითი უარყოფითი გავლენის მოხდენა.

საპროექტო და მიმდებარე ტერიტორიზე გასულ საუკუნეში ფუნქციონირებდა რუსთავის ქიმიკური საწარმო. ამჟამად შენობათა უმეტესობა დანგრეულია, დარჩენილია სამშენებლო ნარჩენები რომელსაც ვიზუალურად ძალიან ცუდი იერსახე აქვს (სურათი 10.1.; 10.2.).

ამდენად, არსებულ ტერიტორიას რაიმე ვიზუალურ-ლანდშაფტური ღირებულება არ გააჩნია და ტერიტორიის მოწესრიგება დადებითად აისახება დეგრადირებულ ლანდშაფტზე.

საწარმოს ექსპლუატაციის ეტაპზე მცენარეულ საფარზე ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის, საწარმოს შიდა ტერიტორიაზე დგას რამდენიმე ველური თუთის ხე, რომლის შენარჩუნებას საფთხე არ ემუქრება.

კომპანიას დაგეგმილი აქვს ექსპლუატაციის ეტაპზე საწარმოს მიმდებარე ტერიტორიაზე მოაწყოს ხე-მცენარეების ზოლი. სარემონტო და სამონტაჟო სამუშაოების დასრულების

შემდეგ მოხდება გამწვანების ზოლის მოწყობა შენობის წინ, საწარმომდე მისასვლელი გზის გასწვრივ. აღნიშნული გაუმჯობესებს მცენარეთა საფარის არსებულ მდგომარეობას.

საკვლევი ტერიტორიაზე ცხოველთა სახეობების არსებობა, მით უმეტეს მსხვილი ძუძუმწოვრების, გამორიცხულია, რადგან ყველა მხარეს ესაზღვრება სამრეწველო საწარმოთა ტერიტორიები, რომელთა უმეტესობა დაფარულია სამშენებლო ნარჩენებით. ამიტომ ცხოველთა სამყაროზე ზემოქმედება შეიძლება შეფასდეს, როგორც უმნიშვნელი.

ობიექტის განთავსების ტერიტორიაზე წითელი წიგნისა და წითელი ნუსხის სახეობები არ არის გავრცელებული.

ამდენად საწარმოს მოწყობით ბიოლოგიურ გარემოზე ზემოქმედება შეიძლება შეფასდეს როგორც დაბალი, ხოლო ლანდშაფტზე - დადებითი.



სურათი N10.1.



სურათი N10.2.

### 10.3.6. ზემოქმედება დაცულ ტერიტორიებზე

საწარმოს გავლენის ზონაში დაცული ტერიტორია განთავსებული არ არის. უახლოესი დაცული ტერიტორია, გარდაბნის აღკვეთილი, დაშორებულია 7 კმ-ზე მეტი მანძილით, ამდენად მათზე ნეგატიური ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.

### **10.3.7. ზემოქმედება ისტორიულ-კულტურულ და არქეოლოგიურ ძეგლებზე**

საწარმოს გავლენის ზონაში რაიმე კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები ან არტეფაქტები არ არის გამოვლენილი, ასევე მოსალოდნელი არ არის გამოვლენა, რადგან განსახილველ ტერიტორიაზე წინა საუკუნეში არსებობდა ტექნიკური დანიშნულების შენობა-ნაგებობებათა კომპლექსი, რომელთა მოწყობისა და დემონტაჟის ფაქტი გამორიცხავს ტერიტორიაზე რაიმე არტეფაქტის გამოვლენას. ამდენად საკვლევი ტერიტორია არქეოლოგიურად სტერილურია.

უახლოესი კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი საპრექტო ტერიტორიიდან დაშორებულია 2,5 კმ-ზე მეტი მანძილით, ამიტომ კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებზე ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.

### **10.3.8. ზემოქმედება სოციალურ-ეკონომიკურ გარემოზე**

საწარმოს მოწყობა-ექსპლუატაციის დროს დასაქმებულთა რიცხვი დიდი არ არის (25 კაცი), თუმცა დადებითად აისახება სოციალური პირობების გაუმჯობესებაზე, ამასთან საწარმოს მოწყობა ექსპლუატაცია ასტიმულირებს სხვა ობიექტების ფუნქციონირებას, მშენებლობის ეტაპზე სამშენებლო კომპანიებისა და სამშენებლო მასალების მწარმოებელ კომპანიებს. ექსპლუატაციის ეტაპზე საჭიროებს სხვადასხვა მომსახურეობის შესყიდვას, რაც ასევე დადებითად აისახება სოციალურ-ეკონომიკური გარემოს გაუმჯობესებაზე.

შპს „ჯეო ენტერპრაიზ“ის საქმიაობის დაგეგმვა მოხდა ადგილობრივი ბაზრის წინასწარი კვლევის საფუძველზე. წარმოების შედეგად მოხდება ბაზარზე არსებული მოთხოვნის ნაწილის დაკმაყოფილება ადგილობრივი წარმოების პროდუქტით, რაც თავისთავად გამოიწვევს იმპორტის შემცირებას და ბაზრის დასტაბილურებას.

ამასთან, საწარმოში შესაძლებელი იქნება ცალკეული დეტალის დამზადება კლიენტის მოთხოვნის შესაბამისად, რაც ხელს შეუწყობს არსებული წარმოებების გამართულ მუშაობას, სხვადასხვა ინფრასტრუქტურული პროექტების შეუფერხებელ განხორციელებას.

ზემოაღნიშნულის გათვალისიერით პროექტის განხორციელება დადებითად აისახება არსებულ სოციალურ, ეკონომიკურ მდგომარეობაზე.

### **10.3.9. ზემოქმედება ნიადაგის ნაყოფიერ ფენაზე**

საწარმოს ექსპლუატაციის პროცესში ნიადაგის ნაყოფიერ ფენაზე პირდაპირი ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის, რადგან ტექნოლოგიური პროცესები მთლიანად განთავსებულია დახურულ შენობაში, გარე ტერიტორიაზე ნედლეულის ბაქანი დაფარული იქნება არმირებული ბეტონის ფენით. ამასთან, როგორც 8.5. ქვეთავშია

განხილული საპროექტო და მიმდებარე ტერიტორიაზე ნიადაგის ნაყოფიერი ფენა არ არსებობს, შესაბამისად არაპირდაპირი ზემოქმედებაც არ არის მოსალოდნელი.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საწარმოს ექსპლუატაციის ეტაპზე ნიადაგის ნაყოფიერ ფენაზე ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის და შემარბილებელ ღონისძიებას არ საჭიროებს.

### 10.3.10. ზემოქმედება სატრანსპორტო ნაკადებზე

#### 10.3.10.1. მოქმედი რეგულაციები ტვირთების გადაზიდვების მიმართ

საქართველოში ავტოტრანსპორტით ტვირთების გადაზიდვის პირობებს, უსაფრთხოებისა და საკუთრების დაცვის უზრუნველყოფასთან დაკავშირებულ მოთხოვნებს, აგრეთვე გადაზიდვის პროცესში მონაწილეთა უფლებებს, ვალდებულებებსა და პასუხისმგებლობას ადგენს:

1. საქართველოს კანონი „საგზაო მოძრაობის შესახებ“.
2. ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის N1-1/1562,18-08-2011 ბრძანებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტი „ავტოსატრანსპორტო საშუალებებით ტვირთის გადაზიდვის წესი“.

აღნიშნული საკანონმდებლო დოკუმენტების მიხედვით ტვირთის გამგზავნი (ტვირთის მიმღები) ვალდებულია უზრუნველყოს ტვირთის დატვირთვის (გადმოტვირთვის) ადგილზე ავტოსატრანსპორტო საშუალების უსაფრთხო მოძრაობისა და მანევრირებისათვის შესაბამისი პირობების შექმნა.

- ექსპლუატაციაში მყოფი ავტოსატრანსპორტო საშუალების (მათ შორის, სპეციალიზებული ავტოსატრანსპორტო საშუალების) ტექნიკური მდგომარეობა, მისი აღჭურვილობა და კომპლექტაცია უნდა შეესაბამებოდეს დამამზადებლის, საქართველოს კანონმდებლობის და წინამდებარე წესით დადგენილ მოთხოვნებს.
- გადამზიდველი, ტვირთის გამგზავნი და ტვირთის მიმღები ვალდებულნი არიან დაიცვან საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი უსაფრთხოების ტექნიკისა და წესებით განსაზღვრული მოთხოვნები დატვირთვა-გადმოტვირთვისა და გადაზიდვის პროცესში.
- ავტოსატრანსპორტო საშუალების მძღოლი ვალდებულია დაიცვას „საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონით, გადაზიდვებთან დაკავშირებული სტანდარტებით, ტექნიკური რეგლამენტებით დასაერთაშორისო ნორმებით, აგრეთვე ავტოსატრანსპორტო საშუალების ტექნიკური ექსპლუატაციის, სერვისისა და წინამდებარე წესებით გათვალისწინებული მოთხოვნები.
- ტვირთის გამგზავნი ვალდებულია: 1. გადამზიდველის ან მძღოლის მოთხოვნით აღმოფხვრას ტვირთის განლაგება-დამაგრებაში და შეფუთვაში აღმოჩენილი

უწესივრობები, რომლებმაც შეიძლება საფრთხე შეუქმნას ტვირთს ან/და ავტოსატრანსპორტო საშუალებას; 2. დატვირთვა-გადმოტვირთვისა და ტრანსპორტირების დროს ტვირთის შესაძლო დაზიანების თავიდან აცილების მიზნით მოახდინოს სპეციალური მარკირება, რომელიც მიუთითებს ტვირთის თვისებებზე, მისდამი დამოკიდებულებაზე (მოპყრობაზე) დატვირთვა-გადმოტვირთვის, ტრანსპორტირების და შენახვის პროცესში (მაგალითად ”ზევით”, ”არ აბრუნოთ”, ”მსხვრევადი” და სხვა).

- ტვირთის გამგზავნი (ტვირთის მიმღები) ვალდებულია უზრუნველყოს ტვირთის დატვირთვის (გადმოტვირთვის) ადგილზე ავტოსატრანსპორტო საშუალების უსაფრთხო მოძრაობისა და მანევრირებისათვის შესაბამისი პირობების შექმნა.
- ავტოსატრანსპორტო საშუალებაზე ტვირთი უნდა განთავსდეს და დამაგრდეს ისე, რომ გადაზიდვისას უზრუნველყოფილი იქნეს ავტოსატრანსპორტო საშუალების და მოძრაობის უსაფრთხოება დატვირთვა-გადმოტვირთვისა და გადაზიდვის პროცესში და საფრთხე არ შეექმნას ადამიანის სიცოცხლეს, ჯანმრთელობას და გარემო პირობებს.

ზემოაღნიშნული წესებისა და რეგულაციების კონტროლს და მონიტორინგს ახორციელებს შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტი.

#### **10.3.10.2. სატრანსპორტო ნაკადების ანალიზი და ზემოქმედების შეფასება**

საწარმოს ტერიტორიაზე ტვირთების ტრანსპორტირება მოხდება ავტომანქანებით. როგორც 7. თავშია განხილული ტრანსპორტირება მოხდება რუსთავი-ჯანდარას ავტომაგისტრალით, ცენტრალური გზიდან საწარმომდე არ გაივლის დასახლებულ პუნქტს.

საწარმოს ტერიტორიიდან მოსახლეობა იმდენად შორსაა (1600 მ), რომ საწარმოს ტერიტორიაზე ტვირთების შემოტანა-გადმოტვირთვა იქნება შეუმჩნეველი.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით ტერიტორიაზე ტვირთის შემოზიდვა და განთავსება მგრძნობიარე რეცეპტორებზე მნიშვნელოვან გავლენას ვერ მოახდენს.

როგორც მე-4 თავშია განხილული საპროექტო წარმადობა შეადგენს 2000 ტ. სხვადასხვა სხმული, რისთვისაც საჭიროა შემდეგი ნედლეული: 2200 ტ. ჯართი ან ნამზადი. 60 ტ. კვარცის ქვიშა, 50 ტ. ბენტონიტი, 20 ტ. ფეროშენადნობი.

აღნიშნული მასალების ტრანსპორტირებას დასჭირდება შემდეგი რაოდენობის გადაზიდვები: ჯართი (ან ნამზადი) 100 რეისი, კვარცის ქვიშა 6 რეისი, ბენტონიტი და ფეროშენადნობი 30 რეისი (ტრანსპორტირდება შეფუთული დაბალი ტვირთამწეობის ტრანსპორტით). შესაბამისად მასალების შემოტანას დასჭირდება 136 გადაზედვა, რაც დღეში 1-ს არ გადააჭარბებს. რაც შეეხება პროდუქციის გატანას, შესაძლებელია მოხდეს დაბალი ტვირთამწეობის და მსუბუქი ტრანსპორტით, ასევე მაღალი ტვირთამწეობის სატვირთოებითაც. აღნიშნულის გათვალისწინებით პროდუქციის

ტრანსპორტირებისატის საჭირო გადაზიდვები შესაძლებელია იყოს წელიწადში 200, რაც ასევე დღეში 1-ს არ აღემატება.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სატრანსპორტო ნაკადების რაოდენობა შეიძლება იყოს დღეში 1-დან 2-მდე, საწარმოს სამუშაო საათების შესაბამისად დღის საათებში. თუ გავითვალისწინებთ, რომ მისასვლელი გზა ცენტრალური მაგისტრალიდან საწარმომდე არ გაივლის დასახლებულ პუნქტს, მგრძნობიარე რეცეპტორებზე ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის, ამასთან რუსთავი-ჯანდარას საავტომობილო გზაზე ადგილობრივი მმართველობის მიერ გადაადგილებაზე ან/და ტვირთამწეობაზე შეზღუდვები არ არის დაწესებული, შესაბამისად ამ მიმართულებით შემარბილებელი ღონისძიებები საჭირო არ არის.

### 10.3.11. ზემოქმედება გეოლოგიურ გარემოზე

როგორც 8.3. ქვეთავშია განხილული, საპროექტო ტერიტორია საინჟინრო-გეოლოგიური თვალსაზრისით, დამაკმაყოფილებელ პირობებშია, ვინაიდან ადგილზე არახელსაყრელი ფიზიკურ-გეოლოგიური მოვლენები (მეწყერი, ჩაქცევა და სხვ.) არ აღინიშნება. შესაბამისად საწარმოს ექსპლუატაციის შედეგად საშიში გეოლოგიური პროცესების გააქტიურება მოსალოდნელი არ არის.

ტერიტორიის ფარგლებში ასევე არ გამოვლენილია საშიში გეოდინამიკური პროცესების თვალსაზრისით საყურადღებო უბნები და მოსალოდნელიც არ არის.

### 10.3.12. კუმულაციური ზემოქმედება

კუმულაციური ზემოქმედების შეფასების მთავარი მიზანია პროექტის განხორციელებით მოსალოდნელი ზემოქმედების ისეთი სახეების იდენტიფიცირება, რომლებიც როგორც ცალკე აღებული არ იქნება მასშტაბური ხასიათის, მაგრამ სხვა - არსებული, მიმდინარე თუ პერსპექტიული პროექტების განხორციელებით მოსალოდნელ, მსგავსი სახის ზემოქმედებასთან ერთად საგულისხმო უარყოფითი ან დადებითი შედეგების მომტანია. ამდენად, კუმულაციური ზემოქმედების განხილვა უნდა მოხდეს ჯამური ეფექტის მქონე ემისისების შემთხვევაში.

კუმულაციური ზემოქმედებიდან აღსანიშნავია:

- მავნე ნივთიერებათა ემისიები ატმოსფერულ ჰაერში;
- ხმაურის გავრცელება;
- წყლის გარემოზე ზემოქმედება;
- საწარმოში წარმოქმნილი ნარჩენებით გარემოს დაბინძურება.

როგორც მეორე პარაგრაფშია მოცემული, საპროექტო საწარმოს მიმდებარედ 500 მეტიან რადიუსში განლაგებულია შემდეგი პროფილის მოქმედი საწარმო იბიექტები: პოლიპროპილენის საწარმო, ბაზალტის ბოჭკოსა და ბოძების საწარმო, სხვადასხვა მასალების სასაწყობე მეურნეობები. აღნიშნული

ობიექტებიდან არ ხდება ჯამური ეფექტის ნივთიერებების ემისიები. ამდენად ატმოსფერულ ჰაერზე კუმულაციური ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.

საპროექტო საწარმო განთავსებულია საწარმოო ზონაში, დასახლებული პუნქტიდან 1600 მ-ის დაშორებით. საწარმოო პროცესები განთავსებული იქნება დახურულ კაპიტალურ შენობაში, ამდენად ხმაურის კუმულაციური ეფექტი მგრძობიარე რეცეპტორებამდე მოსალოდნელი არ არის.

საწარმოს მოწყობისა და ექსპლუატაციის პროცესში წყლის რესურსებზე პირდაპირი ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის, ამდენად კუმულაციური ეფექტი მოსალოდნელი არ არის.

ნარჩენებით გარემოს დაბინძურების კუმულაციური ეფექტი მოსალოდნელია, თუ განსახილველი და მეზობელი საწარმოებიდან მოხდება ნარჩენებით გარემოს დაბინძურება. საწარმოში მოწყობისა და ექსპლუატაციის ეტაპზე მკაცრად იქნება დაცული ნარჩენების მართვის წესები, რაც გამორიცხავს გარემოს დაბინძურებების კუმულაციურ ეფექტს.

### 10.3.13. ადამიანების ჯანმრთელობა და უსაფრთხოება

საწარმოს ექსპლუატაცია შედის მომეტებული საფრთხის შემცველი მძიმე, მავნე და საშიშპირობებიანი სამუშაოების ჩამონათვალში, ამიტომ მნიშვნელოვანია ადამიანის (როგორც მომსახურე პერსონალის ისე მიმდებარედ მაცხოვრებლების) ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების უზრუნველსაყოფის განსაკუთრებული ზომების მიღება.

საწარმოს ექსპლოატაციის პროცესში ადამიანების ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებაზე უარყოფითი ზემოქმედების რისკი გამოწვეულია დაწესებული უსაფრთხოების წესებისა და რეგლამენტის დარღვევის, აგრეთვე სხვადასხვა მიზეზის გამო შექმნილი ავარიული სიტუაციის შემთხვევაში შესაძლებელია როგორც არაპირდაპირი, ისე მეორადი უარყოფითი ზემოქმედება, საკმაოდ მძიმე სახითათო შედეგებით.

ადამიანთა ჯანმრთელობაზე პირდაპირი ზემოქმედების პრევენციის მიზნით მნიშვნელოვანია უსაფრთხოების ნორმების მკაცრი დაცვა და მუდმივი ზედამხედველობა.

მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, საწარმოში გათვალისწინებული იქნება სახანძრო და შრომის უსაფრთხოების მოთხოვნები, მოწყობისა და ექსპლუატაციის ეტაპზე.

საწარმოს ეყოლება გარემოს დაცვისა და შრომის უსაფრთხოების სათანადო კვალიფიკაციის თანამშრომლები, რომლებიც შეიძლება გარემოს დაცვისა და შრომის უსაფრთხოების შიდა კონტროლის მოქნილ სისტემას. განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით აღჭურვას და მათ სათანადო გამოყენებას.

ზემოაღნიშნული უზრუნველყოფს უბედური შემთხვევების რისკების მინიმუმამდე შემცირებას.

### **10.3.14. სოციალურ-ეკონომიკური სარგებლისა და გარემოზე ზემოქმედების შედარებითი ანალიზი**

წევისმიერი პროექტის განხორციელებისათვის მნიშვნელოვანია წინასწარ ჩატარდეს ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევა, რომელიც მოიცავს ხარჯთსარგებლიანობის ანალიზს და სოციალურ-ეკონომიკური შედეგის ხარისხობრივ შეფასებას. შესაძლებლობის შემთხვევაში სასურველია (სათანადო საკანონმდებლო ნორმატიული დოკუმენტების არსებობის შემთხვევაში) რაოდენობრივად და ფულად გამოსახულებაში გაიზომოს და შედარდეს პროექტის ზეგავლენა გარემოზე და საზოგადოებაზე, მის სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობაზე, მათ შორის, დასაქმებაზე გავლენის ჩათვლით.

როგორც მე-3 თავშია განხილული, საქმიანობის დაგეგმვა მოხდა ბაზარზე არსებული მოთხოვნისა და ინვესტორის ამ დარგში დაგროვილი გამოცდილების საფუძველზე.

– საწარმოში დამზადებული პროდუქცია წარმოადგენს ცალკეული მოწყობილობების, ან დარგების ერთ მცირე დეტალს, რომლის დეფიციტურობა და არ არსებობა ხანგრძლივი დროით აფერხებს მოწყობილობის/დარგის ფუნქციონირებას, აფერხებს ცალკეული პროექტების განხორციელებას. ამდენად საწარმოს მოწყობა- ექსპლუატაციის შედეგად მიღებული ეკონომიკური სარგებელი არ შემოიფარგლება მხოლოდ საწარმოს გამომუშავებული, ბიუჯეტში შეტანილი, შრომის ანაზღაურებაში გადახდილი თანხებით. ამასთან თუ გავითვალისწინებთ ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებაში მიღებულ წვლილს, საქმიანობის სოციალურ- ეკონომიკური სარგებელი იქნება მნიშვნელოვანი;

– საწარმოში ძირითად ნედლეულად დაგეგმილია ჯართის(ნარჩენების) გამოყენება, რაც ასევე მიშვნელოვანია ქვეყანაში ცირკულარული ეკონომიკის განვითარებისათვის;

– საწარმოს გამოშვებული პროდუქცია ჩაანაცვლებს ბაზარზე იმპორტით შემოსულ მასალებს, რაც ბაზრის დასტაბილურებისა და დადებითი სავაჭრო ბალანსის ხელისშემწყობი პირობაა;

– წევისმიერი საწარმოს მოწყობა-ექსპლუატაცია ასტიმულირებს სხვა დარგების მუშაობას, მოცემულ შემთხვევაში მასალებისა და მომსახურების შესყიდვა, ასევე სხვა დარგებზე საჭირო დეტალების მიწოდება მნიშვნელოვნად წაახალისებს მათ ფუნქციონირებას.

რაც შეეხება გარემოზე ზემოქმედებას, საწარმოს მოწყობა დაგეგმილია საწარმოო ზონაში, სამეწარმეოდ უკვე ათვისებულ ტერიტორიაზე, რომლისგანაც უახლოესი დასახლებული პუნქტი დაშორებულია 1600 მ-ით. მისი მოწყობით არ მოხდება ახალი გარემოს ათვისება, ლანდშაფტის შეცვლა, მცენარეების გარემოდან ამოღება, ან/და ცხოველთა და ფრინველთა საარსებო გარემოს მოშლა. ამასთან არსებული ტერიტორიზეა მხოლოდ საწარმოო დანიშნულების ობიექტის მშენებლობაა მიზანშეწონილი.

საწარმოს მოსაწყობად არ იგეგმება მნიშვნელოვანი და მასშტაბური სამუშაოები, რადგან ტექნოლოგიური დანადგარები მოეწყობა არსებულ შენობაში. როგორც ანგარიშის მე-10 თავშია განხილული, ზემოქმედება მოსალოდნელია ატმოსფერულ ჰაერზე, ნარჩენების წარმოქმნა-გავრცელებასა და ადამიანის ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებაზე.

- ატმოსფერულ ჰაერზე ზემოქმედების შემცირების მიზნით დაგეგმილია შემარბილებელი ღონისძიებების გატარება, როგორიცაა აირმტვერდამჭერი სისტემების გამოყენება. მავნე ნივთიერებათა განპნევის ანგარიში მოხდა კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად. ვინაიდან უახლოესი საცხოვრებელი სახლი დაცილებულია 1600 მ-ზე მეტი მაძილით, გაანგარიშება ჩატარდა 500 მ-ან საზღვარზე. გაანგარიშების შედეგების ანალიზით დასტურდება, რომ საწარმოს ექსპლოატაციის პროცესში ატმოსფერული ჰაერში გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა კონცენტრაციის მნიშვნელობები არ აჭარბებს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ზდკ ნორმებს.

- ნარჩენების წარმოქმნა მოსალოდნელია ტექნოლოგიური პროცესებისა და მანქანა-დანადგარების ექსპლუატაციის შედეგად. თუ გავითვალისწინებთ, რომ საწარმო წარმოადგენს ნარჩენების აღმდგენს, ექსპლუატაციის ეტაპზე წარმოქმნილი ნარჩენების რაოდენობა გაცილებით ნალებია, ვიდრე საწარმოში აღდგენილი. ამასთან თუ არსებული შენობა-ნაგებობები არ იქნება გამოყენებული სამეწარმეო მიზით, დროთა განმავლობაში იგი ასევე გარდაიქმნება სამშენებლო ნარჩენების გროვად. საწარმოს მიერ ნარჩენების მართვის წესებისა და რეგულაციების დაცვის შემთხვევაში ნარჩენებით გარემოზე უარყოფითი ზემოქმედების რისკი ძალიან დაბალია.

- შედარებით მაღალია ადამიანის (დასაქმებული პერსონალის) ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებაზე ზემოქმედების რისკი, რომელიც მოსალოდნელია უსაფრთხოების წესებისა და რეგულაციების დარღვევის შემთხვევაში. საწარმო იხელმძღვანელებს შრომის უსაფრთხოების საკითხებში მოქმედი კანონებითა და ინსტრუქციებით, შეიმუშავებს მოსალოდნელი ავარიული სიტუაციების მართვის გეგმას, დააწესებს შიდა კონტროლს შრომის უსაფრთხოების წესების დაცვაზე, რაც უზრუნველყოფს უბედური შემთხვევების პრევენცია/მინიმიზაციას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, თუ საწარმოს მოწყობისა და ექსპლუატაციის ეტაპზე დანერგილი იქნება სწორი გარემოსდაცვითი პოლიტიკა, რომელიც უზრუნველყოფს გარემოს (ჰაერის, წყლის, მყარი ნარჩენების მართვას, ბიომრავალფეროვნების) და ბუნებრივი რესურსების დაცვას, იხელმძღვანელებს გარემოს დაცვის ძირითადი (მათ შორის მგდრადობის) პრინციპებით, გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედება იქნება დაბალი, სოციალურ-ეკონომიკური სარგებლი კი მნიშვნელოვანი.

## 11. საქმიანობის გარემოსდაცვითი მონიტორინგი

გარემოსდაცვითი კანონმდებლობის შესახებ საქმიანობის სუბიექტი ახორციელებს თვითკონტროლსა და თვითმონიტორინგს.

მონიტორინგის სისტემა წარმოადგენს გარემოს მდგომარეობაზე დაკვირვებითმიღებული ინფორმაციის ანალიზსა და პროგნოზირების ერთობლიობას, შედეგები ხელმისაწვდომი უნდა იყოს საზოგადოებისათვის.

საწარმოს მიერ მონიტორინგის ორგანიზება წარმოადგენს შემდეგი ამოცანების გადაჭრას:

- საწარმოს ექსპლუატაციის დროს მოქმედი გარემოსდაცვითი კანონმდებლობის მოთხოვნათა შესრულება;
- რისკების თავიდან აცილება და მოსალოდნელი მავნე ზემოქმედების კონტროლი;

- დაინტერესებული პირების უზრუნველყოფა სათანადო გარემოსდაცვითი ინფორმაციით;
- საწარმოს ექსპლუატაციის პროცესში პერიოდული გარემოსდაცვითი კონტროლი (კვარტალში ერთჯერ);

გარემოში მავნე ნივთიერებათა კონცენტრაციების გადაჭარბების შემთხვევაში საწარმოს ხელმძღვანელი მიიღებს შესაბამის ზომებს.

საწარმოს სპეციფიკის გათვალისწინებით, ექსპლუატაციის ეტაპზე მოსალოდნელია ზემოქმედება გარემოს შემდეგ კომპონენტებზე:

1. ატმოსფერულ ჰაერზე;
2. ნარჩენების წარმოქმნა - გავრცელებაზე;
3. ადამიანის ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებაზე.

თითოეულ კომპონენტზე ზემოქმედება გამოწვეული იქნება:

1. ატმოსფერულ ჰაერზე ზემოქმედება მოსალოდნელია დაბინძურების სტაციონარული წყაროებით (პირდაპირი);
2. ნარჩენებით გარემოს დაბინძურება მოსალოდნელია ასევე ნარჩენებისადმი მოპყრობის წესების დარღვევით;
3. ადამიანის ჯანმრთელობაზე და უსაფრთხოებაზე შრომის უსაფრთხოების წესების უხეში დარღვევით.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით შერჩეული იქნა გარემოსდაცვითი მონიტორინგის მეთოდები და საშუალები, რომლის შესაბამისადაც შედგენილი იქნა მონიტორინგის გეგმა.

### **11.1. ატმოსფერული ჰაერის მონიტორინგი**

ატმოსფერული ჰაერის მონიტორინგი განხორციელდება საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბერის №413 დადგენილებით დამტკიცებული „დაბინძურების სტაციონარული წყაროებიდან მავნე ნივთიერებათა გაფრვევების თვითმონიტორინგისა და ანგარიშგების წარმოების ტექნილკური რეგლამენტისა“ და საქართველოს მთავრობის 2021 წლის 27 აპრილის N192 დადგენილებით დამტკიცებული „დაბინძურების სტაციონარული წყაროებიდან მავნე ნივთიერებათა გაფრვევების თვით მონიტორინგისა და ანგარიშგების წარმოების ტექნილკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 31.12.2013წ. N413 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესაბამისად.

დაბინძურების სტაციონარული წყაროებიდან მავნე ნივთიერებათა გაფრქვევების თვითმონიტორინგი მოიცავს:

- ა) მეტალურგიული საამქროს გაფრქვევის მიღწი მავნე ნივთიერებათა რაოდენობისა და ტემპერატურის უწყვეტ განსაზღვრას, ინსტრუმენტული მეთოდით,
- ბ) გაფრქვევათა გაზომვას (შეფასებას);
- გ) გაფრქვევათა აღრიცხვის წარმოებას;

დ) გაფრქვევათა ანგარიშგების წარმოებას.

მთავრობის N192 დადგენილების თანახმად, უწყვეტი ინსტრუმენტული მეთოდით განსაზღვრა სავალდებულოა სამინისტროსთან შეთანხმებული ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტის მიხედვით, შემდეგ ნივთიერებებზე:

- მტვერი (შეწონილი ნაწილაკები, TSP)
- აზოტის ორჟანგი ( $\text{NO}_2$ )
- გოგირდის ორჟანგი ( $\text{SO}_2$ )
- ნახშირჟანგი (CO)“.

იმავე დადგენილების დანართი 6-ით განსაზღვრულ გაზომვის დიაპაზონში.

როგორც 5. თავში და 10.3.1. ქვეთავშია აღწერილი, საწარმოში დამონტაჟდება ორი ინდუქციური ღუმელი, რომელიც იმუშავებენ მონაცელებით. ტექნოლოგიური პროცესის დროს გამოყოფილ მავნე ნივთიერებათა რაოდენობების გაანგარიშება მოხდა მეთოდური მითითებებსა და ტექნიკურ რეგლამენტებში მოცემული ხვედრითი გამოყოფის კოეფიციენტების მიხედვით (44-ე და 46-ე დანართებიდან). ფოლადის და თუჯის დნობის დროს მოსალოდნელია უწყვეტი ინსტრუმენტულ კონტროლს დაქვემდებარებული შემდეგი მავნე ნივთიერებების გამოყოფა: მტვერი (შეწონილი ნაწილაკები, TSP) აზოტის ორჟანგი ( $\text{NO}_2$ ) ნახშირჟანგი (CO)“.

ღუმელების საპროექტო წარმადობის, დაპროექტებული აირგამწოვი და გამწმენდი სისტემის პირობებში გაფრქვევების მოსალოდნელი რაოდენობები შეადგენს:

ინდუქციური ღუმელისათვის ცხრილი 11.1.

ნივთიერება	გაფრქვეული მავნე ნივთიერებების რაოდენობა			
	გ/წმ		ტ/წელ	
	თუჯი	ფოლადი	თუჯი	ფოლადი
შეწონილი ნაწილაკები	0,0039	0,0037	0,0142	0,0133
ნახშირჟანგი	0,0306	0,0389	0,11	0,14
აზოტის ჟანგეულები	0,0194	0,0194	0,07	0,07

აირგამწოვი სისტემის საპროექტო პარამეტრია  $14\ 000 \text{ м}^3/\text{სთ}$ , რაც წამურად შეადგენს  $3,88 \text{ м}^3\text{-ს}$ . 11.1. ცხრილების შესაბამისად, მეტალურგიული საწარმოს გაფრქვევის მილში მოსალოდნელია აირნარევის შემდეგი შემადგენლობა:

## ცხრილი 11.2.

ნივთიერება	გაფრქვეული მავნე ნივთიერებების კონცენტრაციები მგ/მ³		გაზომვის დიაპაზონები დანართი 6-ის შესაბამისად
	თუზი	ფოლადი	
შეწონილი ნაწილაკები	1,005	0,953	1.5 მგ/მ³
ნახშირჟანგი	7,886	9,948	50 მგ/მ³-10 გ/მ³
აზოტის ჟანგეულები	5,0	5,0	20 მგ/მ³-7.5 გ/მ³

როგორც ცხრილი 11.2-ში ჩანს, მოქმედი ნორმატიული აქტებითა და საპროექტო პარამეტრების შესაბამისად, ინდუქციური ღუმელების ექსპლუატაციის პირობებში საწარმოდან გაფრქვეულ აირნარევში დამაბინძურებელ ნივთიერებათა კონცენტრაცია მცირეა და არ ექვემდებარება უწყვეტ ინსტრუმენტალურ კონტროლს.

საწარმოს მიერ ატმოსფერული ჰაერის მონიტორინგი იწარმოება წინასწარ დადგენილ წერტილებში. რადგან უახლოესი მოსახლე განთავსებულია საწარმოს ტერიტორიის დასავლეთით, ინსტრუმენტული გაზომვა ყოველთვის იწარმოებს აღნიშნული მიმართულებით, შერჩეულ წერილში.

მონიტორინგი იწარმოებს სამინისტროსთან შეთანხმებული „ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტი“-ს შესაბამისად, ტექნოლოგიური პროცესების შედეგად გამოიყოფილ ყველა ნივთიერებაზე, რომელთა ჩამონათვალი და მახასიათებლები მოცემულია ცხრილი N11.3:

## ცხრილი N11.3.

N	მავნე ნივთიერებათა დასახელება	მონიტორინგის პერიოდულობა	შენიშვნა
1	შედუღების აეროზოლი	კვარტალში ერთჯერ	ნივთიერებები, რომელთა ანგარიშც განხორციელდა
2	მანგანუმის დიოქსიდი	კვარტალში ერთჯერ	
3	აზოტის ორჟანგი	კვარტალში ერთჯერ	
4	გოგირდის ორჟანგი	კვარტალში ერთჯერ	
5	ნახშირბადის ოქსიდი	კვარტალში ერთჯერ	
6	ხის მტვერი	კვარტალში ერთჯერ	
7	მტვერი 20%-მდე SiO <sub>2</sub> -ს შემცველობით	კვარტალში ერთჯერ	

8	რკინის ოქსიდი	წელიწადში ერთჯერ	ნივთიერებები, რომელთა ანგარიშც არამიზანშეწონილია  ანგარიშის მიზანშეწონილობის კრიტერიუმები <b>E3=0,01</b>
9	კადმიუმი	წელიწადში ერთჯერ	
10	სპილენძი	წელიწადში ერთჯერ	
11	ნიკელი	წელიწადში ერთჯერ	
12	ვერცხლისწყალი	წელიწადში ერთჯერ	
13	ტყვია	წელიწადში ერთჯერ	
14	ქრომი	წელიწადში ერთჯერ	
15	თუთია	წელიწადში ერთჯერ	
16	დარიშხანი	წელიწადში ერთჯერ	


დაკვირვების შედეგების შესაბამისად საწარმო შეავსებს ანგარიშების შემდეგ ფორმებს:

- ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების სტაციონალური წყაროებისა და მათი მახასიათებლის აღრიცხვის ფორმა N პად 1; და Nპად 2;
- ატმოსფერული ჰაერის დაცვის ღონისძიებების შესრულების აღრიცხვის ფორმა Nპად–3.
- რომელიმე მავნე ნივთიერების პარამეტრის განსაზღვრის ინსტრუმენტალური მეთოდიკის არ არსებობის ან რაიმე სხვა ობიექტური მიზეზის გამო შეუძლებელია ფაქტიური გაფრქვევის ინტენსივობის დადგენა, ამ შემთხვევაში დასაშვები მნიშვნელობის დადგენა ხდება თეორიული გაანგარიშების საფუძველზე.

ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებების გავრცელების ასაცილებლად საწარმოს ადმინისტრაცია უზრუნველყოფს დანადგარების გამართულობის კონტროლს და მუშაობის ეფექტურობის მონიტორინგს, სათანადო ჟურნალის საშუალებით. არახელსაყრები მეტეოპირობების დროს ატმოსფერული ჰაერის დაბინძურებისაგან დაცვის მიზნით, შედგენილი იქნება სათანადო მოქმედებათა გეგმა.

ჰაერის საკონტროლო წერტილები (GPS კორდინატებით) დატანილია ნახაზზე N11.1.

ნახაგი 11.1.



## **11.2. ხმაურის მონიტორინგი**

საწარმოს ტექნოლოგიური პროცესი მიმდინარეობს დახურულ შენობაში, რომელშიც ხმაურის წყაროს წარმოადგენს ტექნოლოგიური დანადგარები. მათი მუშაობა გათვალისწინებულია დღის საათებში, 8 საათიან რეჟიმში. უახლოესი საცხოვრებელი სახლი ტერიტორიის საზღვრიდან დაშორებულია 1600 მ-ით. ღია სივრცეში განთავსებული ჯართის მიღება-დამუშავების უბნიდან უახლოესი მოსახლე დაშორებულია 1650 მ-ით.

როგორც 10.3.2 ქვეთავშია აღწერილი, ექსპლუატაციის ეტაპზე მოსალოდნელი ხმაური დასახლებულ პუნქტამდე ვერ მიაღწევს. მიუხედავად ამისა, წელიწადში ერთჯერ, მოხდება ხმაურის სიდიდის გაზომვა ტერიტორიის აღმოსავლეთ მხარეს.

საწარმოს ექსპლუატაციის ეტაპზე ხმაურის მონიტორინგი განხორციელდება შრომის უფასრთხოების კუთხით, შედეგების შესაბამისად დაიგეგმება შემარბილებელი ღონისძიებები, როგორიცაა ინდივიდუალური დაცვის საშუალებები ან/და სხვა.

## **11.3. წყლის მონიტორინგი**

როგორც 5.1. და 10.3.3. ქვეთავშია განხილული, საწარმო წყალაღებას განახორციელებს გაერთიანებული წყალმომარაგების ქსელიდან, ჩამდინარე წყლების ჩაშვება განხორციელდება საკანალიზაციო ქსელში.

კომპანია ასევე გეგმავს ტერიტორიაზე მოაწყოს მიწისქვეშა ჰორიზონტის ჭა, რომელზედაც აღებული იქნება სათანადო ლიცენზია. მოპოვებული წყალი გამოყენებული იქნება საწარმოო მიზნებისათვის.

ექსპლუატაციის ეტაპზე წყალაღებისა და გამოყენების მონიტორინგი განხორციელდება წყლის მოწოდებელ კომპანიასთან გაფორმებული ხელშეკრულებისა და სალიცენზიო პირობების შესაბამისად, რომელიც მოიცავს: აღებული და გამოყენებული წყლის აღიცხვას, მიწისქვეშა ჰორიზონტზე დაკვირვებას და ანგარიშებას.

ზემოაღნიშნული მონაცემებისა და შედეგების შესაბამისად იწარმოება პირველადი აღრიცხვის დოკუმენტაცია და წყლის გამოყენების სახელმწიფო აღრიცხვა.

## **11.4. ნარჩენების მონიტორინგი**

ნარჩენების მონიტორინგი განხორციელდება ყოველდღიური ვიზუალური დათვალიერებით, წარმოქმნილი ნარჩენების სახეობრივი და ხარისხობრივი აღრიცხვით, ასევე მათი დროებითი შენახვისა და შემდგომი მართვის პროცესების მეთვალყურეობით. ნარჩენების მართვაზე პასუხისმგებელი პირის სისტემატურად გააკონტროლებს:

- ნარჩენების შესაგროვებელი ტარის ვარგისიანობას;
- ტარაზე მარკირების არსებობას;
- ნარჩენების დროებითი განთავსების მოედნების/სათავსის მდგომარეობას;
- დაგროვილი ნარჩენების რაოდენობას და დადგენილი ნორმატივთან შესაბამისობას (ვიზუალური მონიტორინგი);
- ნარჩენების ტერიტორიიდან გატანის პერიოდულობის დაცვას;

- ნარჩენების ტერიტორიიდან გატანის მოთხოვნების დაცვას;
- ეკოლოგიური უსაფრთხოების და უსაფრთხოების ტექნიკის დაცვის მოთხოვნების შესრულებას.

საანგარიშო წლის მომდევნო წლის 01 მარტამდე ნარჩენების მართვის ერთიან ელექტრონული სისტემის საშუალებით, წარდგენილი იქნება ანგარიში წლის გამნავლობაში წარმოქმნილი ნარჩენების სახეობის, რაოდენობის, შენახვის პირობებისა და განთავსება/აღდგენის მდგომარეობის შესახებ.

## **11.5. ადამიანის ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების მონიტორინგი**

საწარმოს ტექნოლოგიური პროცესი ითვალისწინებს ადამიანის ჯანმრთელობისათვის მომეტებული საფრთხის შემცველი დანადგარებისა და მოწყობილობების გამოყენებას, ამის გათვალისწინებით შემუშავებული იქნება ადამიანის ჯანმრთელობაზე მოსალოდნელი ზემოქმედების შემარბილებელი ღონისძიებები, რომლის შესრულებაზე საწარმოს შრომის უსაფრთხოებისა და გარემოს დაცვის სამსახურის მიერ დაწესებული იქნება მუდმივი კონტროლი და მონიტორინგი. გაკონტროლდება:

1. მუშაობის დაწყების წინ ტექნოლოგიური დანადგარების გამართულობა;
2. საწარმოს პერსონალის სპეცტანსაცმლით, საჭირო ინვენტარ-მოწყობილობით აღჭურვა;
3. უსაფრთხოების წესებსა და შესაძლო ავარიულ სიტუაციებზე რეაგირების გეგმის გაცნობა;
4. ელ. ენერგიაზე მომუშავე ყველა მოწყობილობის დამიწება;
5. შრომის უსაფრთხოების საკითხებზე პერსონალის პერიოდული ინსტუქტაჟის მიმდინარეობა;
6. სახიფათო ზონებში გამაფრთხილებელი ნიშნების არსებობა;

### **11.5.1. ტექნოლოგიური დანადგარების გამართულობის მონიტორინგი**

ადანიანის უსაფრთხოებისა და გარემოს დაბინძურებისაგან დაცვის მნიშვნელოვანი ფაქტორია საწარმოს ტექნოლოგიური დანადგარების გამართული ფუნქციონირება, რაც თავისთავად ამცირებს ავარიების რისკებს.

ნებისმიერი დანადგარის დაზიანებამ შეიძლება გამოიწვიოს ტექნოლოგიური პროცესის შეფერხება, ნედლეულისა და პროდუქციის დანაკარგი, ხანძარი, მუშა-მოსამსახურეთათვის საშიში პირობების შექმნა / დაშავება, გარემოს დაბინძურება.

კომპანია ვალდებულია მუშაობის დაწყების წინ და სისტემატიურად აკონტროლოს - ტექნოლოგიური მოწყობილობებისა და დანადგარების გამართულობა, რისთვისაც შემუშავებული იქნება კონტროლის ისეთი მარტივი და მოქნილი მეთოდი, რომელიც საშუალებას მოგვცემს სამუშაოს დაწყების წინ, ასევე ექსპლუატაციის პირობებში მარტივად შეფასდეს თითოეული მოწყობილობისა და დანადგარის ტექნიკური გამართულობა, ამასთან მარტივად მოიძებნოს ინფორმაცია წინა პერიოდში მისი მუშაობის მაჩვენებლების შესახებ.

სასურველია კონტროლის განხორციელება როგორც მუშაობის დაწყების წინ, ისე მუშაობის დროს.

- პირველად აღინიშნება მუშა მდგომარეობაშია თუ არა შესაფასებელი დანადგარი;
- შემდეგ მუშაობს თუ არა გამართულად, თუ არა რაში გამოიხატება გაუმართაობა, ან რა მიმდინარე შეკეთებას საჭიროებს.

იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე მოწყობილობას ესაჭიროება ტექნიკური შეკეთება, კონტროლის განმახორციელებელი ინფორმაციას მიაწოდებს პასუხისმგებელ პირს (ქარხნის ზედამხედველს ან/და დირექტორს) ან გამოიძახებს სარემონტო ჯგუფს.

## 11.6. მონიტორინგის გეგმა

ცხრილი 11.4.

მონიტორინგის ობიექტი	კონტროლის/სინჯის აღების წერტილი	მეთოდი	სიხშირე/დრო	მიზანი	პასუხისმგებელი ი პირი
ჰაერი (მტვერი და გამონაბოლქვი)	1. დასახლებული პუნქტის მიმართულებით; 2. გამწმენდის ეფექტურობა. 3. საწარმოს ტერიტორიაზე	ინსტრუმენტალუ რი მეთოდი	კვარტალში ერთჯერ	ადამიანებისა და გარემოს უსაფრთხოებს დაცვა	საწარმოს ტექნიკური მენეჯერი
	თვით-მონიტორინგის დოკუმენტაციის წარმოება	ანალიტიკური გათვლები გაზომვების შედეგების საფუძველზე			
	საწარმოსა და საამქროს ტერიტორია	ვიზუალური დათვალიერება	სისტემატიურად		
წყლის მონიტორინგი	საწარმოს ტერიტორია	ვიზუალურ- ანალიტიკური	სისტემატიურად ყოველწლიურად	წყლის პირველადი და სახელმწიფო აღრიცხვისა და ანგარიშგების განხორციელება	საწარმოს ტექნიკური მენეჯერი
ხმაური	სამუშაო ადგილები	ინსტრუმენტალუ	წელიწადში	მოსახლეობის და	საწარმოს

		რი მეთოდი	ორჯერ	მომუშავე პერსონალის უსაფრთხოების დაცვა	ტექნიკური მენეჯერი
	დასახლებული პუნქტის მიმართულებით		საჩივრის შემთხვევაში		
ნარჩენები	საწარმოს ტერიტორია	ვიზუალური დათვალიერება	ყოველდღიურად	გარემოს დაბინძურებისაგან დაცვა	გარემოსდაცვი თი მმართველი
	ნარჩენების სათავსო	სახიფათო ნარჩენების შენახვის პირობების შემოწმება/დათვა ლიერება	სისტემატიურად		
		ნარჩენების აღრიცხვა ჟურნალში	ყოველთვიურად		
		ანგარიშგება ელექტრონულად	წელიწადში ერთჯერ		
ადამიანის ჯანმრთელობა და	საწარმოს ტერიტორია	უსაფრთხოების წესებისა და მოთხოვნების	სისტემატიურად	ადამიანის ჯანმრთელობის და უსაფრთხოება	საწარმოს შრომის დაცვის ინპექტორი

უსაფრთხოება		შესრულება (ინსტრუქტაჟი და ინსპექტირება)		ის დაცვა	ქარხნის ზედამხედველი
	ქარხნის ტექ. დანადგარების განთავსების ტერიტორია	ტექნოლოგიური დანადგარების გამართულობის კონტროლი	მუშაობის დაწყების წინ ექსპლუატაციის პროცესში	გარემოს დაცვა დაბინძურებისაგან  საწარმოს გამართული ექსპლუატაცია	

## **12. ადამიანების ჯანმრთელობისა და უსაფრთხოებისუზრუნველყოფა**

საპროექტო საწარმო შედის საქართველოს საქართველოს მთავრობის 2018 წლის 27 ივლისის N381 დადგენილებით დამტკიცებულ “მომეტებული საფრთხის შემცველი, მძიმე, მავნე და საშიშპირობებიანი სამუშაოების ჩამონათვალში”, შესაბამისად ვალდებულია ექსპლუატაციის დროს დაიცვას შრომის უსაფრთხოების წესები - „საშიში საწარმოო ობიექტის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

ზემოაღნიშნული კანონის შესაბამისად:

- საწარმო უზრუნველყოფა:
  - ობიექტის ყველა უბანზე საწარმოო უსაფრთხოების უპირობო უზრუნველყოფას;
  - მუშაკებისათვის შრომის ისეთი პირობების შექმნას, რომლებიც აკმაყოფილებს უსაფრთხოების მოთხოვნებს;
  - ობიექტის ტექნოლოგიურ პროცესებში გარეშე პირთა ჩარევისაგან დაცვას;
  - მომხდარი ავარიების, უბედური შემთხვევების, საწარმოო ინციდენტების წარმოქმნის მიზეზების შეისწავლას და გააანალიზებას, მათი თავიდან ასაცილებლად საჭირო ღონისძიებების შემუშავებას და განხორციელებას;
  - ობიექტზე მომხდარი ავარიის შედეგების აღმოფხვრას წინასწარ დამუშავებული ავარიის სალიკვიდაციო გეგმის შესაბამისად;
  - უფლებამოსილ სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს ინფორმაციის დაუყოვნებლივ მიწოდებას მომხდარი ავარიების შესახებ;
  - საწარმოო უსაფრთხოებასთან დაკავშირებით უფლებამოსილ პირთა მიწერილობების შესრულებას;
  - უზრუნველყოფს საწარმოს მუშაკთა ინფორმირებას შესაძლო პროფესიულ დაავადებათა შესახებ და მათი პერიოდული სამედიცინო გამოკვლევასჯანდაცვის შესაბამის სამსახურებთან თანამშრომლობის გზით;
- საწარმოს მუშაკები მუდმივად უზრუნველყოფენ:
  - შრომითი ვალდებულებების შესრულებისას დაიცვან საწარმოო დისციპლინა, საწარმოო უსაფრთხოებისა და ავარიის დროს მოქმედების წესები და ინსტრუქციები;
  - დაუყოვნებლივ აცნობონ უშუალო ხელმძღვანელს ავარიების შემთხვევებისა და საწარმოო ინციდენტების შესახებ, აშკარა საფრთხის შემთხვევაში დაუყოვნებლივ მიიღონ ზომები ობიექტის გასაჩერებლად.
- საწარმოს მუშაკებს უფლება აქვთ:
  - მოითხოვონ შრომის ისეთი პირობები, რომლებიც აკმაყოფილებს უსაფრთხოების წესებს;
  - მიიღონ ინფორმაცია ობიექტისა და ტექნოლოგიური პროცესების საფრთხის დონის შესახებ;
  - მონაწილეობა მიიღონ ობიექტის უსაფრთხო ექსპლუატაციის უზრუნველყოფი ღონისძიებების შემუშავებასა და დაწერგვაში.

- პირები, რომლებიც იწყებენ მუშაობას ობიექტზე, გაივლიან წინასწარ სწავლებას და მიიღებენ შესაბამის მოწმობას.
- მუშაკებს ჩაუტარდებათ პირველადი და პერიოდული ინსტრუქტაჟი უსაფრთხოების წესების დაცვის შესახებ.
- უსაფრთხოების საკითხებში საწარმოს მუშაკების მომზადება და კვალიფიკაციის ამაღლება ეკისრება საწარმოს ხელმძღვანელობას.

## **12.1. მუშა-მოსამსახურეთა კვალიფიკაცია და ვალდებულებები**

**ხელმძღვანელები და სპეციალისტები**

- ტექნიკურ ხელმძღვანელებს და სპეციალისტებს უნდა შეეძლოთ ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით სარგებლობა და ფლობდნენ პირველადი სამედიცინო დახმარების ხერხებს.
- ხელმძღვანელები და სპეციალისტები უზრუნველყოფილნი უნდა იყვნენ ჩაჩქნით, სპეცტანსაცმლით, ფეხსაცმლით, ხელთათმანებით და სხვა დამცავი საშუალებებით.
- ხელმძღვანელებს და სპეციალისტებს უნდა ჰქონდეთ დამტკიცებული თანამდებობრივი ინსტრუქციები.

**მუშები**

- მანქანებისა და დანადგარების დამოუკიდებლად მომსახურებაზე დაიშვებიან პირები, რომლებმაც გაიარეს სწავლება უსაფრთხოების საკითხებში საწარმოს ხელმძღვანელის მიერ დამტკიცებული პროგრამით.
- ახლად მიღებულმა ან სხვა სამუშაოზე გადაყვანილმა მუშებმა სამუშაოზე დაშვების წინ უნდა მიიღონ ინსტრუქტაჟი უსაფრთხოების ტექნიკაში საწარმოს ხელმძღვანელის მიერ დამტკიცებული პროგრამით. ინსტრუქტაჟს ატარებს უსაფრთხოების ტექნიკაზე პასუხისმგებელი პირი და ამას აფიქსირებს სპეციალურ ბარათში ან ჟურნალში.
- მუშებმა უნდა მიიღონ ინსტრუქტაჟი და გაიარონ სწავლება პირველადი დახმარების აღმოჩენაში უბედური შემთხვევების, პროფესიული მოწამვლისა და ელექტროდენით დაშავების დროს.
- უსაფრთხოების ტექნიკაში განმეორებითი ინსტრუქტაჟი უნდა ჩატარდეს, სულ მცირე, სამ თვეში ერთხელ მაინც საწარმოს ხელმძღვანელის მიერ დამტკიცებული პროგრამით.
- მუშები უზრუნველყოფილნი უნდა იყვნენ ჩაჩქნით, სპეცტანსაცმლით, ფეხსაცმლით, ხელთათმანებით და სხვა დამცავი საშუალებებით.

## **12.2. უსაფრთხოების მოთხოვნები ტექნოლოგიური უბნების მიმართ**

**ინდუქციური ღუმლები**

- ინდუქციური ღუმლის კარკასი უნდა იყოს იზოლირებული ინდუქტორის ხვიებისაგან.

- ღუმლის დახრის მექანიზმი დაცული უნდა იყოს ლითონისა და წიდის შხეფებისაგან.
- ღუმლის დახრის ელექტროამძრავიანი მექანიზმი აღჭურვილი უნდა იყოს დახრის შემზღვდველებით და მუხრუჭით, რომელიც უზრუნველყოფს ღუმლის დახრისას მის გაჩერებას ნებისმიერ მდგომარეობაში, მათ შორის, ელექტროენერგიით კვების შეწყვეტის შემთხვევაშიც.
- ღუმლის ქვეშ განლაგებული მოწყობილობის დათვალიერება და რემონტი აწეულ მდგომარეობაში მყოფი ელექტროლუმლის დროს დასაშვებია მხოლოდ მისი მტკიცე და მყარი საბჯენებით დამატებითი გამაგრების პირობებში.
- ღუმლის გამდნარ აბაზანაში ცივი კაზმისა და დანამატების მიწოდება დაუშვებელია.
- ინდუქციური ღუმლების მომსახურებისათვის გამოყენებულ ინსტრუმენტებს უნდა ჰქონდეს ელექტროიზოლირებული სახელურები.
- ინდუქციური ღუმლის სამუშაო მოედნის იატაკი ღუმლის ახლოს უნდა იყოს დაფარული ელექტრომაიზოლირებელი ფენილით.

#### **ელექტროლუმლის წყლით გაცივება**

- ღუმლების წყლით გაცივების ელემენტები მათი ადგილზე დაყენების წინ უნდა გამოიცადოს ჰიდრავლიკურად.
- ღუმლის ელემენტების წყლით გაცივება უნდა წარმოებდეს ჩაკეტილი ციკლით. მაცივებელი წყალი უნდა იყოს მარილებისა და შეტივტივებული ნაწილაკებისაგან გაწმენდილი.
- წყლით გაცივების სისტემის შლანგები უნდა იყოს დაცული მაღალი ტემპერატურის ზემოქმედებისაგან.
- სისტემაში ან ცალკეულ კვანძებსა და დეტალებში წყლის ცირკულაციის შეწყვეტის შემთხვევაში ღუმელი დაუყოვნებლივ უნდა გამოირთოს და მიღებულ იქნეს ზომები წყლის ცირკულაციის აღსადგენად.
- წყლით გაცივების სისტემიდან წყლის ჟონვისას ღუმლის მუშაობა აკრძალულია.

#### **კაზმის მომზადება ლითონთერმული დნობისათვის**

საკაზმე მასალების დოზირებისა და შერევის დროს სადოზირებელი მასალები უნდა იყოს მშრალი;

#### **მოთხოვნები ჩამოსხმის მიმართ**

- ლითონის ჩამოსხმა, გატანა და გასაცივებელ განყოფილებაში მიტანა მთლიანად უნდა იყოს მექანიზებული.
- აკრძალულია ციცხვში წიდის შესქელება ნაგვით ან სველი გასაწყობი მასალებით. წიდის შესასქელებლად ლითონის ჩამოსხმის ადგილზე ან ქურასთან უნდა იყოს აუცილებელი მშრალი მასალები.
- ლითონის ჩამოსხმის დროს ჩამოსხმის ზონაში სხვა სამუშაოების ჩატარება ან იმ ადამიანების ყოფნა, რომელთაც კავშირი არა აქვთ ჩამოსხმასთან, აკრძალულია.

### **13. საგანგებო სიტუაციების მართვა ექსპულუატაციის ეტაპზე**

საწარმო ექსპულუატაციის პროცესში უზრუნველყოფს მოსალოდნელი ავარიული სიტუაციების რისკების დაზღვევას, რაც მინიმუმადე შეამცირებს საგანგებო სიტუაციებისა და უბედური შემთხვევების ალბათობას. მიუხედავად ამისა საწარმო მუდმივად უნდა იყოს მზად საგანგებო სიტუაციების მართვისა და შესაძლო ავარიების ლიკვიდაციისათვის.

ზემოაღნიშნულის უზრუნველსაყოფად დაცული იქნება საგანგებო სიტუაციების მართვისა და პრევენციის ზოგადი მოთხოვნები, კერძოდ:

- საწარმოს უნდა გააჩნდეს საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების გეგმა საქართველოს მთავრობის 06.10.2017. N452 და 06.10.2017წ. N453 დადგენილებების შესაბამისად.
- საწარმოს შემუშავებული უნდა ჰქონდეს სახანძრო უსაფრთხოების სპეციალური წესები, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 27 მარტის №449 ბრძანებით დამტკიცებული საქართველოში მოქმედი „სახანძრო უსაფრთხოების წესების“ მოთხოვნების შესაბამისად.
- თითოეული აფეთქებასაფრთხიანი და ხანძარსაშიში უბნისათვის აგრეთვე შემუშავებული უნდა იქნეს ინსტრუქცია სახანძრო უსაფრთხოების ზომების შესახებ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 27 მარტის №449 ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოში მოქმედი სახანძრო უსაფრთხოების წესების“ მოთხოვნების შესაბამისად.
- საწარმოში ხელმძღვანელის ბრძანებით დადგენილი უნდა იქნეს ხანძარსაშიშროების შესაბამისი ხანძარსაწინაღო რეჟიმი „საქართველოში მოქმედი სახანძრო უსაფრთხოების წესების“ მოთხოვნების შესაბამისად და დაინიშნოს სახანძრო უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი.
- მუშა-მოსამსახურებმა მუშაობის დაწყების წინ უნდა გაიარონ ხანძარსაწინაღო ინსტრუქტაჟი.
- ყველა საწარმოო და დამხმარე სათავსი, დანადგარი, ნაგებობა და საწყობი უზრუნველყოფილი უნდა იყოს ხანძრის ქრობის პირველადი საშუალებებით და სახანძრო ინვენტარით. ამ საშუალებების რაოდენობა და მათი შემცველობა უნდა შეესაბამებოდეს „საქართველოში მოქმედ სახანძრო უსაფრთხოების წესებს“.
- ხანძრის ჩაქრობის პირველადი საშუალებების ადგილმდებარება, რაოდენობა და შენახვის წესი უნდა განისაზღვროს „საქართველოში მოქმედი სახანძრო უსაფრთხოების წესების“ მე-3 დანართის შესაბამისად და შეთანხმდეს საგანგებო სიტუაციებთან დაკავშირებული ამოცანების გადასაწყვეტად სპეციალურად უფლებამოსილ ორგანოსთან.
- საწარმოო დანიშნულების გზები უნდა იყოს ვარგისი სახანძრო-სამაშველო ავტომობილების გასავლელად.
- საწარმოო და საწყობის სათავსებისათვის განსაზღვრული უნდა იყოს ფეთქებადხანძარსაშიშროების და ხანძარსაშიშროების კატეგორიები, ზონის კლასი და აღინიშნოს სათავსების კარებზე, ხოლო მაღალი ხანძარსაშიშროების მოწყობილობასთან უნდა გამოიკრას უსაფრთხოების ნიშნები.

- საწარმოს ტექნოლოგიური მოწყობისას, მასალების გადატვირთვა შენახვისას, ტრანსპორტირებისას, დაცული უნდა იყოს „საქართველოში მოქმედი სახანძრო უსაფრთხოების წესების“ მოთხოვნები.
- ხანძრის შემთხვევაში საწარმოს ხელმძღვანელი ან უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი ვალდებულია სახანძროსამაშველო დანაყოფებს მისვლისთანავე მიაწოდოს ინფორმაცია საწარმოს ტექნოლოგიური თავისებურებების, შენახული და გამოსაყენებელი ნივთიერებების მახასიათებლების, ხანძარსაშიში თვისებებისა და რაოდენობის შესახებ.

### **13.1. საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა**

საგანგებო სიტუაციის რისკის მართვის გეგმის მომზადების მიზანია მოსალოდნელი საგანგებო სიტუაციით გამოწეულ უარყოფით შედეგების შემცირება, მოსალოდნელი საგანგებო სიტუაციების რისკების იდენტიფიცირება, საგანგებო სიტუაციების პრევენცია, ავარიული სიტუაციებისათვის მზადყოფნა, ეფექტური რეაგირება, სალიკვიდაციო აღდგენითი ღონისძიებების წინასწარი დაგეგმვა.

საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის შედეგებისას გათვალისწინებული უნდა იქნეს:

- ავარიების, კატასტროფებისა და სტიქიური უბედურების შედეგად შექმნილი ვითარებისა და საგანგებო სიტუაციის წარმოქმნის რეალური საფრთხის პროგნოზი;
- მოსალოდნელი საგანგებო სიტუაციის უარყოფითი შედეგები;
- არსებული მატერიალური და ადამიანური რესურსების ანალიზი და შეფასება;
- მოსალოდნელი საგანგებო სიტუაციების შედეგების საპროგნოზო რუკა;
- ექსტრემალური პირობები;
- მოსალოდნელ საგანგებო სიტუაციაზე რეაგირების ეფექტიანი ღონისძიები.

გეგმა ექვემდებარება ყოველწლიურ, ხოლო ახალი საფრთხის გამოვლენის ან/და გეგმაში ასახული მონაცემების არსებითი ცვლილებების შემთხვევაში, დაუყოვნებლივ განახლებას. გეგმის განახლებისას ხდება საგანგებო სიტუაციებზე რეაგირებისა და სწავლების დროს მიღებული პრაქტიკული გამოცდილებისა და შედეგების გათვალისწინება.

### **13.2. საგანგებო (ავარიული) სიტუაციების რისკები და მათი მართვა**

საგანგებო სიტუაციის რისკი არის საგანგებო სიტუაციის წარმოქმნის შესაძლებლობა, რომელიც განისაზღვრება ადამიანის სიცოცხლეზე, ჯანმრთელობასა და ქონებაზე, აგრეთვე გარემოზე უარყოფითი ზემოქმედებითა და შედეგებით.

რისკის შემცირების მიზნით ხორციელდება სტრუქტურული ან არასტრუქტურული პრევენციული ღონისძიებები.

სტრუქტურული ღონისძიება მოიცავს საინჟინრო სახის ღონისძიებას, კერძოდ, საფრთხის მიმართ მედეგი და საფრთხისგან დამცავი ინფრასტრუქტურის მშენებლობას, ხოლო არასტრუქტურული ღონისძიება არის ნებისმიერი არამატერიალური სახის აქტივობა, რაც გულისხმობს ცოდნისა და პრაქტიკული გამოცდილების საფუძველზე შესაბამისი

ტექნიკური რეგლამენტებისა და ინსტრუქციების შემუშავებას, აგრეთვე საზოგადოების ინფორმირებას.

### 13.3. რისკების ანალიზი (შესაძლო მიზეზები)

ელექტროფოლადსადნობ საამქროებში მიმდინარე ტექნოლოგიური პროცესების ძირითად საშიშროებას განაპირობებს აგრეგატებში დიდი რაოდენობით მდნარი ლითონის არსებობა.

ანალოგიურ ტექნოლოგიებსა და ობიექტებზე მომხდარი ავარიების ანალიზი აჩვენებს, რომ მოსალოდნელია ხანძარი (მათ შორის ჟანგბადის მიღწეულის ჰერმეტულობის დარღვევა), აფეთქებები (ნადნობის წყალთან, ზეთთან და სხვა ფეთქებადსაშიშ ნივთიერებებთან ურთიერთქმედების შედეგად).

ავარიების წარმოქმნისა და განვითარების ძირითადი ფაქტორებია:

- დამცავი აღჭურვილობის არარსებობა;
- ჩამოსასხმელი მიღყელის გადაკეტვა მდნარი ლითონის კოლტით;
- შეცდომები პროექტირებისა და დამზადების პროცესში;
- აგრეგატების ექსპლუატაციის წესების დარღვევა;
- შიხტა;
- დნობის ტექნოლოგიის დარღვევა;
- შიხტის ფეთქებადსაშიშროების კონტროლის არარსებობა;
- ექსპლუატაციის რეჟიმის დარღვევა;
- დამამზადებლის მიზეზით არსებული დეფექტები;
- შიხტის მომზადების ტექნოლოგიის დარღვევა;
- აგრეგატების წმენდის ტექნოლოგიის დარღვევა;
- აგრეგატების შრობის ტექნოლოგიის დარღვევა.

მომსახურე პერსონალის მიზეზით მომხდარი ავარიების ანალიზი მიუთითებს მომსახურე პერსონალის არასაკმარის მომზადებას. ავარიების 90% განპირობებულია ადამიანური ფაქტორით.

ელექტროენერგიის მოწოდების შეწყვეტამ შეიძლება გამოიწვიოს სიგნალიზაციისა და დაცვის სისტემების ნორმალური ფუნქციონირების დარღვევა.

### 13.4. რისკების შემცირება

რისკების მართვის ძირითადი ამოცანაა რისკების შემცირება/პრევენცია. პრევენციის ღონისძიებები პირდაპირ გამომდინარეობს რისკების ანალიზისა და იდენტიფიკაციიდან. როდესაც სწორად და სრულყოფილადაა იდენტიფიცირებული მოსალოდნელი ავარია და მისი გამომწვევი მიზეზები, მით უფრო მაღალია პრევენციის ხარისხი.

მეტალურგიული საწარმოებში მოწყობილობების ჰერმეტულობის დარღვევის თავიდან აცილებისა და მავნე ნივთიერებების ავარიული გაფრქვევების თავიდან აცილების მიზნით გათვალისწინებული უნდა იყოს შემდეგი ღონისძიებები:

- გამოყენებული ტექნოლოგიური პროცესი და მოწყობილობები პასუხობენ მოთხოვნებს;
- ტექნოლოგიური მოწყობილობების სწორი (ოპტიმალური) განთავსება უზრუნველყოფს ექსპლუატაციის საიმედოობასა და უსაფრთხოებას, სარემონტო სამუშაოების განხორციელებასა და ავარიების თავიდან აცილებისა და ლოკალიზაციის ოპერატიულ ღონისძიებებს;
- ტექნოლოგიური პარამეტრების დასაშვები მნიშვნელობებიდან გადაცდომის გამაფრთხილებელი და ავარიული სიგნალიზაციის არსებობა;
- დანადგარების, არმატურისა და მილსადენების დასამზადებლად ისეთი მასალების შერჩევ, რომლებიც მედეგია გარემოს მიმართ. ხორციელდება შედუღებისა კერების თერმული დამუშავება;
- დროულად ხორციელდება პროფილაქტიკური მომსახურეობა და რემონტი;
- მოწყობილობების მდგომარეობის კონტროლი და საწარმოო პროცესის სწორი ორგანიზაცია და საწარმო პროცესის ექსპლუატაცია;
- ტექნოლოგიური პროცესები ხორციელდება ტექნიკური და ტექნოლოგიური დოკუმენტაციის რუკებისა და ინსტრუქციების შესაბამისად;
- ტექნოლოგიურ სივრცეებსა და აირსატარებში, რომლებშიც შესაძლებელია არაკონტროლირებადი პროცესების წარმოქმნა, რამაც შეიძლება გამოიწვიოს აფეთქება იდგმება აფეთქების საწინააღმდეგო დამცავი სარქველები;
- ღუმელში ლითონის დონის სისტემატიური კონტროლი.

### 13.5. ავარიების სცენარები

რისკის განვითარების სცენარი არის ერთი ან რამდენიმე მოსალოდნელი საგანგებო სიტუაციის რეალური აღწერა იღუსტრაციით.

მეტალურგიული აგრეგატებიდან ნადნობი ფოლადის ავარიული გამოტყორცნა წარმოადგენს საშიშ საწარმო ფაქტორს შავი მეტალურგიის საწარმოებში. ხშირად ნადნობის გამოჟონა განპირობებულია აგრეგატების მუშაობის ტექნოლოგიური რეჟიმის დარღვევით, დანადგარების კორპუსის თბოიზოლაციის დარღვევითა და პერსონალის შეცდომებით.

ასეთი სახის ავარიის შედეგები განისაზღვრება გამოფრქვეული ლითონის რაოდენობით, ნადნობის თვისებებით, აგრეთვე სწარმო სიტუაციით.

განსაკუთრებით მრავალრიცხოვანია აფეთქების შემთხვევები ფროლადსადნობ და საჩამომსხმელო საამქროებში გამდნარი ლითონის წყალთან კონტაქტისას.

გამდნარი ლითონის მონაწილეობით აფეთქებები ხდება არამარტო აგრეგატებიდან ავარიული გამოტყორცნისას, არამედ წყლის შემთხვევით მოხვედრისას აგრეგატის შიგნით (მაგალითად, ტენიანი კაზმის ჩატვირთვისას).

ნადნობი მეტალის მონაწილეობით მომხდარი ავარიების ფაქტორებია:

- თერმული დამწვრობა;
- წვადი მასალების აალება ლითონის ნადნობთან კონტაქტისას;

საწარმოში ავარიული სიტუაციების განვითარების სქემა მოცემულია ცხრილში 13.1.

ცხრილი 13.1. ელექტროფოლადსადნობ სამქროში ავარიული სიტუაციების განვითარების მოსალოდნელი სცენარები

ტიპიური სცენარი	სცენარის აღწერა
სც 1	ღუმელის დანგრევა → გამდნარი ლითონის დაღვრა → ხანძარი → ადამიანების დაშავება თბური გამოსხივებით
სც 2	ღუმელში წყლის მოხვედრა → აფეთქება → ადამიანების დაშავება დარტყმითი ტალღით და თბური გამოსხივებით
სც 3	ელ.ენერგიის ავარიული გათიშვა → ტექნოლოგიური პროცესების შეფერხება → ღუმელის, ციცხვისა და სხვა მოწყობილობებში ნადნობის გაცივება → ადამიანების დაშავება, მატერიალური ზარალი
სც 4	ავარია ნედლეულისა და პროდუქციის გადატვირთვის დროს → ტვირთის უკონტროლო ჩამოყრა → ადამიანების დაშავება → პროცესის შეფერხება → სხვა მოწყობილობების დაზიანება
სც 5	ავტოტრანსპორტის შეჯახება → ადამიანების დაშავება → ნავთობპროდუქტების დაღვრა → ნახძარი → ტექნიკისა დაზიანება
სც 6	სარტანსპორტო საშუალებებიდან ნავთობპროდუქტების დაღვრა → გარემოს დაბინძურება → ხანძარი → ადამიანების დაშავება

ავარიულ სიტუაციებზე რეაგირების გეგმის შედგენის დროს განხილული უნდა იქნას ყველა შესაძლო სცენარი და ლიკვიდაციისათვის საჭირო ღონისძიებები. გათვალისწინებული უნდა იქნას ასევე ავარიის ლიკვიდაციისათვის საჭირო ადამიანური რესურსები და ტექნიკური საშუალებები.

### 13.6. შეტყობინების სისტემა

საგანგებო სიტუაციების მართვის მთავარი შემადგენელი ნაწილია ავარიის შეახებ შეტყობინება, რომელიც უნდა განხორციელდეს წინასწარ შედგენილი გეგმისა და საშუალებების მიხედვით, პასუხსმგებელი პირების მიერ. პასუხსმგებელი ავარიის შეტყობინებაზე შეიძლება იყოს ნებისმიერი პირი (მაგ პირველივე შემმჩნევი, ცვლის/სამქროს უფროსი, შრომის უსაფრთხოების სამსახური, დირექცია და სხვა), რომლებმაც წინასწარი ინსტრუქტაჟის შესაბამისად უნდა უზრუნველყონ ტექნიკური საშუალებების გამოყენება შეტყობინების გადასაცემად.

ავარიულ სიტუაციაზე რეაგირებისათვის მნიშვნელოვანია ავარიის შესახებ შეტყობინების ქსელის შექმნა.

შეტყობინების გადასაცემად ავარიების რისკის უბნებზე გათვალისწინებული იქნება გამაფრთხილებელი ტექნიკური საშუალებები, რომელთა ამოქმედების შემთხვევაში ყველა თამანშრომელი ან საწარმოს ტერიტორიაზე მყოფი პირი იქცევა სცენარის შესაბამისად.

შეტყობინების ქსელი შედგება:

- საწარმოში მყოფი ადამიანებისა და პასუხისმგებელი პირებისათვის შეტყობინება;

- სახელმწიფო სტრუქტურებისათვის შეტყობინება (პირველ რიგში 112 სამსახურის გამოძახება);
- მოსახლეობისათვის შეტყობინება (საჭიროების შემთხვევაში);
- გარემოს შესაძლო ან მოსალოდნელი დაბინძურების შემთხვევაში გარემოს დაცვის სამსახურისათვის შეტყობინება (153 ცხელი ხაზი).

### **13.7. ავარიული სიტუაციის დოკუმენტირება:**

ავარიული სიტუაციის დროს საჭიროა სიტუაციის დოკუმენტირება, რომელშიც შეძლებისდაგვარად ზუსტად იქნება ასახული მომხდარი ავარიის შესახებ ყველა ინფორმაცია:

- ავარიის დრო, რიცხვი, დღე, საათი, წუთი;
- ავარიის ადგილი - უბანი, დანადგარი, მოწყობილობა, მიახლოებითი სიზუსტით;
- ავარიის პირველი შემმჩნევის ვინაობა, სახელი-გვარი, თანამდებობა;
- ვის მიეწოდა პირველად შეტყობინება და რა მეთოდით;
- რომელი სახელმწიფო სამსახურების გამოძახება მოხდა (თანმიმდევრობით);
- ავარიის კლასი და მასშტაბი;
- გამოწვეული შედეგები (მათ შორის ადამიანების დაშავება, მატერიალური ზარალი და გარემოს დაბინძურება);
- ავარიის მიზეზი (შესაძლებლობის შემთხვევაში);
- ინფორმაცია ავარიის ლიკვიდაციის შესახებ (ვის მიერ, რა დროში).

## **14. შემარბილებელი ღონისძიებები**

საწარმოს ექსპლუატაციის პროცესში გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობაზე უარყოფითი ზემოქმედების შერბილებისა და თავიდან აცილების მიზნით, მნიშვნელოვანია შემარბილებელი ღონისძიებების სწორად დაგეგმვა, რომელიც დამოკიდებულია გარემოზე ზემოქმედების სახეებისა და მასშტაბების იდენტიფიკაციასთან.

გარემოზე უარყოფითი ზემოქმედების თავიდან აცილების ან/და შერბილების ღონისძიებების დაგეგმვა შესაძლებელია, თუ მოსალოდნელი ზემოქმედება შეიძლება იმართოს და შემსუბუქდეს, რისთვისაც უნდა გატარდეს შემდეგი ზომები:

- ზემოქმედების თავიდან აცილება/პრევენცია;
- ზემოქმედების შემცირება;
- ზემოქმედების შერბილება;
- ზიანის კომპენსაცია.

საწარმოს პროექტირების ეტაპზე განისაზღვრა გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედების სახეები და მასშტაბები, შესაბამისად დაიგეგმა თითოეული მიმართულებით შემარბილებელი ღონისძიებები.

ვინაიდან ყველა ზემოქმედების თავიდან აცილება შეუძლებელია, საწარმო შეიმუშავებს შემარბილებელი ღონისძიებების კონკრეტულ გეგმას ექსპლუატაციის ეტაპისათვის. ღონისძიებათა გეგმაში ასახული იქნება გარემოს ცალკეულ კომპონენტებზე მოსალოდნელი ზემოქმედების სახეები, მასშტაბი და საჭიროების შემთხვევაში დაგეგმილი

შემარბილებელი ღონისძიებები. დოკუმენტში ასევე დაზუსტებული იქნება ცალკეული ზემოქმედების მართვაზე (შემცირება, შერბილება ან თავიდან აცილება) პასუხისმგებელი პირები.

როგორც 10.3. ქვეთავიდან ჩანს, ძირითადი უარყოფითი ზემოქმედება მოსალოდნელია:

- ატმოსფერულ ჰაერის ხარისხზე;
- ნარჩენების წარმოქმნა - გავრცელებაზე;
- ადამიანის ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებაზე.

### 14.1. ატმოსფერული ჰაერი

საწარმოდან ატმოსფერულ ჰაერის ხარისხზე უარყოფითი გავლენა მოსალოდნელია ტექნოლოგიური პროცესის ყოველ ეტაპზე: ნედლეულის შემოზიდვა-ბაქნებზე განთავსება; ჯართის მომზადება, დნობისა და ჩამოსხმის პროცესი, გლინვის პროცესი, ნარჩენების ტერიტორიაზე განთავსება.

ატმოსფერულ ჰაერზე უარყოფითი ზემოქმედების შემცირების მიზნით დნობის უბანზე დამონტაჟდება ასპირაციული სისტემა. ღუმელებიდან გაწოვილი აირმტვერნარევის გაწმენდის მიზნით გათვალისწინებულია მაღალეფებული აირმტვერდამჭერი სისტემის დამონტაჟება.

ატმოსფერული ჰაერის მონიტორინგი განხორციელდება საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბერის №413 დადგენილებით დამტკიცებული „დაბინბურების სტაციონარული წყაროებიდან მავნე ნივთიერებათა გაფრქვევების თვით მონიტორინგისა და ანგარიშების წარმოების ტექნილკური რეგლამენტის“ შესაბამისად.

ატმოსფერულ ჰაერზე ზემოქმედების შემცირებისათვის მნიშვნელოვანია ტექნოლოგიური პროცესების ოპტიმალური მართვა, ავარიული რისკების მინიმუმიამდე შემცირება.

საწარმო შეიმუშავებს არახელსაყრელ მეტეოროლოგიურ პირობებში (ამპ) ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გაფრქვევების შემცირების ღონისძიებების გეგმას, ამპ-თვის მავნე ნივთიერებათა გაფრქვევების შემცირების ღონისძიებების შემუშავებისას გათვალისწინებული უნდა იქნეს სხვადასხვა გაფრქვევების წყაროების წვლილი ატმოსფერული ჰაერის ხარისხის ფორმირებაში. თითოეულ კონკრეტულ შემთხვევაში აუცილებელია განისაზღვროს, თუ რომელ გაფრქვევის წყაროებზე უნდა შემცირდეს გაფრქვევები პირველ რიგში, რომ მიღებულ იქნეს ყველაზე უკეთესი ეფექტი.

ატმოსფერული ჰაერის მოსალოდნელ დაბინბურებასთან დაკავშირებით გაფრთხილება სამი სახისაა, რომელთაც შეესაბამება საწარმოს მუშაობისას გამონაბოლქვების შემცირების სამი რეჟიმი.

1. პირველი სახის გაფრთხილება დგება, თუ პროგნოზით მოსალოდნელია ამპ-ის წარმომქმნელი ერთ-ერთი ფაქტორის ხდომილება და ამასთან ერთად, ატმოსფერულ ჰაერში ერთი ან რამდენიმე მავნე ნივთიერების კონცენტრაციის მის ზღვრულად დასაშვებ (მაქსიმალურ ერთჯერად) კონცენტრაციაზე გადამეტება.
2. მეორე სახის გაფრთხილება დგება, თუ პროგნოზით მოსალოდნელია ამპ-ის წარმომქმნელი ორი ფაქტორის ერთდროული ხდომილება (მაგალითად, თუ ქარის სახიფათო დაბალი სიჩქარისას მოსალოდნელია ერთდროულად აღმავალი ინვერსიაც და ქარის არახელსაყრელი მიმართულებაც) და ამასთან ერთად,

ატმოსფერულ ჰაერში ერთი ან რამდენიმე მავნე ნივთიერების კონცენტრაციის მის ზღვრულად დასაშვებ (მაქსიმალურ ერთჯერად) კონცენტრაციაზე 3-ჯერ გადამეტება.

3. მესამე სახის გაფრთხილება დგება, თუ მეორე სახის გაფრთხილების გადაცემის შემდეგ მიღებული ინფორმაცია ცხადყოფს, რომ განხორციელებული ღონისძიებები ვერ უზრუნველყოფს ატმოსფერული ჰაერის დადგნენილ ნორმებს და ამასთან ერთად, მოსალოდნელია ატმოსფერულ ჰაერში ერთი ან რამდენიმე მავნე ნივთიერების კონცენტრაციის მის ზღვრულად დასაშვებ (მაქსიმალურ ერთჯერად) კონცენტრაციაზე 5-ჯერ გადამეტება

პირველი რეჟიმის შემთხვევაში მავნე ნივთიერებათა გაფრქვევების შემცირების ღონისძიებებმა უნდა უზრუნველყოს ატმოსფერული ჰაერის მიწისპირა ფენაში მავნე ნივთიერებათა კონცენტრაციის შემცირება სავარაუდოდ 15-20%-ით, მეორე რეჟიმის შემთხვევაში -20-40%-ით, მესამე რეჟიმის შემთხვევაში - 40-60%-ით.

## 14.2. ნარჩენების წარმოქმნა-გავრცელება

საწარმოში ნარჩენები წარმოიქმნება ძირითადი ტექნოლოგიური პროცესების შედეგად, ტექნოლოგიური მოწყობილობების, მანქანა - დანადგარების ექსპლუატაციის, შეკვეთებისა და მომსახურეობის შედეგად, საწარმოს ტერიტორიაზე ნავთობპროდუქტების ავარიული დაღვრის შედეგად, ასევე მუშა-მოსამსახურეთა საყოფაცხოვრებო დანიშნულების სათავსოში და ოფისში.

ნარჩენების წარმოქმნა-გავრცელებაზე შემარბილებელ ღონისძიებას წარმოადგენს ნარჩენების პრევენცია/შემცირება;

- შესაძლებლობის შემთხვევაში მეორადი გამოყენების უზრუნველყოფა;
- ნარჩენების მართვის წესების შესრულება, სამინისტროსთან შეთანხმებული გეგმის შესაბამისად;
- დროებით უსაფრთხო განთავსება, აღიცხვა და ანგარიშგება.
- გარემოსდაცვითი უსაფრთხოების წესების დაცვა;
- მანქანა დანადგარების სწორი და უსაფრთხო ექსპლუატაცია;
- წარმოქმნილი ნარჩენების შეგროვება და სწორი მართვა, სეპარირება, შიდა კონტროლი.

## 14.3. წყლის რესურსები

საწარმოს მოწყობა-ექსპლუატაციის ეტაპზე მიწისქვეშა და ზედაპირული წყლის რესურსებზე ზემოქმედების რისკი ძალიან დაბალია.

მიწისქვეშა წყლებზე ზემოქმედება მოსალოდნელია მიწისქვესა ჰოროზონტის ჭის მოწყობის შემთხვევაში წყალაღებით.

- საწარმოში გათვალისწინებულია წყლის რაციონალური გამოყენება, მოწყობილი იქნება წყლის გამოყენების ბრუნვითი სისტემა;
- წყალაღება განხორციელდება წყალაღიცხვის კვანძის საშუალებით;
- საწარმო მუდმივად იზრუნებს სალიცენზიო პირობებისა და მიწისქვეშა

ჰორიზონტის დაბინძურებისგან დაცვაზე;

- საწარმოს დაბინძურების რისკის მოქნე ტექნოლოგიური უბანი უზრუნველყოფილი იქნება სანიაღვრე წყალშემკრები სისტემით და გამწმენდი ნაგებობით;
- საყოფაცხოვრებო ჩამდინარე წყლები მიერთებული იქნება კანალიზაციის ქსელზე, ხოლო სანიაღვრე ჩამდინარე წყლები სანიაღვრე კანალიზაციის ქსელზე.
- დაცული იქნება ნარენების ნართვის წესები.

#### 14.4. ადამიანის ჯანმრთელობა და უსაფრთხოება

საწარმოს ტექნოლოგიური პროცესი ითვალისწინებს ადამიანის ჯანმრთელობისათვის მომეტებული საფრთხის შემცველი დანადგარებისა და მოწყობილობების გამოყენებას, ამის გათვალისწინებით შემუშავებული იქნება ადამიანის (როგორც საწარმოში დასაქმებული პერსონალის, ასევე მოსახლეობის) ჯანმრთელობაზე მოსალოდნელი ზემოქმედების შემარბილებელი ღონისძიებები.

- მუდმივად იქნება უზრუნველყოფილი ადამიანის ჯანმრთელობისა და უსაფრთხოებისათვის საჭირო ღონისძიებები (შრომის უსაფრთხოება, სახანძრო უსაფრთხოება, ავარიული რისკების მინიმიზაცია);
- მუშაობის დაწყების წინ მუდმივად მოხდება ტექნოლოგიური დანადგარების გამართულობის შემოწმება, რომ გამოირიცხოს რომელიმე მოწყობილობის ავარიული დაზიანება. აღნიშნული ხელს უწყობს საწარმოს გამართულ მუშაობას და ამცირებს გარემოს დაბინძურების რისკს;
- დაწესებული იქნება მუდმივი კონტროლი ნარჩენების მართვაზე;
- საწარმოს პერსონალი აღჭურვილი იქნება სპეციალისაცმლით, საჭირო ინვენტარ-მოწყობილობით. გაეცნობიან უსაფრთხოების წესებსა და შესაძლო ავარიულ სიტუაციებზე რეაგირების გეგმებს;
- ელ. ენერგიაზე მომუშავე ყველა მოწყობილობა დამიწდება, არსებული წესის შესაბამისად, რაც მინიმუმადე შეამცირებს ადამიანების დაზარალების რისკს;
- განხორციელდება ტექნიკური საშუალებების გამართულობის პერიოდული კონტროლი;
- ჩატარდება პერსონალის პერიოდული ინსტუქტაჟი შრომის უსაფრთხოების საკითხებზე;
- სახიფათო ზონებში განთავსდება შესაბამისი გამაფრთხილებელი ნიშნები;
- საწარმოში დაცული იქნება შრომისა და სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნები, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, რაც ასევე უზრუნველყოფს გარემოზე უარყოფითი ზემოქმედების თავიდან აცილებას.

საწარმოს ექსპლუატაციაში გაშვებამდე საწარმო შეიმუშავებს გეგმა-გრაფიკს, რომლის მიხედვითაც განხორციელდება შემარბილებელი ღონისძიებების გატარებაზე კონტროლი.

## 15. საზოგადოების მონაწილეობა

სკოპინგის ეტაპზე უზრუნველყოფილი იყო საზოგადოების ჩართილობა. საქმიანობის განმაზორციელებელმა საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“-ს შესაბამისად 2020 წლის 16 დეკემბერს მიმართა სამინისტროს სკოპინგის ანგარიშით.

ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე სამინისტრომ უზრუნველყო წარმოდგენილი სკოპინგის ანგარიშის შესახებ ინფორმაციის კანონმდებლობით დადგენილი წესით გავრცელება, მათ შორის ინფორმაცია განთავსდა სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე, რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის საინფორმაციო დაფაზე და ოფიციალურ ვებგვერდზე. ახალი კორონავირუსის გავრცელების პრევენციის მიზნით, 2020 წლის 18 სექტემბერს „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსში“ განხორციელებული ცვლილების შესაბამისად, ზემოაღნიშნული პროექტის სკოპინგის ანგარიშის საჯარო განხილვა გაიმართა დისტანციურად, კომუნიკაციის ელექტრონული საშუალების, Webex-ის აპლიკაციის გამოყენებით, 2021 წლის 20 იანვარს. საჯარო განხილვას ესწრებოდნენ გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის სამინისტროს, ქ. რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის, შპს „ჯეო ენტერპრაიზის“, შპს „სამნის“ და სამოქალაქო მოძრაობის „გავიგუდე“ წარმომადგენლები. საჯარო განხილვაზე გამოთქმული შენიშვნები და მოსაზრებები, რომელთა შესახებ შესაბამისი განმარტებები გააკეთეს სამინისტროს და კომპანიის წარმომადგენლებმა, აისახა სკოპინგის ანგარიშის საჯარო განხილვის ოქმში.

სკოპინგის პროცედურების დასრულების შემდგომ, სკოპინგის ანგარიშის განხილვისა და საზოგადოების მიერ წარმოდგენილი მოსაზრებებისა და შენიშვნების გათვალისწინებით, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის ბრძანებით, გაცემული იქნა სკოპინგის დასკვნა N11 (22.02.2021 წ.).

გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-10 მუხლისა და სკოპინგის ანგარიშის ძირითად ნაწილის მე-4 და მე-5 პუნქტების შესაბამისად, საკონსულტაციო კომპანია „სამნი“-ს, სპეციალისტთა და ექსპერტთა ჯგუფის მიერ მომზადდა გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში.

გზშ-ს ანგარიშში ასახულია სკოპინგის დასკვნით გათვალისწინებული ყველა შენიშვნა და წინადადება. სკოპინგის დასკვნისა და მის შესაბამისად გზშ-ს ანგარიშის მომზადების შესახებ დეტალური ინფორმაცია მოცემულია ცხრილი 15.1.-ში.

ცხრილი 15.1.

სკოპინგის დასკვნით გათვალისწინებული საკითხები		
მე-4 პუნქტი		
გზშ-ს ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იყოს:		
1.	პროექტის საჭიროების დასაბუთება;	პროექტის საჭიროების დასაბუთება მოცემულია თავი 4-ში

2.	დაგეგმილი საქმიანობის დეტალური აღწერა;	დაგეგმილი საქმიანობის დეტალური აღწერა განხილული თავი 5-ში.
3.	საპროექტო ტერიტორიების დეტალური აღწერა. მათ შორის საპროექტო ტერიტორიების საკადასტრო კოდი, ფართობი, Shp ფაილები, GPS კოორდინატები;	საპროექტო ტერიტორიის დეტალური აღწერა GPS კოორდინატებით მოცემულია თავი 7-ში. ხოლო, Shp ფაილები დანართის სახით.
4.	საწარმოს განთავსების ადგილის გარემოს არსებული მდგომარეობის ანალიზი;	გარემოს არსებული მდგომარეობის ანალიზი მოცემულია თავი 8.-ში.
5.	საპროექტო ტერიტორიიდან დაზუსტებული მანძილი უახლოეს საცხოვრებელ სახლებამდე (მდებარეობის მითითებით);	უახლოეს საცხოვრებელ სახლებამდე დაზუსტებული მანძილი მოცემულია თავი 7-ში. ნახაზი 7.3.-ზე.
6.	ინფორმაცია 500-მ რადიუსის საზღვრებში არსებული მოქმედი ნებისმიერი ტიპის წარმოების შესახებ;	ინფორმაცია 500-მ რადიუსის საზღვრებში არსებული მოქმედი ნებისმიერი ტიპის წარმოების შესახებ მოცემულია თავი 7-ში. ნახაზი 7.4. ცხრილი 7.2.
7.	საპროექტო ობიექტის გენერალური გეგმა, მაღალი გარჩევადობით და შესაბამისი ექსპლიკაციით, სადაც დატანილი იქნება ყველა საპროექტო ინფრასტრუქტურული ობიექტი;	საწარმოს დაზუსტებული გენ-გეგმა, ექსპლიკაციით მოცემულია ქვეთავი 5.3-ში ნახაზი 5.1-ზე.
8.	პროექტის ალტერნატიული ვარიანტები, შესაბამისი დასაბუთებით მათ შორის არაქმედების ალტერნატივა, ტექნოლოგიური ალტერნატივები, ობიექტის განთავსების ალტერნატივა, და გარემოსდაცვითი თვალსაზრისით შერჩეული დასაბუთებული ალტერნატივები. გზშ-ის ანგარიშის შესაბამის ქვეთავში, დეტალურად უნდა იქნეს დასაბუთებული ობიექტის განთავსების ალტერნატივებიდან შერჩეული ადგილმდებარეობის გარემოსდაცვითი, სოციალური, ეკონომიკური და ტექნიკური უპირატესობები;	პროექტის ალტერნატივების ანალიზი, შერჩევის კრიტერიუმი და დასაბუთება განხილულია თავი 9.-ში.
9.	საწარმოს ტექნოლოგიური სქემის და ციკლის დეტალური აღწერა, შესაბამისი თანმიმდევრობით;	ტექნოლოგიური ციკლის დეტალური აღწერა მოცემულია ქვეთავში 5.4.
10.	საპროექტო ობიექტის წარმადობა და ფიზიკური მახასიათებლები მოცემულია თავი 5-ში. ქვეთავები: 5.1, 5.2, 5.3, 5.4.	წარმადობა და ფიზიკური მახასიათებლები მოცემულია თავი 5-ში. ქვეთავები: 5.1, 5.2, 5.3, 5.4.
11.	საწარმოს დანადგარების, ტექნოლოგიური მოწყობილობებისა და ტექნოლოგიური უბნების (მათ შორის ჯართის მიღება-დამუშავების, ღუმელის, სხმულების	ტექნოლოგიური უბნების დეტალური აღწერა მოცემულია ქვეთავში 5.5.

	ჩამოსასხმელი, საყალიბე, საწმენდ-დამხარისხებელი უბანების) დეტალური აღწერა, თითოეული საწარმოო ობიექტის/უბნის ტექნიკური და ტექნოლოგიური სქემების მითითებით;	
12.	საწარმოო დანადგარების, მათ შორის საპროექტო ღუმელების პარამეტრები, სიმძლავრე და წარმადობა;	საწარმოო დანადგარების აღწერა მოცემულია ქვეთავში 5.6.
13.	დეტალური ინფორმაცია ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების პრევენციის მიზნით გათვალისწინებული გამწმენდი აპარატების (ტექნიკური პარამეტრებისა და ეფექტურობის შესახებ) შესახებ;	აირგამწმენდი სისიტემების შესახებ ინფორმაცია განხილულია ქვეთავში 5.6.4.
14.	ინფორმაცია აირმტვერდამჭერი მოწყობილობის დამონტაჟების შესახებ;	აირგამწმენდი სისიტემების დამონტაჟების შესახებ ინფორმაცია მოცემულია ქვეთავში 5.6.4.
15.	მტვერდამჭერის მიერ დაჭრილი მტვრის მართვის შესახებ ინფორმაცია;	მტვერდამჭერში დაჭრილი მტვრის მართვის საკითხები განხილულია ქვეთავში 5.8.; 5.8.1.
16.	ინფორმაცია მიღებული პროდუქციისა და მისი დროებითი განთავსების, შემდგომი რეალიზაციის შესახებ;	ინფორმაცია მიღებული პროდუქციის, მისი დასაწყობებისა და რეალიზაციის შესახებ მოცემულია ქვეთავში 5.7.
17.	ინფორმაცია გამოყენებული ნედლეულისა და დანამატების შესახებ. მათ შორის ნედლეულით მომარაგების, რაოდენობისა და დასაწყობების პირობების შესახებ დეტალური ინფორმაცია;	გამოყენებული ნედლეულისა და მასალების შესახებ ინფორმაცია მოცემულია ქვეთავში 5.2.
18.	გზშ-ის ანგარიშში მოცემული უნდა იყოს ნავთობპროდუქტებით ან სხვა სახიფათო ნივთიერებებით დაბინძურებული ჯართის საწარმოში მოხვედრის შემთხვევაში რა სახის ღონისძიებები იქნება გატარებული კომპანიის მიერ (დაბინძურებული ჯართის შემდგომი მართვის ღონისძიებები);	ნავთობპროდუქტებით ან სხვა სახიფათო ნივთიერებებით დაბინძურებული ჯართის საწარმოში მოხვედრის შემთხვევაში გასატარებელი ღონისძიების შესახებ ინფორმაცია მოცემულია ქვეთავებში 5.2. და 5.8.
19.	ჯართის მომზადების და ღუმელებში ჩატვირთვის პროცესის დეტალური აღწერა;	ჯართის მომზადება-ღუმელები მიწოდების პროცესის აღწერა მოცემულია ქვეთავებში: 5.4. და 5.5.
20.	ნედლეულის შემოტანის და ჭრის პროცესის აღწერა (ჯართის ჭრის რომელი მეთოდი იქნება გამოყენებული მომზადების უბანზე);	ჯართის ჭრის მეთოდების შესახებ ინფორმაცია მოცემულია ქვეთავში 5.4. და 5.5.
21.	წარმოქმნილი წიდის რაოდენობის, დროებითი დასაწყობების ადგილის, დასაწყობების პირობებისა და შემდგომი მართვის ღონისძიებებისდეტალური აღწერა;	წარმოქმნილი წიდის რაოდენობის, დროებითი დასაწყობების ადგილის, დასაწყობების პირობებისა და შემდგომი მართვის ღონისძიებების აღწერა მოცემულია ქვეთავში 5.8.

22.	საპროექტო ობიექტის სასმელ-სამეურნეო და ტექნიკური წყალმომარაგების შესახებ ინფორმაცია;	ობიექტის სასმელ-სამეურნეო წყალმომარაგების შესახებ ინფორმაცია მოცემულია თავი 6. ქვეთავი 6.1.
23.	წყალმომარაგების სისტემის განლაგება და ტექნიკური მონაცემები, მოხმარებული წყლის რაოდენობრივი მაჩვენებლების შესახებ ინფორმაცია;	წყალმომარაგების სისტემის განლაგება მოცემულია ნახაზზე 6.1. მოხმარებული წყლის რაოდენობების შეწსახებ ინფორმაცია ქვეთავში 6.1.
24.	სამეურნეო-ფეკალური წყლების მართვის საკითხები;	ჩამდინარე წყლების შესახებ ინფორმაცია მოცემულია ქვეთავში 6.2.
25.	კანალიზაციის სქემა გენ-გეგმაზე დატანით;	კანალიზაციის სქემა მოცემულია ნახაზზე 6.2.
26.	საპროექტო ტერიტორიაზე და ტექნოლოგიურ უბნებზე, მათ შორის წილის განთავსებისა და ჯართის მიღება-დამუშავების უბნებზე, წარმოქმნილი სანიაღვრე წყლების მართვის შესახებ დეტალური ინფორმაცია (შესაბამისი სქემატური ნახაზების მითითებით);	წილის განთავსებისა და ჯართის უბნებზე წარმოქმნილი სანიაღვრე წყლების შესახებ ინფორმაცია მოცემულია ქვეთავში 6.2.
27.	წყლის ტექნოლოგიურ ციკლში გამოყენების საკითხები, მათ შორის ღუმელების გაგრილებისა და ბრუნვითი წყალმოხმარების სისტემების დეტალური აღწერა;	წყლის ტექნოლოგიურ ციკლში გამოყენების საკითხები განხილულია ქვეთავში 6.1. ბრუნვითი წყალმომარაგების სისტემის დეტალური აღწერა ქვეთავში 5.6.3.
28.	საწარმოს სახანძრო უსაფრთხოების საკითხები, ასევე ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებების დეტალური აღწერა და სახანძრო სისტემის მოწყობის შესახებ ინფორმაცია;	სახანძრო უსაფრთხოების საკითხები განხილულია თავში 13.
29.	ინფორმაცია საწარმომდე მისასვლელი გზების შესახებ;	საწარმომდე მისასვლელი გზების შესახებ ინფორმაცია მოცემულია თავი 7-ში., ნახაზი 7.5.
30.	ნედლეულის/პროდუქციის ტრანსპორტირების მარშრუტების შესახებ დეტალური ინფორმაცია (რუკაზე ჩვენებით, სქემატური ნახაზებით). მათ შორის წარმოდგენილი უნდა იყოს ტრანსპორტირების გეგმა-გრაფიკი, ნედლეულის/პროდუქციის შემოტანის და გატანის პროცედურების სიხშირის მითითებით. ამასთან მნიშვნელოვანია გათვალისწინებულ იქნეს დასახლებულ პუნქტ(ებ)ში გადაადგილების შესაბამისი პირობები, მაგ: დაბალი სიჩქარე, სამოძრაო გზის მორწყვა, მარის გადახურვა;	ტრანსპორტირების მარშრუტი დატანილია ნახაზე 7.5. ხოლო ტრანსპორტირების ინტენსივობის შესახებ ქვთავში 10.3.10.
31.	დეტალური ინფორმაცია საპროექტო ტერიტორიის ფარგლებში გამწვანებითი ღონისძიებების შესახებ, გენ-გეგმაზე	საპროექტო ტერიტორიაზე გამწვანების ზოლის მოწყობის შესახებ მოცემულია ქვეთავში 10.3.5.

	მითითებით. მათ შორის მიზანშეწონილია გამწვანების ზოლი მოეწყოს უახლოესი დასახლებული პუნქტების მხარეს;	
32.	დასაქმებული ადამიანების რაოდენობა, მათ შორის დასაქმებულთა შორის ადგილობრივი მოსახლეობის წილი, ასევე პერსონალის პროფესიული და ტექნიკური სწავლების შესახებ ინფორმაცია;	დასაქმებულების შესახებ ინფორმაცია მოცემულია ქვეთავში 5.1.
33.	პროექტის ფარგლებში შესასრულებელი სამუშაოების, მათ შორის არსებული შენობის სარემონტო, საპროექტო უბნებისა და ობიექტების მოწყობის და სამშენებლო სამუშაოების შესახებ ინფორმაცია.	პროექტის ფარგლებში შესრულებული სარემონტო და სამშენებლო სამუშაოების შესახებ ინფორმაცია მოცემულია ქვეთავში 10.2.
	გზშ-ის ანგარიშში მოცემული უნდა იყოს „ნარჩენების მართვის კოდექსის“ 25-ე მუხლით გათვალისწინებული ინფორმაცია, კერძოდ:	
34.	საწარმოში დასამუშავებლად მიღებული ნარჩენების კოდები და დასახელებები (საქართველოს მთავრობის N426 დადგენილების „სახეობებისა და მახასიათებლების მიხედვით ნარჩენების ნუსხის განსაზღვრისა და კლასიფიკაციის შესახებ“ მოთხოვნების შესაბამისად);	საწარმოში დასამუშავებლად მიღებული ნარჩენების კოდები და დასახელებები მოცემულია ქვეთავში 5.2.
35.	დასამუშავებელი ნარჩენების რაოდენობა და წარმოშობა;	დასამუშავებელი ნარჩენების რაოდენობა და წარმოშობა მოცემულია ქვეთავში 5.2.
36.	ნარჩენების დამუშავების აღდგენის ან განთავსების ოპერაციების კოდები და აღწერილობა, „ნარჩენების მართვის კოდექსის“ I ან II დანართის შესაბამისად;	ნარჩენების დამუშავების აღდგენის ან განთავსების ოპერაციების კოდი მითითებულია ქვეთავში 5.2.
37.	საქმიანობის შედეგად წარმოქმნილი ნარჩენების მართვის შემდგომი საკითხები, ნარჩენების მართვის კოდექსისა და მისგან გამომდინარე კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად.	საქმიანობის შედეგად წარმოქმნილი ნარჩენების მართვის შემდგომი საკითხები განხილულია ქვეთავში 5.8.
პროექტის განხორციელების შედეგად გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება გარემოს თითოეული კომპონენტისათვის		
38.	ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გამოყოფისა და გაფრქვევის წყაროები (გენგეგმაზე მითითებით), გაფრქვეული მავნე ნივთიერებები, გაბნევის ანგარიში;	ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გამოყოფისა და გაფრქვევის წყაროები დატანილია ნახაზე 10.1. გაფრქვეული მავნე ნივთიერებების შესახებ ინფორმაცია მოცემულია თავი 10.3.1. გაბნევის ანგარიში დანათი N3.
39.	ატმოსფერულ ჰაერზე ზემოქმედების პრევენციული და შემარბილებელი ღონისძიებები;	ატმოსფერულ ჰაერზე ზემოქმედების პრევენციისა და შემარბილებელი ღონისძიებები მოცემულია ქვეთავში 14.1.

40.	<p>ატმოსფერული ჰაერის ხარისხის მონიტორინგის გეგმა, სადაც, გათვალისწინებული იქნება ინსტრუმენტული გაზომვებით მონიტორინგის საკითხები (სიხშირის და კოორდინატების/საკონტროლო წერტილების მითითებით). მათ შორის გათვალისწინებული უნდა იყოს ატმოსფერული ჰაერის ხარისხის უწყვეტი ავტომატური მონიტორინგის დანერგვისა და განხორციელების, მონიტორინგი შედეგების ონლაინ რეჟიმში ხელმისაწვდომობის საკითხი;</p>	<p>ატმოსფერული ჰაერის მონიტორინგის გეგმა მოცემულია თავი 11.1. და 11.6.</p>
41.	<p>დეტალური ინფორმაცია ჰაერგამწოვი, ჰაერგამწმენდი, აირმტვერდამჭერი სისტემის შესახებ (საპასპორტო მონაცემები; ეფექტურობის დამადასტურებელი დეტალური მონაცემები);</p>	<p>ჰაერგამწოვი, ჰაერგამწმენდი, აირმტვერდამჭერი სისტემის შესახებ დეტალური ინფორმაცია მოცემულია ქვეთავში 5.6.4.</p>
42.	<p>ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტი;</p>	<p>ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტი წარმოდგენილია ცალკე დოკუმენტის სახით.</p>
43.	<p>პროექტის ფარგლებში ხმაურის გავრცელებით მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება (ხმაურის ყველა წყაროს გენ-გეგმაზე დატანით), შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებებისა და მონიტორინგის საკითხების მითითებით;</p>	<p>ხმაურის გავრცელებით მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება განხილულია ქვეთავში 10.2.3. და 10.3.2.</p>
44.	<p>ზემოქმედება ნიადაგის/გრუნტის ხარისხზე და შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებები;</p>	<p>ნიადაგის/გრუნტის ხარისხზე ზემოქმედება განხილულია ქვეთავებში 10.2.4. და 10.3.9. ამ მიმართულებით შემარბილებელი ღონისძიებების გატარება საჭირო არ არის.</p>
45.	<p>გეოლოგიური გარემოს ფონური მდგომარეობის აღწერა და გეოლოგიურ გარემოზე ზემოქმედების შეფასება;</p>	<p>გეოლოგიური გარემოს ფონური მდგომარეობის აღწერა მოცემულია ქვეთავში 8.3. გეოლოგიურ გარემოზე ზემოქმედების შეფასება ქვეთავში 10.3.11.</p>
46.	<p>ზემოქმედება მიწისქვეშა/გრუნტის წყლებზე და შემარბილებელი ღონისძიებები. მიწისქვეშა/გრუნტის წყლების დაბინძურებისა და შესაბამისი პრევენციული ღონისძიებების შესახებ ინფორმაცია;</p>	<p>ზემოქმედება მიწისქვეშა/გრუნტის წყლებზე განხილულია ქვეთავში 10.3.3. შემარბილებელი ღონისძიებები ქვეთავში 14.3.</p>
47.	<p>ბიოლოგიურ გარემოზე ზემოქმედების</p>	<p>ბიოლოგიურ გარემოზე</p>

	შეფასება, შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებების მითითებით;	ზემოქმედების შეფასება განხილულია ქვეთავში 10.3.5. ამ მიმართულებით შემარბილებელი ღონისძიება საჭირო არ არის.
48.	ნარჩენების წარმოქმნით და გავრცელებით მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება;	ნარჩენების წარმოქმნით და გავრცელებით მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება განხილულია ქვეთავებში 10.2.5. და 10.3.4.
49.	მნიშვნელოვანია გზშ-ის ანგარიშში დეტალურად იქნეს ასახული პროექტის განხორციელებით გამოწვეული ზემოქმედების შეფასება სოციალურ-ეკონომიკურ გარემოზე, ასევე განსაზღვრული იყოს ადამიანის ჯანმრთელობასთან, უსაფრთხოებასთან დაკავშირებული რისკები, შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებების მითითებით;	სოციალურ-ეკონომიკურ გარემოზე ზემოქმედება განხილულია ქვეთავში 10.3.8. ადამიანის ჯანმრთელობასთან, უსაფრთხოებასთან დაკავშირებული რისკები თავი 12., შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებები ქვეთავში 14.4.
50.	ისტორიულ-კულტურულ და არქეოლოგიურ ძეგლებზე ზემოქმედების შეფასება;	ისტორიულ-კულტურულ და არქეოლოგიურ ძეგლებზე ზემოქმედების შეფასება მოცემულია ქვეთავში 10.3.7.
51.	ზემოქმედება სატრანსპორტო ნაკადებზე და შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებები;	სატრანსპორტო ნაკადებზე ზემოქმედება განხილულია ქვეთავში 10.3.10.. ამ მიმართულებით შემარბილებელი ღონისძიებები საჭირო არ არის.
52.	მნიშვნელოვანია გზშ-ისანგარიშში წარმოდგენილ იქნეს ნედლეულის/პროდუქციის ტრანსპორტირებით მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება და შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებები. მათ შორის განისაზღვროს დამის საათებში ნედლეულისა და პროდუქციის შემოზიდვა- გაზიდვისათვის გადაადგილების აკრძალვის საკითხები;	ანგარიშში წარმოდგენილია ნედლეულისა და პროდუქციის ტრანსპორტირების ინტენსივობა, მარშრუტები, მოსალოდნელი ზემოქმედება. ღამის საათებში საწარმო არ მუშაობს, შესაბამისად გადაზიდვები არ იქნება და შემარილებელი ღონისძიება არ არის საჭირო.
53.	დეტალური ინფორმაციი კუმულაციური ზემოქმედების შესახებ. პროექტის ფარგლებში მოსალოდნელი კუმულაციური ზემოქმედების შეფასება გარემოს თითოეული კომპონენტისათვის, შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებების მითითებით (მათ შორის, ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გაფრქვევის შემცირების კუთხით საუკეთესო ალტერნატივების დეტალური დასაბუთება);	კუმულაციური ზემოქმედება განხილულია ქვეთავში 10.3.12. (რაც შეეხება ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გაფრქვევების შემცირების კუთხით საუკეთესო ალტერნატივებს აღნიშნული განხილულია ქვეთავში 9.3.)
54.	ავარიულ სიტუაციებზე რეაგირების გეგმა;	ავარიულ სიტუაციებზე რეაგირების

		გეგმა მოცემულია თავი 13. ქვეთავი 13.2.
55.	საწარმოს მოწყობა-ექსპლუატაციის ეტაპისთვის შემუშავებული კონკრეტული სახის შემარბილებელი ღონისძიებები, შესაბამისი გეგმა-გრაფიკის მითითებით;	შემარბილებელი ღონისძიებები მოცემულია თავში 14. რაც შეეხება ღონისძიებების გრაფიკს შემუშავებული იქნება საქმიაობის დაწყების დროისათვის.
56.	ობიექტის მოწყობა-ექსპლუატაციის ეტაპებისთვის შემუშავებული გარემოსდაცვითი მონიტორინგის გეგმა, შესაბამისი საკონტროლო წერტილების მითითებით;	გარემოსდაცვითი მონიტორინგის გეგმა მოცემულია თავი 11-ში, ცხრილი 11.4.
57.	გზშ-ს ფარგლებში შემუშავებული ძირითადი დასკვნები, რეკომენდაციები და საქმიანობის განხორციელების პროცესში განსახორციელებელი ძირითადი ღონისძიებები;	გზშ-ს ეტაპზე შემუშავებული ძირითადი დასკვნები, რეკომენდაციები და საქმიაობის პროცესში განსახორციელებელი ღონისძიებები მოცემულია თავში 16.
58.	სკოპინგის ეტაპზე საზოგადოების მიერ წარმოდგენილი მოსაზრებებისა და შენიშვნების შეფასება და განსახორციელებელი ღონისძიებების დეტალური აღწერა.	სკოპინგის ეტაპზე წარმოდგენილი მოსაზრებები და შენიშვნები გათვალისწინებულია გზშ-ს ანგარიშში. ინფორმაცია ცხრილში 15.1.
შენიშვნები, რომლებიც გათვალისწინებული უნდა იქნეს გზშ-ის ანგარიშში:		
59.	სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, საწარმოს ნედლეულს წარმოადგენს რკინის ჯართი. მოცემული გარემოების გათვალისწინებით, საქმიანობა განხილული უნდა იქნას, ასევე როგორც ნარჩენების აღდგენა („გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ II დანართის 10.3 პუნქტის თანახმად) და „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ I დანართის მე-5 პუნქტან ერთად, გზშ-ის ანგარიში წარმოდგენილი უნდა იქნას ზემოაღნიშნული პუნქტის გათვალისწინებით;	შენიშვნა გათვალისწინებულია, ინფორმაცია მოცემულია ქვეთავში 5.2.
60.	გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილ უნდა იქნეს პროექტის განხორციელებით მოსალოდნელი სოციალურ-ეკონომიკური სარგებლისა და გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედების შედარებითი ანალიზი. განისაზღვროს - გარემოზე მიყენებული ზიანი მეტია, თუ ეკონომიკურ-სოციალური სარგებელი. ამასთან წარმოდგენილი იქნეს შესაბამისი შეფასება, რამდენად დააბალანსებს მოსალოდნელი სოციალურ-ეკონომიკური სარგებელი გარემოზე მოსალოდნელ	სოციალურ-ეკონომიკური სარგებლისა და გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედების შედარებითი ანალიზი მოცემულია ქვეთავში 10.3.14.

	ზემოქმედებას, მათ შორის: ატმოსფერული ჰაერის დაბინძურებით მოსალოდნელ ზემოქმედებას გარემოზე და ადამიანის ჯანმრთელობაზე;	
61.	გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი იქნეს შესაბამისი დასაბუთება რამდენად უზრუნველყოფს საპროექტო ტერიტორიაზე არსებული შენობა - დაგეგმილი წარმოების რეგულაციების სრული დაცვით განხორციელებას;	შენობის ვარგისიანობის შესახებ ინფორმაცია მოცემულია ქვეთავში 5.3. და 9.2.
62.	გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი იქნეს არაორგანიზებული გაფრქვევის წყაროების მართვის საკითხების დეტალური აღწერა;	არაორგანიზებული გაფრქვევის წყაროების შესახებ ინფორმაცია მოცემულია ქვეთავში 10.3.1.
63.	სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, „წიდის გამოყენება შესაძლებელია ადგილზე, საწარმომდე მისასვლელი გზების შეკეთების პროცესში“. აღსანიშნავია, რომ მოცემული ქმედება ერთჯერადი ხასიათისაა და არ წარმოადგენს წარმოების პროცესში წარმოქმნილი წიდის მართვის სათანადო ღონისძიებას. ზემოაღნიშნული გარემოებიდან გამომდინარე, გზშ-ის ანგარიშში წიდის მართვის საკითხები საჭიროებს დაზუსტებას და დეტალური ინფორმაციის წარმოდგენას;	წიდის მართვის საკითხების დეტალური აღწერა მოცემულია ქვეთავში 5.8.
64.	გზშ-ის ანგარიშში ცალკე ქვეთავის სახით წარმოდგენილი იქნეს ქ. რუსთავში ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების არსებული მდგომარეობის შესახებ ინფორმაცია. ამასთან ქ. რუსთავში ჰაერის არსებული მდგომარეობის გათვალისწინებით, გზშ-ის ანგარიშში განისაზღვროს რამდენად შეცვლის დაგეგმილი წარმოება ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების საერთო ფონს, ასევე საჭიროების შემთხვევაში მითითებული იყოს რა სახის ღონისძიებებს დაგეგმავს და განახორციელებს კომპანია ქ. რუსთავის საერთო ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით;	რუსთავის ჰაერის ხარისხის შესახებ ინფორმაცია მოცემულია ქვეთავში 8.2.3. ხოლო საწარმოს მიერ დაგეგმილი ღონისძიებები თავი 14-ში.
65.	გზშ-ის ანგარიში შედგენილი უნდა იყოს მოქმედი კანონმდებლობის, განსაკუთრებით სკოპინგის დასკვნით განსაზღვრული მითითებების სრული დაცვით. გზშ-ის ანგარიშში მოცემული უნდა იყოს სკოპინგის დასკვნით განსაზღვრული თითოეული საკითხის შესახებ ინფორმაცია შესაბამისი თანმიმდევრობით.	სკოპინგის დასკვნით გათვალისწინებული საკითხების შესახებ ინფორმაცია მოცემულია 15.1. ცხრილში.

**16. გზშ-ს ფარგლებში შემუშავებული ძირითადი დასკვნები, რეკომენდაციები და საქმიანობის განხორციელების პროცესში განსახორციელებელი ძირითადი ღონისძიებები**

გზშ-ს ეტაპზე ჩატარებული კვლევების, მოპოვებული ინფორმაციის გაანალიზების, ძირითადი საპროექტო გადაწყვეტილებების, გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედების პროგნოზისა და განზოგადებული ეკოლოგიურ-ეკონომიკური შეფასების საფუძველზე შემუშავებულია შემდეგი დასკვნები და რეკომენდაციები:

1. შპს „ჯეოენტერპრაიზ“-ს დაგეგმილი აქვს რკინის ჯართის გამოსადნობი ორო იდენტური ინდუქციური ღუმელის დამონტაჟება, რომლებიც იმუშავებენ მონაცვლეობით და სხვადასხვა სხმულების დამზადება. სხმულების ყალიბების დამზადების მიზნით, საამქროში მოწყობა საყალიბების უბანი. საწარმოს საპროექტო წარმადიბა შეადგენს: 2000 ტ. ფოლადისა და თუვის სხმული (ნაკეთობა).
2. საპროექტო საწარმოს განთავსება დაგეგმილია ქ. რუსთავში, „გიორგი გოგოლაძის სახელობის რუსთავის ინდუსტრიულ ზონაში“ კომპანიის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (საკ.კოდი 02.07.01.299), უახლოესი დასახლებული პუნქტი მდებარეობს ტერიტორიიდან ჩრდილო - დასავლეთით, 1600 მ დაშორებით.
3. საწარმოს მუშაობის რეჟიმი იქნება 250 დღე წელიწადში, 8 საათიანი სამუშაო დღით.. საწარმოში დასაქმებულთა რაოდენობა იქნება 25 კაცი;
4. საწარმოს ძირითადი ტექნოლოგიური პროცესი, მათ შორის პროდუქციისა და დამხმარე მასალების საწყობები განთავსებული იქნება არსებულ შენობაში, ღია სივრცეში განთავსდება მხოლოდ ჯართის მიღებისა და წინასწარი მომზადების უბანი;
5. საწარმოს ძირითად ნედლეულს წარმოადგენს რკინის ჯართი, რომელიც მიიღება ჯართის შემგროვებელი პუნქტებიდან, წინასწარ გადარჩეული და დახარისხებული სახით. შესაძლებელია საწარმოში ნედლეულად, ჯართთან ერთად, გამოყენებული იქნას რკინის ნახევარფაბრიკატი (სხმული, სამზადი), რომელიც შესყიდული იქნება ბაზარზე მწარმოებლებისაგან ან/და იმპორტიორებისაგან. საწარმოში შესაძლებელი იქნება 2200 ტ. ნედლეულის გადადნობა.
6. საწარმო წარმოადგენს ნარჩენების აღმდგენ ობიექტს, მისი ექსპლუატაცია მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს ცირკულარული ეკონომიკის განვითარებაში;
7. საწარმოს, შეკვეთის შესაბამისად, შეუძლია დაამზადოს ნებისმიერი ნაკეთობა, რომლის ზომა და წონა შეესაბამება დამონტაჟებული დანადგარების მწარმოებლურობას. პროდუქცია შეიძლება იყოს ცალკეული მოწყობილობების ან/და დარგების მცირე დეტალი, რომლის დეფიციტურობა და არ არსებობა ხანგრძლივი დროით აფერხებს მოწყობილობის/დარგის/პროექტის ფუნქციონირებას. ამდენად საქმიაობის განხორციელება მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებაში;
8. საწარმოს წყალმომარაგება დაგეგმილია რუსთავის წყალმომარაგების ქსელიდან, ხელშეკრულების საფუძველზე. შესაძლებელია საწარმოო მიზნით წყამომარაგების მიზნით მიწისქვეშა ჰორიზონტის ჭის მოწყობა, რაზედაც აღებული იქნება სათანადო ლიცენზია;
9. საწარმოო მიზნით გამოყენებული წყალი ჩართულია ბრუნცით წყალმომარაგების სისტემაში. საყოფაცხოვრებო-სამეურნეო ჩამდინარე წყალი მიერთებულია რუსთავის კანალიზაციის ქსელზე, ხოლო სანიაღვრე წყალი ჩაშვებული იქნება სანიაღვრე კანალიზაციის ქსელში;
10. საწარმოს ელექტრომომარაგება გათვალისწინებულია ენერგო-პრო-ჯორჯიას უახლოესი ქვესადგურიდან, რაზედაც შედგენილია პროექტი და შეთანხმებულია

- ელექტრომიმწოდებელ კომპაიასთან. ბუნებრივი აირით მომარაგება მოხდება სოკარ გაზის რუსთავის ქსელიდან, ხელშეკრულების თანახმად;
11. საწარმოს ორგანიზებული გამოყოფის წყაროებისათვის დაპროექტებული აქვს აირმტვერდამჭერი სისტემები, რომელთა მონტაჟი და ექსპლუატაციაში შესვლა განხორციელდება საწარმოს მოწყობისა და ექსპლუატაციაში გაშვების პარალელურად;
  12. საწარმოში წარმოქმნილი ყველა ნარჩენის მართვა მოხდება კანონმდებლობის მოთხოვნებისა და სამინისტროსთან შეთანხმებული ნარჩენების მართვის გეგმის შესაბამისად;
  13. ვინაიდან უახლოესი საცხოვრებელი სახლი დაცილებულია 1600 მ-ზე მეტი მაძილით, განბნევის ანგარიში ჩატარდა 500 მ-ან საზღვარზე. გაანგარიშების შედეგების ანალიზით დასტურდება, რომ საწარმოს ექსპლოატაციის პროცესში ატმოსფერული ჰაერში გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა კონცენტრაციის მნიშვნელობები არ გადააჭარბებს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ზდკ ნორმებს;
  14. სკოპინგის ეტაპზე უზრუნველყოფილი იყო საზოგადოების ჩართულობა, სკოპინგის ეტაპზე შენიშვნები და წინადადებები გათვალისწინებული იქნა გზშ-ს ანგარიშის მომზადების დროს.
  15. ადამიანის ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებაზე ზემოქმედების მინიმიზაციისა და თავიდან აცილების მიზნით, ექსპლუატაციის ეტაპზე უზრუნველყოფილი იქნება შრომის უსაფრთხოების პირობებისა და მოთხოვნების დაცვა;
  16. საწარმო შეიმუშავებს ტექნოლოგიური დანადგარების (მათ შორის აირმტვერდამჭერი სისტემების) განართულად მუშაობის შიდა კონტროლის მოქნილ სისტემას, მუდმივად უზრუნველყოფს მათ გამართულ ექსპლუატაციას;
  17. საწარმო ექსპლუატაციის ეტაპზე ეყოლება გარემოს დაცვისა და შრომის უსაფრთხოების თანამშრომელი, რომელიც მუდმივად განახორციელებს გარემოს დაცვისა და შრომის უსაფრთხოების მოთხოვნების შესრულებაზე შიდა კონტროლს;
  18. საწარმო ექსპლუატაციის შესვლამდე შეიმუშავებს მონიტორინგის გეგმა-გრაფიკს, რომლის შესაბამისადაც განხორციელდება გარემოსდაცვითი მონიტორინგი;
  19. ექსპლუატაციაში შესვლამდე შედგენილი იქნება გარემოზე და ადამიანის ჯანმრთელობაზე ზემოქმედების შემარბილებელ ღონისძიებათა დეტალური გეგმა-გრაფიკი, რომლის განხორციელებაც მოხდება ექსპლუატაციის ეტაპზე;
  20. ქ.რუსთავში ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე ზემოქმედების შერბილების მიზნით, შედგენილი იქნება არახელსაყრელ მეტეოპირობებში ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გაფრქვევის შემცირების ღონისძიებათა გეგმა;
  21. საწარმო შეადგენს საგანგებო სიტუაციების მართვის კონკრეტულ გეგმას, რომელშიც გათვალისწინებული იქნება ყველა შესაძლო ავარიული სიტუაციის ალბათობა, სცენარი, მოსალოდნელი უარყოფითი შედგები და ლიკვიდაციის ღონისძიებები. სავალდებულო იქნება თანამშრომლებისათვის ავარიულ სიტუაციებზე რეაგირების გეგმის გაცნობა;
  22. არსებული ეკოლოგიური ფონის გაუმჯობესების მიზნით, საწარმო ტერიტორიის საზღვარზე მოაწყობს მწვანე ნარგავების ზოლს;
  23. თუ საწარმოს მოწყობისა და ექსპლუატაციის ეტაპზე დანერგილი იქნება სწორი გარემოსდაცვითი პოლიტიკა, რომელიც უზრუნველყოფს გარემოს (ჰაერის, წყლის, მყარი ნარჩენების მართვას, ბიომრავალფეროვნების) და ბუნებრივი რესურსების დაცვას, იხელმძღვანელებს გარემოს დაცვის ძირითადი (მათ შორის მგდრადობის) პრინციპებით, გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედება იქნება დაბალი, სოციალურ-ეკონომიკური სარგებლი კი მნიშვნელოვანი.

## **გამოყენებული ლიტერატურა**

1. საქართველოს კანონი „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“;
2. საქართველოს კანონი „გარემოს დაცვის შესახებ“;
3. საქართველოს კანონი „ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ“.
4. საქართველოს მთავრობის 2014 წლის 6 იანვრის დადგენილება № 42 „ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების სტაციონარული წყაროების ინვენტარიზაციის ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“
5. საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის №408 დადგენილება „ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების გაანგარიშების ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“.
6. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2003 წლის 24 თებერვლის ბრძანება №38/б «გარემოს ხარისხობრივი მდგომარეობის ნორმების დამტკიცების შესახებ».
7. ტექნიკური რეგლამენტი - „სამშენებლო კლიმატოლოგია“ საქართველოს მთავრობის დადგენილება №712014 წლის 15 იანვარი;
8. საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის დადგენილება № 435 „დაბინძურების სტაციონარული წყაროებიდან ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვევების ფაქტობრივი რაოდენობის განსაზღვრის ინსტრუმენტული მეთოდის, დაბინძურების სტაციონარული წყაროებიდანატმოსფერულ ჰაერში გაფრქვევების ფაქტობრივი რაოდენობის დამდგენი სპეციალური გამზომ-საკონტროლო აპარატურის სტანდარტული ჩამონათვალისა და დაბინძურების სტაციონარულიწყაროებიდან ტექნოლოგიური პროცესების მიხედვით ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვევების ფაქტობრივი რაოდენობის საანგარიშო მეთოდიკის შესახებ ტექნიკური რეგლამენტისდამტკიცების თაობაზე“.
9. Расчет выделений загрязняющих веществ выполнен в соответствии с †Методические указания по определению выбросов загрязняющих веществ в атмосферу из резервуаров‡. Новополоцк, 1997 (с учетом дополнений НИИ Атмосфера 1999, 2005, 2010 г.г.).
10. Методически пособие по расчету выбросов от неорганизованных источников в промышленности строительных материалов‡, Новороссийск, 2001; †Методическим пособием по расчету нормированию и контролю выбросов загрязняющих веществ в атмосферный воздух‡, СПб., 2005.
11. †Методическое пособие по расчету, нормированию и контролю выбросов загрязняющих веществ в атмосферный воздух‡, СПб., 2005.
12. УПРЗА ЭКОЛОГ, версия 3.00 ФИРМА "ИНТЕГРАЛ" Санкт-Петербург 2001-2005г.\_\_\_\_
13. Борьба с шумом на производстве.Справочник.Е.Юдин.Мю1985.
14. საქართველოს კანონი „ნარჩენების მართვის კოდექსი“ 21/12/2016 წ.
15. საქართველოს კანონი „წყლის შესახებ“.

- 16.** ტექნიკური რეგლამენტი „წყალარინების (საკანალიზაციო) სისტემაში ჩამდინარე წყლის ჩაშვებისა და მიღების პირობებისა და დამაბინძურებელ ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები ნორმების შესახებ“ საქართველლოს მთავრობის 2018 წლის 20 აგვისტოს N431დადგენილება.
- 17.** სანიტარიული წესები და ნორმები „ხმაური სამუშაო ადგილებზე, საცხოვრებელი, საზოგადოებრივი შენობების სათავსოებში და საცხოვრებელი განაშენიანების ტერიტორიაზე“;
- 18.** სანიტარიული ნორმები და წესები „ზედაპირული წყლების დაბინძურებისაგან დაცვის შესახებ“;
- 19.** გ. ზარიძე. პეტროლოგია; განათლებათბ. 1988.
- 20.** მ.ს. შვეცოვი. დანალექი ქანების პეტროლოგია; თბ. 1992.
- 21.** გ.ძოწენიძე, ნ.სხირტლაძე, ი.ჩეჩელაშვილი. ოკრიბის ბითური ნალექების ლითოლოგია. თბ. 1996.
- 22.** საქართველოს ფიზიკური გეოგრაფია, ლ. ი. მარუაშვილი, თბილისი 1964;
- 23.** საქართველოს გეოლოგიური რუკა, გ. გუჯაბიძე თბილისი 2003;

# ডান্ডার গো

## დანართი 1. საჯარო რეესტრის ამონაწერი.



ნორი (უმაღლეს ქრისტიანული კონფერენცია) N 02.07.01.299

### ამონაწერი საჯარო რეესტრიდან

განცხადების რეგისტრაცია

N 882021552583 - 06/07/2021 10:05:22

მომზადების თარიღი

10/07/2021 17:42:03

### საკუთრების განყოფილება

ბონა რეგისტრაციი	სექტორი სამრეწველო	კვარტალი 02	ნაკვეთი 07	ნაკვეთის საკუთრების გამა: საკუთრება ნაკვეთის დანომწეულება: არასამისული სამუშაო დამტკიცებული ფართობი: 5052.00 კვ.მ. ნაკვეთის წილი ნომერი: 02.07.01.280; შენობა-ნაგებობის ჩამონაცვლიშებისა N1 - თარიღით შენობა საერთო ფართი 1261.1 კვ.მ (I სართული 1056.74 კვ.მ, II სართული 204.36 კვ.მ), N2, N3
მისამართი:	ქალაქი რუსთავი, ქუჩა მშეოდობა, N 12			

### მესაკუთრის განყოფილება

განცხადების რეგისტრაცია : ნომერი 882020677637 , თარიღი 21/09/2020 12:25:43  
უფლების რეგისტრაცია: თარიღი 21/09/2020

უფლების დამადასტურებელი ლოკალური:

- უძრიელი ნივთის ნამდისებულების ხელშეკრულება , დამოწმების თარიღი: 21/09/2020 , საქართველოს ოკების სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული საგენერი

მესაკუთრები:

მპს „კეთი ენერგეტიკამ“ , ID ნომერი: 404901077

მესაკუთრე:

მპს „კეთი ენერგეტიკამ“

აღწერა:

იპოთეკა	
1) განცხადების რეგისტრაცია	იპოთეკარი სააქციო სამოგებოება "სალიკ ბანკი საქართველო" 205236537;
ნომერი 882020692088	საგანი: არასამისული სამუშაო დამტკიცებული ფართობი: 5052.00 კვ.მ შენობა-ნაგებობის ჩამონაცვლა: შენობა N1 - თარიღით შენობა საერთო ფართი 1261.1 კვ.მ (I სართული 1056.74 კვ.მ, II სართული 204.36 კვ.მ);
თარიღი 24/09/2020 13:13:29	იპოთეკის ხელშეკრულება N000301.611-დ, დამოწმების თარიღი 24/09/2020, საქართველოს უსაფიქროს სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული საგენერი
რეგისტრაცია: თარიღი 25/09/2020	

საგადასახადო გარაჟითა:

რეგისტრირებული არ არის

## დანართი 2. სკოპინგის დასკვნა



საქართველოს გარემოს დაზოსა და სოფლის მუნიციპალიტეტი

ბრძანება N 2-238

25/02/2021

ქ. თბილისი

**ქ. რუსთავში, შპს „ჯეო ენტერპრაიზის“ მეტალურგიული საწარმოს მოწყობისა და  
ექსპლუატაციის პროექტზე სკოპინგის დასკვნის გაცემის შესახებ**

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-9 მუხლის, ამავე კოდექსის I დანართის მე-5  
პუნქტისა და II დანართის 10.3 ქვეპუნქტის საფუძველზე,

### ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გაიცეს, ქ. რუსთავში, შპს „ჯეო ენტერპრაიზის“ მეტალურგიული საწარმოს მოწყობისა და ექსპლუატაციის პროექტზე სკოპინგის დასკვნა N11 (22.02.2021);
2. შპს „ჯეო ენტერპრაიზი“ ვალდებულია გზშ-ის ანგარიშის მომზადება უზრუნველყოს N11 (22.02.2021) სკოპინგის დასკვნის შესაბამისად;
3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეტაციოს შპს „ჯეო ენტერპრაიზის“;
4. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „ჯეო ენტერპრაიზის“ მიერ ამ ბრძანების გაცემიშისთანავე;
